



იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA - COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period



№ **11**

2015

საქართველოს ეროვნული მუზეუმის
ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი
GEORGIAN NATIONAL MUSEUM
Journal of Otar Lordkipanidze Centre of Archaeology



იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA-COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period

11

თბილისი 2015 Tbilisi

Editor-in-Chief: Gela Gamkrelidze

Editorial & Reviewers Board:

Z. Bragvadze, D. Braund (UK), N. Lordkipanidze,
D. Kacharava, M. Kvachadze, G. Kvirvelia, D. Mindorashvili,
M. Charkviani, G. Narimanishvili, V. Shatberashvili

Layout: Irakli Devdariani, Irakli Khutsishvili

მთ. რედაქტორი: გელა გამყრელიძე

სარედაქციო-სარეცენზიო საბჭო:

ზურაბ ბრაგვაძე, დევიდ ბრაუნდი, ნინო ლორთქიფანიძე,
დარეჯან კაჭარავა, მარინე კვაჭაძე, გურამ კვიციანი,
დავით მინდორაშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი,
ვახტანგ შატბერაშვილი, მაია ჩარკვიანი

ტექნიკური უზრუნველყოფა: ირაკლი დევდარიანი, ირაკლი ხუციშვილი

See the web site:

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/31099>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/25201>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/13542>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/13546>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/9572>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/9572>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/31101>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/browse?type=author&value=Gamkrelidze%2C+Gela>

http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/61853/1/Iberia_Kolxeti_2014_N10.pdf

Address: Otar Lordkipanidze Centre of Archaeology
14, D. Uznadze str. Tbilisi, 0102, Georgia
E-mail: iberiacolchis@yahoo.com.

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი. 2015

ISSN 1512-4207

UDC 94(479.22)+902. ი-315

შინაარსი. CONTENTS.

ქეთევან ჯავახიშვილი, **საქართველოს გლიპტიკური ძეგლები**
(Ketevan Javakhishvili, GLYPTICAL MONUMENTS OF GEORGIA)5

ზურაბ ბრაგვაძე, **კოლხეთის სამეფო და ირანი ძვ.წ. V-IV საუკუნეებში**
(Zurab Bragvadze, COLCHIS KINGDOM AND IRAN IN 5TH-4TH CENTURIES BC) 37

გელა გიუნაშვილი, **ორგანყოფილებიანი ღუმელი**
(Gela Giunashvili, THE OVENS WITH TWO SECTIONS) 49

ქეთევან დიღმელაშვილი, **V საუკუნის სასლი მცხეთიდან**
(Ketevan Digmelashvili, THE HOUSE OF A 5TH CENTURY RESIDENT FROM MTSKHETA)..... 62

ნელი მუხიგულაშვილი, **რკინის საბრძოლო იარაღები ძვ.წ. VI-III სს. არაგვის ხეობაში**
(Neli Mukhigulashvili, IRON WEAPONS OF 6th-3rd CENTURIES BC. FROM ARAGVI VALLEY) 69

კოტე მელითაური, **მცხეთის ანტიკური პერიოდის ხუროთმოძღვრული ძეგლები**
(Kote Melitauri, ARCHITECTURAL MONUMENTS OF MTSKHETA OF CLASSICAL PERIOD) 98

იულონ გაგოშიძე, **2013-2015 წლების არქეოლოგიური გათხრები დედოფლის გორაზე**
(Iulon Gagoshidze, ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS AT DEDOFLISGORA IN 2013 -2015)..... 119

რეცენზიები:

საქართველო ანტიკურ ხანაში, დავიდ ბრაუნდი..... 140

საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, დავით მინდორაშვილი 142

იულონ გაგოშიძე, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე 144

ამირან კახიძე – ღვანლმოსილ არქეოლოგს 80 წელი შეუსრულდა 151

ჩვენი ვერა ჩისლაძე 158

PAPERS IN ENGLISH:

Vera Chikhladze, **MUSICAL INSTRUMENTS DISCOVERED IN GEORGIA THROUGH ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS**.....162

Vakhtang Nikolaishvili, **HISTORICAL TOPOGRAPHY OF GREATER *MTSKHETA***174

Temur Todua, **COLCHIS IN THE SYSTEM OF THE PONTIC KINGDOM OF MITRIDATES**.....190

Konstantine Tsereteli †, **ARMAZIAN SCRIPT**196

— **გახსენება** —

კოტე მელითაურის ხსოვნას.....209

ნელი მუხიგულაშვილის გახსენება211

თემურ თოდუას გახსენება.....212

SUMMARIES.....214

Abbreviations.....221

ინფორმაცია ავტორებისათვის.....222

საქართველოს გლიპტიკური ძეგლები

გლიპტიკა – ძვირფას და ნახევრად ძვირფას ქვებზე (აგრეთვე ლითონზე, ძვალზე, მინაზე და სხვ.) გამოსახულების ამოჭრის ხელოვნებაა. გლიპტიკური ძეგლები – გემები ორგვარია. სიღრმეში ამოჭრილ გემას ინტალიო ეწოდება, ამოზურცულგამოსახულებიანს – კამეო. ინტალიოს სამგვარი დანიშნულება აქვს, გამოიყენება როგორც სამკაული, ავგაროზი და საბეჭდავი. კამეოს მხოლოდ სამკაულისა და ავგაროზის ფუნქცია აქვს.

გლიპტიკური ხელოვნება ჩაისახა უძველეს დროში – ძვ.წ. IV ათასწლეულში, მესოპოტამიასა და ეგვიპტეში ერთდროულად.

გლიპტიკა ხელოვნების ის დარგია, რომლის გავრცელება საქართველოში (ამჟერად განიხილება ძვ.წ. XIV – ახ.წ. VII სს.) მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული გარე სამყაროსთან ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებზე. საქართველოს მდებარეობამ აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ გზა-ჯვარედინზე მნიშვნელოვნად განაპირობა გლიპტიკური ძეგლების ხასიათი. შექმნილი პოლიტიკური ვითარების მიხედვით საქართველოში ხან აღმოსავლური ქვეყნების გლიპტიკური ძეგლები ვრცელდება, ხან დასავლეთისა. შესაბამისად, გავლენას განიცდის ადგილობრივი გლიპტიკური ნახელავიც, რომელიც თუმცა კი გარკვეული თავისთავადობით ხასიათდება, მაგრამ მაინც ძირითადად ხელოვნების ამ დარგის განვითარების საერთო ხაზს მიჰყვება. ამდენად, გლიპტიკური ძეგლები წარმოადგენს მნიშვნელოვან მატერიალურ წყაროს საქართველოს მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონისა და გარე სამყაროსთან ქვეყნის ურთიერთობის საკითხის შესწავლისათვის.

საქართველოში გავრცელებული უძველესი ადგილობრივი გლიპტიკური ძეგლები ეს არის ძვ.წ. XIV-VII საუკუნეებში გავრცელებული თიხის დიდი ზომის სწორკუთხა (ტაბ. I, 1) და წრიული (ტაბ. I, 2-4) უხეში საბეჭდავები, რომელთა ზედაპირზე გამოსახულია სვასტიკა (ტაბ. II, 2), მებანდრი, კონცენტრული ხაზები

(ტაბ. II, 1), ჯვარი (ტაბ. II, 5) და სხვა. ამ საბეჭდავების აღმოჩენის ადგილებია ხოვლეგორა, გუდაბერტყა, უფლისციხე-ყათნალიხევი, ჭოგნარი, ცხინვალი [ლორთქიფანიძე მ., 1969: 12-31, 67-76, სურ. 10, 13, 16, 18-24, ტაბ. I, 1-3, 7-9, 12, 118], სამადლო [გაგოშიძე, 1981: 42, № 801, 802, ტაბ. V, 801, 802]. მოგვიანებით, ძვ.წ. IX-VI საუკუნეებში ჩნდება მთლიანი ქვისაგან (ქვიშაქვა, გველა) გამოთლილი არქაული ტიპის, დიდი ზომის საბეჭდავები, რომლებიც წინა აზიაში არსებული ყუნნიანი საბეჭდავების ფორმებს იმეორებს. აღმოსავლეთ საქართველოში ისინი აღმოჩნდა ურბნისში, ხოვლეში, როქში, ფაშიანში, სამთავროსა და ნალკაში, დასავლეთ საქართველოში – ნატანებსა და ბორში [ლორთქიფანიძე მ., 1969: 31-32, 77-83, სურ. 26-28, 39, ტაბ. III 27-29, 32]. ამ საბეჭდავებზე ძირითადად სხვადასხვა ცხოველები არის გამოსახული.

ამ ხანაში საქართველოში მცირე რაოდენობით იმპორტული გლიპტიკის ძეგლებიც გვხვდება. კახეთში, ს. შრომაში შემთხვევით აღმოჩნდა ძვ.წ. XV-XIV სს. მითანური-კერკუტული საბეჭდავი ცილინდრი ცისფერი ფაიანსისა, რომელზედაც ზედა რეგისტრში წარმოდგენილია ადამიანის და უკანა ფეხებზე მდგომ ცხოველთა გამოსახულებები, ქვედა რეგისტრზე კი სხვადასხვა ცხოველები (გლიპტიკაბ. № 1178); თრიალეთში, ძვ.წ. XV-XIV სს. დათარიღებულ სამაროვანზე აღმოჩენილია სხვადასხვა ფორმის ფრიად საინტერესო გლიპტიკური ძეგლები [ნარიმანიშვილი, 2006: 93-106, ტაბ. XVIII, 1-13], მათ შორის ცილინდრული საბეჭდავებიც. ერთზე წარმოდგენილია საკურთხეველის წინ დაჩოქილი მამაკაცი ხელში სხივებიანი კვერთხით (ტაბ. II, 3), საკურთხეველზე დგას ჯიხვი [ნარიმანიშვილი, 2006: ტაბ. XVIII, 2, 4]; არის კიდევ სხვადასხვა ფორმის მცირე ზომის საბეჭდავები მარტივი გამოსახულებებით [ნარიმანიშვილი, 2006: 93-106, ტაბ. XVIII, 5-12], თევზები [ნარიმანიშვილი, 2006: ტაბ. XVIII, 1] და ბადისებური ორნამენტი [ნარიმანიშვილი, 2006: 93-106, ტაბ. XVIII, 13].

ცნობილია, რომ ძვ.წ. II ათასწლეულში

სამხრეთ კავკასიის მოსახლეობას ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა მითანის სამეფოსთან [მელიქიშვილი, 1995:165]. საქართველოში აღმორჩენილი გლიპტიკური ძეგლები ამის ნათელი დადასტურებაა.

ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში ანტიკურ სამყაროსა და მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული იყო ძირითადად მთლიანი ქვისაგან გამოთლილი სხვადასხვა ფორმის საბეჭდავები (სკარაბეოიდები, ნაკლები რაოდენობით მრავალნახნაგები, გადმონაშთის სახით ცილინდრები) და ლითონისაგან დამზადებული (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა) თითზე სატარებელი ფარაკიანი ბეჭდები. საქართველოში, სადაც ლითონის დამუშავების უძველესი ტრადიციები არსებობდა, ადგილობრივმა ოსტატებმა, როგორც ჩანს, ადვილად აითვისეს ლითონის ფარაკიანი ბეჭდების დამზადების ხელოვნება, ქვისაგან საბეჭდავების ამოჭრის ტექნოლოგია კი, რომლის გამოცდილება საქართველოში არ არსებობდა, უფრო ძნელი ასათვისებელი აღმოჩნდა. მცირე რაოდენობით აღმოჩენილი ქვის საბეჭდავები, მცირე ზომის სკარაბეოიდები ძალზე სქემატური და სავსებით უსახური გამოსახულებებით [ლორთქიფანიძე მ., 1969:52, 119-121, სურ. 50,51,51¹] ამის ნათელი დასტურია (ტაბ. I,13). ჩანს, ქვის იმპორტული საბეჭდავებიც არ სარგებლობდა მოსახლეობაში დიდი მონონებით [ჯავახიშვილი, 2011:121]. რაც შეეხება ლითონის ფარაკიან საბეჭდავ-ბეჭდებს, როგორც იმპორტული, ისე ადგილობრივი ნახელავი ძვ.წ. VI საუკუნიდან ფართოდ გავრცელდა საქართველოში.

როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდები ორგვარია რკალშეკრული და რკალგახსნილი (რკალგახსნილი ბეჭედი ზომის შეცვლის ადვილ შესაძლებლობას იძლევა). მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ რკალგახსნილი ბეჭდები მხოლოდ საქართველოსთვის არის დამახასიათებელი [ლორთქიფანიძე მ., 1981:24]. უნდა ითქვას, რომ რკალგახსნილი ბეჭდები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი პანტიკაპეონში, დნეპრისპირეთისა და ყობანის ყორღანებში. ისინი დათარიღებულია ძვ.წ. IV-III საუკუნეებით და მათ “პანტიკაპეურს” უწოდებენ [მაქსიმოვა, 1955:441; ნევეროვი,

1978:6]. ი.გაგოშიძე აღნიშნავს, რომ არ არის გამორიცხული, ჩრდილომავიზღვისპირეთში და საქართველოში ამ ტიპის ბეჭდები დამოუკიდებლად შექმნილიყო [გაგოშიძე, 1964:33]. ი.გაგოშიძის აზრს ჩვენც ვიზიარებთ.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდები როგორც ფორმით, ისე გამოსახულებათა სიუფეტებით გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამ დროის იბერიის გლიპტიკურ ძეგლებს, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ადგილობრივი ნახელავი წარმოადგენს, უფრო აღმოსავლური – მესოპოტამიური და აქემენიდური ხელოვნების გავლენა ემჩნევა [ლორთქიფანიძე მ., 1975:9]. მეორეს მხრივ, ზოგ შემთხვევაში ბერძნული ხელოვნების გარკვეული ელემენტებიც შეინიშნება [ლორთქიფანიძე მ., 1969:40], კოლხეთში კი სჭარბობს ანტიკური – ბერძნული სამყაროს სხვადასხვა ცენტრებიდან მომდინარე იმპორტული გლიპტიკის ძეგლები და ადგილობრივი ნახელავიც ბერძნული სამყაროს ხელოვნების გავლენას განიცდის [ლორთქიფანიძე მ., 1975:9]. კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ყველაზე ადრეული იმპორტული გლიპტიკის ძეგლები, დათარიღებული ძვ.წ. VI ს. ბოლო წლებითა და V ს. დასაწყისი ხანით – მაღალმხატვრული ხელოვნების ნიმუშებია – ოქროს ფარაკიანი ბეჭდები, ტიპიური არქაული ბერძნული ფორმისა, ოვალური ნაწვეტებული ფარაკით და ოდნავ განზიდული, ქვედა ნაწილში გამსხვილებული რკალით. ვანში აღმოჩენილ ამ ბეჭდებზე [ლორთქიფანიძე მ., 1975:81-88, სურ 18-22, ტაბ.V,20,24, ტაბ. 39-43: გვ.100-101, სურ 27, ტაბ.II,29] გამოსახულია სხვადასხვა ცხოველები: ნიამორი (ტაბ.II,7), წვეროსანი ადამიანისებრი არსება რომელსაც თავს ესხმის მტაცებელი, ფანტასტიკური არსება – ლომკაცი (ტაბ.II,8), თხა, კატისებრი ოჯახის ცხოველი [ლორთქიფანიძე მ., 1975:81-88, სურ. 18-22, ტაბ.V,20,24, ტაბ.VIII, 39-43]. ცალკე აღსანიშნავია ვანში აღმოჩენილი ქარვის კუბური ფორმის ოქროს ღერაკიანი ორმხრივი, იშვიათი საბეჭდავი. ერთ პირზე გამოსახულია კურდღელი, მეორეზე – ირემი (ტაბ.I,5; II,9). საბეჭდავი ბერძნული ორიენტიზირებული სტილის საბეჭდავია. დათარიღებულია ძვ.წ. V ს-ით [ლორთქიფანიძე მ., 1976:112-113, სურ.130,5].

აღსანიშნავია 1917 ვანში აღმოჩენილი ოქროს საბეჭდავი-ბეჭედი, რომლის წრიულ ფარაკზე გამოსახულია თიმიატერიონის წინ დაბალ უზურგო სკამზე მჯდომი აფროდიტე, რომლისკენაც მიფრინავს ეროტი გვირგვინით ხელში, ქვემოთ ეროტის საღრმთო ფრინველები – ყანჩა და გედია გამოსახული [ბარდაველიძე, 1959:65-71, ტაბ.№№ 1-6; ლორთქიფანიძე მ., 1975:100, სურ.,27, ტაბ. II,29], ბეჭედი მაღალმხატვრული დახვეწილი ხელოვნების სრულყოფილი, კლასიკური ნიმუშია (ტაბ.II,11),

ანტიკურ კოლხეთში ძვ.წ. V ს. კლასიკური ბერძნული გლიპტიკის რამდენიმე შესანიშნავი ნიმუშია აღმოჩენილი: ფიჭვნარში ოქროს ფარაკიანი ბეჭედი აფროდიტესა და ეროტის გამოსახულებით [ლორთქიფანიძე მ., 1975:21-24, ტაბ.II,1; კახიძე 2007:144, სურ 41,6], ასევე ვერცხლის ბეჭედი, რომლის ფარაკზე გამოსახულია ცხოველი (კურდღელი?) [ლორთქიფანიძე მ., 1975:21-24, ტაბ. II,2] და ბრინჯაოს ბეჭედი ფარაკზე მაღალმხატვრულად შესრულებული ყალყზე შემდგარი ნიამორის გამოსახულებით (ტაბ.II,10) [ლორთქიფანიძე მ., 1975:27-31, ტაბ.III,4]. ამავე ხანის არის საირხეში აღმოჩენილი ოქროს ბეჭედი, რომლის ფარაკზე დაჩოქილი ჯიხვის მაღალმხატვრულად შესრულებული გამოსახულებაა [მახარაძე, წერეთელი, 2007:სურ.38], საირხეში ოქროს ბეჭედი ხარის შესანიშნავი გამოსახულებით (ტაბ.II,40) [ნადირაძე, 1990:51-52]. ფიჭვნარის ბერძენ მოახალშენეთა სამაროვანზე ფარაკიანი ბეჭდების მცირერიცხოვანი ჯგუფია აღმოჩენილი: ვერცხლის მთლიანი ფირფიტისაგან გამოჭრილი რკალშეკრული ბეჭედი, რომლის ზედა გაფართოებულ ნაწილზე გამოსახულია ფრინველი (გედი?), მის ზურგს უკან ვარდული, ქვევით კი – დელფინი. ბეჭედი ბერძნული “უხეში” სტილის ნახელავს წარმოადგენს და ძვ.წ. IV ს. მინურულითა და ძვ.წ. III ს. დამდეგი ხანით არის დათარიღებული [ლორთქიფანიძე მ., 1975:32-34, სურ.5, ტაბ.III,5, ტაბ.X,35], ბრინჯაოს ბეჭდის ფარაკი, რომელზედაც გამოსახულია მოზარდის (ქალის თუ ჭაბუკის?) თავი, პორტრეტული გამოსახულება, დასავლეთბერძნული ნახელავია, შესაძლო, სირაკუზისა, ძვ.წ. IV ს. დასაწყისისა (ტაბ. II,44) [ლორთქიფანიძე მ., 1975:24-27, ტაბ.II,3], ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი, დაზიანებული,

რომლის ფარაკზე გამოსახულია მამაკაცის შიშველი ფიგურა [კახიძე, ვიკერსი 2004:104, სურ.194] პროპორციული, დაკუნთული სხეული გვაფიქრებინებს, რომ ინტალიო ბერძნული კლასიკური გლიპტიკური ხელოვნების საკმაოდ მაღალმხატვრული ნიმუში უნდა ყოფილიყო; ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედზე, რომელსაც თანაბარი სიგანის, გარედან განივი ნაჭდევებით შემკული რკალი აქვს, გამოსახულია ძალღი – მალტის დოგი. ასეთი გამოსახულებები მრავლად გვხვდება ე.წ. “ბერძნულ-სპარსულ” მრავალნახნაგებზე და სკარაბეოიდებზე [ბრანდტი, 1968:249-250, ტაბ.28,249; ბორდმანი 1970:293, სურ.289; №№874,906,964 და სხვა.]. ფიჭვნარში აღმოჩენილია ძალიან საინტერესო და ანტიკური პორტრეტისათვის მნიშვნელოვანი ბრინჯაოს ბეჭედი, რომლის ფარაკზე გამოსახულია კირენის მმართველის მაგასის (ძვ.წ. III ს.) ასულის, პტოლემეაიოს III ევერგეტის მეუღლის ბერენიკა II შესანიშნავი პორტრეტული გამოსახულება (ტაბ. III,9)[კახიძე, ვაშაკიძე 2010: 70, 71, სურ. 153,3]. ბეჭდის ფორმაც ტიპიურია ელინისტური ძვ. წ. III ს. ხანისათვის [ბორდმანი 1970:285].

დაფნარში 1967 წელს შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს რკალშეკრულ ბეჭდის ფარაკზე გამოსახულია ფსიქეა, რომელსაც ხელში ჭრაქი უჭირავს (ტაბ. II,46). ბეჭედი დასავლეთ-ბერძნულ ნახელავს წარმოადგენს და ბეჭდის ფორმის მიხედვით (ჯ.ბორდმანისეული კლასიფიკაციის VII ტიპი) [ბორდმანი 1970:214, ტაბ.213 გვერდზე] ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება [ლორთქიფანიძე მ., 1975:70-73, სურ.15, ტაბ.III,17, ტაბ.X,38]. მსგავსი სიუჟეტია გამოსახული ემერაში მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნაკლული ბეჭდის ფარაკზე, რომელიც ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევრით, სახელდობრ, ძვ.წ. 330 წლით არის დათარიღებული [ლორთქიფანიძე მ.,1975:53-54, ტაბ.III,14]. 2005 წელს ვანში №26-ე სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ერთი ნაკლული ბეჭედი და ბეჭდის დაზიანებული ფარაკი. ორივე ფარაკზე ბერძნული კლასიკური ხანის გლიპტიკის ძეგლებზე ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიუჟეტია გამოსახული – უზურგო სკამზე ზის მანდილოსანი. ერთ შემთხვევაში მას გაშლილ ხელზე ნიკა უდგას (№1-2010/10) (ტაბ. II, 48), მეორეში გვირგვინი უჭირავს (№1-2010/2)). ბეჭდები

ძვ.წ. IV ს. თარიღდება [შეად. ბორდმანი, 1970, სურ.217; VIII და XVI ტიპი] და დასავლეთ-ბერძნული გლიპტიკის “უხეში” სტილის ნახელავს უნდა წარმოადგენდეს [შეად. ბორდმანი, 1970:777-779, სურ. 247,246; ჯავახიშვილი, 2011, გვ.121-124,ტაბ.1,3]. აქვეა აღმოჩენილი ოქროს ბეჭედი, რომლის ფარაკზე გამოსახულია იშვიათი მითოლოგიური სცენა – დაბალ ტახტზე მჯდომი მამაკაცი, რომელსაც მუხლებზე უზის მანდილოსანი (ტაბ. II,49). ვანიდან მომდინარეობს აღმოსავლურ-ბერძნული ბეჭდები, რომელთა ფარაკებზე გამოსახულია სხვადასხვა ფრინველები, ხარი და ლომი. ვანის ყველა ზემოჩამოთვლილი ბეჭდები ძვ.წ. IV ს. თარიღდება [ქ.ჯავახიშვილი 2011:121-128, ტაბ.1,1-7].

“უხეში” სტილის კარგად შესრულებულ ნახელავს წარმოადგენს დაბლაგომში აღმოჩენილი ოქროს მასიური ფარაკიანი ბეჭედი. ფარაკის მრგვალ პირზე გამოსახულია არწივი, რომელიც ბრჭყალებით ჩასჭიდებია კურდღელს. ბეჭედი ძვ.წ. IV ს. მეორე ნახევრით თარიღდება (ტაბ.II.43).

ცალკე გვინდა შევეხოთ სვანეთში ლარილარის სამაროვანზე აღმოჩენილ ერთ ფარაკიან ბეჭედს. ბეჭედი თავისი ფორმით ძვ.წ. IV ს. ბერძნული ბეჭდების ტიპისაა [შეად. ბორდმანი, ვოლენვეიდერი, 1978:სურ.8. №157,159]. ოვალური ფარაკის პირზე გამოსახულია ქალი დვთაება (ფორტუნა?), რომელსაც ერთი ხელი ზევით აქვს აპყრობილი, მეორეში დიდი ზომის სიუხვის ყანნი უჭირავს. ამავე ხელზე ძალიან მოხდენილად მსუბუქი სამოსის ბოლო არის გადაკიდებული. ნახატის მიხედვით დახვეწილი, მოხდენილი გამოსახულებაა. მანდილოსნის ლამაზი აღნაგობა, გრძელი პროპორციები ბერძნული ელინისტური გლიპტიკის ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი (ტაბ.III,6). სწორედ ძვ.წ. IV-III საუკუნეების ელინისტური გლიპტიკის ძეგლებზე ასეთი აღნაგობის მანდილოსნების გამოსახულებები ძალიან გავრცელებულია [ბორდმანი, ვოლენვეიდერი 1978: ტაბ.,301,302; რისტერი 1968, №№241,244,249,250 და მრავალი სხვა].

სრულიად განცალკევებულად დგას კოლხეთის ტერიტორიაზე გუადიხუს სამაროვანზე 1954 წელს აღმოჩენილი ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები სხვადასხვა გამოსახულებებით (ტაბ.II,27,47) [ტრაპში 1969:242-268, ტაბ.XXXV,1-13; ლორთქიფანიძე მ., 1975:37-

52, სურ.6-9, ტაბ.IV, 7-13, VII,6]. ბეჭდის ფორმის მიხედვით ეს ბეჭდები ძვ.წ. V ს. უნდა იყოს [შეად. ბორდმანი, 1970:სურ.217, VII ტიპი]. არც შინაარსობრივად და არც სტილისტურად ამ ბეჭდების გამოსახულებების მსგავსი გამოსახულებები არც საქართველოს ტერიტორიაზე და არც სხვა მასალებში ცნობილი არ არის [ლორთქიფანიძე მ.,1975:37]. მ.ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ ამ ბეჭდების გამოსახულებები განვითარებული ბერძნული სტილის და მისი გავლენით შექმნილი წრის გლიპტიკურ ძეგლებთან პოულობს საერთოს [ლორთქიფანიძე მ., 1975:37,51].

დასავლეთ საქართველოში ადრეანტიკური ხანის კოლხეთში გავრცელებულ ადგილობრივი სახელოსნოების გლიპტიკურ ნაწარმს შორის არის ერთი ჯგუფი ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდებისა, რომლებიც როგორც ფორმით, ისე გამოსახულებათა თემატიკითა და სტილით გამოირჩევიან დიდი ინდივიდუალობით, მათ ანალოგი არ ეძებნება: ეს არის ლითონის (ძირითადად ბრინჯაოს) თხელი ფირფიტისგან გამოჭრილი მრგვალფარაკიანი, რკალგახსნილი ბეჭდები. მათ ფარაკებზე გამოსახულია ფრინველები: ფრინველი, რომელსაც ნისკარტში გველი უჭირავს, მის უკან ნახევარმთვარეა; ფრთაგაშლილი ფრინველი და მის წინ მცენარის ტოტი (დაბლაგომი) [კუფტინი 1950:44-45, სურ 11; ლორთქიფანიძე მ. 1969:86-87, ტაბ. IV,43,45]; ფრინველი და მის წინ მცენარის ტოტი, ფეხქვეშ ნახევარმთვარე (დაფნარი) [ლორთქიფანიძე მ. 1969:68-69, სურ.14, ტაბ.VII 16, ტაბ. X, 36]; ფრთაგაშლილი ფრინველი, მის წინ მნათობი და ნახევარმთვარე (ფიჭვნარი) [კახიძე, ვაშაკიძე 2010:434, სურ. 195,6]. განსაკუთრებით საინტერესოა ფიჭვნარში აღმოჩენილი ბრინჯაოს სამაჯურის შემამკობელი ფარაკის გამოსახულება – ფრინველი, მნათობი და ნახევარმთვარე [კახიძე, ვაშაკიძე 2010:443, სურ. 159,1], სტილისტურად მსგავსი ზემოთგანხილულ ფიჭვნარისა და დაბლაგომის გამოსახულებებისა. ზემოაღწერილი ფორმის სამ ბეჭედზე დაბლაგომიდან (ტაბ. II,41) [ლორთქიფანიძე მ., 1969:86-87, ტაბ. IV,44], დაფნარიდან [ლორთქიფანიძე მ., 1975:65-66, ტაბ.VIIa,] და ფიჭვნარიდან (ტაბ. II,42) [კახიძე, ვაშაკიძე 2010:436, სურ. 153,6], გამოსახულია ექვსქიმიანი ვარსკვლავი. ამავე ფორმის ბრინჯაოს ბეჭდების ფარაკე-

ბზე მეტად თავისებური, ფაქიზად შესრულებული გამოსახულებებია; ერთზე ჰაერში აფრენილი ფრინველი (ტაბ. II, 33) [ლორთქიფანიძე მ., 1975:75, სურ. 6. ტაბ. VII, 18], მეორეზე – ფრთოსანი რაში-პეგასი [ლორთქიფანიძე მ., 1975:77, ტაბ. VII, 19]. მარგ. ლორთქიფანიძე ამ ბეჭდებს ვარაუდით ძვ.წ. IV ს. ათარიღებს და აღნიშნავს, რომ ისინი კოლხეთის ტერიტორიაზე არსებულ სახელოსნოდან უნდა მომდინარეობდეს კოლხი ან, შესაძლოა, უცხო ოსტატის მიერ შექმნილი [ლორთქიფანიძე მ. 1975:79]

ადგილობრივი ფარაკიანი ბეჭდების გამოსახულებებია თევზი (ტაბ. II, 26) (ვანი) [ჯავახიშვილი 2011:128, ტაბ. I, 10], სიცოცხლის ხე და აქეთ-იქით არნივები (ვანი) [ლორთქიფანიძე მ. 1976:159, სურ. 132, 7]; ხარის თავი (ტაბ. II, 39), მსგავსი II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმის რევერსის გამოსახულებისა [ჯავახიშვილი, 2011:127-128, ტაბ. I, 9]. ყველა ეს ბეჭედი ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება.

ადგილობრივი კოლხური ფარაკიანი ბეჭდების მეორე ჯგუფს როგორც ბეჭდის ფორმის, ისე გამოსახულებათა სტილისა და ნაწილობრივ, თემატიკითაც ბერძნული ხელოვნების, კერძოდ, დასავლეთბერძნული და იონიური ხელოვნების გავლენა ემჩნევა [ლორთქიფანიძე მ. 1975:111], ოქროსა და ვერცხლის ყველა ეს ბეჭედი რკალშეკრულია და კლასიკური ბერძნული ბეჭდების ფორმებს იმეორებს. ვანში, წარჩინებული კოლხი მეომრის სამარხში აღმოჩენილი ოქროს ბეჭდის ფარაკზე გამოსახულია ბერძნული კლასიკური ხანის საბეჭდავი. ბეჭდების ფარაკებზე ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სიუჟეტია დაბალ სკამზე მჯდომი, სხვადასხვა საქმით დაკავებული მანდილოსანი. ვანის ბეჭდის გამოსახულებაში მანდილოსანს ერთ ხელში თასი უჭირავს, მეორეში – ხის ტოტი. თავისუფალ არეზე ამოჭრილია ბერძნული წარწერა ΔΕΔΑΤΟΣ (ტაბ. II, 12). მ. ლორთქიფანიძის აზრით, ეს სამარხში დაკრძალული დიდად წარჩინებული და უფლებამოსილი პირის, სავარაუდოდ, კოლხი მეომრის სახელი უნდა იყოს [ლორთქიფანიძე მ. 1975:88-93, სურ. 23, ტაბ. VI, 25]. ამავე ჯგუფის სხვა ბეჭდებზე ასახული სიუჟეტები – ოქროს ბეჭდის ფარაკზე რქოსან ცხენზე მჯდარი შუბოსანი მხედარი და მის წინ მელოტი მამაკაცის ნიღბიანი თავი [ლორთქიფანიძე მ.

1975:93-96, სურ. 24, ტაბ. VI, 26], ვერცხლის ფარაკზე გამოსახული მამალი და ქათამი [ლორთქიფანიძე მ. 1975:99-100, სურ. 26, ტაბ. V, 28] და აგრეთვე ვერცხლის ბეჭედზე გამოსახული ირემი, რომელსაც თავს ესხმის ჯიქი [ლორთქიფანიძე მ. 1975:96-99, სურ. 25, ტაბ. V, 27] კოლხეთში გავრცელებულ კულტებს უკავშირდება [ლორთქიფანიძე მ. 1975:111] და ხშირად ძნელი ასახსნელია [ლორთქიფანიძე მ. 1975:114].

ნოქალაქევეში აღმოჩენილია ბრინჯაოს მთლიანი ფირფიტისაგან გამოჭრილი რკალგახსნილი ბეჭედი სწორკუთხედი, ოდნავ კუთხეებმომრგვალებული ფარაკით, რომელზედაც გამოსახულია ფრთოსანი რაში გრძელი, მოხრილი რქით და მოხრილი კუდით (ინვ. №12-974:3486). მოხდენილი, დახვეწილი ნახელავია. ცხენის ფიგურა ძალიან ახლოს არის ეშერის სამაროვანზე აღმოჩენილ ერთ სწორკუთხაფარაკთან, რკალგახსნილ ბრინჯაოს ბეჭედზე გამოსახულ ფანტასტიკურ ფრთოსან არსებასთან [კუფტინი, 1949:37, სურ. 16, ტაბ. VI], (ტაბ. II, 34), რომელსაც ბ. კუფტინი გრიფონს უწოდებს. ეს ორი ფანტასტიკური არსება შესრულებული მაღალმხატვრულად, როგორც ჩანს, ერთი ნიმუშის მიხედვით, გადმოცემულია მოძრაობაში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი ეხლა გადმოეშვნენ ქარაფიდან (თუ დაეშვნენ ზეციდან დედამიწაზე). ბ. კუფტინს მიაჩნია, რომ ეშერის ბეჭედი ადგილობრივი ნახელავია, რომელსაც უფრო აღმოსავლური ხელოვნების გავლენა ემჩნევა, ვიდრე ბერძნულისა [კუფტინი, 1949:62]. იგივე შეიძლება ითქვას ნოქალაქევის ბეჭდის შესახებაც.

ძალიან თავისებური, საინტერესო ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ჯგუფი აღმოჩენილია სვანეთში, ჭუბერის თემში, ლარილარის სამაროვანზე [ჩართოლანი, 1968:308].¹ ბეჭდებს შორის სამი სწორკუთხაფარაკიანია (უცხოურ ლიტერატურაში ამ ხანის სწორკუთხაფარაკიანი ბეჭდები ჩვენ არ შეგვხვებია), დანარჩენი მრგვალ და ოვალურფარაკიანი ბეჭდებია. აქედან ორია რკალგახსნილი. ორ ფარაკზე გამოსახულია ფრინველი, ერთს

1 ამ ბეჭდებს შორის 7-ის ჩანახატების ფოტო და ერთის ფოტო (ისარგაყრილი ირმის) გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოსცა შ. ჩართოლანმა. მხოლოდ სამ ბეჭედს აქვს რაღაც გაურკვეველი ნომრები. ეს ბეჭდები სვანეთის მუზეუმში ინახება.

პირში გველი უჭირავს, მეორეს წინ მცენარის ტოტია გამოსახული (შეად. დაბლაგომის და დაფნარის ბეჭედებს). ერთზე გამოსახულია ცხენი და მის ზევით ნახევარმთვარე, მეორეზე ცხენი(?) და მის წინ მცენარის ტოტი (ტაბ. II, 36, 38). ამ ბეჭედებს შორის არის ერთი უჩვეულო გამოსახულება: რქებდატოტვილი ირემი, რომელსაც ზურგში ისარი (თუ შუბი) აქვს გარჭობილი [ჩართოლანი 1968: ტაბ. III, 10] (ტაბ. II, 37). გამოსახულებათა სტილი ძალიან თავისებურია და, როგორც ჩანს, ადგილობრივი. თუ რაიმე გავლენა არის, უფრო აღმოსავლური ხელოვნებისა. ბეჭედები ბერძნული IV საუკუნის ფორმისა არის [შეად. ბორდმანი, ფოლენვეიდერი, 1978: სურ. 8; №№ 157-159].

ადრეანტიკური ხანის იბერიული გლიპტიკური ძეგლების აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს ლითონის ფარაკიანი ბეჭედები. ამ ბეჭედების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გამოსახულებაა ფანტასტიკური არსებები – სხვადასხვა სახის გრიფონები. სრულიად თავისებურია ახალგორის ოქროს ბეჭედზე [ლორთქიფანიძე მ. 1969: 43-44, სურ. 43, ტაბ. V, 46] და ითხვისის ბრინჯაოს ბეჭედზე [ლორთქიფანიძე მ. 1969: 83-84, სურ. 40, ტაბ. IV, 39] გამოსახული ფანტასტიკური ცხოველები, რომლებსაც ანალოგიები არ ეძებნება. ადგილობრივი გრიფონების უმრავლესობა (ახალგორი) [ლორთქიფანიძე მ., 1981: 30-36, სურ. 3, ტაბ. I, 3], (ალგეთი) [ლორთქიფანიძე მ., 1981: 56-59, სურ. 9, ტაბ. I, 8], (ტახტიძირი) [გ.კ. №№ 1441-1443; 1445, 1464] გამოსახულია ზურგისკენ თავშექცეული და ძალიან პირობითად გამოსახული, ზურგიდან ზევით აღმართული, ბოლოში მოხრილი ფართო ფრთით. ამგვარ ფრთებს ჯ. ბორდმანი მსუქან მომრგვალებულ (plump) ფრთებს უწოდებს [ბორდმანი, 1968: 67-68], ბ. კუფტინი კი ნამგლისებურს [კუფტინი, 1949: 60-61]. მსუქანფრთებიანი არსებები საყოველთაოდ გავრცელებულია ძვ. წ. VI ს-ის ბერძნული სკარაბეების გამოსახულებებში [ბორდმანი 1968: №№ 31-40, 42, 123-130, 152-165 და სხვ.]. მათ შორის ზოგიერთი ზურგისკენ თავშექცეულიც არის [ბორდმანი, 1968: 349, 364, 490; ბრანდტი, 1968: ტაბ. 18 №№ 152, 154, 179]. შემდგომში – ძვ. წ. V-IV საუკუნეების ბერძნულ გლიპტიკაში ასეთი ფრთები აღარ გვხვდება. ამ ხანის ბერძნულ გრიფონებს რეალისტურ-

რად გადმოცემული ფრთები აქვთ [ბორდმანი 1970: 464-465, 511, 512 და სხვ.]. ძვ. წ. V-IV საუკუნეების აქემენიდური გლიპტიკის ძეგლებში კი ხშირად გვხვდება ე.წ. "მსუქანი ფრთები" [ბორდმანი 1970, №№ 830, 842, 913 და სხვ.]. ამდენად, ვფიქრობთ, რომ იბერიელი ოსტატების მიერ ძვ. წ. IV-III საუკუნეებში შექმნილი გრიფონების ტიპი ბერძნული გლიპტიკის ძეგლებთან უშუალო კონტაქტით კი არ შეიქმნა, არამედ აქემენიდური ხელოვნების ძეგლების გავლენით.

აქემენიდურ გლიპტიკაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიუჟეტის [რიხტერი, 1968: №№ 503 (1-2), 506-508, 510; მაქსიმოვა, 1988, სურ. 5, 11, 12; ბორდმანი, 1970, 854, 879, 880, 891 და სხვ.] მიხედვით უნდა იყოს შექმნილი ადგილობრივი იბერიული საბეჭდავი-ბეჭედები, რომლებზედაც გამოსახულია გრძელი კაბით შემოსილი სპარსელი ქალი კეფაზე შეკრული, წელამდე ჩამოშვებული გრძელი თმით. ასეთი გამოსახულება არის კამარახევის სამაროვანზე აღმოჩენილ ბრინჯაოს ბეჭდის ფარაკზე [ლორთქიფანიძე მ. 1981: 45-50, ტაბ. II, 7, 7ა] და ტახტიძირის სამაროვიდან მომდინარე ვერცხლის ბეჭდის ფარაკზე (გ.კ. ინვ. № 1444) [გაგოშიძე, გოგიბერიძე ჯავახიშვილი, 2011] სტილისტურად ეს ორი გამოსახულება სავსებით განსხვავებულია. დიდი ოსტატობით არც ერთი არ გამოირჩევა, მაგრამ ქალის ფიგურის საერთო მოხაზულობით და ზოგიერთი დეტალით (დიდი გავა, ჭვინტიანი ფეხსაცმელი) კამარახევის გამოსახულება მაინც პოულობს ერთგვარ მსგავსებას ე.წ. "ბერძნულ-სპარსული" სტილის საპარსელი ქალის გამოსახულებასთან; რაც შეეხება ტახტიძირის ბეჭდის გამოსახულებას, ის სავსებით თავისებურია, ძალიან სქემატური და უხეშად შესრულებული. ეს ორი ნიმუში სხვადასხვა მხატვრული სკოლის ნახელავია. კამარახევის ბეჭდის ფორმის მსგავსი ბეჭედი ამუდარიის განძიდან ძვ. წ. IV საუკუნით არის დათარიღებული [ზეიმელი, 1979: 61, № 105]. ტახტიძირის ბეჭედი ფორმით ჯ. ბორდმანისეული კლასიფიკაციის VII და IX ჯგუფის [ბორდმანი, 1970: 214, ტაბ. 217 გვ-ზე] სინთეზს წარმოადგენს და ძვ. წ. IV საუკუნით თარიღდება.

"ბერძნულ-სპარსული" ხელოვნების გავლენით ადგილობრივ, ქართლში უნდა იყოს შექმნილი ბრინჯაოს სავსებით ერთნაირი ფორმის აქემენიდური ტიპის ბრინ-

ჯაოს სამი ბეჭედი: ყოლოთოდან [ლორთქიფანიძე მ. 1961:43, სურ. 22, ტაბ. VI,41], ნაომარი გორიდან [ჯავახიშვილი 2006:185, ტაბ. VI,17] და ერთი შემთხვევითი მონაპოვარი მტკვრის კალაპოტში (კერძო კოლექცია), რომელზედაც ერთი და იგივე გამოსახულებაა: დაბალი საკურთხევლის წინ მდგომი ქურუმი რომელსაც ზეანეულ ხელში რაღაც საგანი (ბარსომი?) უჭირავს. ბეჭდები ფორმის მიხედვით ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება [ბორდმანი, 1970:322]. ზუსტად ასეთი, სტილისტურადაც მსგავსი გამოსახულება არის პასარგადში აღმოჩენილ ბრინჯაოს ბეჭდის ფარაკზე [სტრონახი, 1978:(214),215, გამოსახ.4]. მ.ლორთქიანიძის აზრით, ყოლოთოში აღმოჩენილი ბეჭდები ასირიული გლიპტიკის გავლენით შექმნილი ადგილობრივი ნახელავია [ლორთქიფანიძე მ. 1981:78]. აქემენიდურ სამყაროსთან არის დაკავშირებული ბრინჯაოს ბეჭედი ღრმახევისთავიდან (ტაბ. II,20), რომლის ფარაკზე ერთმანეთთან ზურგით შეზრდილი ცხოველის ორი პროტომა არის გამოსახული [ლორთქიფანიძე მ., 1981:51-55, სურ.8]. იგივე სიუჟეტია ანყურის სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს სამაჯურის ფარაკზეც [ლიჩელი, 2007:59]. ორივე ეს ძეგლი ძვ.წ. IV საუკუნით არის დათარიღებული. პერსეპოლისის სასახლის ეს ცნობილი არქიტექტურული დეტალი ამუდარიის ერთ-ერთი ბეჭდის ფარაკზეა გამოსახული [ზეიმალი 1979:61-62, №106]. საქართველოში ეს დეტალი ცნობილი იყო; ერთი კაპიტელი შენყვილებულ ცხოველთა პროტომებით აღმოჩენილია ციხიაგორის სატაძრო კომპლექსში [ცქიტიშვილი, 2003:13] და ერთი – ვანში (ცნობა მოგვანოდა დ. კაჭარავამ). საინტერესოა, რომ 1983 წელს ციხიაგორის მდიდრულ სამარხში აღმოჩნდა გიშრის მძივი, რომელიც ერთმანეთთან შეზრდილ ორი ხარის პროტომას წარმოადგენს [ცქიტიშვილი, 2001:42; ტაბ. I,12].

აქემენიდური გლიპტიკის ძეგლებზე გვხვდება იბერიულ საბეჭდავ ბეჭდებზე გამოსახული სიუჟეტები: ჯოხზე დაყრდნობილი მამაკაცი (ტახტიძირი, გ.კ.1457) [შეად. მაქსიმოვა, 1928:655-657. სურ.8,13], ზოლიანი აფთარი (ტახტიძირი, გ.კ. №1467) [შეად. ბორდმანი, 1970:290,295; ბორდმანი, 1973:97, №92], რიტონი (თოხლიაური, გ.კ. №1217) [შეად. ბორდმანი, 1970:322, სურ 315, გვ.353, გამოს.394], სხვადასხვა ცხოველები

(ახალგორი)(ტაბ. II,21, III,2) [ლორთქიფანიძე მ. 1969:№46,48, №61; ტახტიძირი, გ.კ.№№1460,1461,1446,1451,1452,1454,1456] და ფრინველები (ტახტიძირი გ.კ. №№1439,1453), იბერიული ფარაკიანი ბეჭდების ერთი ჯგუფის გამოსახულებებში – რქოსანი ცხენი, ფრინველი და მნათობი (ყანჩაეთი) (ტაბ. III,5) [გაგომიძე, 1964:23-25, ტაბ. II,7; ლორთქიფანიძე 1981:37, სურ.5, ტაბ. II,5], შუბოსანი მხედარი და ვარსკვლავი (ყანჩაეთი, ტაბ. II,22) [გაგომიძე, 1964:25-30, ტაბ. II,8; ლორთქიფანიძე მ., 1961:37-43, სურ.6, ტაბ. II,6]. ი.გაგომიძის აზრით აისახა ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენები, ქართული ასტრალური პანთეონის უმაღლესი ღვთაებების ტრიადა – მზე, მთვარე და ვარსკვლავები [გაგომიძე, 1964:35-40].

ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდების ძალიან საინტერესო ჯგუფი (5 ნივთი) აღმოჩენილია სამცხეში, მზეთამზესა და ანყურის სამაროვნებზე. ფარაკებზე საკმაოდ სქემატყურად სხვადასხვა სიუჟეტებია გამოსახული ხარის თავი და ნახევარმთვარე; ცხენი გალოპში და ნახევარმთვარე; ფრინველი, ნახევარმთვარე და მნათობი; დელფინი და ნახევარმთვარე; ქურუმი ლოტოსის(?) ყვავილით ხელში, საკურთხეველი და ნახევარმთვარე. ბეჭდები ფორმის მიხედვით ჯ.ბორდმანისეული კლასიფიკაციის მიხედვით ძვ.წ. IV საუკუნით დათარიღებულ VII და IX ჯგუფის ბეჭდების სინთეზს წარმოადგენს (ტაბ. II,16-19,28). [ბორდმანი, 1970:212-213, სურ.217]. ისინი ზოგადად აქემენიდური ხელოვნების ძეგლებს უკავშირდება და ეკუთვნის ძვ.წ. IV საუკუნეს [ლიჩელი, 2000:141]. ეს ბეჭდები, სავარაუდოდ, სამცხის რომელიღაც ცენტრის ნახელავი უნდა იყოს.

ადგილობრივი ოსტატების შექმნილი სრულიად უნიკალური ნივთებია აღმოჩენილი ძვ.წ. IV-III სს. დათარიღებულ ანყურის სამაროვანზე. ეს არის მოკლეცილინდრული ფორმის გიშრის 5 მძივი-ამულეტი სხვადასხვა ცხოველთა და ფანტასტიკური არსებების გამოსახულებებით [ლიჩელი, 2007:60, სურ. 4,1,6; სურ 6]. ზოგიერთ მათგანზე გამოსახულება ორივე პირზე არის, ზოგზე – მხოლოდ ერთზე. ყველა გამოსახულება ერთ სტილშია შესრულებული – უხეშია, მაგრამ ძალიან მეტყველი. ამ ნივთებს ჯერჯერობით ანალოგი არ ეძებნება.

იბერიის ადგილობრივ გლიპტიკურ ნახ-

ელავს შორის არის ძვ.წ. IV-III სს. დათარიღებული ფარაკიანი ბეჭდები, რომლებიც ბერძნულ ძეგლებთან ავლენს კავშირს. ასეთებია ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდები ქვიანიდან (ტაბ. III, 7) [ლორთქიფანიძე მ. 1969:43, სურ.32, ა, ბ., ტაბ III, 12] ედისიდან [ლორთქიფანიძე მ., 1981:77, სურ.13, ტაბ. III, 12], ყოლოთოდან (ტაბ. III, 1). [ლორთქიფანიძე მ. 1981:83-84, სურ.16].

იბერიის ადრენტიკური ხანის გლიპტიკურ ძეგლებს შორის არის ძალიან მოკრძალებული რაოდენობის იმპორტული ნახელავიც. აღმოსავლური გემებიდან ასეთია პატარა ჯგუფი საკუთრივ აქემენიდური, ე.წ. “ბერძნულ-სპარსული” საბეჭდავებისა. ცილინდრული ფორმის საბეჭდავი რაჭიდან – ჯოისუბნიდან (ტაბ. I, 12; II, 24), კონუსური საბეჭდავი ტახტიძირიდან (ტაბ. II, 23), პირამიდული საბეჭდავი სამთავროდან (ტაბ. I, 6), მრავალნახნაგა საბეჭდავები ბაიათხევიდან (ტაბ. I, 14; II, 25), სკარაბეოიდები – ერთი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ს. ჯიმიითიდან (ტაბ. I, 13; III, 20), და ერთი - ბოლნისის მუნიციპალიტეტიდან (ტაბ. I, 13; III, 19), [ჯავახიშვილი, 2007:117-128, სურ.5, 7, 9, სურ.1-8; ჯავახიშვილი, 2009:85-93, ტაბ. I, 1-13]. ამ საბეჭდავთაგან მხოლოდ ორია ადრეულ კომპლექსში (ჯოისუბანსა და ტახტიძირში) აღმოჩენილი, დანარჩენი რომაული ხანის ძეგლებიდან მომდინარეობს. ამდენად, ძნელი სათქმელია, როდის შემოაღწიეს მათ საქართველოში.

კახეთში, “ნაომარი გორა I” ძვ.წ. IV-III სს დათარიღებულ სამაროვანზე აღმოჩენილია ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდების მცირე ჯგუფი (7 ნივთი), რომელიც ანტიკური, ბერძნული სამყაროდან მომდინარეობს, ერთი დასავლეთბერძნული რომელიდაცა ცენტრიდან უნდა იყოს [ჯავახიშვილი, 2006:183, ტაბ. VI, 17], ხოლო სამი ბეჭედი მცირე აზიიდან, შეაძლოა ქ. სმირნიდან [ჯავახიშვილი 2006:184, ტაბ. VI, 7-10].

ანტიკური გლიპტიკის იშვიათი ძეგლები არის ტახტიძირის სამაროვანზე აღმოჩენილი ოქროს ფურცლით შემკული თეთრი, გამჭვირვალე მინის ორი მედალიონი. ერთზე გამოსახულია გრიფონი, მეორეზე – ლოდზე (?) მჯდომი მანდილოსანი. მსგავსი ტექნიკით შესრულებული ნივთები სულ რამდენიმე არის ცნობილი [არტამონოვი, 1966:117, №№274, 275; უილიამსი, ოგდენი, 1995; პლატც-

ჰორსტენი 2002:569, კატ. №429c; გალანინა 1980:89, №34]. ვფიქრობთ, ეს ორი იშვიათი ნივთი ძვ.წ. IV-III სს უნდა დათარიღდეს. მათ სავარაუდოდ ეგვიპტესთან, კერძოდ, ალექსანდრიასთან უნდა ჰქონდეს კავშირი [ჯავახიშვილი, 2012:20, სურ.1, 2].

ძვ.წ. III საუკუნეში ან, შესაძლოა, რამდენადმე უფრო ადრე ქართლში ჩნდება ადგილობრივი წარმოების ბრინჯაოს დიდი ზომის მართკუთხა (ტაბ. I, 15; III, 26-30) და სამკუთხა (ტაბ. I, 16; III, 31-34) ფირფიტისგან დამზადებული, ოვალურსახელოვანი საბეჭდავები. ამჟამად ცნობილია ასეთი ტიპის 15 საბეჭდავი [ჯავახიშვილი, 1997:28-41, ტაბ. XXXIX, 1; მათიაშვილი, 1991:1-8, სურ 4 გვ-ზე; ლიჩელი, 2007:59-60, სურ.4, 4] (ტაბ. III, 26-34). გარდა ამისა, ძვ.წ. IV-III სს. დათარიღებულ ციხია-გორის სატაძრო კომპლექსის ტერიტორიაზე აღმოჩენილია თიხის ბულები, რომლებზედაც საკმაო რაოდენობით აღბეჭდილი მართკუთხა და სამკუთხა დიდი ზომის საბეჭდავების ანაბეჭდები სავარაუდოდ ამ ტიპს საბეჭდავებისა უნდა იყოს. მათზე გამოსახულია სხვადასხვა ცხოველები (მათ შორის ფანტასტიკურიც), მხედრები და სხვ. (ტაბ. VI, 7-9). ამ საბეჭდავების შემქმნელი ოსტატები, როგორც ჩანს, კარგად იცნობდნენ როგორც აქემენიდურ, ისე ბერძნულ ხელოვნებას [მათიაშვილი, 2005:15-21, ტაბ.1-4]. ამჟამად არქეოლოგიურ კომპლექსებში აღმოჩენილი ეს საბეჭდავები და ბულებზე მათი ანაბეჭდები საშუალებას იძლევა მათი თარიღი სადღაც ძვ.წ. III-I სს. ფარგლებში ვიგულისხმოთ [ჯავახიშვილი, 1997:226].

საყურადღებოა, რომ იმ დროისათვის, როცა ეს საბეჭდავები ჩნდება ქართლში, როგორც მმართველი წრის წარმომადგენლებს, ისე რიგით ნევრებს შორის საყოველთაოდ გავრცელებულია თითზე სატარებელი ლითონის ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდები. ამდენად, თითქოს გაუგებარია ელინისტურ ხანაში ისეთი არქაული და უხეში, პრიმიტიული საბეჭდავების გაჩენა, როგორც ბრინჯაოს დიდი ზომის საბეჭდავები არის. შესაძლოა, ისინი სატაძრო საბეჭდავებს წარმოადგენდნენ [ჯავახიშვილი 1997:228-229].

ძვ.წ. მიწურულს, სადღაც ძვ.წ II – ახ.წ. I ს დასაწყის ხანას შორის ქართლში ჩნდება ადგილობრივად მიჩნეული მინის მრავალნახნაგა ჩამონასხმები [ამ მრავალნახნაგების

შესახებ ვრცელი ლიტერატურა იხ. ჯავახიშვილი 2002:71-78]. მათ პირზე გამოსახულია ნადირობის სცენები, ადამიანის ბრძოლა ცხოველებთან და სხვადასხვა ცხოველები (ტაბ. I,14; III,21-25). მ.ი.მაქსიმოვამ, რომელმაც ამ მრავალნახნაგებს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, პირველმა გამოსთქვა მოსაზრება მათი ადგილობრივი, ქართული – იბერიული წარმომავლობის შესახებ და მათ კავშირზე ე.წ. “ბერძნულ-სპარსულ” საბეჭდავებთან. მკვლევარს მიაჩნია (ამ აზრს იზიარებს მარგ. ლორთქიფანიძეც) [ლორთქიფანიძე მ., 1963:134,151], რომ ლურჯი მინის მრავალნახნაგები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ხელოვნების დამოუკიდებელი ნიმუშები. რომ ისინი ადგილობრივი მცირეაზიური საბეჭდავების მექანიკურ პირებს წარმოადგენენ [მაქსიმოვა 1941:77]. ამ აზრს მარგ.ლორთქიფანიძეც იზიარებს [ლორთქიფანიძე მ., 1963:136]. მ.მაქსიმოვა ლურჯი მინის მრავალნახნაგებს ძვ.წ. V-IV სს ათარიღებს [მაქსიმოვა,1941:70,74] მარგ.ლორთქიფანიძე – ძვ.წ.V-I სს. [ლორთქიფანიძე მ.,1963:136-137; ლორთქიფანიძე მ., 1954:27]. ს.ბარნაველს მიაჩნია, რომ ლურჯი მინის მრავალნახნაგების დედნები დაკავშირებულია მცირე აზიის გლიპტიკურ ძეგლებთან, მაგრამ, შესაძლოა მათი დედნებიც ადგილობრივ, იბერიაში მზადდებოდა [ბარნაველი 1945:578]. ჩვენ ს.ბარნაველის აზრი უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია (ამ აზრს იზიარებს ი.გაგოშიძეც) [გაგოშიძე, 1975:93-94], ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის საკმარის რაოდენობით არის ცნობილი როგორც ლურჯი მინის მრავალნახნაგები, ისე “ბერძნულ-სპარსული” სხვადასხვა ჯგუფისა და ასაკის საბეჭდავები, რომლებზედაც ძირითადად ერთი და იგივე სიუჟეტებია გამოსახული, ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი არც ერთი ლურჯი მინის მრავალნახნაგა, რომელიც რომელიმე ქვის საბეჭდავის პირს წარმოადგენს. უფრო მეტიც, ლურჯი მინის მრავალნახნაგების გამოსახულებები ახლოს კი დგანან ამ საბეჭდავებთან, მაგრამ მაინც საგრძნობლად განსხვავდებიან მათგან ნაკლები დეტალიზაციითა და მეტი სქემატურობით [გაგოშიძე, 1975:93]. საყურადღებოა ისიც, რომ ბერძნულ-სპარსული ყველა ჯგუფის საბეჭდავების უმეტესობა სკარაბეოიდის ფორმისა არის, ხოლო მრავალნახნაგები ძალიან მცირე რაოდენობით გვხვდება [ჯავახ-

იშვილი, 2002:76].

მ.მაქსიმოვამ პირველმა აღნიშნა, რომ ლურჯი მინის მრავალნახნაგების წარმოებას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. ზოგ შემთხვევაში მათი გამოსახულებები სრულ მსგავსებას იჩენს ერთმანეთთან – ერთ ყალიბში არის ჩამოსხმული [მაქსიმოვა, 1950:233; ლორთქიფანიძე მ. 1963:137; გაგოშიძე, 2009:14; ჯავახიშვილი, 2002:75]. ამჟამად ერთ ყალიბში ჩამოსხმული ლურჯი მინის მრავალნახნაგა გვხვდება ორ-ორიდან ექვს-ექვს ცალამდე (საქართველოში აღმოჩენილ ოთხმოცამდე საბეჭდავზე სულ 19 სიუჟეტია მოცემული). ამდენად, მათი საბეჭდავებად გამოყენება ეჭვის ქვეშ დგება [გაგოშიძე, 1975:94, სქოლიო 29; ჯავახიშვილი, 1975:25].

ნ.მ. ნიკულინამ ლურჯი მინის მრავალნახნაგები დაუკავშირა მის მიერ ბერძნულ-სპარსული საბეჭდავებიდან გამოყოფილ მოგვიანო ჯგუფს - სირო-კაპადოკიურს, რომელსაც ის ძვ.წ. IV-III საუკუნეებით ათარიღებს [ნიკულინა, 1966:19; ნიკულინა, 1994:111-112, ტაბ553-559,561].

ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა ჯ.ბორდმანმა “ბერძნულ-სპარსული” საბეჭდავებიდან გამოჰყო საბეჭდავების მოგვიანო ჯგუფი – ბერნის ჯგუფი (შეად.საქართველოში აღმოჩენილი; ტაბ. III,19-20) რომელიც, მისი აზრით, სპარსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში მოგვიანო ხანაში (ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრეთა ხანა) შემორჩა. ამ ჯგუფის საბეჭდავებს მკვლევარი ბერნის ჯგუფის საბეჭდავებს უწოდებს [ბორდმანი, 1970:321-322,326, სურ.310, ტაბ.972-977] და მათ საქართველოში აღმოჩენილ ლურჯი მინის მრავალნახნაგებსაც უკავშირებს [ბორდმანი, 1970: 322]. (გვინდა აღვნიშნოთ, რომ გემების ის ჯგუფი, რომელსაც მ.ი.მაქსიმოვა ადგილობრივ მცირეაზიურ საბეჭდავებად მიიჩნევს, იგივე ჯგუფია, რომელსაც ნ.გ.ნიკულინა სირო-კაპადოკიურს, ხოლო ჯ.ბორდმანი “ბერნის ჯგუფს” უწოდებს).

ლურჯი მინის მრავალნახნაგების, მათი რაობის, თარიღებისა და სხვა საკითხების შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ი.გაგოშიძემ [გაგოშიძე, 1975:90-94; გაგოშიძე, 2009:14-15, ტაბ.I-II). ი.გაგოშიძე ამ მრავალნახნაგებს ძვ.წ. I ან II-I სს. ათარიღებს [გაგოშიძე, 2009:16].

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს

შეიძლება დავასკვნათ, რომ ლურჯი მინის მრავალნახნაგები უნდა განვიხილოთ, როგორც “ბერძნულ-სპარსული” საბეჭდავების ერთ-ერთი დამოუკიდებელი, ადგილობრივი, იბერიული გლიპტიკური ძეგლების ჯგუფი, რომელიც ახლოს არის “ბერძნულ-სპარსული” საბეჭდავების იმ მოგვიანო ჯგუფთან, რომელსაც მკვლევარები ადგილობრივ მცირეაზიურს (მ.ი.მაქსიმოვა), სირო-კაპადოკიურს (მ.ნ.ნიკულინა) ან ბერძნულ ჯგუფისას (ჯ.ბორდმანი) უწოდებენ.

ვფიქრობთ, ამ მრავალნახნაგების წარმოება ძვ.წ. II - ახ.წ. I ს. დასაწყისს შორის უნდა ვიგულისხმოთ. ის შეწყდა ალბათ იბერიაში რომაული გლიპტიკური ნაწარმის მოზღვაობასთან დაკავშირებით [ჯავახიშვილი, 1975:25,117; ჯავახიშვილი, 2002:76;], მაგრამ მოსახლეობაში ისინი, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს – ახ.წ. III ს-მდე ტრიალებდა [იხ.ნიკოლაიშვილი, 1978:95,98,102, ტაბ.53, გამოსახ.54]

იმთავითვე უნდა ითქვას, რომ რომაული და შემდგომი ხანის გლიპტიკური ძეგლების უმრავლესობა აღმოსავლეთ საქართველოდან მომდინარეობს. დასავლეთ საქართველოს მასალები ჯერჯერობით შედარებით მცირერიცხოვანია, ვინაიდან ამ ხანის სამაროვნები (როგორც არის მცხეთის, ურბნისის, ყინვალის სამაროვნები) დასავლეთ საქართველოში გამოვლენილი არ არის.

რომაული გლიპტიკის პირველ გამოჩენას ქართლში ძვ.წ. I ს. მეორე ნახევარში რომთან ურთიერთობას უკავშირებენ [მაქსიმოვა, 1950:225], რაც სრულიად გარკვეულად რომის სარდალ პომპეუსის ლაშქრობით დაიწყო (ძვ.წ.66 თუ 65 წ.) [ლომოური 1981:5]. უფრო ადრე ქართლის ელინისტური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე ანტიკური-ელინისტური ხანის გემები არა ჩანს. ისინი მცირე რაოდენობით მხოლოდ უფრო გვიანდელ – რომაული ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებში გვხვება – ძეგლებზე, რომლებიც ძველი ქართლის დიდებულთა ყოფას უკავშირდება. ეს ნივთები ელინისტური გლიპტიკის მაღალმხატვრული ნიმუშებია, რომლებზედაც გამოსახულია ელინისტური ეგვიპტის მმართველთა – ლაგიდთა პორტრეტული გამოსახულებები: არსინოა II (ძვ.წ.316-270წწ.) (ტაბ. III, 8) [ჯავახიშვილი 2003:77-79, სურ.1,2]; არსინოა III (ძვ.წ.217-205/4 წწ) [ჯავახიშვილი 2003:79-81, სურ.6], ორივე დედოფლის გორის

სასახლის ნანგრევებიდან და პტოლემეაოს V (209-282/180 წწ) (ტაბ. III, 10), ზღუდრის სამაროვნიდან [ჯავახიშვილი 2003:81-83, სურ. 8,9]. ვფიქრობთ, ამ გემების გაჩენა შესაძლოა დაკავშირებული იყოს ძვ.წ. 36 წელს ქართლში მარკუს ანტონიუსის სარდალის პუბლიუს კანიდიუს კრასუსის ლაშქრობასთან [მელიქიშვილი 1959:336; ლომოური 1981:131], რომელსაც იბერიასთან მოკავშირეობის მისაღწევად საჩუქრების გაღება დასჭირდა [ჯავახიშვილი 2003:75-76].

ნათელ სურათს იმისა, თუ როგორ თანაარსებობს ადგილობრივი იბერიული საბეჭდავები და ახლადშემოსული რომაული გემები, იძლევა ძვ.წ. I ს მეორე ნახევრის და ახ.წ. I საუკუნის სასახლის ნანგრევებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი მასალები – თიხის ბულები, რომელთა შორის ნაწილზე არის ადგილობრივი დიდი ზომის საბეჭდავთა ანაბეჭდები, ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული, ხშირად გაუგებარი სიუჟეტებით (ტაბ. VI,10-12,14,16). [ჯავახიშვილი 2008:217-219, №№1-10, ტაბ. 83,1-10, 13-22, ტაბ. 83, 13-15, 19-22, ტაბ. 82, 1, 2, 6, 8, 9, 13,15], ნაწილზე – რომაული გემების ანაბეჭდები, საყოველთაოდ გავრცელებული გამოსახულებებით: სილენის ნილაბი [ჯავახიშვილი 2008ბ:219-220, №№23-25, ტაბ. 82,23], ომფალა [ჯავახიშვილი 2008:220-, №№26, ტაბ. 82,26 ტაბ.83, 26], ფორტუნა [ჯავახიშვილი 2008ბ:220, №27-29, ტაბ 83,29] ჰიგეია და ასკლეპიოსი [ჯავახიშვილი 2008:217-220, №№32, ტაბ 83,32] და სხვ (ტაბ. VI, 13, 15,17,18).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ურბნისში, ძველი ქალაქის ზღუდის კოშკში აღმოჩენილი თიხის ბულა ახ.წ. II საუკუნის რომაული გემის ანაბეჭდით. ბულაზე აღბეჭდილია რომაულ გლიპტიკაში ძალიან გავრცელებული გამოსახულება – ეტლში შებმული მამლები, რომლებსაც კოფოზე შემომჯდარი თავი მათრახით მიერეკება [ჯავახიშვილი 1972:19-20, ტაბ.IX ბ].

მიუხედავად შედარებითი მცირერიცხოვანებისა, ამ ხანის ქართლის გლიპტიკურ მასალებში საკმაოდ მკაფიოდ აისახა წელთაღრიცხვათა მიჯნის რომაული გლიპტიკის ძირითადი ტენდენციები: ერთის მხრივ მცირე ზომის მინისა და ქვის ინტალიოები იტალიკური (ტაბ. III, 17, 18)[ლორთქიფანიძე მ., 1954; ლორთქიფანიძე მ.,1961, ტაბ.1,4,5,9;

ჯავახიშვილი 1972, ტაბ.1,2] და რომაული [მაქსიმოვა 1950:241, № 1-3; ტაბ.1,1; ჯავახიშვილი 1972:22, №№1-3, ტაბ.1-3; მირიანაშვილი 1983:73-76, სურ.107-113], მათ შორის გემების ფრიად საინტერესო მცირე ჯგუფი რომის სამოქალაქო ომის დროინდელ ისტორიულ პირთა – იულიუს კეისრის ასულის იულიასი, გნეუს პომპეუს უმცროსისა (ტაბ. III,11), სექსტ პომპეუსისა (ტაბ. III,12), ოქტავიანე ავგუსტუსისა, და უცნობი მამაკაცისა (ტაბ. III,13), [ჯავახიშვილი 2011:290-296, სურ.1,3,6,8,10]; მეორეს მხრივ, მინისა და ქვის დიდი ზომის ავგუსტუსის კლასიციზტური მიმართულების მაღალმხატვრული გემების ნიმუშები: მონაცრისფრო-იასამნისფერი მინის ინტალიო დიონისეს გამოსახულებით რიყიანების ველის სამაროვნიდან (ტაბ. III,15), [მირიანაშვილი 1983:74, სურ.107; ჯავახიშვილი 2003:84, სურ.15], ამეთვისტოს გორელიეფური კამეო – ბავშვის თავი სამთავროდან (№905 სამარხი) [აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996:22-23, ტაბ.1,1-4; ჯავახიშვილი 2003:83-84, სურ.12-14], აგრეთვე გემებზე ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები: მინის ინტალიო, რომელზედაც გამოსახულია ძვ.წ. V-IV სს ბერძენი მხატვრის ნიმანტეს სიუჟეტი – ათენას კენჭისყრა [ჯავახიშვილი 2001:64-67, სურ.1]; გრანატის ინტალიო [რამიშვილი 1979:50, ფერადი ტაბ. II,1., ტაბ.43,5] შექმნილი ძვ.წ. V ს. გენიალური ბერძენი მოქანდაკის ფიდიასის ცობილი ქანდაკების – ათენა ლემნიას მიხედვით (ტაბ. III,16), სავარაუდოდ, ავგუსტუსის ეპოქის გემების ცნობილი მჭრელის პილოსის მიერ [ჯავახიშვილი ქ. 2002:52-55, სურ 1.] და გრანატის ძალიან ეფექტური გორელიეფური კამეო [აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996:21-22, ტაბ.21,1-4] – ალექსანდრე მაკედონელის პორტრეტული გამოსახულება, შექმნილი ძვ.წ. IV ს. ცნობილი ბერძენი მოქანდაკის ლისიპეს პერგამონში აღმოჩენილი ქანდაკების მიხედვით [ჯავახიშვილი 2005:175-176, სურ.1-3]. ნიშანდობლივია, რომ ყველა ეს გემა გვიანდელ – ახ.წ. III საუკუნის კომპლექსებშია აღმოჩენილი და შესაძლოა, გვიან არის საქართველოში მოხვედრილი. უნდა ვიფიქროთ, რომ “ახ.წ. I საუკუნის წინარე ხანაში ჯერ კიდევ არაა საქართველო, ყოველ შემთხვევაში ქართლი მაინც, ისე აქტიურად გამოსული საერთაშორისო ასპარეზზე” [ლომთათიძე 1955:332].

ნიშანდობლივია, რომ საქართველოში აღმოჩენილი გემების დიდი ნაწილი ჩასმულია ისეთი ფორმის ბეჭდებში, რომლებიც უნდა ეკუთვნოდეს იმპერატორ ვესპასიანეს ხანას (ახ.წ. 69-78 წწ) და მის შემდგომ პერიოდს [იხ. ჰენკელი 1913:261]. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ისიც, რომ ქართლში რომაული დენარების ფართო გავრცელება ახ.წ. I ს. 60-იანი წლების (კერძოდ კი იმპერატორ ნერონის 64 წლის ფულადი რეფორმის) შემდგომ ხანაში ივარაუდება [გოლენკო 1964:45], როგორც ჩანს, ქართლში რომაული გემების ფართო გავრცელება ახ.წ. I ს შუა წლების შემდგომ ანდა ვიგულისხმით [ჯავახიშვილი ქ. 1975:34]. სწორედ ამ ხანებში რომსა და აღმოსავლეთში მის ძირითად მოკავშირეს – იბერიას შორის განსაკუთრებით მეგობრული ურთიერთობა მყარდება. მცხეთაში ახ.წ. 75 წლით დათარიღებული იმპერატორ ვესპასიანესა (ახ.წ. 69-79 წწ.), ტიტესა და დომიციანეს ცნობილი წარწერა ქალაქის კედლის გამაგრების შესახებ [ყაუხჩიშვილი 1951]. ამის ნათელი დადასტურებაა ახ.წ. I ს. 60-70-იან წლებში დაწყებული გაცხოველებული სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა რომსა და ქართლს შორის, რომელიც ახ.წ. II და III საუკუნეებშიც გრძელდება. საქართველოში გავრცელებული გემები მასალით, ფორმით სიუჟეტებით, გამოსახულებათა სტილით და ბეჭდის ფორმით არ განსხვავდება მთელ რომაულ სამყაროში გავრცელებული ძეგლები-საგანს. ძირითადად, ეს არის შედარებით წმინდად შესრულებული ნიმუშები და ამასთანავე მასობრივი წარმოების იაფფასიანი, ზოგჯერ უხეშად და დაუდევრად შესრულებული ნივთები, რომლებიც, როგორც ჩანს, ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობის საშუალო და ღარიბი ფენებისთვისაც. ისინი მრავლად არის აღმოჩენილი სამთავროს [მაქსიმოვა 1950: კატ. №№4-60; ლორთქიფანიძე მ., 1954: კატ. №№4-23], ურბნისის [ჯავახიშვილი 1972: კატ. №№5-100, 101-108, 113-124], კლდეეთის [ლორთქიფანიძე მ., 1961: კატ. №№2,3, 10-16, ტაბ.1,2,3. ტაბ. II, 10-16] ქუშნანანთგორის [რამიშვილი ქ. ი., 1979:93-94, სურ.15, ტაბ.43,1-3,5,6], ჭერემის [მამაიაშვილი, ჯავახიშვილი 1984: 77-105, ტაბ XXXIX, 114-120] და ბიჭვინტის [მშვილდაძე 2012:ტაბ. I-IX] და სხვა სამაროვნებზე, აგრეთვე შემთხვევით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ამ გემებზე

წარმოდგენილია სხვადასხვა გამოსახულებები, ძირითადად ღვთაებები სტატუალურ პოზაში, სიუხვის, ნაყოფიერებისა და ადამიანთა კეთილდღეობის სხვადასხვა სიმბოლოები, ზოდიაქოს ნიშნები, ცხოველები და ფრინველები და ისეთი სიუჟეტები, რომლებიც საყოველთაოდ გავრცელებულია რომაულ გემებზე (ტაბ. IV,4,5,12,14,15,21,23,25-29,32,33,40,41)

სულ სხვა ხასიათისა არის მმართველი წრეების წარმომადგენლების სამარხებში აღმოჩენილი გლიპტიკური მასალები არმაზისხევიდან, ბაგინეთიდან, სამთავროდან, კლდეეთიდან (ტაბ.III,14), უსახელოდან, ციხისძირიდან, ქუშანანთგორიდან. ეს არის რომაული გლიპტიკური ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშები. ამ ნივთების გამოსახულებები სხვადასხვაგვარია. მათ შორის არის პორტრეტული გემები: რომაულ ხანაში შექმნილი, ოსტატ პლატონის (ΠΛΑΤΩΝ) ხელმოწერილი ალექსანდრე მაკედონელის შესანიშნავი პორტრეტული გემა პრაზერისა (ტაბ. IV,1) [ლორთქიფანიძე 1958:51-53, სურ.27,29, ტაბ.III,14]; ძალიან ეფექტური გორელიეფური კამეო – ალექსანდრე მაკედონელის (?) პორტრეტული გამოსახულება სამთავროდან [აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996:21-22, ტაბ. XXXII,1; ჯავახიშვილი 2005:173-176, სურ.1,3]; ოქროს მოთვალულ მედალიონში ჩასმული მთის ბროლის ინტალიო რომის იმპერატორ ლუციუს ვერუსის (161-169) შესანიშნავი რეალისტური პორტრეტული გამოსახულებით, შესრულებული ძალიან ეფექტური იშვიათი ტექნიკით – ქვის ამოჭრილ გამოსახულებაში ჩანს ხელია ოქროს თხელი ფირფიტა, ბუდეში ქვა ამოჭრილი პირით ქვევით არის ჩაბრუნებული ისე, რომ გამჭვირვალე ქვის ზედაპირზე ღრმად ნაკვეთი გამოსახულება ოქროსფრად გამოსჭვივის [ლორთქიფანიძე მ., 1969:121-122, ტაბ.VII,109; ნევეროვი 1976:110, №137], III საუკუნის რომაული პორტრეტისათვის დამახასიათებელი ექსპრესიულობით აღსავსე შესანიშნავი რეალისტური პორტრეტი რომის იმპერატორ კარაკალასი (211-217) ურბნისიდან (ტაბ. IV,20) [ჯავახიშვილი 1972:67 ტაბ.VI, 102, ტაბ.XIII, 102]. ადამიანის შინაგანი სამყაროს გადმოცემით გამოირჩევა ბერძენი მოაზროვნეების პორტრეტები: ნეფრიტის (?) ინტალიო არმაზისხევიდან (ტაბ.

IV,2) [ლორთქიფანიძე 1958:35-37, ტაბ.I,4] და შავი მინისა ზღუდრიდან (ოსტატის ხელმოწერილი ?) (ტაბ. IV,10) [ჯავახიშვილი, ნემსაძე 1982:145-148, ტაბ.X. 1,2], აგრეთვე კერძო პირთა პორტრეტები: სარდონიქსის წყვილი კამეო მანდილოსნების პორტრეტული გამოსახულებით ბაგინეთიდან (ამკობს ოქროს სამაჯურებს) (ტაბ. VI,3) [ლორთქიფანიძე მ., 1958:41-44, სურ.20 ტაბ.II,7,8], სარდონის ინტალიო, რომელზედაც გამოსახულია ერთმანეთის პირდაპირ ორი პორტრეტი – ახალგაზრდა მანდილოსნისა და მამაკაცისა ზღუდრის სამაროვნიდან. გემაზე შესრულებული ბერძნული წარწერა გვამცნობს გამოსახულთა სახელებს – მატრონა (ΜΑΤΡΟΝΑ) და კაბრიასი (ΚΑΒΡΙΑΣ) (ტაბ. IV,18) [ჯავახიშვილი, ნემსაძე 1982:139-144, ტაბ.IX,1,2]. არის გემებზე გამოსახული სხვადასხვა ღვთაებები: არიადნას ბიუსტი, გამოსახული ნილკანში მოპოვებულ ამეთვისტოს ინტალიოზე (ტაბ. IV,11) (ადრიანეს ეპოქის კლასიციზმის შესანიშნავი ნიმუში), რომელიც ოქროს ყელსაბამს ამკობს [ლორთქიფანიძე 1961: 26-29, სურ.8-12, ტაბ. III,20] და არმაზისხევის ნეკროპოლში აღმოჩენილი ქამრის ოქროს ბალთაში ჩასმულ სარდონის კამეოზე (ტაბ. VI,4) [ლორთქიფანიძე მ., 1958:33-35, სურ.10, ტაბ.I,3], ოქროს მოთვალულ ჩარჩოში ჩასმული ოქროსფერი ტოპაზის ინტალიო უსახელოდან, რომელზედაც გამოსახულია ჰელიოსის ბიუსტი (ინახება პეტერბურგში, ერმიტაჟში) [ლორთქიფანიძე მ., 1969:121-123, ტაბ.VII,110], არმაზისხევის ნეკროპოლიდან მომდინარე, ოქროს ბეჭედში ჩასმული ამეთვისტოს შესანიშნავი ინტალიო, რომელზედაც გამოსახულია აქტეონის ირმად გადაქცევის სცენა (ტაბ. IV,7) [ლორთქიფანიძე მ., 1958:48-51, სურ.26, ტაბ.III,13]; სამფენიანი სარდონიქსის კამეო ზღუდრიდან, რომელზედაც გამოსახულია მოცურავე დელფინის ზურგზე წამოწოლილი ნიმფა ნერეიდა (ტაბ. VI,2) [ჯავახიშვილი, ნემსაძე 1982:134-139, ტაბ.VII,3,4; ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე 2009:62, სურ. 63 გვერდზე]. ამ კამეოს შემქნელი ხელოვანი სრულყოფილად ფლობს როგორც პლასტიკის, ისე ფერწერული ხელოვნების ხერხებს და მათი ოსტატური კომბინაციით შესანიშნავ მხატვრულ ეფექტს აღწევს.

ცნობილია, რომ რომაული ხანის გემების საჭრელი სახელოსნო ჯერ-ჯერობით აღ-

მოჩენილი არ არის. ამასთან, მთელ რომის იმპერიაში და მისი გავლენის სფეროში მყოფ ქვეყნებში გავრცელებული გლიპტიკური ძეგლები იმდენად ერთგვაროვანია, რომ ლოკალური ჯგუფების გამოყოფა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. საქართველოში ზოგიერთ, ძირითადად წარჩინებულ პირთა პორტრეტული გემის სტილისა და გემაზე აღნიშნული მათი საკუთარი სახელების მეშვეობით შესაძლებელი გახდა ზოგჯერ ადგილობრივი ნიმუშების დადგენა [ლორთქიფანიძე მ., 1969:56].

ამათგან ყველაზე ადრეულია კლდეეთში აღმოჩენილი გრანატიტით მოთვალულ ოქროს დაკბილულ აგრაფში ჩასმული სარდონის უნიკალური გემა-ინტალიო, რომელზედაც გამოსახულია შუახნის წვეროსანი მამაკაცის პორტრეტული ბიუსტი პროფილში. მამაკაცს ძალიან ინდივიდუალური, დამახასიათებელი ნაკვთები აქვს, ჭკვიანი სახე რბილი, სანდომიანი გამომეტყველებით; თავზე ახურავს ყაბალახის მსგავსად ჩახვეული მაღალი, როგორც ჩანს, რბილი ქსოვილის თავსაბურავი; შუბლს უმშვენებს ძალიან ვიწრო, სადა დიადემა; თავსაბურავიდან კეფაზე ეშვება ბოლოში გაბრტყელებული წვრილი თასმა, რომელიც შეიძლება დიადემის ბოლო იყოს; მხარზე მოხვეული მოსასხამი შეკრულია წვრილი თასმით თუ ბაფთით, რომელიც ყელის გარშემო არის შემოხვეული, ნიკაპის ქვევით გამოდის და მხართან პატარა ფუნჯით მთავრდება. ინტალიოს კვეთა ღრმა არის, მკაფიო, ძალიან დახვეწილი და ოსტატური (ტაბ. III, 14).

ცნობილია სამი პორტრეტული გემა, რომელზედაც გამოსახულ მამაკაცებს მაღალი ფესკისმაგვარი თავსაბურავი ახურავს. [ლორთქიფანიძე მ., 1961:49, სურ 27-28; ლორთქიფანიძე მ., 1969:127-128, სურ.53; პლანტცოსი 1997:199-200, სურ.2,3,5]. მართალია, კლდეეთის გემაზე გამოსახულ მამაკაცს რამდენადმე განსხვავებული, ყაბალახისმაგვარი რბილი ქსოვილის თავსაბურავი ამშვენებს, მაგრამ მაინც შეიმჩნევა ოთხივე პორტრეტის თანაგვარობა და იკონოგრაფია, რომელიც გამოსახულ პიროვნებათა აღმოსავლურ წარმომავლობაზე მეტყველებს. მნიშვნელოვანია, რომ ოთხივე გემა აღმოსავლური ქვეყნებიდან (თურქეთი, კონსტანტინოპოლი, ეგვიპტის სანაპირო და საქართველო) მომდი-

ნარეობს [პლანტცოსი, 1979:200].

ფესკისებური თავსაბურავი გვხვდება მონეტებზე გამოსახულ ფარსის მმართველთა გამოსახულებებში. ფარსი ძვ.წ. III საუკუნეში გამოეყო სელევკიდების სამეფოს და ამავე საუკუნის შუა ხანებიდან [პლანტცოსი 1979:201] თუ ოციანი წლებიდან [ფრაი 1972:280]. მისი მმართველები – ფრატარაკარები იწყებენ საკუთარი მონეტის მოჭრას. ამ მონეტებიდან უადრესი ეკუთვნის ფარსის მმართველს ბაგადატს [ლუკონინი 1977:114]. საყურადღებოა, რომ კლდეეთის გემაზე გამოსახული მამაკაცის თავსაბურავი ყველაზე მეტად სწორედ მონეტაზე გამოსახულ ბაგადატის რბილ ყაბალახისებურ თავსაბურავს ემსგავსება. ნიშანდობლივია ისიც, რომ განხილული ოთხი პორტრეტიდან კლდეეთის მამაკაცის მსგავსი ვიწრო დიადემა მხოლოდ ბაგადატს ამშვენებს [შეად. ბაგადატის მონეტას. [ბაბელონი 1950:81, ტაბ. XII, 3] ამდენად, სავარაუდოა, რომ კლდეეთის ინტალიო ბაგადატის თანადროული უნდა იყოს და ძვ.წ. III ს. შუა ან 20-იანი წლებით დათარიღდეს. ამ თარიღს არ ეწინააღმდეგება გემის სტილისტური თავისებურებებიც, რომლის მოხედვითაც მ.ლორთქიფანიძე მას ძვ.წ. უკანასკნელი საუკუნეებით ათარიღებს [ლორთქიფანიძე მ., 1969:128].

რაც შეეხება კლდეეთის პორტრეტულ გემაზე გამოსახული მამაკაცის სამოსს, მისი მოსასხამი მსგავსია ერთ-ერთ გემაზე [პლანტცოსი 1997:სურ.2] გამოსახული მამაკაცის ჰიმატიონისებურ სამოსისა, მაგრამ ამ უკანასკნელზე მამაკაცის მხარზე სამოსი თასმით ბადისებურად არის შეკრული, კლდეეთის პორტრეტზე კი უბრალო კვანძით. ამასთანსვე ამ უკანასკნელს თასმა, რომელიც კისრის გარშემო არის შეკრული და ნიკაპის ქვევიდან ამოდის, პატარა ფუნჯით მთავრდება. როგორც დ.პლანტცოსი ვარაუდობს, აქ ხელოვანს უნდა აესახა დეტალები იმ სამოსისა, რომელსაც ხმარობდნენ მის გარემოცვაში. კლდეეთის გემა დამზადებული უნდა იყოს არა იქ, სადაც დანარჩენი სამი გემა, არამედ სხვაგან – იქ, სადაც ის არის აღმოჩენილი [პლანტცოსი 1997:199]. იგივე აზრის იყო მარგ. ლორთქიფანიძეც, რომელსაც მიაჩნია, რომ კლდეეთის გემა ადგილობრივ არის შექმნილი უცხო ოსტატის მიერ და მასზე გამოსახულია ადგილობრივი წარჩინებული წრის წარმომად-

გენელი [ლორთქიფანიძე მ., 1969:127-128].

ძვ.წ. III ს-ის კლდეეთის ინტალიო თავდაპირველად უფრო დიდი ზომის ყოფილა. მოგვიანებით ის დააპატარავეს, ჩამოაჭრეს ნაწილი, უხეშად შემოამტვრიეს ნაპირები ისე, რომ მამაკაცს აღარ შემორჩა თავსაბურავის ზედა ნაწილი და მოარგეს ახ.წ. II-III სს აგრაფს [ლორთქიფანიძე მ., 1969:127].

ადგილოგრივად არის დამზადებული ოქროს ბალთაში ჩასმული გრანატის ინტალიო არმაზისხევიდან, რომლის პირზე ერთმანეთის პირდაპირ გამოსახულია ორი პორტრეტი – მანდილოსნისა და მამაკაცისა. აქვე ბერძნულ წარწერებში მითითებულია მათი სახელები – კარპაკი და ზევახი. გამოსახულებათა თმისვარცხნილობის მიხედვით გემა ახ.წ. II საუკუნით თარიღდება (ტაბ. IV, 19) [ლორთქიფანიძე მ., 1969:130-132, სურ. 56. ტაბ. IX, 121]. გამოსახულება შესრულების დიდი ოსტატობით არ გამოირჩევა, კვეთა რამდენადმე გრაფიკულია და სქემატური. ოქროს ბეჭედში ჩასმული სარდონის ინტალიო, რომლის პირზე გამოსახულია წვერიანი ხანდაზმული მამაკაცის ბიუსტი – შესანიშნავი რეალისტური პორტრეტი მტკიცე ხასიათის გოროზი ადამიანისა. გემაზევეა აღნიშნული პიროვნების ვინაობა – ასპარუგ პიტიახში. დათარიღებულია ახ.წ. I ს. ბოლო წლებით (ტაბ. IV, 9) [ლორთქიფანიძე მ., 1969:132-133, სურ. 57, ტაბ. IX, 122; არმაზისხევი]; ოქროს ბეჭედში ჩასმული გრანატის ინტალიო, რომელზედაც გამოსახულია პორტრეტი საყურიანი მამაკაცსა რამდენადმე უცნაური მაღალაფრიანი მუზარადით. მამაკაცის გულ-მკერდზე სამი რამდენადმე გაურკვეველი ბერძნული ასოა ამოჭრილი, რაც გემაზე გამოსახული პიროვნების ინიციალები უნდა იყოს. პიროვნების დადგენა ვერ ხერხდება. გემა III საუკუნით არის დათარიღებული (არმაზისხევი) (ტაბ. IV, 6) [ლორთქიფანიძე მ., 1961:137, სურ. 59, ტაბ. IX, 126]

IV საუკუნის მახლობელ აღმოსავლეთში ისეთი ვითარება იქმნება, რომ ოდესღაც ძლიერი რომის იმპერია, თანდათან კარგავს თავის ყოფილ პოზიციებს. მეორე დიდი სახელმწიფო – სასანური ირანი ჯერ მხოლოდ აღზევების გზაზეა. ამ ორ სახელმწიფოს შორის გაუთავებელი ბრძოლის შედეგად მოშლილია საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალები,

საგრძნობლად შეფერხებულია სავაჭრი-ეკონომიკური და კულტურული კავშირები [ჭილაშვილი 1970:27; გამსახურდია 1973:121]. ამავე დროს, IV ს-ში მნიშვნელოვნად კლებულობს გემების რაოდენობა, მრავლდება მინისა და ქვის სადათვლიანი სამკაულები [მცხეთა I, 1955:200].

მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილ გემებს შორისაც აღარ გვხვდება მაღალი მხატვრული ოსტატობით შექმნილი გლიპტიკური ნახელავი [ლორთქიფანიძე მ., 1955:69-80, სურ. 48, 52, 55, 57, 58, ტაბ. V, 25, 27-29]. ეს ნიშანდობლივია, რამდენადაც IV საუკუნე ანტიკური გლიპტიკის ჩასვენების ხანაა. ერთადერთი დარგი გლიპტიკური ხელოვნებისა, რომელმაც ასე თუ ისე შეინარჩუნა თავისი მხატვრული სახე, არის პორტრეტული ხელოვნება (ნევეროვი 1983:130-131).

IV საუკუნეში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შედეგად საუკუნის მიწურულისათვის ქართული კულტურა უფრო დამოუკიდებელი და თავისთავადი ხდება. ქვეყნის, მეტადრე ქართლის ხელოვნებაში შემჩნევა დაუცხრომელი ძიება ახალი, თვითმყოფადი, ეროვნული ფორმების შექმნისთვის. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთა ოქრომჭედლობაში, მინის ჭურჭლის ფორმებში [ლომთათიძე 1973:192, 220, 231] და გარკვეულწილად გლიპტიკაშიც. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა პორტრეტული გემები: ოქროს ბეჭედში ჩასმული გრანატის ინტალიო არმაზისხევიდან, რომლის პირზე გამოსახულია წვერიანი მამაკაცის ბიუსტი, შემკული საყურითა და ყელსაბამით (ტაბ. V, 1) [ლორთქიფანიძე მ., 1969:141, სურ. 63, ტაბ. VII, 132]. ბეჭედი IV საუკუნის სამარხში არის აღმოჩენილი [მცხეთა I, 1955:112-113, 116]. გემა და ბეჭედი ადგილობრივ ნახელავად არის მიჩნეული [ლორთქიფანიძე მ., 1958:70;71, სურ 50, ტაბ. V, 23] და IV ს. ბოლო წლებით თარიღდება [ჯავახიშვილი 2009-2010:177]. აქვე გვინდა განვიხილოთ პარიზში, ნაციონალური ბიბლიოთეკის მედლების კაბინეტში დაცული დიდი ზომის სარდონიქსის პორტრეტული ინტალიო, რომლის გამოსახულების სტილი, კვეთის გრაფიკული მანერა, მამაკაცის საყურის ფორმა, ყელსაბამი, ულვაშები და წვერი, განსაკუთრებით კი სრულიად თავისებური თმისვარცხნილობა ძალიან ახლოს არის არმაზისხევის ზემოთგანხილული “საყ-

ურიანი მამაკაცის” პორტრეტულ გამოსახულებასთან (ტაბ. V,2) [ჯავახიშვილი 2008:49-54, სურ.1-4; ჯავახიშვილი 2009-2010:174-181, სურ.1-4; გამოკვლევაში დანვრილებით განხილულია ამ გემისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი ლიტერატურა]. პარიზის გემის ბერძნული წარწერა გვამცნობს, რომ გემაზე გამოსახულია უსა (უჩა, უშა) კარხედონელ (სასანელ ?) იბერების პიტიახში (OVCAC ΠΙΤΙΑ=HC IBHPQN KAPXHΔQN). გემა არმაზისხევის “საყურიანი მამაკაცის” თანადროულია – IV ს. ბოლო წლებისა. უსა არის იბერიის (ქართლის) პიტიახში და სრულიად გაუგებარია, რომ მისი პორტრეტული გემა პარიზში ექსპონირებულია გამოფენაზე “სომხეთი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის” [კევორკიანი 1996:72237, №98], როგორც სომეხქართველთა პიტიახშის პორტრეტული გემა.

სოხუმის გარეუბანში, მდინარე კელასურთან აღმოჩნდა მინის თვლებით შემკულ ოქროს მედალიონში ჩასმული სარდიონის ინტალიო, რომლის პირზე გამოსახულია სამი ადამიანის პორტრეტული ბიუსტი (კინჟალოვი, 1960:98-104; ლორთქიფანიძე მ., 1969:143-144, ტაბ.X,135. ნივთი ინახება სახელმწიფო ერმიტაჟის აღმოსავლეთის განყოფილებაში. ინგ.№ W-1170). ცენტრში წარმოდგენილია ყმანვილი კაცის ბიუსტი პირდაპირ. მარჯვნივ გამოსახულია შუახნის წვერ-ულვაშიანი მამაკაცი პროფილში; მარცხნივ, აგრეთვე პროფილში შუა ხანის მანდილოსნის ბიუსტი, გამოსახულების ირგვლივ თავისუფალ არეზე ბერძნული ანბანით შესრულებულ წარწერა გვამცნობს მათ სახელებს: NINAC, OYHZANHC, OYAPNOYHC. თ.ყაუხჩიშვილს მიაჩნია, რომ ეს არის გაბერძნულებული ირანული სახელები [ყაუხჩიშვილი 199:13-14]. გამოსახულება შესრულებულია ძალიან რელიეფურად, მკაფიოდ. დიდი ოსტატობით არ გამოირჩევა. რ.ვ. კინჟალოვის აზრით, გემის შემსრულებელი კარგად იცნობდა ანტიკურ გლიპტიკას, მაგრამ მისდევდა სხვა (არა პართული და არა სასანური) ხელოვნების ტრადიციებს [კინჟალოვი 1960:100]. პერსონაჟთა პორტრეტების განლაგების, ბიუსტების სიმალისა და ფორმის, სამოსისა და მედალიონის მიხედვით გემა III-IV საუკუნეებით არის დათარიღებული და საქართველოს ადგილობრივ ნახელავად არის მიჩნეული [კინჟალოვი 1960:103-104; ლორთქიფანიძე მ., 1969:143-145].

ადგილობრივი ნახელავი უნდა იყოს პატარა ზომის ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები. მაგ. ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი: ერთი აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე (გლიპ. კაბ. ინგ.№ 330), მეორე – ამბროლაურში VI ს. დასაწყისი ხანის სამარხში [აფხაზავა 1979:125, ტაბ.III,35]. ერთზე გამოსახულია ფარშევანგი (უკვდავებისა და აღდგომის ქრისტიანული სიმბოლო) და მის წინ პალმის ტოტი, მეორეზე – მამალი (აღდგომის ქრისტიანული სიმბოლო) და მის წინ აგრეთვე პალმის ტოტი. ორივე გამოსახულება ძალიან სქემატურია და შესრულების მანერით სავსებით იდენტური, შესაძლოა, ერთი ხელოსნის შესრულებული. ძვერის მიდამოებში, მოქვაბულ საგვარჯილეს წინ გათხრილ III-VI საუკუნეებით დათარიღებულ სამაროვანზე აღმოჩენილი იყო ბრინჯაოს ადგილობრივად მიჩნეული სამი ფარაკიანი ბეჭედი უნიკალური გამოსახულებებით. ერთზე გამოსახულია ადამიანის პროფილი და პირამიდულ სადგარზე აღმართული ჯვარი, მეორეზე – ბოლოებგანშტოებული ჯვარი, მესამეზე – შავარდედიანი ადამიანი, ნამგალა მთვარე, ფრინველი და ჯვარი. უკანასკნელ გამოსახულებაში მაზდეანური და ქრისტიანული ნიშნები ისეა შერწყმული, როგორც ეს VI-VII საუკუნეების “ქართულ-სასანური” დრამების გამოსახულებებში არის ასახული [ლომთათიძე 1973:542-543] (ამჟამად ეს ნივთები დაკარგულია).

სანამ გადავიდოდეთ საქართველოში ირანული-სასანური გემების გავრცელებაზე, ორი სიტყვით გვინდა შევეხოთ პართული გემების საკითხს საერთოდ. პართული ხელოვნების, განსაკუთრებით კი გლიპტიკის ძეგლები საკმარისად არ არის გამოვლენილი. ცნობილია, რომ პართული ხელოვნება, შექმნილი სხვადასხვა კულტურული ტრადიციების მქონე ხალხების მიერ, არ იყო ერთგვაროვანი. ელინისტურმა კულტურამ დიდი გავლენა მოახდინა სამეფოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ სავაჭრო ტრასების გაყოლებაზე, მაშინ, როდესაც სამეფოს ჩრდილოეთი და სამხრეთი რაიონები აგრძელებდნენ ძველი აღმოსავლეთის კულტურულ ტრადიციებს [ლუკონინი 1971:111; ლუკონონი 1987:98-99 და შემდეგ.]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ პართულ გლიპტიკაშიც არსებობს განსხვავე-

ბული ჯგუფები [კინჟალოვი 1957:53-54; კინჟალოვი 1959:73-86], რომლებიც ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გამოვლენილი [ბორისოვი, ლუკონინი 1963:28].

გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ახ.წ. I-III სს. პართული გემები საერთოდ არა ჩანს. ქართლში რომაული გლიპტიკის ნაწარმია გაბატონებული. არის მხოლოდ ურბნისის სამაროვანზე ახ.წ. I-II სს-ის დამდეგით დათარიღებულ სამარხში აღმოჩენილი თეთრი მინის მრავალნახნაგა საბეჭდავი, რომლის პირზე გამოსახულია ინვესტიტურის სცენა (ტაბ. IV,22). ამ საბეჭდავს გლიპტიკაში ანალოგი არ ეძებნება. მასზე გამოსახული სცენა კომპოზიციურად მხოლოდ პართულ რელიეფებზე გვხვდება. კომპოზიციის დეტალებისა და სამარხის თარიღის მიხედვით იგი პართული გლიპტიკის ძეგლად არის მიჩნეული [ჯავახიშვილი 1975:121]. პირად საუბარში ცნობილმა ირანისტმა ვ.გ.ლუკონინმა გამოსთქვა მოსაზრება, რომ საბეჭდავი ნამდვილად პართულია, უნიკალური. ეს საბეჭდავი ეკუთვნის პართული გლიპტიკის აქამდე უცნობ ჯგუფს, რომელსაც არ შეეხო ელინიზმის გავლენა და ძველ აღმოსავლურ ტრადიციებს აგრძელებს [ჯავახიშვილი 1975:121].

IV საუკუნეში საქართველოში, (ძირითადად აღმოსავლეთ ნაწილში) უკვე ჩნდება მცირე რაოდენობით სასანური გემები, ხოლო ამიერკავკასიაში ირანის პოზიციების თანდათან გაძლიერებისა და განსაკუთრებით 532 წელს ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ [ბოგვერაძე 1973:147] – V ს II ნახევრიდან იწყება მათი საყოველთაო მოზღვაება [ჯავახიშვილი 1975:36-37; რამიშვილი ქ.ი. 1979:18]. ნიშანდობლივია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში სასანური მონეტების ინტენსიური გავრცელება V ს. მეორე ნახევრიდან შეინიშნება (ჯალალანია 1979:13; წონელია 1981:19). იმ მცირერიცხოვანი გემების მიხედვით, რომლებიც IV საუკუნის სამკაულებს ამშვენებს, კარგად ჩანს, თუ როგორ შეენაცვლა სასანური გლიპტიკის ძეგლები რომაულებს. IV საუკუნის ბოლო წლებით კარგად დათარიღებულ ე.წ. მაღალთვალბუდიან მხრებდაკუთხულ ბეჭდების ნაწილში კვლავ რომაული გემებია ჩასმული (ტაბ. I,22; IV,3) [ლორთქიფანიძე მ., 1958: №№25,27,28; ნადირაძე 1975:სურ.11], ხოლო ნაწილში, მათ შორის IV საუკუნით კარგად დათარიღებულ

ერთ მედალიონშიც [რამიშვილი ქ.ი. 1979:57-59, ტაბ.IX,1), უკვე სასანური გლიპტიკის ნიმუშებია (ტაბ. V,5) [რამიშვილი ქ.ი. 1979:57-59, აღწ.1, ტაბ. I,1; აღწ. 2,3, გვ.59-60, ტაბ.I,2,3, ტაბ. IX, 2,3].

ყველაზე დიდი რაოდენობით სასანური გემები აღმოჩენილია მცხეთაში [ზახაროვი 1928:245-257, ტაბ.I,10-26; ტაბ. II, 27-65, ტაბ. III, 66-106; მაქსიმოვა 1950:264-274, ტაბ.III,67-95; ლორთქიფანიძე მ., 1954:36-63, სურ.8-15, ფერ.ტაბ. IV-VIII, ტაბ IV-VI] და არმაზისხევის ღარიბულ სამარხებში [ლორთქიფანიძე მ., 1954:80-97, სურ.63-79, ტაბ. IV,31,-VIII, ტაბ. VII-VIII, 42-44,46,53]. გარდა ამისა, სხვადასხვა პუნქტებში გათხრილი და შემთხვევითი მონაპოვარი მასალა თავმოყრილია ქ. რამიშვილის ნაშრომში, რომელშიც მოცემულია საკითხის ვრცელი, საფუძვლიანი კვლევა და შესანიშნავი კატალოგი [რამიშვილი ქ.ი. 1979:3-158, ტაბ. I-XV]. სასანური გემების აღმოჩენის პუნქტებია: კარსნისხევი, თელოვანი, ვაშლიჯვარი, რუსთავი, მაგრანეთი, ახალციხე, ყოლოთო, ჯინისი, კაჭრეთი [რამიშვილი ქ.ი. 1979:4], ქვემო ალევნი [აფხაზავა 1988:103, ტაბ.XXXV. გლიპტიკური მასალა საგანგებოდ არ არის შესწავლილი]. ერთეულები არის დასავლეთ საქართველოშიც (მოდინახე) [ნადირაძე 1975, სურ.21], (კორბოული – გ.კ. № 182).

საერთოდ სასანური გემები ფორმათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. არის მთლიანი ქვის (სარდიონი, აქატი, ქალცედონი) საბეჭდავები სხვადასხვა ფორმისა: ელიფსისებური (ტაბ. I,23), აქვს ნახვრეტი თასმისათვის, პირი წაკვეთილ მხარეზეა [რამიშვილი ქ.ი. 1979:41, ტაბ.XIII,21]. ზოგ შემთხვევაში ზურგის მხარე ორნამენტირებულია [რამიშვილი ქ.ი. 1979:41, ტაბ.XIII,47]; წაკვეთილი სფეროს ფორმისა (ტაბ. I,24). პირი ზოგჯერ მრგვალია, ზოგჯერ ოვალური [რამიშვილი ქ.ი. 1979:41, ტაბ.XV,7]; ლითონის (ვერცხლი, ბრინჯაო) გვერდებშებრტყელებული სფეროს ფორმისა [რამიშვილი ქ.ი. 1979:41-42, ტაბ.XV,10]; ქარვისა (ქვემო ალევნი, გლიპტ.კაბ. ინვ.№1633,1654); გუმბათისებური [ლორთქიფანიძე მ., 1955:22; ჯავახიშვილი 1972: ტაბ.IXა]; თითზე სატარებელი ბეჭდები: მთლიანი ქვისა (ტაბ. I,25), რომელთა ცალ მხარეს წაკვეთილი ნაწილი წარმოადგენს საბეჭდავ პირს [რამიშვილი ქ.ი. 1979:41, ტაბ.

XIII,50,83, ტაბ.XV,9] და სხვადასხვა ლითონის (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო) თითზე სატარებელი ბეჭდები თვალბუდეში ჩასმული გემებით (ტაბ. I,26,27) – უკლებლივ ყველა ინტალიოები. გემები არის უმეტესად ლაჟვარდისა, არის სარდიონისა და, საკმაოდ ხშირად, სხვადასხვა ფერის მინისა. გვხვდება მცირე რაოდენობის ლითონის ფარაკიანი ბეჭდებიც [რამიშვილი ქ.ი. 1979:47, ტაბ.IX,10,11].

საქართველოში გავრცელებულ სასანური გლიპტიკის ძეგლებში ასახულია ამ ჯგუფის გემებისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა სიუჟეტი. საერთოდ, სასანურ გემათა სიუჟეტები მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ამასთანავე, მთელი ირანის ტერიტორიაზე და მისგან საკმაოდ დაშორებულ პუნქტებშიც გლიპტიკური მასალა როგორც ფორმით, ისე გამოსახულებათა თემატიკით და სტილით სავსებით ერთგვაროვანია [ბორისოვი, ლუკონინი 1963:29; რამიშვილი ქ.ი. 1979:93]. ისევე, როგორც საერთოდ სასანური ხელოვნება, გემათა სიუჟეტებიც მკაცრად კანონიზირებულია. ამასთანავე, საკმაოდ ხშირად მეორდება არა მარტო ერთი და იგივე სიუჟეტები, არამედ გამოსახულებათა იკონოგრაფიული დეტალებიც [ბორისოვი, ლუკონინი 1965:31; რამიშვილი ქ.ი. 1979:21, ტაბ.XV,10]. სასანური გემების გამოსახულებათა უმეტესობა სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებდა და დაკავშირებული იყო ირანის უძველეს რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან და ასტრალურ კულტებთან. ამდენად, დასაშვებად მიაჩნიათ, რომ ისინი “ავესტას” ილუსტრაციას წარმოადგენს [ბორისოვი, ლუკონინი 1965:34-35; რამიშვილი ქ.ი. 1979:23]. ხშირად ერთი და იგივე გამოსახულებას სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მაგ. მზის ღვთაება გამოსახულებოდა საკურთხეველის (ტაბ.V,13) [რამიშვილი ქ.ი.1979:22, ტაბ.VII,91, გლიპტ. კაბ. ინვ №№1660,1678,1679], ახურამაზდას ბიუსტის, არწივის, ლომის (ტაბ. V,14) [რამიშვილი ქ.ი. 1979:22, ტაბ.V,63; გვ.126, ტაბ.VII,83], მთვარის ღვთაება – ხარის (ტაბ. V,10) [რამიშვილი ქ.ი. 1979:22, ტაბ.IV,49], გოპატშაჰის (ტაბ. V,18) [რამიშვილი ქ.ი. 1979:22, ტაბ.VII,80], თხის, ცხვრის და სხვა.; გამარჯვების ღვთაება რეთრაგნა – ცხენოსნის(ტაბ. V,6), ცხენის (ტაბ. V,25) [რამიშვილი ქ.ი. 1979:22, ტაბ.IV,47] და სხვ.; ქალღმერთ ანაჰიტას უკავშირდება

ლოტოსის ყვავილი (ტაბ. V,11, 12, 28) [რამიშვილი ქ.ი. 1979:22]. ირანულ რელიგიურ სიუჟეტებს დაემატა შუამდინარეთის უძველესი თემა – გმირის ბრძოლა ლომთან(ტაბ. V,22) [რამიშვილი ქ.ი. 1979:23, ტაბ.VII,89], ხოლო ანტიკური სამყაროდან – ფროსოსანი სეროში – ანტიკური ეროტი(ტაბ. V,23) [რამიშვილი ქ.ი. 1979:23, ტაბ.III,37], ფროსოსანი რაში – პეგასი [რამიშვილი ქ.ი. 1979:23, ტაბ. I,4], კაცი ხელში ქისითა და მოსასხამით – ჰერმესის გამოსახილი(ტაბ. V,15) [რამიშვილი ქ.ი. 1979:23, ტაბ.V,55].

სასანური გემების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თემა არის მამაკაცის პორტრეტი. ისევე, როგორც მთელი სასანური ხელოვნება და გლიპტიკა, პორტრეტული გამოსახულებებიც მკაცრად კანონიზირებულია. ჩვეულებრივ ბიუსტი წარმოდგენილია პირდაპირ, თავი – მიბრუნებული მარჯვნივ (ანაბეჭდზე). ამ პოზას მაგიურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ [რამიშვილი ქ.ი. 1979:23]. ამ გამოსახულებებში თავსაბურავი – კულახი, სამკაულები (საყურები, ყელსაბამი) და სამოსი უფლებრივ ინსიგნიებს წარმოადგენენ [ბორისოვი, ლუკონინი 1965:13]

საქართველოში აღმოჩენილ სასანური გლიპტიკის ძეგლებს შორის არის რამდენიმე პორტრეტული გემა. მათ შორის ყველაზე ადრეული არის სართიჭალის მულანლოში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია მამაკაცის ბიუსტი – ტანი პირდაპირ არის წარმოდგენილი, თავი – პროფილში მარჯვნივ, იდაყვში მოხრილი ხელის თითები სახესთან აქვს მიტანილი – ადორაციის შესტი. მამაკაცის მაღალი, მტაცებელი ფრინველის (ვარანგის) თავით დაბოლოებული კულახი, თმის ვარცხნილობა, საყურე, ყელზე მსხვილი მარგალიტის ასხმა, გრძელსახელოიანი, ნაქარგობით შემკული სამოსი – ეს სასანიანთა ოფიციალური პორტრეტის კანონიკური ნიშნებია [ბორისოვი, ლუკონინი 1963:13; რამიშვილი ქ.ი 1979:63-65], ადორაციის შესტი, რომელიც მეფის ან ღვთაების მიმართ პატივისცემის და თავყანისცემის გამომხატველია [მაქსიმოვა 1950:271, ტაბ.III,82; რამიშვილი ქ.ი. 1979:57-59, ტაბ I,1, ტაბ.IX,1] და ძალიან გავრცელებულია სასანური ხელოვნების ძეგლებზე – რელიეფებზე, ტორევეტიკის ძეგლებზე [რამიშვილი ქ.ი. 1979:65], მათ შორის საქართველოში

არმაზისხევში აღმოჩენილ პიტიახშ პაპაკის თასზე და სარგვეში აღმოჩენილ კილიკზე, სადაც გამოსახულია შაჰი ვარახრან II ანალოგიური ჟესტით [რამიშვილი ქ.ი. 1979:65]. სართიჭალის ბეჭდის გამოსახულება ძალიან მკაფიოა, საკმაოდ პლასტიკური, წმინდად დამუშავებული დეტალებით. ბეჭედი III ს-ით ან IV ს. დასაწყისი ხანით არის დათარიღებული [რამიშვილი ქ.ი. 1979:66].

საინტერესო პორტრეტული გემა ამშვენებს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ ოქროს მოთვალულ მედალიონს (ტაბ. V,5) [მაქსიმოვა 1950:271, ტაბ.III,82; რამიშვილი ქ.ი.1979:57-59, ტაბ. I,1, ტაბ.IX,1]. ეს პორტრეტი განსხვავდება სასანური ოფიციალური პორტრეტისაგან თმისვარცხნილობით, ასევე იმით, რომ არა აქვს თავსაბურავი და სხვა ინსიგნიები. ქ.ი.რამიშვილის აზრით, ასეთი პორტრეტები არის საშუალო ფენების კუთვნილ საბეჭდავებზე, რომლებიც ოფიციალურ პორტრეტებთან ერთად არსებობენ. მკვლევარის აზრით, სამთავროს პორტრეტული გემა ერთგვარად ემსგავსება ადრე-ბიზანტიურ მონეტებზე გამოსახულ იმპერატორთა პორტრეტებს. გემა დათარიღებულია III ს. მეორე ნახევრითა და IV ს. დასაწყისი ხანით [რამიშვილი ქ.ი. 1979:24-25].

თბილისში, ერეკლეს მოედანზე აღმოჩნდა ელიფსისებური ფორმის აქატის საბეჭდავი მამაკაცის პორტრეტული გამოსახულებით [რამიშვილი ქ.ი. 1979:22]. მხრები პირდაპირ არის წარმოდგენილი, თავი - პროფილში მარჯვნივ, მოკლე თმა სწორი პარალელური ხაზებით არის გადმოცემული. შუბლს ტეხილი ხაზებით გადმოცემული დიადემა უმკობს. სწორი ირიბი ხაზები მოკლე წვერს გამოსახავს. მკერდზე ვერტიკალური და ჰორიზონტული ხაზებით გამოსახულია სამოსი. მორკალული ღარი მკაფიოდ გამოსახავს სამოსის გულისპირს. პორტრეტის მარჯვნივ და მარცხნივ მცენარის ტოტებია გამოსახული (ტაბ. V,27). ქ.ი. რამიშვილის აზრით, გემაზე საკმაოდ წარჩინებული პირია წარმოდგენილი. გემა V საუკუნით არის დათარიღებული [რამიშვილი ქ.ი. 1979:26, 74, ტაბ.II,22].

რიგითი პორტრეტია გამოსახული ს. საძე-გურში კობათის ეკლესიაში აღმოჩენილ ელიფსოიდური ფორმის აქატის(?) საბეჭდავზე. საბეჭდავის ზურგის მხარე ორნამენტირებულია (გ.კაბ. ინვ.№1688). სწორ პირზე გამოსახუ-

ლია მამაკაცის პორტრეტი პროფილში. მხრები პირდაპირ. მამაკაცს თავს სადა დიადემა უმკობს. მისი თმა და სამოსი სწორი პარალელური ხაზებით არის გადმოცემული: თავისუფალ არეზე სამი პატარა ჯვარია გამოსახული. ეს პორტრეტი საშუალო ფენების წარმოდგენლისა უნდა იყოს. ვფიქრობთ, საბეჭდავი V-VI საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

სამთავროს სამაროვანზე მოპოვებულ მასალებს შორის არის სარდიონის გემა-ინტალიო, რომლის პირზე გამოსახულია მამაკაცის პორტრეტი (ტაბ. V,7) მხრებით პირდაპირ, თავით პროფილში მარჯვნივ [რამიშვილი ქ.ი. 1979:103, ტაბ.V,53]. სწორი პარალელური ხაზებით გამოსახულია მამაკაცის თმა, წვერი - ერთი მსხვილი ხაზით, ჰორიზონტული და ვერტიკალური ხაზებით - სამოსი. ყურს დიდი ზომის საყურე უმშვენებს; პორტრეტის მარჯვნივ და მარცხნივ პატარა ოვალური ბურცობებია ჩამნკვრივებული. გემა სასანურ გლიპტიკაში გვიან გავრცელებულ ე.წ. შტრიხულ მანერაში არის შესრულებული. დათარიღებულია V-VI სს. [რამიშვილი ქ.ი. 1979:28, 103, ტაბ.V, 53].

ქვემო ალევის სამაროვანზე აღმოჩენილია ქარვის (რამდენადმე დაზიანებული) ნაკვეთილი სფეროს ფორმის ძალიან საინტერესო საბეჭდავი, რომლის პირზე გამოსახულია ირანელი დიდებულის პორტრეტი პროფილში [აფხაზავა 1988:116-111, ტაბ.XVIII,30; ტაბ.XXXV,30]. მკაფიოდ გამოსახულია მამაკაცის წარბი, გრძელი უღვაში, წვერი და ნახევარსფერული კულახის ქვევიდან მხრებამდე ჩამოშვებული მკვრივად დახვეული კულულები. ყურს უმშვენებს გრძელი საყურე. ყელის გარშემო თითქოს შეიმჩნევა სადა ყელსაბამი (?). მკერდზე სამი სამფურცელა ყვავილია გამოსახული. გამოსახულებას გარშემო ფალაური წარწერა შემოუყვება. ზოგიერთი ნიშნებით - მამაკაცის კულახის ფორმა [შეად. ბორისოვი, ლუკონინი 1963:ნახ.47], მკერდზე გამოსახული ყვავილები, მიგვანიშნებს, რომ ეს საბეჭდავი უნდა ეკუთვნოდეს სასანური ოფიციალური პორტრეტული გემების იმ ჯგუფს, რომელსაც ვ.გ.ლუკონინი მიიჩნევს VI-VII საუკუნეებში აღორძინებულ III-IV საუკუნეების ნიმუშებად [ბორისოვი, ლუკონინი 1963:17,81, ტაბ.81 გვერდზე]. აღსანიშნავია, რომ სამარხი, რომელშიც ალევის საბეჭდავია აღმოჩენილი, VI-VII სს მიჯნით ან VII ს. და-

საწყისი ხანით თარიღდება. ამ ხანას ეკუთვნის საბეჭდავიც.

საერთოდ, სასანური ხანის პორტრეტები ძალიან განზოგადებულია და მოკლებული ყოველგვარ ინდივიდუალობას. სასანიანთა ოსტატები არც ცდილობდნენ გადმოეცათ ცალკეული პერსონაჟების ინდივიდუალური თვისებები. მათთვის მთავარი იყო კანონიკური პოზები და ინვესტიტურის ნიშნები [ლუკონინი 1969:21].

ისევე, როგორც საერთოდ, საქართველოში აღმოჩენილ სასანური გლიპტიკის ძეგლებზეც მრავლად არის წარმოდგენილი სხვადასხვა ფრინველები (ტაბ. V,3,4), ცხოველები და სტილიზებული მცენარეები (ტაბ. V,11,12,28). შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი შესრულების მხრივ დახვეწილობით არ გამოირჩევა, მაგრამ მთლიანად მოსახულებები მოხდენილია და მომხიბლავი [რამიშვილი 1979:35]. მაგ. გარეული ვირის გამოსახულება (ტაბ. V,16) სარდიონის საბეჭდავზე, დათვისა – ლაჟვარდის გემაზე (ტაბ. V,21), ზებუსა და ლომის ბრძოლა (ტაბ. V,24) – აქატის საბეჭდავზე, წერო (ტაბ. V,4) – გრანატის ინტალიოზე და სხვ. [რამიშვილი ქ.ი. 1979, კატ.№№24,28,23,15].

სასანურ ხელოვნებაში, მათ შორის გლიპტიკურ ძეგლებში ყველაზე გავრცელებული სიუჟეტია ე.წ. “მონოგრამები” (“ნემან“-ები). ამ ნიშნების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს [იხ.ბორისოვი, ლუკონინი 1963:42-45; რამიშვილი ქ.ი. 1979:38-39]. ვ.გ. ლუკონინის აზრით, სასანური გემების ამ გამოსახულებებში, როგორც ჩანს, არის გვაროვნული ნიშნები, ტიტულებისა და რანგების, ან ტაძრების ნიშნები [ბორისოვი, ლუკონინი 1963:45]. გემები ასეთი ნიშნებით საქართველოშიც არის აღმოჩენილი (სამთავროში(ტაბ. V,30), ურბნისში (ტაბ. V,29) [ჯავახიშვილი 1972, ტაბ.IX,139], არმაზისხევში, მაგრანეთში[მაქსიმოვა 1950:269, ტაბ.III,78; რამიშვილი რ.,1979:36, ფერ.ტაბ.I, ტაბ.43,7; რამიშვილი ქ.ი. 1979:83-84, ტაბ. III,31; გვ.135-138, ტაბ. VIII, 95-99].

მას შემდეგ, რაც შაპურ I-ის დროს (241-272წწ.) ირანში დიდძალი ქრისტიანული მოსახლეობა გაჩნდა, და ქრისტიანობა გავრცელდა თვით ირანელ მოსახლეობას შორისაც, სასანურ სიმბოლიკაში ჩნდება ჯვრის გამოსახულებები [რამიშვილი ქ.ი. 1979:38;

რამიშვილი 2005:188-190, ტაბ.I,1,7,9]. ეს გამოსახულებები საკმაოდ მრავლად არის ქვემო ალევის სასანურ გემებზე(ტაბ. V,36,37) [აფხაზავა 1988: ტაბ.XXXV, 14,26,32,36). ყურადღებას იპყრობს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ერთი გემა, რომელზედაც გამოსახულია ნვეროსანი მამაკაცი საკურთხევის (ათაშდანის) წინ (ტაბ. V,19). მის ზურგს უკან დგას ცხვარი [მაქსიმოვა 1950:272, ტაბ. III,83; რამიშვილი ქ.ი. 1979:103-104, ტაბ.V,54. გემა დათარიღებულია V-VI სს-ით]. ეს ერთ-ერთი გავრცელებული გამოსახულებაა სასანურ გლიპტიკაში [ლუკონინი 1982:101-102, კატ.№№ 154-158, გამოს.154,156], რომელშიც, ვ.გ.ლუკონინის აზრით, გადმოცემულია აბრაამის მიერ ცხვრის შეწირვა – სიუჟეტი, ახლებურად გააზრებული ირანში მცხოვრები ქრისტიანების მიერ. ასეთი გემები გვიან სასანური ხანით თარიღდება [ლუკონინი 1982:49].

საერთოდ, სასანური გლიპტიკის ადრეულ ნიმუშებზე გამოსახულებები შედარებით რეალისტურია, საკმაოდ რელიეფური და პლასტიკური. მოგვიანი ხანის გემებზე (განსაკუთრებით VI-VIIIსს) ჭარბობს ძლიერი სქემატიზაცია და ერთგვარი ხაზოვანი (“შტრიხული”, “ესკიზური”) ზედაპირული კვეთა. ეს სასანური ხელოვნების განვითარების საერთო ტენდენციაა. ადრესასანური ხანის რეალისტური მისწრაფებები სასანური ხანის მიწურულს სქემატიზაციისა და სტილიზაციის გამარჯვებით დასრულდა [ბორისოვი, ლუკონინი 1963:24; ფრაი 1972:317; რამიშვილი ქ.ი. 1979:20,42-43].

აქვე გვინდა განვიხილოთ საქართველოში, ძველი ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თიხის ბულები სასანური საბეჭდავების ანაბეჭდებით უფლისციხე-ყათლანისხევიდან (III ს. მიწურული - IV ს. პირველი ნახ.) [ხახუტაიშვილი 1964:83-84, ტაბ.I,8], სვეტიცხოვლის უბნიდან (IV—V ს [რამიშვილი ქ.ი., 2005:186-193, სურ.1-5] და ურბნისის ნაქალაქარიდან (ტაბ. VI,19,20). (V ს. მეორე ნახ. – VII ს 30-იანი წლები) [ჯავახიშვილი 1982 :122-128, ტაბ. VII,1-3]

ძნელია დაბეჭდვით რაიმეს თქმა იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა საქართველოს მოსახლეობას გაგებული სასანურ გემათა გამოსახულებების შინაარსი და სიმბოლოური მნიშვნელობა. უნდა ვიფიქროთ, რომ არა. უფრო ხშირად საბეჭდავის შერჩევა ხდებ

ბოდა უბრალოდ მფლობელის გემოვნების მიხედვით [რამიშვილი ქ.ი. 1979:49] და რომ ქართლში სასანურ გემათა სიუხვე უფრო მეტად შედეგია ირანთან მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კონტაქტებისა [რამიშვილი ქ.ი. 1979:52], თორემ სხვა რითი უნდა აიხსნას ის თითქოს პარადოქსული მოვლენა, რომ მაშინ, როდესაც საქართველოში IV საუკუნიდან ქრისტიანობა უკვე ოფიციალურ რელიგიად იყო გამოცხადებული, გემები ქრისტიანული სიუჟეტებით სასანურთან შედარებით ძალზე მოკრძალებული რაოდენობით გვხვდება.

უკვე ახ.წ. III-IV სს-ში ქართლში რომაულ გემებს შორის გვხვდება გემები ადრექრისტიანული სიმბოლოებით. არის რამდენიმე ინტალიო (სამთავრო, სვეტიცხოველი (ტაბ. V,31,32), ჟინვალის სამაროვანი)სავსებით ერთნაირი სიუჟეტით – შუაში ჯვარი (რომელიც ღუზადაც აღიქმება) და მის ორივე მხარეს თითო თევზი (სურგულაძე, ბიბილური, ძნელაძე 1981:741-742, სურ1,2). ბეჭდის ფორმის მიხედვით სამთავროს გემა III ს-ით არის დათარიღებული. ვფიქრობთ, ჟინვალის ბეჭედი III-IV საუკუნისა უნდა იყოს. ასეთი სიუჟეტი საყოველთაოდ გავრცელებული იყო ადრექრისტიანულ გემებზე (დალტონი 1915:73, ტაბ.275,2887); საკმაოდ მრავლად გვხვდება ქრისტიანული მონოგრამებიც (ე.წ.ქრიზმები) ერნოში, მაგრანეთში (III-IVსს) [რამიშვილი რ. 1979:36, ფერ.ტაბ.43,4], სამთავროსა (ტაბ. V,34) (VI ს) [მაქსიმოვა 1950:262; ტაბ. II,62, ტაბ.XXXV,41] და ქვემო ალევის სამაროვანზე (VI-VII სს. მიჯნა, VII ს. დასაწყისი) [აფხაზავა 1988:30,126, ტაბ.VIII,25, ტაბ.XXXV,41]. გარდა ამისა, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილია ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი ქრისტიანული შინაარსის ბერძნული წარწერით (IV-V სს.?) (ტაბ.V,33) [მაქსიმოვა 1950:261-262; ტაბ. II,61].

არის ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდების პატარა ჯგუფი ძალიან საინტერესო ქრისტიანული სიუჟეტებით, აღმოჩენილი ქვემო ალევის სამაროვანზე. მცირე ზომის ორი ბეჭდის მრგვალ ფარაკზე გამოსახულია ერთი და იგივე გამოსახულება: ორი ნიმბიანი წმინდანის ზევით გამოსახული ჯვარი (გლიპტ.კაბ. ინვ.№1683, 1691); ერთ ბეჭედზე გამოსახულია წმინდანი – ნიმბიანი მხედარი (გამოსახულება დაზიანებულია, ყველა დეტალი არა ჩანს (გლიპტ.კაბ. ინვ.№1682); ასეთივე ფორ-

მის ბეჭდის ფარაკზე გამოსახულია ნიმბიანი წმინდანი, რომელიც მარჯვენა ხელით ფარს ეყრდნობა. ფართან გველია გამოსახული. მარცხენა ხელში ჯვარი უჭირავს (გლიპტ.კაბ. ინვ. №1650). ამ ფორმის ბეჭედებს ნ. აფხაზავა VII ს-ით ათარიღებს [აფხაზავა 1988:125-126, ტაბ.VII,31,41, ტაბ.XII,9]. ძალიან საინტერესოა გურჯაანის მუნიც. ს. დარჩეთში ეკლესიის ეზოში გათხრილ ქვისსამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბეჭედი რომბისებური ფარაკით. ფარაკზე გამოსახულია მამაკაცის ფიგურა, ხელებგაშლილი, (ჯვარცმას მოგვაგონებს), შემოსილი გრძელი, მდიდრული ნაქარგობით შემკული ბიზანტიური ყაიდის სამოსით. მამაკაცს სწორი ჩამოშვებული თმა და გრძელი წვერი აქვს. თავზე ადგას ბიზანტიური სამეფო გვირგვინი – სტემა, რომლის აუცილებელი ნაწილებია პენდილია – მარგალიტის ასხმულა და გვირგვინის შუაში ამოზიდული ჯვარი (ტაბ. V,35). ბეჭედი VII საუკუნით თარიღდება [მამაიაშვილი, ჯავახიშვილი 2006:175-178. ტაბ. I,2,3].

დასავლეთ საქართველოში გლიპტიკური ძეგლების გავრცელების რეალურ სურათს დღეისათვის არსებული მეტად მწირი მასალა სრულად ვერ წარმოადგენს, მაგრამ მაინც სწორად ასახავს ისტორიულ სინამდვილეს. ზღვისპირა საქართველოში ბიზანტიის გავლენა ბევრად მეტია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში [ლომთათიძე 1973:571]. ყურადღებას იქცევს ბიჭვინტის ნაქალაქარის ნგრევის ფენაში ნაპოვნი ბრინჯაოს ბეჭედი, რომლის ფარაკზე გამოსახულია ახალგაზრდა მამაკაცის ბიუსტი პროფილში. მამაკაცის დიადემა და ნაოჭიანი სამოსი მიუთითებს, რომ ფარაკზე გამოსახულია ვინმე დიდებული, შესაძლოა, თვით იმპერატორიც. ბეჭედი იუსტინიანეს ხანას (482-565 წწ.) უნდა ეკუთვნოდეს (შეად. ბელინგერი, გრეისონი 1966:102, ტაბ.XXII, AE 99a-3; AE 96 b-3; AE 96 d-2 და სხვ.). VI საუკუნით არის დათარიღებული “ნგრევის ფენა”, რომელშიც ბეჭედი აღმოჩენილი (მასალა მოგვანოდა ნ.კილურაძემ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ).

ძალიან საყურადღებოა დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ტყვიის შეკიდული ბულები, რომლებზეც აღბეჭდილია როგორც ადგილობრივი მმართველების, ისე ლაზიკაში მოღვაწე ბიზანტიელი მოხელეების კუთვნილი საბეჭდავების ანაბეჭდები. ამას

ადასტურებს ბერძნული წარწერები ბულე-ბზე. მაგ.ციხისძირში შემთხვევით მოპოვებული ტყვიის ბულის შუბლზე გამოსახულია ბლოკური ტიპის მონოგრამა სახელისა “პავლე” (გენიტივში), ხოლო ზურგზე ჯვრისებური მონოგრამა და დაქარაგმებული თანამედებობის სახელი – სტრატეგი, ე.ი. “პავლე სტრატელატესი”. ბულა VI ს. შუა ხანებით ან მეორე ნახევრით არის დათარიღებული. [ლაზიკაში მოღვაწე ბიზანტიელი მოხელეების კუთვნილი ბულები იხ. ზაკოსი, ვეგლერი, 1972, №№164,178,179,204,208,221,2764 ბის. ტაბ.29.] (ცნობები ბულების შესახებ მოგვანოდა ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეც. კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა ნ. ინაიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ).

ნოქალაქევეში აღმოჩენილია ტყვიის ბულა, რომლის ორივე მხარეს გამოსახულია ჯვრიანი მონოგრამა და მის გარშემო ბერძნული წარწერა, რომელიც ასე იკითხება – “ღვთისმშობელო შეინყალე მონა შენი სერგი ბარნუქის ძე”. ბულა თარიღდება VII ს ბოლო წლებითა და VIII ს. დასაწყისით [ლექციონაძე 1980:275-281, სურ.1,2,1]. ბიჭვინტაში აღმოჩენილია ორი შეკიდული ბულა. ერთის შუბლზე გამოსახულია წმინდა სოფიო და ბერძნული წარწერა, რომელიც ასე იკითხება: “წმინდა სოფიო”. ზურგზე აგრეთვე ბერძნული წარწერაა: “თეოდორე ეპისკოპოსისა”. ბულა დათარიღებულია VI-VII სს [დუნდუა 1973:73-76]. მეორე ბულის შუბლზე ბერძნული წარწერა ასე იკითხება: “კონსტანტინე აბაზგი”. ბულა ეკუთვნის კონსტანტინე I-ს ან კონსტანტინე II-ს და თარიღდება VIII საუკუნით [ლექციონაძე 1955:403-406, ნახ.1].

VII საუკუნეში საქართველოში არაბების გამორჩენასთან არის დაკავშირებული ქართლში აღმოჩენილი რამდენიმე საბეჭდავი არაბული წარწერით: შიდა ქართლში, მტკვრის კალაპოტში აღმოჩენილი ინტალიო, ძალიან წმინდად და ლამაზად შესრულებული, ორსტრიქონიანი ყუფური წარწერით (VI-VIII სს. გლიპტ. კაბ. ინვ.№№1154)., სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი მთის ბროლის დიდი ზომის სასანური გემა, რომელზედაც წმინდად, საკმაოდ დახვეწილად გამოსახულია ლომი, მის ფეხებთან მისი ნაშიერი და ზევით ლამაზად შესრულებული არაბული წარწერა [კიბალჩიჩი 1910:30. №10, ტაბ.1,10].

გემა VI-VII სს. არის დათარიღებული [რამიშვილი ქ.ი. 1979:132, ტაბ.VII,90]. არაბული ნივთების ასეთი სიმცირე არ არის მოულოდნელი. არაბულ მუსლიმანურ სარწმუნოებას და კულტურას საქართველოში საერთოდ რაიმე მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებია [ლომთათიძე 1973:533-571].

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ გლიპტიკური ძეგლები, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე როგორც მოსახლეობის მაღალი, ისე დაბალი წრის წარმომადგენლებს შორის, საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ყოველდღიურ ცხოვრებაში. გარდა იმისა, რომ გემებს ავგაროზებად და სამკაულად ხმარობდნენ, მათ დიდი პრაქტიკული გამოყენებაც ჰქონდა. ამის დასტურია მრავალრიცხოვანი ბულები სხვადასხვა პერიოდისა და კულტურული კუთვნილების საბეჭდავთა ანაბეჭდებით.

ლიტერატურა:

- აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996:** – აფაქიძე ა, ნიკოლაიშვილი ვ. – მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ.წ. III საუკუნისა-აკლდამა 905 – მცხეთა, XI. თბილისი, გვ.7-79.
- აფხაზავა 1988:** – აფხაზავა ნ. ქვემო ალვეი ადრეულ შუა საუკუნეებში, თბილისი.
- აფხაზავა 1979:** – აფხაზავა ნ. ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ.
- ბარნაველი 1945:** – ბარნაველი ს. ორი გემისათვის. მოამბე ტ. VI, №7, გვ.573-579.
- ბოგვერაძე 1973 :** – ბოგვერაძე ა. ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII საუკუნეებში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბილისი, გვ.246-296.
- ბრაუნდი 2009** – ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ. საგანძური ზღუდრიდან. თბ.
- გაგოშიძე 1964** – გაგოშიძე ი. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ.
- გაგოშიძე 2009 :** – გაგოშიძე ი. საქართველო და “ბერძნულ-სპარსული” გემები. – ჟურ. იბერია-კოლხეთი №5, თბ., გვ.14-19.
- გამსახურდია 1973 :** – გამსახურდია თ. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბილისი, გვ.118-138.
- დუნდუა 1955** – დუნდუა გ. ვინ იყო თევდორე ეპისკოპოსი? “ძეგლის მეგობარი”, XVI, გვ 403-406.

კახიძე, ვიკერსი 2004 – კახიძე ა., ვიკერსი მ., ფიჭვნარი I, ბათუმი-ოქსფორდი.

კახიძე 2007 – კახიძე ა, ფიჭვნარი II, ბათუმი-ოქსფორდი.

კახიძე, ვაშაკიძე 2010 – კახიძე ა, ვაშაკიძე ნ., ფიჭვნარი III, ბათუმი-ოქსფორდი.

ლექვინაძე 1955 – ლექვინაძე ვ. კონსტანტინე აფხაზის შეკიდული ბეჭედი. – მეცნ.აკად. მოამბე, ტ.XVI, №5, გვ.403-406.

ლიჩელი 2011 – ლიჩელი ვ. სამარხეული ინვენტარი ანყურიდან – კრებ. ინტერდისციპლინარული არქეოლოგია, I, თბილისი, გვ. 25-57.

ლომთათიძე 1955 – ლომთათიძე გ. ქართული კულტურა IV-V საუკუნეებში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბილისი, გვ.189-235.

ლომთათიძე 1973 – ლომთათიძე გ. საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახ.ნ. I-III სს. – ივ.ჯავახიშვილის სახ. ინ-ტის შრომები, I, თბ., გვ.331-333.

ლორთქიფანიძე მარგ. 1954 – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I, თბ.

ლორთქიფანიძე მარგ. 1958 – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, II, თბ.

ლორთქიფანიძე მარგ. 1961 – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III, თბ.

ლორთქიფანიძე მარგ. 1963 – გვიანაქემენიდური ხანის მცირეაზიური საბეჭდავების იბერიული პირები – ლურჯი მინის მრავალნახნაგა საბეჭდავები.- მოამბე საზ.მეცნ. №6 გვ.134-154.

ლორთქიფანიძე მარგ. 1969 – ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, თბ.

ლორთქიფანიძე მარგ. 1975 – კოლხეთის ძვ.ნ. V-III საბეჭდავი ბეჭდები, თბილისი 1975.

ლორთქიფანიძე მარგ. 1976 – წარჩინებული კოლხი ქალის საბეჭდავი №6 სამარხიდან. – ვანი II, თბ., გვ. 103-115.

ლორთქიფანიძე მარგ. 1976ა – არქაული და “არქაიზირებული” საბეჭდავი-ბეჭდები ვანიდან. – ვანი II, თბილისი, გვ.116-166.

ლორთქიფანიძე მარგ. 1981 – უძველესი საბეჭდავი – ბეჭდები იბერიიდან და კოლხეთიდან, თბ.

ლორთქიფანიძე მარგ. 1983 – ანტიკური (ბერძნული) იმპორტი ვანსა დამ ის მიდამოებში. 6 გლიპტიკური ნახელავი. – ვანი VII გვ.91-96.

მათიაშვილი 2005 – მათიაშვილი თ. კავთისხევის (ციხიაგორა) გლიპტიკური ძეგლები. – საკანდ. დისერტ. ავტორეფერატი, თბ.

მამაიაშვილი, ჯავახიშვილი 1984 – მამაიაშვილი ნ. ჯავახიშვილი ქ. ჭერემის გვიანანტიკური ხანის სამაროვანი. – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VI, გვ.77-107.

მამაიაშვილი, ჯავახიშვილი 2006 – მამაიაშვილი ნ. ჯავახიშვილი ქ. ადრეშუსაუკუნეთა ხანის სამარხი დარჩეთიდან. – ძიებანი №17-18, თბილისი, გვ.175-178.

მირიანაშვილი ნ. 1983 – შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ.

მშვილდაძე მ. 2012 – ბიჭვინტის ნაქალაქარის

გლიპტიკური ძეგლები, თბ.

მცხეთა I 1955 – თბ.

ნადირაძე ჯ. 1975 – ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ.

ნადირაძე ჯ. 1990 – საირხე – საქართველოს უძველესი ქალაქი, თბ.

ნარიშანიშვილი გ. 2006 – საფარ-ხარაბას სამაროვანი. – ძიებანი, 17-18 გვ.93-106, ტაბ. XVIII, 1-13.

ნიკოლაიშვილი 1978 – ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბ.

რამიშვილი რ. 1979 – ერნოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. თბ.

რამიშვილი ქ.ი. 1979 – სასანური გემები საქართველოში., თბ.

რამიშვილი ქ.ი. 2003 – სასანური პორტრეტი სართიქალის საბეჭდავ-ბეჭედზე. – ჟურ. იბერია-კოლხეთი, №1, თბ., გვ.62-69.

რამიშვილი ქ.ი. 2005 – ორი ბულა მცხეთის სვეტიცხოვლის უბნიდან. – ძიებანი, №15-16, თბ., გვ.186-193

სურგულაძე 1981 – სურგულაძე თ., ბიბლიური თ., ძნელაძე მ. ადრეული ქრისტიანობის სიმბოლო მცხეთიდან. – მეცნ.აკად. მოამბე, ტ.101, №3, თბილისი, გვ.741-742

ყაუხჩიშვილი 1951 – ყაუხჩიშვილი თ. ბერძნული წარწერები საქართველოში, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1999 – ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, I, თბ.

შატბერაშვილი 1007 – შატბერაშვილი ვ. მდიდრული სამარხი სოფელ ხოვლედან. – ჟურ. იბერია-კოლხეთი №3, თბ., გვ.87-96

ჩართოლანი 1968 – ჩართოლანი შ. ლარილარის სამაროვანი. – საქართველოს, ამიერკავკასიის და წინააზიის საკითხები, თბ., გვ.300-318.

ცქიტიშვილი 2001 – ცქიტიშვილი გ. მდიდრული სამარხი ციხია-გორის სამაროვნიდან. – ძიებანი, დამატება XI, გვ.7-25.

ცქიტიშვილი 2003 – ცქიტიშვილი გ. ციხიაგორის სატაძრო კომპლექსი. – ძიებანი, №7, თბ., გვ. 41-46.

ჭილაშვილი 1970 – ჭილაშვილი ლ. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ.

ხახუტაიშვილი 1964 – ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე, თბ.

ჯავახიშვილი 1972 – ჯავახიშვილი ქ. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ.

ჯავახიშვილი ქ. 1975 – პართულ საბრეჭდავი ურბნისიდან. – მაცნე №4, ისტ... სერია, გვ.112-122.

ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ. 1982 – ზღუდრის სამაროვნის გლიპტიკური ძეგლები. – სსმმ XXXVI – B, გვ. 129-153.

ჯავახიშვილი ქ. 1982ა – ბრინჯაოს საბეჭდავების ერთი ჯგუფი ურბნისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი სასანური ბულა. – სსმმ XXXVI-B, გვ.122-128.

ჯავახიშვილი ქ. 1997 – ბრინჯაოს საბეჭდავების ერთი ჯგუფი სსმმ XI – B, გვ.220-234.

ჯავახიშვილი ქ. 2001 – გლიპტიკურ ძეგლებზე

ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები I, გემა უფლისციხიდან. – ძიებანი №7, თბილისი, გვ.64, სსმმ XXXVI – B, გვ. 129-153.

ჯავახიშვილი ქ. 2002 – ლურჯი მინის მრავალნახნაგები. – ძიებანი №6, თბ., გვ.71-80.

ჯავახიშვილი ქ. 2002ა – გლიპტიკურ ძეგლებზე ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები II, გემა უფლისციხიერნო-თიანეთიდან. – ძიებანი №10, თბ., გვ.52-56.

ჯავახიშვილი ქ. 2003 – ქართლის სამეფოსა და ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან რომაულ ხანაში (გლიპტიკური მასალის მიხედვით). – ძიებანი, №12, თბილისი, გვ.75-88.

ჯავახიშვილი ქ. 2005 – გლიპტიკურ ძეგლებზე ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები III, გემა სამთავროდან. – ძიებანი №15-16, თბილისი, გვ.173-176.

ჯავახიშვილი ქ. 2008 – უსა – IV ს. ქართლის პიტიასში. – ქართველოლოგია №2, თბ., გვ.49-52.

ჯავახიშვილი ქ. 2009 – ჯავახიშვილი ქ. საქართველოში აღმოჩენილი აქემენიდური საბეჭდავები. – ჟურნალი «იბერია-კოლხეთი» №5, თბილისი, გვ.85-93.

ჯავახიშვილი ქ. 2011 – ჯავახიშვილი ქ. ვანის ნაქალაქარზე 2003-2005 წლებში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები. – ჟურ. იბერია-კოლხეთი №7, თბილისი, გვ.121-130.

ჯავახიშვილი ქ. 2011ა. – ჯავახიშვილი ქ. რესპუბლიკური ხანის რომაული პორტრეტული გემები (საქართველოში მოპოვებული გლიპტიკური მასალების მიხედვით). – ძიებანი №20, თბ., გვ.239-298

ჯავახიშვილი ქ. 2012 – ჯავახიშვილი ქ. ოქროს ფურცლით შემკული იშვიათი ნივთები ტახტიძის სამაროვნიდან – ჟურ. იბერია-კოლხეთი №8, თბილისი, გვ.17-21.

არტამონოვი 1966 – Артамонов М. Сокровища скифских курганов. Прага-Ленинград.

ბორისოვი, ლუკონინი 1963 – Борисов А.Я., Луконин В.Г. Сасанидские геммы. Ленинград.

გაგოშიძე 1975 – Гагошидзе Ю.М. К датировке могильника Нерон-Дереси. Известия АН ГССР, серия ист., №2, Тбилиси, 90-103.

გაგოშიძე 1981 – Гагошидзе Ю.М. Самадло. Каталог археологического материала. Тбилиси.

გალანინა 1980 – Галанина Л. Курджипский курган. Ленинград.

გოლენკო 1971 – Голенко К.В. Заметки об обращении римской монеты в Закавказье. – ВДИ, №4.

ჯავახიშვილი 2006 – Джавахишвили К. Удобно, «Наомари Гора» 1. Эллинистический могильник. – Археология Кавказа, 1, Ред.К.Пицхелаури, Тбилиси, с.183-201.

ჯავახიშვილი 2009 -10 – Джавахишвили К. Еще раз о питиахше Иберии (Картли) IV в. Питиахш Уса. – Археология Кавказа, 2-3, Ред.К.Пицхелаури, Тбилиси, с.174-178.

ჯალალანია 1979 - Джалагания И. Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв. Тб.

ზახაროვი 1928 – Захаров А.А. Геммы и античные перстни Государственного Исторического Музея. – РАНИОН, М., с.104-152.

ზეიშალი 1979 – Зеймаль Е.В. Амударьинский клад. Л-д.
კიბალჩიჩი 1910 – Кибальчич Т.В. Южно-Русския геммы. Берлин.

კინჯალოვი 1957 – Кинжалов Г.А. Парфянская туалетная ложечка из слоновой кости. – Сообщ. Гос. Эрмитажа, XI, Л-д, с.53-54.

კინჯალოვი 1959 – Кинжалов Г.А. Серебряная пластина с изображением парфянского царя. – СА, №2.М., с.73-86.

კინჯალოვი 1960 – Кинжалов Р.В. Резной сердолик Государственного Эрмитажа. – Сб. Исследования по истории культуры народов Востока. М.Л., с. 98-104.

კუფტინი 1949 – Куфтин Б.А. Материалы к археологии Колхиды, I. Тбилиси.

კუფტინი 1950 – Куфтин Б.А. Материалы к археологии Колхиды, II. Тбилиси.

ლექვინაძე 1980 – Леквинадзе В. Вислая печать с именем Сергия из Грузии. – СА, №4, М., с. 275-281

ლომოური 1981 – Ломоури Н.Ю. Грузино-римские взаимоотношения, Тбилиси.

ლუკონინი 1971 – Луконин В.Г. Искусство древнего Ирана. – Сб. История иранского государства и культуры. М., с.105-121.

ლუკონინი 1977 – Луконин В.Г. Искусство древнего Ирана. М.

ლუკონინი 1971 – Луконин В.Г. Библейский сюжет в сасанидской глиптике. – СГЭ, XLVII, с.49-50.

ლუკონინი 1987 – Луконин В.Г. Древний и ранне-средневековый Иран. М.

მაქსიმოვა 1941 – Максимова М.И. Стекланные многогранные печати найденные на территории Грузии. – Вестник Ин-та яз., Ч, с.75-92.

მაქსიმოვა 1950 – Максимова М.И. Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро.- Вестник Гос Музея Грузии, XVI-V, с.221-274.

მაქსიმოვა 1955 – Максимова М.И. Резные камни. – Сб. Античные города Северного Причерноморья, М-Л. с.435-445.

მელიქიშვილი 1959 - Меликишвили Г.А. К истории древней Грузии. Тбилиси.

ნევეროვი 1976 - Неверов О.Я. Античные инталии. Л-д.

ნევეროვი 1978 - Неверов О.Я. Античные перстни. Л-д.

ნევეროვი 1983 - Неверов О.Я. Геммы античного мира, М.

ნიკულინა 1966 – Никулина Н.М. Малоазийская глиптика второй половины V-IV до н.э. и проблема восточно-греческого и «греко-персидского» искусства. Автореферат канд.дис. М.

ტრაპში 1969 - Трапш М.М. Древний Сухуми, Том 2, Сухуми, с.241-283.

უილიამსი, ოგდენი 1995 - Уильямс Д., Огден Дж. Греческое золото. С.Петербург.

ფრაი 1972 – Фрай Р. Наследие Ирана. М. 1972.

აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1994 – Apakidze A., Nikolaiashvili V. An Aristocratic Tomb of the Roman Period

from Ntskheta, Georgia – The Aniquaries Journal, vol. LXXIV, 1994, p.16-54.

ბაბელონი 1950 - Babelon J. Le Portrait Dans L'Antiquite' D'Aprés Les Monnaies, Paris.

ბელინგერ გრიერსონი 1966 - Bellinger A.R., Grier-son P.H., Catalogue the Bizantine Coins in the Dumbarton Oaks Collection, Vol. one, Washington.

ბორდმანი 1968 - Boardman J. Archaic Greek Gems, London.

ბორდმანი 1970 – Boardman J. Greek Gems and Finger Rings. London.

ბორდმანი 1975 - Boardman J. Intaglios and Rings. London

ბორდმანი, ვოლენვეილერი 1978 - Boardman J., Wollenweider M.L. Catalogue of the Engraved Gems and Finger Rings, I, Greek and Etruscan, Oxford.

ბრანდტი 1968 - Brandt E. Antike Gemmen in Deutschen Sammlungen. München.

ბრანდტი, კრუგი 1972 - Brandt E., Krug A., Gercken n., Schmidt E. Antike Gemmen in Deutschen Sammlungen, Band I, Teil 3, München.

დალტონი 1915 - Dalton O.M.M.A. Catalogue The Engraved Gems of the Post-classical Period. München.

ჯავახიშვილი 2007 - Djavakhishvili. Achaemenian Seals Found in Georgia. – Achaemenid Culture and Local Traditions in Anatolia, Sauthern Caucasus and Iran. Leiden, Boston, pp. 117-128.

ჯავახიშვილი 2008 - DzhavakhiShvili K. Engraved Gems and Impressions of seals on Cley Bulle. – Iberia and Rome. Ed. by A.Furtwangler, I. Gagoshidze, H.Löhr, N.Ludvig, Langenweißbach.

ჰენკელი 1913 - Henkell Fr. Die Römischen Finger- ringe der Rheinland, Berlin.

კევორკიანი 1996 - Kevorkian R. Catalogue de l'exposition "Armenie entre Orient et Occident", Paris.

ლიჩელი 2007 - Ličeli W. Jriental Innovations in Samtskhe (Southern Georgia) in the 1st Millenium BC. – Achaemenid Culture and Local Traditions in Anatolia. Southern Caucasus and. Iran, Leiden-Boston pp.55-66.

მაქსიმოვა 1928 – Maximova M.E. Griechisch – persische Kleinkunst in Kleiasien nach den Persen riegen. "Archaologischer Anzeiger", 3-4, Berlin, c.649-678.

პლანცტოსი 1997 – Planztos D. Greek gee-cutters in Babilonia and beond, Greek offerings. – Essays on Greek Art in honor of John Boardman, edited by Olga Palagia ,Oxbow Monograph, 89.

პლატ-ჰორსტერი 2002 - Platz-Horster G. Griechischer Schmuck in "barbarischen" Graben.- Die Griechische Klassik Idea oder Mirklichkeit, Berlin.

რიხტერი 1968 – Richter G. Engraved Gems of the Greeks and Etruscans, I, London.

სტრონახი 1978 – Sronach D. Pasargadae, Oxford.

ზახოსი, ვეგლერი 1972 – Zacos G., Vegler A. Byzantine lead Seals. Vol.1, Basel.

ტაბულაჰის აღწერილობა:

ტაბ. I.

1. უფლისციხე [ლორთქიფანიძე მ. 1969, სურ.13];
2. ხოვლე [ლორთქიფანიძე მ. 1969, სურ.9ა];
3. ხოვლე [ლორთქიფანიძე მ. 1969, სურ. 16];
4. ხოვლე [ლორთქიფანიძე მ. 1969, სურ.25];
5. ვანი [ლორთქიფანიძე მ. 1983, ტაბ. 45,418];
6. მცხეთა-სამთავრო [ჯავახიშვილი 2009, ტაბ. I, 5];
7. ვანი [ლორთქიფანიძე 1975, სურ 20];
8. ვანი [ლორთქიფანიძე 1975, სურ 27];
9. ვანი [ლორთქიფანიძე 1975, სურ. 23];
10. სვანეთი, ლარილარი.
11. ვანი [ლორთქიფანიძე 1975, სურ.25,26];
12. რაჭა. ჯოისუბანი [ჯავახიშვილი 2009, ტაბ. I, 1];
13. ჯიმიტი [ლორთქიფანიძე 1969, სურ.51];
14. ბაიათხევი [ჯავახიშვილი 2009, ტაბ. I, 8];
15. ბრინჯაოს ოთხკუთხა საბეჭდავი [ჯავახიშვილი 1997, ტაბ. I, A];
16. ბრინჯაოს სამკუთხა საბეჭდავი [ჯავახიშვილი 1997, ტაბ. II, B];
17. ურბნისი [ჯავახიშვილი 1972, სურ.11];
18. ურბნისი [ჯავახიშვილი 1972, სურ.1];
19. ურბნისი [ჯავახიშვილი 1972, სურ.3];
20. ურბნისი [ჯავახიშვილი 1972, სურ.6];
21. ურბნისი [ჯავახიშვილი 1972, სურ.9];
22. არმაზისხევი [ჯავახიშვილი 2009-2010, გვ.180, სურ.1];
23. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. XIII, 47];
24. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. XIII, 21];
25. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. XIII, 50];
26. ქვემო ალევი [აფხაზავა 1988, ტაბ. XXXV, 36];
27. ქვემო ალევი [აფხაზავა 1988, ტაბ. XXXV, 26];
28. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. IX, 4];
29. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. XII, 104];
30. მცხეთა (სვეტიცხოველი) [სურგულაძე, ბიბილური, ძნელაძე, 1981, სურ. 1];
31. მცხეთა-სამთავრო [სურგულაძე, ბიბილური, ძნელაძე, 1981, სურ.2];
32. სოფ. დარჩეთი (გურჯაანის მუნიცი.) [მამაიაშვილი, ჯავახიშვილი, 2006, ტაბ. I, 2,3].

ტაბ. II.

1. ხოვლე [ლორთქიფანიძე მ. 1969, ტაბ. I, 1];
2. უფლისციხე [ყათლანახევი. ლორთქიფანიძე 1969, ტაბ. I, 8];
3. საფარ-ხარაბა [ნარიმანიშვილი 2006, ტაბ. XVIII, 2];
4. ხოვლე [ლორთქიფანიძე მ. 1969, სურ.9ა];
5. ხოვლე [ლორთქიფანიძე მ. 1969, ტაბ. I, 18];
6. ხოვლე [ლორთქიფანიძე მ. 1969, სურ.25];
- 7,8. ვანი [ლორთქიფანიძე 1975, სურ 20,22];
9. ვანი [ლორთქიფანიძე მ. 1983, ტაბ. 45,418];
10. ფიჭვნარი [ლორთქიფანიძე მ. 1975, ტაბ. III, 4];
11. ვანი [ლორთქიფანიძე 1975, სურ. 27];

12. ვანი [ლორთქიფანიძე 1975, სურ. 23];
13. ვანი [ლორთქიფანიძე 1975, სურ. 24];
14. კამარახევი [ლორთქიფანიძე მ. 1981, სურ. 7];
15. ყოლოთო [ლორთქიფანიძე 1969, ტაბ. IV,59];
- 16-19,28. ანყური [ლიჩელი, 2000:139-141, სურ.1,4];
20. ღრმასხევისთავი [ლორთქიფანიძე მ. 1981, სურ. 8];
21. ახალგორი [ლორთქიფანიძე მ. 1981, სურ. 4];
22. ყანჩაეთი [ლორთქიფანიძე მ. 1981, სურ. 6];
23. ტახტიძირი [ჯავახიშვილი 2009, ტაბ.1,4];
24. რაჭა. ჯოისუბანი [ჯავახიშვილი 2009, ტაბ.1,2];
25. ბაიათხევი [ჯავახიშვილი 2009, ტაბ.1,7,9];
26. ვანი [ჯავახიშვილი ქ. 2011. ტაბ.1,10];
27. ბატნაოხორუ [ლორთქიფანიძე მ.1975, ტაბ. IV12];
- 29-31. ვანი [ჯავახიშვილი ქ. 2011. ტაბ.1, 5,4,6];
32. ვანი [ლორთქიფანიძე 1975, სურ.26];
33. ბატნაოხორუ [ლორთქიფანიძე მ. 1975, ტაბ. VII,18];
34. თრიალეთი [კუფტინ 1949, სურ.16];
35. ვანი [ლორთქიფანიძე 1975, სურ. 25];
- 36-38. სვანეთი, ლარილარი [ჩართოლანი. 1968, ტაბ. III,11];
39. ვანი [ჯავახიშვილი ქ. 2011. ტაბ.1, 9];
40. საირხე [მახარაძე გ,წერეთელი მ, სურ.24];
41. დაბლაგომი [ლორთქიფანიძე მ. 1969, ტაბ. IV, 44];
42. ფიჭვნარი [კახიძე ა., ვაშაკიძე ნ. 2010, ტაბ.153,6];
43. დაბლაგომი [ლორთქიფანიძე 1975, სურ. 10];
44. ფიჭვნარი [ლორთქიფანიძე მ. 1975, ტაბ. II,3];
45. ეშერა. ფიჭვნარი [ლორთქიფანიძე მ. 1975, ტაბ. III,14];
46. დაფნარი [ლორთქიფანიძე 1975, სურ.15];
47. ბატნაოხორუ [ლორთქიფანიძე მ.1975, ტაბ. IV,10];
48. ვანი [ჯავახიშვილი ქ. 2011. ტაბ.1, 2];
49. ვანი [ჯავახიშვილი ქ. 2011. ტაბ.1, 3.

ტაბ. III.

1. ყოლოთო [ლორთქიფანიძე მ. 1981, სურ. 16];
- 2-4. ახალგორი [ლორთქიფანიძე მ. 1981, სურ. 1,2, 3];
5. ყანჩაეთი [ლორთქიფანიძე მ. 1981, სურ. 5];
6. სვანეთი. ლარილარის სამაროვანი. (შ. ჩართოლანი ფოტო);
7. ცხინვალი, ქვიანა [ლორთქიფანიძე მ. 1981, სურ.12];
8. დედოფლის გორა [ჯავახიშვილი 2003, სურ.1];
9. ფიჭვნარი [კახიძე, ვაშაკიძე 2010, ტაბ.153, 208,3];
10. დედოფლის გორა [ჯავახიშვილი 2003, სურ.1,8];
11. რიყიანების ველი [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ.77,4];
12. სვანეთი [ჯავახიშვილი 2008 ბ ტაბ.77,5];
13. მცხეთა-სამთავრო [ჯავახიშვილი 2008 ბ.

- ტაბ.77,7];
14. კლდეეთი [ლორთქიფანიძე 1961, ტაბ. VIII, 53];
15. რიყიანების ველი [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ.79,45];
16. მარგანეთი [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ.77,10];
17. ბორი [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ.78,17];
18. სვანეთი [ჯავახიშვილი 2008 ბ ტაბ.77,5];
19. ბოლნისის მუნიცი. [ჯავახიშვილი ქ. 2009, ტაბ.1, 13];
20. ჯიშთი [ჯავახიშვილი ქ. 2009, ტაბ.1, 11];
21. ლოჭინი [ლორთქიფანიძე მ. 1969, ტაბ. VI,99];
22. ნალკა, ნერონ-დერესი [ლორთქიფანიძე მ. 1969, ტაბ. VI,90];
23. არკნეთი [ლორთქიფანიძე მ. 1969, ტაბ. VI,95];
24. არკნეთი [ლორთქიფანიძე მ. 1969, ტაბ. VI,89];
25. არკნეთი [ლორთქიფანიძე მ. 1969, ტაბ. VI,96];
26. კავთისხევი [ჯავახიშვილი 1997,ტაბ.1,1];
27. სამთავისი [ჯავახიშვილი 1997,ტაბ.1,5];
28. სოფ. შრომა, გურჯაანის მუნიცი. [ჯავახიშვილი 1997,ტაბ.1,3];
29. საირხე [ჯავახიშვილი 1997,ტაბ.1,4];
30. ურბნისი [ჯავახიშვილი 1997,ტაბ.1,6];
31. შრომა [ჯავახიშვილი 1997,ტაბ.11,11];
32. თეთრინყაროს მუნიცი. [ჯავახიშვილი 1997, ტაბ. II,10];
33. როქი [ჯავახიშვილი 1997, ტაბ.11,9];
34. ციხიაგორა [მათიაშვილი 2005, ტაბ. I].

ტაბ. IV.

1. არმაზისხევი [ლორთქიფანიძე 1958, ტაბ. III, 14];
2. არმაზისხევი [ლორთქიფანიძე 1958, ტაბ. IV,4];
3. არმაზისხევი [ლორთქიფანიძე 1958, ტაბ. VI, 29];
4. . მცხეთა-სამთავრო [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ.78,21];
5. ურბნისი [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ.78,22];
6. არმაზისხევი [ლორთქიფანიძე 1958, ტაბ. IV,20];
7. არმაზისხევი [ლორთქიფანიძე 1958, ტაბ. III, 13];
8. არმაზისხევი [ლორთქიფანიძე 1958, ტაბ. IV,19];
9. არმაზისხევი [ლორთქიფანიძე 1958, ტაბ. IV,18];
10. ზღუდერი [ჯავახიშვილი, ნემსაძე 1982, ტაბ. X,2];
11. ნილკანი [ლორთქიფანიძე 1961, ტაბ.III,20];
12. ჟინვალი, არაგვისპირი [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ.79,44];
13. კლდეეთი [ლორთქიფანიძე 1961, ტაბ.II,14];
14. ურბნისი [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ.78,29];
15. ურბნისი [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ.78,33];
16. კლდეეთი [ლორთქიფანიძე 1961, ტაბ.II,12];
17. ურბნისი [ჯავახიშვილი 1972, ტაბ.VI,103];
18. ზღუდერი [ჯავახიშვილი, ნემსაძე 1982, ტაბ. IX,2];
19. არმაზისხევი [ლორთქიფანიძე 1958, ტაბ. IV,17];
20. ურბნისი [ჯავახიშვილი 1972, ტაბ. VI, 102];
21. კლდეეთი [ლორთქიფანიძე 1961, ტაბ.II,16];
22. ურბნისი [ჯავახიშვილი 1975, ტაბ. I, 3];
23. ზღუდერი [ჯავახიშვილი, ნემსაძე 1982, ტაბ.

- IX,6];
 24. ურბნისი [ჯავახიშვილი 1972, ტაბ. I, 16];
 25. ურბნისი [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ. 80,67];
 26. მცხეთა-სამთავრო [მაქსიმოვა, 1950, ტაბ. I,36];
 27. ურბნისი [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ. 79,49];
 28. ურბნისი [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ. 78,31];
 29. ბორი [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ. 79,39];
 30. მცხეთა-სამთავრო [მაქსიმოვა, 1950, ტაბ. I,14];
 31. მცხეთა-სამთავრო [მშვილდაძე მ. 2012, ტაბ. IX, 10];
 32. ურბნისი [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ. 79,40];
 33. ურბნისი [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ. 79,37];
 34. ურბნისი [ჯავახიშვილი 1972, ტაბ. V, 74];
 35. ბიჭვინტა [მშვილდაძე მ. 2012, ტაბ. IX,9];
 36. ბიჭვინტა [მშვილდაძე მ. 2012, ტაბ. IX, 8];
 37. ბიჭვინტა [მშვილდაძე მ. 2012, ტაბ. IX,2];
 38. ურბნისი [ჯავახიშვილი 1972, ტაბ. I,15];
 39. მცხეთა-სამთავრო [მაქსიმოვა, 1950, ტაბ. I,16];
 40. ურბნისი [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ. 79,43];
 41. ურბნისი [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ. 79,42];
 42. ურბნისი [ჯავახიშვილი 1972, ტაბ. VIII,135];
 43. ურბნისი [ჯავახიშვილი 1972, ტაბ. I,10];
 44. ბიჭვინტა [მშვილდაძე მ. 2012, ტაბ. VIII,10];
 45. ზემო-ავჭალა [ლორთქიფანიძე 1961, ტაბ. II,33].

ტაბ. V.

1. არმაზისხევი [ჯავახიშვილი 2009-2010, გვ. 180, სურ. 1];
2. პარიზი, მედლების კაბინეტი [ჯავახიშვილი 2009-2010, გვ. 181, სურ. 3];
3. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. I,14];
4. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. II,15];
5. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. I,1, ტაბ. IX, 1];
6. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. I,4];
7. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. V, 53];
8. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. 29];
9. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. III,34,29];
10. . მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. IV,49];
11. სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. V,57];
12. სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. III,30];
13. კარსნისხევი [რამიშვილი 1979, ტაბ. VII,91];
14. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. VII,83];
15. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. V,55];
16. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. VII,81];
17. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. III,28];
18. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. VII,80];
19. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. V, 54];
20. სოფ. ტბისი (ალგეთის ხეობა) [რამიშვილი

- 1979, ტაბ. IV,48];
21. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. II,18];
22. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. VII,89];
23. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. III,37];
24. ახალციხე [რამიშვილი 1979, ტაბ. II,23];
25. მცხეთა-სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. IV,47];
26. არმაზისხევი [ლორთქიფანიძე 1958, ტაბ. VI,31];
27. თბილისი (ერეკლეს მოედანი) [რამიშვილი 1979, ტაბ. II,22];
28. სამთავრო [რამიშვილი 1979, ტაბ. V, 56];
29. ურბნისი [ჯავახიშვილი 1972, ტაბ. IX, 139];
30. მცხეთა-სამთავრო [მაქსიმოვა 1950, ტაბ. III, 78];
31. . მცხეთა (სვეტიცხოველი) [სურგულაძე, ბიბლიური, ძნელაძე, 1981, სურ. 1];
32. მცხეთა-სამთავრო [სურგულაძე, ბიბლიური, ძნელაძე, 1981, სურ. 2];
33. მცხეთა-სამთავრო [მაქსიმოვა 1950, ტაბ. II, 61];
34. . მცხეთა-სამთავრო [მაქსიმოვა 1950, ტაბ. II, 62];
35. სოფ. დარჩეთი (გურჯაანის მუნიცი.) [მამაიაშვილი, ჯავახიშვილი, 2006, ტაბ. I, 3];
36. ქვემო ალევი [აფხაზავა 1988, ტაბ. XXXV,36];
37. ქვემო ალევი [აფხაზავა 1988, ტაბ. XXXV,26];

ტაბ. VI.

კამეო:

1. ახალდაბა [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ. 77,14];
2. ზღუდერი [ჯავახიშვილი, ნემსაძე 1982, ტაბ. VIII, 4];
3. ბაგინეთი [ლორთქიფანიძე 1958, ტაბ. II, 7];
4. არმაზისხევი [ლორთქიფანიძე 1958, ტაბ. I,3];
5. არმაზისხევი [ლორთქიფანიძე 1958, ტაბ. I,6];
6. ბიჭვინტა [მშვილდაძე მ. 2012, ტაბ. VIII,5].


ბულა:

- 7-9. ციხიაგორა [მათიაშვილი 2005. ტაბ. 4,2,1; ტაბ. 3,2];
- 10-18. დედოფლის გორა [ჯავახიშვილი 2008 ბ. ტაბ. 82, 14,9,8,23,12,37,13,32,39];
- 19,20. ურბნისი [ჯავახიშვილი 1982ა, ტაბ. VII,1,2].

I


<p>ძვ.წ. XIV-VIII სს.</p>	
<p>ძვ.წ. VI-IV სს.</p>	
<p>ძვ.წ. III-სვ.წ. I სს.</p>	
<p>სვ.წ. I-III სს.</p>	
<p>სვ.წ. IV-VII სს.</p>	

ժ3.Վ. XV-VII ն.ն.



2:1

ժ3.Վ. VI-IV ն.ն.




1:1

III

дз.џ. IV – III вв.



дз.џ. III – в.џ. I



1:1

ՏԵՄ. I-III ԵԵ.



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16



17



18



19



20



21



22



23



24



25



26

1:1



27



28



29



30



31



32



33



34



35



36



37



38



39



40



41



42



43



44



45

1:2

сб.ф. IV-VII вв.



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16



17



18



19



20



21



22



23



24



25



26



27



28



29



30




31



32



33



34



35



36



37

1:1

კამეო

ძვ.წ. I – ახ.წ. IV სს.



1



2



3



4



5




6

1:1


1:2

ბუღა


ძვ.წ. III - ახ.წ. I სს.




7



8



9



10



11



12



13



14



15



16



17



18

ახ.წ. V-VII სს.



19



20

1:1

კოლხეთის სამეფო და ირანი ძვ.წ. V—IV საუკუნეებში

თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ამ საკითხის შესახებ უკვე გამოვაქვეყნე ნაშრომი ქართულ [ბრაგვაძე 2009] და რუსულ ენებზე [Брагвадзе 2012] და მოხსენებაც წავიკითხე თეირანის სახელმწიფო უნივერსიტეტში [ბრაგვაძე 2011], მაგრამ თემა იმდენად პრობლემატური, მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო და მრავლისმომცველია, რომ გადავწყვიტე კიდევ ერთხელ გამემახვილებინა მასზე ყურადღება და იგი გამემდიდრებინა ბოლო წლების არქეოლოგიური აღმოჩენებითა და სხვადასხვა მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით, რომლებიც ობიექტური მიზეზების გამო ვერ აისახა წინა წლებში გამოქვეყნებულ სტატიებში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ირან-საქართველოს პოლიტიკურ, კულტურულ და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ მაღალ დონეზეა შესწავლილი ამ ურთიერთობების ცალკეული ასპექტები და ამ მიმართულებით კვლევები დღესაც წარმატებით მიმდინარეობს. ქართველ მეცნიერთა მხრიდან განსაკუთრებული დაინტერესება ირანის შუა საუკუნეების, ისლამური ეპოქის მიმართ შეინიშნება და ეს ვითარება არც არის მოულოდნელი, რადგან ირან-საქართველოს ურთიერთობები ისეთი ინტენსიური არასდროს ყოფილა, როგორც შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით XVI—XVIII საუკუნეებში. ალბათ გაჭირდება იმ სამეცნიერო ნაშრომთა ზუსტი რაოდენობის დასახელება, რომლებიც დაწერილია საქართველოში და შეეხება შუა საუკუნეების ირანის ისტორიისა თუ ქართულ-ირანული ურთიერთობების ცალკეულ პერიპეტიებს. ამ ფონზე შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება ძვ.წ. I ათასწლეულის ისტორიული რეალიებისადმი მიძღვნილ ნაშრომთა ნუსხა და უკანასკნელ დრომდე აქემენიდებისა და ქართული სახელმწიფოების (კოლხეთი, იბერია) ურთიერთობების შესწავლას მაინც და მაინც დიდი ყურადღება არ ეთმობოდა და მეცნიერული თვალსაზრისით სათანადოდ არ გაიაზრებოდა ირანის როლი და მნიშვნე-

ლობა ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესში. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ვითარებას ჰქონდა თავისი ობიექტური მიზეზები და პირველ რიგში ესაა უაღრესად მწირი წყაროთმცოდნეობითი ბაზა. მხედველობაში თუ არ მივიღებთ ჰეროდოტეს, ქსენოფონტესა და ლეონტი მროველის საკმაოდ ზოგად და რიგ შემთხვევაში, ისტორიული თვალსაზრისით ძალიან საეჭვო ცნობებს, ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების ირან-ქართული ურთიერთობების ირგვლივ თითქმის არაფერი გავაჩნია. სამწუხაროდ, ამ კუთხით არაფერია შემორჩენილი საკუთრივ აქემენიდურ წარწერებშიც. ბეჰისტუნის ცნობილ წარწერაშიც, რომელშიც დაცულია ცნობა იმ ეპოქის არაერთი ქვეყნისა და ხალხის შესახებ, ქართული სამყარო საერთოდ არ მოიხსენიება. ვითარებას არსებითად არ ცვლის ზოგიერთი მკვლევარის მცდელობა ბეჰისტუნის წარწერაში მოხსენიებულ ტოპონიმ მაკაში მესხეთი დაინახონ [სახოკია 2012: 86]. უფრო დიდია ცდუნება ტოპონიმ კარკასთან დაკავშირებით. როგორც აქემენიდური წარწერების კორპუსის მთარგმნელი და გამომცემელი მაია სახოკია აღნიშნავს, აღნიშნული ტოპონიმი აგრეთვე იწვევს გარკვეულ კავკასიურ ჰიპოთეზას და მას უკავშირებენ კოლხეთს, მაგრამ კვლევის დღევანდელ ეტაპზე კარკას-კოლხეთის ერთიდაიგივეობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას [სახოკია 2012: 94]. თუმცა, ამ მიმართულებით კვლევებს, რა თქმა უნდა, აქვს პერსპექტივა და შესაძლოა გარკვეული შედეგის მომტანი იყოს.

წერილობითი წყაროების უკმარისობის პირობებში ერთადერთ ამოსავლად რჩება არქეოლოგიური მონაცემები. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიური მასალის კვლევა ხშირ შემთხვევაში მაინც ვერ სცილდება ემპირიულ დონეს და ამიტომ საკმაოდ ძნელდება სათანადო არგუმენტებით დასაბუთებული მეცნიერული შედეგების მიღწევა. ამის მიუხედავად, თუ ჩვენ დღეს შეგვიძლია კონკრეტულად ვისაუბროთ აქემენიდურ ირანსა და კოლხეთ-იბერიას შორის

არსებულ პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული და ეკონომიკური კონტაქტების შესახებ, ეს უპირველეს ყოვლისა სწორედ არქეოლოგიის დამსახურებაა და სწორედ ქართველი არქეოლოგებისა და კულტუროლოგების მიერ წამოიწია წინა პლანზე აღნიშნული საკითხების კვლევამ და ამ პრობლემებით დაინტერესება უკვე საკმაოდ მნიშვნელოვანია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ არქეოლოგიაში აქემენიდური ირანის თემა შემოიტანა იულონ გაგოშიძემ და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ის პირველი მკვლევარია, რომელმაც აღნიშნული პრობლემის მრავალპლანიანი ასპექტით შესწავლის აუცილებლობა დაასაბუთა [დანვრილებით იხ: გაგოშიძე 1984].

გასული საუკუნის 70–80–იან წლებში საქართველოში წარმოებული ინტენსიური არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დაგროვდა საყურადღებო არტეფაქტები, რომლებიც ამკარად უკავშირდება ძვ.წ. V–IV საუკუნეების ირანულ სამყაროს. ერთი მხრივ, ამ მასალის კვლევამ და მეორე მხრივ, შემორჩენილი წერილობითი წყაროებისა და აღნიშნული არქეოლოგიური მონაცემების ურთიერთშეჯერებამ ნათლად აჩვენა, რომ ძვ.წ. V–IV საუკუნეებში ირანულ–ქართული კავშირები საკმაოდ საინტერესოდ და ინტენსიურად ვითარდებოდა და ამ კონტაქტებს ჰქონდა რამდენიმე ასპექტი. საერთოდ, არქეოლოგებს შორის მიღებული თეზაა, როდესაც არქეოლოგიურ მონაპოვარში ჩნდება ქვეყნის გარედან შემოსული არტეფაქტები, ისინი უკავშირდება ეკონომიკურ კონტაქტებს და განიხილება როგორც სავაჭრო იმპორტი. ძალიან მარტივი იქნებოდა, რომ საქართველოში აღმოჩენილი ირანული ნივთებისთვისაც აღნიშნული და კარგად აპრობირებული სქემა მიგვესადაგებინა და მაშინ საკვლევიც ბევრი არაფერი იქნებოდა, მხოლოდ მოვძებნიდით ირანის იმ ცენტრებს, სადაც მზადდებოდა ესა თუ ის ნივთი, შედარებითი ანალიზის საფუძველზე დავადგენდით მიახლოებით თარიღს და ამით თემაც ამოიწურებოდა, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი ცნობების შეჯერება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ძვ.წ. V–IV საუკუნეების ირანისა და კოლხეთის ურთიერთობებში ალბათ ყველაზე ნაკლები ადგილი სწორედ სავაჭრო და ეკონომიკურ

კონტაქტებს ეჭირა და როგორც ამის დამტკიცებას ქვემოთ შევეცდები, პრიორიტეტი პოლიტიკურ და მისგან გამომდინარე რელიგიურ და კულტურულ კავშირებს ენიჭებოდა. უპირველეს ყოვლისა განვიხილოთ წერილობითი წყაროები.

უძველესი წყარო, რომელშიც დაცულია ცნობა ირანისა და კოლხეთის ურთიერთობის შესახებ, არის ჰეროდოტეს “ისტორია”. როგორც ცნობილია, შაჰმა დარიოს I-მა ირანში ჩაატარა ადმინისტრაციულ რეფორმები და იმპერია დაჰყო სატრაპიებად. ერთ–ერთი მათგანი, XIX სატრაპია აერთიანებდა სამხრეთ კოლხეთში მცხოვრებ ქართველურ ტომებს. მასში, ჰეროდოტეს ცნობით, შედიოდნენ ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, მოსხები და მარები. საკუთრივ კოლხებს ჰეროდოტე ცალკე გამოჰყოფს და აღნიშნავს, რომ ისინი არც ერთ სატრაპიაში არ შედიოდნენ. “ისტორიის მამის” გადმოცემით, დარიოსს კოლხები უშუალოდ იმპერიის შემადგენლობაში არ (თუ ვერ) შეუყვანია. კოლხების დამოკიდებულება ირანის მიმართ ნებაყოფლობითი ხარკის თუ ძღვენის გაღება იყო და ისინი ყოველ მეხუთე წელს ირანში გზავნიდნენ 100 გოგოს და 100 ბიჭს [Herod. III.94-9]. ჰეროდოტეს ცნობებს გარკვეულწილად ავსებს ბერძენი სარდალი და ისტორიკოსი ქსენოფონტე. მან ძვ.წ. 401 წელს თავის რაზმთან ერთად გაიარა სამხრეთ კოლხეთის ტერიტორია და აღნიშნავს, რომ აქ მცხოვრები ტომები (კარდუხები, მოსხები, ხალიბები, ხალდები, მაკრონები, ტიბარენები, მოსინიკები და კოლხები) აღარ ემორჩილებოდნენ ირანის სამეფო კარს და თავისუფალი იყვნენ მათგან [Anab. VII. 8. 25]. ქსენოფონტეს ცნობა განეკუთვნება ირანში შინა აშლილობის ხანას, როდესაც არტაქსერქსე II-ს აუჯანყდა საკუთარი ძმა კიროსი. როგორც ჩანს, სწორედ ამ ვითარებით ისარგებლეს კოლხეთის სამხრეთით მცხოვრებმა ტომებმა და თავი გაითავისუფლეს ირანის პოლიტიკური გავლენისაგან. ძვ.წ. 358 წელს არტაქსერქსე II-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა არტაქსერქსე III ოხი. მან შეძლო იმპერიისთვის ძველი დიდების დაბრუნება, მაგრამ ეს პერიოდი ხანმოკლე აღმოჩნდა. ოცნლიანი მეფობისა და მისი გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი დარიოს III-მ დაიკავა, რომლის მმართველობა სრული კრახით დასრულდა

აქემენიანთა ოდესღაც ძლევამოსილი სახელმწიფოსთვის. მან ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ალექსანდრე მაკედონელის უძლეველ არმიას და აქემენიდების ირანმა არსებობა შეწყვიტა. მოხმობილი ისტორიული ფაქტები თითქოს იმის პირდაპირი მონაპოვია უნდა იყოს, რომ ძვ.წ. V და განსაკუთრებით ძვ.წ. IV საუკუნეში კოლხეთის სამეფო ირანის გავლენას არ განიცდიდა, რადგან შინაური ბრძოლებითა და გარეშე მტრებით შენუხებულ ირანს ვერ უნდა მოეცალა კოლხეთში ვითარების გასაკონტროლებლად. არადა, სულ საპირისპირო სიტუაციას წარმოაჩენს არქეოლოგიური მონაპოვარი.

ირან-კოლხეთის ურთიერთობების თვალსაზრისით განსაკუთრებული ხელშესახები მასალა მოგვცა საირხის გათხრებმა. საირხე მდებარეობს ზემო იმერეთში, რაიონულ ცენტრ საჩხერიდან 3 კმ-ის მოშორებით და საკმაოდ ახლოსაა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გამყოფ პირობით საზღვართან ლიხის ქედთან. აქ XX საუკუნის 60-80-იან წლებში არქეოლოგიურ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ან განსვენებული ჯ.ნადირაძე. განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა 1982-1988 წლები, როდესაც გაითხარა კოლხი წარჩინებული პირების მდიდრული სამარხები. ჩვენი ამჟამინდელი ინტერესის საგანია №1,8,13 სამარხებისა და ე.წ. საკულტო მოედნის მონაცემები. №13 სამარხი ყველაზე ადრეულია საირხეში გათხრილ კომპლექსებს შორის და იგი ძვ.წ. V საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება [მახარაძე, წერეთელი 2007: 101] მრავალრიცხოვან მონაპოვარს შორის ყურადღებას იქცევს ოქროს საკერებელი ფირფიტა [სურ. 1- 2.] და ვერცხლის სურა [სურ. 3], რომელსაც ე.გიგოლაშვილი მცირეაზიურ (ლიდიურ) ნაკეთობად განიხილავს. თუმცა, არ გამოირიცხავს მის ადგილობრივ დამზადებას აქემენიდური ხელოვნების მიბაძვით და ფიქრობს, რომ შესაძლოა ის ყოფილიყო პოლიტიკური ძღვენის ნაწილი, ან კოლხეთში დაკვეთით შესრულებული ნივთი [გიგოლაშვილი 2005: 61].

ჩვენ ამჯერად გავინტერესებს არა თვითონ ნივთების გარეგნული ფორმა, არამედ მათზე გადმოცემული სიუჟეტები. ორივე არტეფაქტზე ანალოგიური სცენაა წარმოდგენილი. ესენია ხარისა და ლომის ანტითეზური

გამოსახულებები. ორივე ნივთის სიუჟეტი ერთი და იგივე შინაარსისაა – ლომი ამარცხებს ხარს. ცხოველთა ბრძოლის თემატიკა ფართოდაა გავრცელებული ძველი წინა აზიისა და შუამდინარეთის ხელოვნებაში, მაგრამ აქემენიდურ ირანში მან ახალი, ასტროლოგიური, მნიშვნელობა შეიძინა და აღიქმებოდა გაზაფხულის ბუნიობის სიმბოლოდ. თებერვლის დასაწყისში ირანის მეფეთა სასახლეებიდან კარგად ჩანდა, როგორ გადაეფარებოდა და როგორ “კლავდა” ხოლმე ლომის თანავარსკვლავედი ხარისას. ამ დროს კი იწყებოდა ახალი სამინათმოქმედო წელი [Hartner 1965: 11], აქემენიდურ ირანში ეს მოტივი აღიქმებოდა როგორც ზოროასტრული კალენდრის უმთავრესი დღე და უპირველესი რელიგიური დღესასწაული, როდესაც ხდებოდა შაჰის საზეიმო კორონაცია. ამიტომ ლომის მიერ ხარის დამარცხება გაიგივებული იყო სამხედრო და პოლიტიკური ძლიერებასთან და წარმოადგენდა ძლევამოსილების სიმბოლოს. კოლხეთის არქეოლოგიურ მონაპოვარში საირხის გარდა ხარისა და ლომის ბრძოლის სიუჟეტი წარმოდგენილია ვანის ძვ.წ. V საუკუნის შუა ხანებით დათარიღებულ ოქროს დიადემაზეც [ლორთქიფანიძე 1972: 11]. ძნელია დაბეჯითებით მტკიცება იმისა, თუ რა სიმბოლური დატვირთვა ჰქონდათ ვანის დიადემაზე, საირხის ფირფიტასა და სურაზე გადმოცემულ სიუჟეტებს, მაგრამ ერთი რამ აშკარად ნათელია, რომ მათი სახით საქმე გვაქვს ირანის რელიგიისა და ხელოვნების პირდაპირ გავლენასთან. ვანის დიადემის ადგილობრივი, კოლხური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს, რადგან ასეთი სახის თავსამკაული საერთოდ უცნობია კოლხეთის ფარგლებს გარეთ და მხოლოდ ვანსა და საირხეშია აღმოჩენილი [ბრაგვაძე, წერეთელი 1999: 38-46]. რაც შეეხება საირხის ოქროს ფირფიტასა და ვერცხლის სურას, არ გამოირიცხება არც ერთი ვარაუდი. შესაძლოა ისინი ადგილობრივი ნაწარმი იყოს, ან მოტანილი ირანიდან. თუ საირხული ცალები ადგილობრივი, კოლხური ნიმუშებია, მაშინ სწორედ ამ ვითარების გათვალისწინებით უფრო იზრდება მათი მეცნიერული მნიშვნელობა, რადგან კოლხმა იუველირებმა მათზე (ისევე როგორც ვანის დიადემაზე) გამოსახეს ირანული სიუჟეტი და ისიც ცხადია, რომ ოსტატები ამ შემთხვევაში ვილაცის, ანუ ამ ნივთების მფლობელთა

დაკვეთას ასრულებდნენ. აღნიშნულ თემას ქვემოთ კვლავ დავუბრუნდები, რადგან ასეთი ჰიპოთეზის მართებულად გააზრებისთვის საჭიროა შევეხოთ საირხეში აღმოჩენილ კიდევ სამ ნივთს, ცხენის საშუბლე ოქროს მედალიონებს №8 სამარხიდან [სურ.4], №1 სამარხში აღმოჩენილ ოქროს საყურეს [სურ. 5] და საკულტო მოედანზე დაფიქსირებულ მინის ფიალას [სურ. 6].

საქართველოს ტერიტორიაზე აქემენიდური პერიოდის სულ ორი მინის ფიალაა აღმოჩენილი. ერთი მათგანი მიკვლეულია ალგეთში [საგინაშვილი, გაგოშიძე 1973: 84-92], ხოლო მეორე—საირხეში. სათანადო გამოკვლევით დადგენილია, რომ საირხის ფიალა ძვ.წ. V საუკუნის შუა ხანებით თარიღდება და საქართველოში გამოვლენილი მინის უძველესი ნიმუშია [საგინაშვილი, მახარაძე 1999: 47-50]. როგორც აღინიშნა, მინის ფიალა აღმოჩნდა სამარხებთან გამართულ საკულტო მოედანზე და ეს ძალიან მნიშვნელოვან მომენტად გვეჩვენება, რადგან შემდეგი განსახილველი არტეფაქტები, აჭურამაზდას გამოსახულებიანი ოქროს მედალიონები, რომლებიც საირხის გარდა საქართველოს სხვა არც ერთ არქეოლოგიურ ძეგლზე არ არის მიკვლეული, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ძვ.წ. V–IV საუკუნეების კოლხეთის რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესახებ. ზოროასტრიზმის მთავარი ღვთაება აჭურამაზდა საკმაოდ პოპულარული კულტი იყო ძველ საქართველოში. სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც აღნიშნულია, რომ იბერიის სამეფოს უპირველესი ღვთაება არმაზი სხვა არაფერია, თუ არა აჭურამაზდას ადგილობრივი ვარიაცია [გველესიანი 2000: 49-60]. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის (ქართლის ცხოვრების) თანახმად, ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა არმაზი უმთავრეს კერპად იმის გამოც აქცია, რომ მისი სახელი სპარსულად არმაზს ნიშნავდა [ლეონტი მროველი 1955: 23]. ეტიმოლოგიური თვალსაზრისით არც თუ ძნელი უნდა იყოს მსგავსება აჭურამაზდას, არმაზს და ფარნავაზს შორის. უკვე აღინიშნა, რომ საირხის სამაროვანზე სამარხების გარდა განმედილი იქნა საკულტო მოედანიც, სადაც მრავლად აღმოჩნდა დამწვარი ხის (წაბლის) ნაშთები. დამწვარი ხის ფრაგმენტებთან ერთად შემორჩენილი იყო

სხვადასხვა შესანიშნავი ნივთები, მათ შორის მინის ფიალის ფრაგმენტებიც. ეჭვს გარეშეა, რომ საირხელების დაკრძალვის რიტუალში ცეცხლს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ცეცხლის და აჭურამაზდას გამოსახულების აღმოჩენის ფაქტები იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ ძველ საირხეში აქემენიდური ირანის ოფიციალური რელიგია ზოროასტრიზმი უცნობი მოვლენა არ იყო. კვლევის ამ ეტაპზე ძნელია დაბეჯითებით იმის მტკიცება, რომ კოლხეთის ამ ნაწილში ირანული რელიგია ოფიციალური სახით არსებობდა თუ არა, მაგრამ ერთი რამ ეჭვს მაინც არ უნდა ინვევდეს. ჩემი აზრით, ძვ.წ. V–IV საუკუნეების საირხეში და ზოგადად, აღმოსავლეთ კოლხეთში საქმე უნდა გვექონდეს ზოროასტრიზმის რალაც ადგილობრივ გამოვლინებასთან, რადგან კლასიკური მაზდეანობისთვის წარმოუდგენია მიცვალებულის დამარხვა მიწაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიწა, წყალი და ცეცხლი აჭურამაზდას სამი წმინდა გამოვლინებაა და კატეგორიულად მიუღებელია მიცვალებულის სხეულის, როგორც უწმინდური სუბსტრატის შეხება მათთან.

კიდევ ერთი არქეოლოგიური არტეფაქტი, რომელიც აქემენიდურ ირანსა და კოლხეთს შორის ურთიერთობას ადასტურებს, არის საირხის №1 სამარხში აღმოჩენილი ძვ.წ. IV საუკუნის საყურე [სურ. 5]. ასეთი ტიპის სამკაული სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება აქემენიდური ხელოვნების ტიპიურ ნიმუშებად და საკმაოდ რაოდენობითაა გამოვლენილი სუზასა და პასაგრადეში [Stro-nach 1973:168-178]. საირხე საქართველოში მეორე პუნქტია, სადაც ეს საყურეები იქნა აღმოჩენილი. კიდევ ერთი წყვილი მსგავსი საყურე დასტურდება ე.წ. “ახალგორის განძში” [ლორთქიფანიძე 2003: 31].

როგორც მოხმობილმა მასალებმა აჩვენა, კოლხეთში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნიმუშები (ოქროს და ვერცხლის ნაწარმი) მიეკუთვნება ირანულ სამყაროს. ამ ორი ცივილიზაციის ინტენსიურ კონტაქტებზე მეტყველებს ასევე ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ნივთების ძალიან ხშირი აღმოჩენის შემთხვევები საქართველოს ძვ.წ. V–IV საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე. მხედველობაში მაქვს ჩვეულებრივი თიხის ჭურჭელი, რომელიც გარეგნული ფორმითა და შემკულობის მანერით აშკარად განსხვავდე-

ბა ადგილობრივი კერამიკული ნაწარმისაგან. ესაა ნითლად მოხატული დოქები, რომლებიც საქართველოს უკვე არაერთ არქეოლოგიურ ძეგლზეა მიკვლეული და მათი აღმოჩენების გეოგრაფიული არეალი მოიცავს თითქმის მთელ შიდა ქართლს, ქვემო ქართლს, მესხეთს, იმერეთს [Нариманишвили 1991: 79-102] და მათი ირანული წარმომავლობა მკვლევართა შორის ეჭვს არ იწვევს. კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლებიდან ასეთი ტიპის დოქები აღმოჩენილია ვანში [Lordkipanidze 1996: ტაბ.72. სურ.4], ძვერში [ბრაგვაძე 2003: 89], საირხესა [ნადირაძე 1990: 77], და ითხვისში [სურ. 10] [გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2006: 43-44]. რა თქმა უნდა, მოხატული დოქების ასეთი მრავალრიცხოვანი აღმოჩენის შემთხვევები გვაფიქრებინებს, რომ მათ ჰქონდათ ყოველდღიური, პრაქტიკული გამოყენება და ისინი კოლხეთის ტერიტორიაზე, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, მოხვდა ირანსა და ქართულ სახელმწიფოებს შორის ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგად.

ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ფიჭვნარში ბერძნულ სამაროვანზე აღმოჩენილი აქემენიდური წარმომავლობის სანელსაცხებლე Kohl-Tube, რომელიც ა.კახიძის აზრით, აქ უნდა მოხვედრილიყო აღმოსავლეთ საქართველოდან, რასაც ავტორი უკავშირებს კლასიკურ და ელინისტურ ხანაში ქართლის რეგიონებსა და ირანულ სამყაროს შორის არსებულ მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს [კახიძე 2008: 53]. საქართველოში აღმოჩენილ Kohl-Tube-ების თემას საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა მ.საგინაშვილმა, რომლის მოსაზრებითაც, ისინი ირანიდან თავდაპირველად ვრცელდება აღმოსავლეთ საქართველოში სახმელოთ გზით, ხოლო შემდეგ ხვდება კოლხეთის ტერიტორიაზე [საგინაშვილი 2000: 76].

საინტერესო სურათს იძლევა ძვ.წ. V-IV საუკუნეების კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშები. კერძოდ, ვანში და საირხეში აღმოჩენილი ე.წ. ვერძისთავებიანი სამაჯურები (სურ.8) ა.ჭყონიას აზრით, დამზადებულია საკუთრივ კოლხეთში აქემენიდური მოდელის გამოყენებით [ჭყონია 2013: 117-121]. თუმცა, ამ სტილის აქემენიდური წარმომავლობა ეჭვსგარეშეა.

აქვე აღვნიშნავ, რომ საირხის მდიდრულ

სამარხები ზემოთ უკვე ნახსენები არტეფაქტების გარდა შეიცავს ძვ.წ. V-IV საუკუნეების ირანული წარმომავლობისა თუ აქემენიდური ხელოვნების მიბაძვით დამზადებულ ოქროსა და ვერცხლის ნიმუშებს. ბუნებრივია, თითოეული მათგანი ცალკე განხილვისა და კვლევის საგანია. ამჯერად მხოლოდ მათი ზედაპირული ჩამოთვლით შემოვიფარგლებით, რათა დაინტერესებულ მკითხველს შეძლებისდაგვარად ზუსტი წარმოდგენა შეექმნას კლასიკური ხანის საირხეში აქემენიდური ხელოვნებისა და ყოფითი კულტურისთვის დამახასიათებელი ნივთების რაოდენების შესახებ. აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ ირანული წარმომავლობის ნიმუშები გამოვლინდა საბადურის გორის №1, 5, 8, 10 და 13 სამარხებში. ეს ნივთებია: ოქროს საკერებლები არწივებისა და იხვების გამოსახულებით (სამარხი №5) [მახარაძე, წერეთელი 2007: სურ. 9-10]; ჯიხვის მცირე ოქროს ქანდაკება-საკიდი (სამარხი №8) [მახარაძე, წერეთელი 2007: სურ. 89]; ოქროს ნახევარმთვარისებური საკიდი, ვერცხლის სურა, ვერცხლის ფიალა და ვერცხლის კოვზი (სამარხი №10) [მახარაძე, წერეთელი 2007: სურ. 27, 126, 127, 128]; ოქროს ყელსაბამი ვერძისთავების გამოსახულებით, ხარის თავის ოქროს საკიდი, ვერცხლის სურა, ვერცხლის ომფალოსიანი ორი ფიალა, ვერცხლის ოქროს ომფალოსიანი ფიალა, ვერცხლის ორი კოვზი (სამარხი №13) [მახარაძე, წერეთელი 2007: სურ. 33, 34, 149, 150, 157, 159, 160]; საკერებელი ფირფიტები არწივების გამოსახულებით (საკულტო მოედანი) [მახარაძე, წერეთელი 2007: სურ. 36]. წარმოდგენილი ნიმუშები შეიძლება არც თუ ისე მრავალრიცხოვანია, მაგრამ თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩვენი ცოდნის დღევანდელ ეტაპზე საირხე გვევლინება ძველი კოლხეთის იმ მცირერიცხოვან არქეოლოგიურ ძეგლად, სადაც ირანული წარმომავლობის ორ ათეულზე მეტი ნივთია გამოვლენილი და ეს რეალობა მის მეცნიერულ მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებს.

ამავე კონტექსტითაა განსახილველი მთისძირში აღმოჩენილი ირანული ტორევიტიკის მიბაძვით დამზადებული, ვერცხლის რიტონი [იხ. გამყრელიძე 1982: 73-80; Gamkrelidze 1998: 211-219; Гамкრелиძე 1992: 67-82] (სურ. 9). სოფ. მთისძირის სამარხში

შესაძლოა დაკრძალული ყოფილიყო საზოგადოებრივ იერარქიაში საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგომი წარჩინებული პირი, რომელიც ალბათ, მეორეხარისხოვან როლს არ ასრულებდა კოლხეთის სამეფოს ამ ნაწილის მართვა-გამგეობის საქმეში [Gamkrelidze 2009: 204-214].

დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ სავაჭრო კონტაქტების გარდა აქემენიდურ ირანსა და კოლხეთს შორის უნდა არსებულიყო მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობაც. მართალია წერილობითი წყაროები ამ კუთხით ბევრს ვერაფერს გვეუბნება, მაგრამ ჩვენს განკარგულებაში არსებული არქეოლოგიური არტეფაქტები არ გამორიცხავენ ასეთი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას. უკვე აღინიშნა, რომ დარიოს I-ის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად ირანმა თავისი გავლენა განავრცო მისგან ჩრდილოეთით მდებარე მინა-წყალზეც, მათ შორის ქართული ტომებით დასახლებულ ტერიტორიებზეც. საგულისხმოა, რომ კოლხეთში სახელმწიფოს ჩამოყალიბება ემთხვევა ირანში დარიოს I-ის მეფობის ხანას. სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია აზრი, რომ კოლხეთში სახელმწიფო შეიქმნა ძვ.წ. VI საუკუნეში და ამ სამეფოს აღმავლობის პერიოდად მიჩნეულია ძვ.წ. VI–IV საუკუნეები [ინაძე 1961: 783-790], ანუ აქემენიდური ირანის ძლიერების ხანა. ბუნებრივია, სახელმწიფო ორგანიზაცია გულისხმობდა ქვეყნის მართვა-გამგეობის მონესრიგებას და ადმინისტრაციული ერთეულების შექმნასაც. ძველი ბერძენი გეოგრაფოსისა და ისტორიკოსის სტრაბონის ცნობით, კოლხეთის სამეფო დაყოფილი ყოფილა სკეპტუხიებად [Strabo. X.12]. სკეპტუხია იყო ტერიტორიულ პრინციპზე შექმნილი ადმინისტრაციული ერთეული და მას სათავეში ედგა სკეპტუხი, რომელიც კოლხეთის ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან აღჭურვილი იყო საგანგებო საერო და სასულიერო უფლებებით. კოლხეთის არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით არავინ დაობს იმის შესახებ, რომ ძვ.წ. V–IV საუკუნეებში ვანი და საირხე წარმოადგენდნენ სწორედ სკეპტუხიის მთავარ ცენტრებს და ის მდიდრული სამარხებიც, რომლებიც შესწავლილია ამ ორ პუნქტში, სწორედ სკეპტუხთა საკუთრებაა [ბრაგვაძე 1998: 67-68]. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ დარიოს I-ის

რეფორმების შედეგად ირანის იმპერიაში შეიქმნა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები სატრაპიები. მართალია, სატრაპია გაცილებით ფართო მინა-წყლის მომცველი ერთეული იყო სკეპტუხიასთან შედარებით, მაგრამ ორივე მათგანს საფუძვლად ედო ერთი და იგივე პრინციპი – გარკვეული ოლქის მართვა-გამგეობა და სახელმწიფოს ინტერესის დაცვა. ძველი კოლხეთის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ სტრაბონის უაღრესად ზოგადი ცნობის გარდა, სხვა არავითარი გადმოცემა არ გავაჩნია, მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება გარკვეული დახმარება გავგინიოს ცოტა მოგვიანო ხანის ქართლის (იბერიის) სამეფოში მეფე ფარნავაზის მიერ გატარებულმა ანალოგიურმა ღონისძიებამ. “ქართლის ცხოვრების” საისტორიო ტრადიციის მიხედვით, ფარნავაზმა სამეფო დაყო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, საერისთაოებად და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, მან ეს რეფორმა გაატარა და სამეფო მოაწყო “სპარსთა სამეფოს მსგავსად” [ლეონტი მროველი 1955: 23]. ანუ სახელმწიფოს მოწყობის ირანული მოდელი ქართლის (იბერიის) სამეფოში ამოქმედდა აქემენიდების სახელმწიფოს განადგურების შემდეგ, ძვ.წ. III საუკუნეში. ჩემი აზრით, ეს მეტად საყურადღებო გადმოცემაა, რადგან კარგად წარმოაჩენს, რომ ირანში შემუშავებული და განხორციელებული რეფორმები ამ სამეფოს შემდეგაც აქტუალური და მისაბაძი იყო. “ქართლის ცხოვრების” ამ გადმოცემაში სხვა მნიშვნელოვანი მომენტის დანახვაც შეიძლება. კერძოდ კი ის, რომ შედარებით გვიან წარმოქმნილი მეორე ქართული სამეფო (ქართლი-იბერია) პირადად იმეორებს სახელმწიფო მოწყობის იმ სისტემას, რომელიც არსებობს კოლხეთში. იზადება კითხვა, რატომ ან ვისი მიზანით შეიქმნა კოლხეთში სკეპტუხიები და სინამდვილეში რა ენოდეობდა ამ ერთეულებს. სტრაბონი კოლხეთის ტერიტორიული ერთეულების აღმნიშვნელ ტერმინად ბერძნულ სიტყვას, სკეპტუხიას იყენებს. ცხადია, მისი ინტერესის საგანი ვერ იქნებოდა სკეპტუხიის შესაბამისი ირანული ან საკუთრივ კოლხური ტერმინის გამოყენება და როგორც ჩანს, მან ეს შესატყვისები არც იცოდა. ამიტომ შეიძლება გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ იმას რასაც სტრაბონი სკეპტუხიად

მოიხსენიებს, სინამდვილეში სულ სხვა სახელი ერქვა და იგი უკავშირდებოდა ირანულ ონომასტიკონს, რადგან მიმაჩნია, რომ კოლხეთში სკეპტუხები სწორედ ირანის სამეფო კარის უშუალო ჩარევით უნდა შექმნილიყო. მეტიც, კვლევის ამ ეტაპზე ვვარაუდობ, რომ თვით სახელმწიფო ორგანიზაციის ჩამოყალიბება კოლხეთში პირდაპირ უკავშირდება ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს კავკასიაში. ჰეროდოტე დანვრილებით აღწერს იმ ბრძოლებს, რომელსაც დარიოს I აწარმოებდა მომთაბარე სკვითებთან. ეს მომთაბარეები დიდ პრობლემებს უქმნიდნენ მეზობლებს და მათ შორის ირანსაც. როგორც ჩანს, ირანის სამეფო კარს კავკასიაში სჭირდებოდა დასაყრდენი ძალა, რომლის მეშვეობითაც შეძლებდა სკვითებისა და შემდეგში სარმატების თავდასხმების აცილებას. ვინაიდან კოლხეთი უშუალოდ ემიჯნებოდა კავკასიონის ქედს, საჭირო იყო აქ მძლავრი სახელმწიფო ორგანიზაციის არსებობა, რათა მყარად ჩაკეტილიყო კავკასიონის გადასასვლელები და ამ მომთაბარე ტომების შემაკავებელ ძალად სწორედ ირანის მეგობარი სახელმწიფო კოლხეთი უნდა ქცეულიყო. ამდენად, ძლიერი და სახელმწიფოებრივად კარგად ორგანიზებული კოლხეთი ირანის ინტერესსაც წარმოადგენდა, რადგან ეს კარგ გარანტიას ქმნიდა ჩრდილოეთიდან ირანზე თავდასხმების შესაკავებლად. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ გამოირიცხება ვარაუდი, კოლხეთის სახელმწიფოს შექმნაში ირანის აქტიური როლისა და უშუალო მონაწილეობის შესახებ, რადგან საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის ირანს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთიანი და ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება უფრო აწყობდა, ვიდრე ცალკეული სუსტი ტომობრივი გაერთიანებები. ამიტომ ჰგავს ასე კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური ორგანიზაცია აქემენიდური ირანისას. ახლა ძნელია გადაჭრით იმის მტკიცება, კოლხეთის ადმისტრაციული ერთეულების მმართველები (სკეპტუხები) იყვნენ ირანელი მოხელეები, თუ ადგილობრივი წარჩინებული პირები. არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, მეორე შემთხვევა უფრო სარწმუნო ჩანს, რადგან ადგილობრივი დანიანურებული პირების აღჭურვა საგამგეო ფუნქციებით უფრო მისაღები იქნებოდა ირა-

ნისთვისაც და ეს კოლხეთის მოსახლეობის უკმაყოფილებასაც არ გამოიწვევდა. და რაც არანაკლებ ნიშანდობლივი ფაქტია, ვანის და საირხის დიდებულთა დაკრძალვის რიტუალის შესწავლით ირკვევა, რომ ეს პირები არ არიან ირანის ოფიციალური რელიგიის, ზოროასტრიზმის მყარი მიმდევრები, თუნდაც იმის გამო, რომ მინაში იმარხებიან და სხვებსაც აძლევენ ამის უფლებას, მაგრამ უკვე აღვნიშნეთ, რომ საირხეში და ზოგადად, აღმოსავლეთ კოლხეთში, საქმე გვაქვს მაზდეანობის რაღაც ლოკალურ ვარიანტთან. შემთხვევითი არც ის გვეჩვენება, რომ აქემენიდების სახელმწიფოს დამხობის შემდეგ, საირხის სკეპტუხთა შტოც არსებობას წყვეტს. საირხის სამაროვანზე ყველაზე გვიანდელი მდიდრული სამარხი ძვ. IV–III საუკუნეთა მიჯნას ეკუთვნის [ნადირაძე 1990: 84], ანუ იმ ეპოქას, როდესაც აქემენიანთა დინასტიამ არსებობა დაასრულა. ძვ.წ. IV–III საუკუნის მიჯნის შემდეგ საირხეში მდიდრული სამარხები საერთოდ ქრება. სამეცნიერო ლიტერატურაში კი ეს მოვლენა დაკავშირებულია სკეპტუხთა შტოს პოლიტიკური და სოციალური კონტინუიტეტის დაკარგვასთან [ბრაგვაძე 1998: 73]. ყოველივე ამ მსჯელობიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ საირხეში აღმოჩენილი ირანული არტეფაქტები შეიძლება განვიხილოთ როგორც სამხედრო-პოლიტიკური და კულტურულ-რელიგიური ურთიერთობების შედეგი. ირანის მეფეები და სატრაპები კოლხეთის სკეპტუხებს, როგორც საკუთარ ქვეშევრდომებსა და მოკავშირეებს, ერთგულების ნიშნად უგზავნიდნენ ძვირფას ძღვენს და სწორედ ამ ძღვენის ნაწილია, ჩემი აზრით, საირხის სამარხებში (ისევე როგორც ვანის სამარხებში!) შემორჩენილი აქემენიდური წარმომავლობის ოქროსა და ვერცხლის მაღალმხატვრული ნიმუშები.

წინამდებარე სტატიის თემა და სათაური თავისთავად გვიბიძგებს, პასუხი გავცეთ კითხვას, რომელიც აუცილებლად გაუჩნდება მკითხველს: იყვნენ თუ არა აქემენიდები კოლხეთში? ჩვენი ცოდნის ამ ეტაპზე მათი უშუალო ყოფნა კოლხეთში არ დასტურდება და თუ ძვ.წ. V–IV საუკუნეების ზოგად ისტორიულ ვითარებას გავითვალისწინებთ, აქ მათი ყოფნის საჭიროება არც იყო. უკვე აღინიშნა, რომ დასავლეთ საქართველოში

ირანი საკუთარ პოლიტიკას ახორციელებდა მათ სამსახურში მდგარი ადგილობრივი მოხელეების (სკეპტუხების) მეშვეობით; ანუ კოლხეთი ისედაც წარმოადგენდა მათი სამხედრო-პოლიტიკური გავლენის ზონას და არ არსებობდა აქემენიდების ჯარის მუდმივად დგომის აუცილებლობა. ის მნიერი წერილობითი ცნობები, რომლებიც კოლხეთის შესახებ მოგვეპოვება, არსად გაკვრითაც არ ახსენებენ იმ ფაქტს, კოლხეთში ანტიირანული განწყობა არსებობდა. უკანასკნელი წლების არქეოლოგიური აღმოჩენები ყარაჯამირლის მიდამოებში (დასავლეთ აზერბაიჯანი) [Knaus, Gagoshidze, Babaev 111-112] ნათლად ადასტურებს, რომ სამხრეთ კავკასიაში ეს არის ერთად-ერთი პუნქტი, სადაც შეიძლება დანამდვილებით ყოფილიყო აქემენიდური ირანის დიდი მოხელის, სატრაპის, რეზიდენცია [Бабаев, Гагошидзе, Кнаусс 2009: 92-96]. კვლევის ამ ეტაპზე არ გამოვრიცხავთ ვარაუდს, რომ ირანის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონებში და მათ შორის, კოლხეთის სამეფოშიც, სწორედ აღნიშნული სასახლიდან ხორციელდებოდა.

ლიტერატურა:

ბრაგვაძე 1998. ზ. ბრაგვაძე, საირხე კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიის ცენტრი. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის “ნარკვევები” IV. თბ.1998.

ბრაგვაძე, წერეთელი 1999. ზ. ბრაგვაძე, მ. წერეთელი, კოლხურ დიადემებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის “ნარკვევები” V. თბ.1999.

ბრაგვაძე 2003. ზ. ბრაგვაძე, ძვერის გვიანანტიკური ხანის სამარხები. საქ. მეცნ. აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო ჟურ. “ძიებანი” №12. თბ.2003.

ბრაგვაძე 2009 ზ.ბრაგვაძე, აქემენიდური ირანი და ძველი კოლხეთი, Bulletin of the AGIBAS, №7, თბ.2009.

ბრაგვაძე 2011 ზ.ბრაგვაძე, აქემენიდური ირანის როლი ძველი კოლხეთის ისტორიაში, “საქართველო-ირანი; წარსულის გამოცდილება, სამომავლო პერსპექტივები” თეირანი 2011.

გაგოშიძე 1984. ი.გაგოშიძე, საქართველო ქრისტეშობამდე ძვ.V-I საუკუნეებში. რეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1984.

გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2006. ი.გაგოშიძე, ნ.გოგიბერიძე, გ.მახარაძე. ითხვისის სამაროვანი. არქეოლოგიური ჟურნალი. №4. თბ.2006.

გამყრელიძე 1982. გელა გამყრელიძე. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, მეცნ. აკად. გამომც. “მეცნიერება”, თბ., 1982.

გველესიანი 2000. მ. გველესიანი, არმაზის კერპის საკითხისათვის. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის “ნარკვევები” VI. თბ.2000.

გიგოლაშვილი 2005. ე.გიგოლაშვილი, ვერცხლის ჭურჭელი საირხიდან. ჟურ. იბერია-კოლხეთი, №2. 2005

ინაძე 1961. მ.ინაძე, კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა საკითხისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ.26. ნაკვეთი 6. თბ.1961.

კახიძე 2008. ამ. კახიძე, ირანული მინის ჭურჭელი ფიჭვნარის ძვ.წ. V ს. ნეკროპოლიდან. ჟურ. იბერია-კოლხეთი, №4. თბ. 2008.

ლეონტი მროველი 1955. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. “ქართლის ცხოვრება” I. თბ.1955.

ლორთქიფანიძე 1972. ოთ. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი, ვანი I, თბ.1972.

ლორთქიფანიძე 2003. ოთ. ლორთქიფანიძე, ახალგორის განძი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო ჟურ. “ძიებანი” №11. თბ.2003.

მახარაძე, წერეთელი 2007. გ.მახარაძე, მ.წერეთელი. საირხე. თბ.2007.

ნადირაძე 1990. ჯ.ნადირაძე, საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი. თბ.1990.

საგინაშვილი, გაგოშიძე 1973. მ. საგინაშვილი, ი. გაგოშიძე, ალგეთის ფიალა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის “მაცნე” ისტ., არქ., ეთნოგ. და ხელოვნების ისტორიის სერია, №4. თბ.1973.

საგინაშვილი, მახარაძე 1999. მ.საგინაშვილი, გ.მახარაძე, აქემენიდური ხანის მინის ფიალა საირხიდან, საკითხი, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის “ნარკვევები” V. თბ.1999.

საგინაშვილი 2000. მ.საგინაშვილი, მინის სანელსაცხებლების ოკლ-თუბე-ების გავრცელება საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო ჟურ. “ძიებანი” №5. თბ.2000.

სახოკია 2012. აქემენიდთა ძველსპარსული წარწერები. თარგმანი ძველსპარსულიდან მაია სახოკიასი. თბ. 2012.

ჭყონია 2013. ან. ჭყონია, ძველი კოლხეთის კონტაქტები აქემენიდურ სამყაროსთან (ოქროს სამაჯურები). ჟურ. იბერია-კოლხეთი, №9. 2013.

Бабаев, Гагошидзе, Кнаусс 2009. И. Бабаев, Ю. Гагошидзе, Ф. Кнаусс, Раскопки дворцовых зданий ахеменидского времени вблизи селения Гараджамирли Шамкирского района Азербайджан – страна, связывающая восток и запад. Обмен

знаниями и технологиями в период «первой глобализации» VII-IV тыс. до н.э. Международный симпозиум. Баку. 2009.

Брагвадзе 2012. З. Брагвадзе, Иран при Ахеменидах и Древняя Колхида. "Культуры Степной Эвразии и Их Взаимодействие с Древними Цивилизациями". Санкт-Петербург 2012.

Гамкрелидзе 1992.– Гамкрелидзе Г., К Археологии долины Фасиса. Тбилиси.

Нариманишвили 1991. Г. Нариманишвили. Керамика Картли V-I вв. до н.э. Тб. 1991.

Gamkrelidze 1998. Gamkrelidze Gela, Ein Rhyton mit Götterdarstellung aus der Kolchis, Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, Band 30, Berlin, 1998, S. 211-219, 2 Abb.

Gamkrelidze 2009. Gamkrelidze Gela, TWO SILVER RHYTONS FROM WEST GEORGIA – COLCHIS (Mtisdziri and Gomi), Journal Iberia-Colchis, #5, Published by National Museum of Georgia Tb., 2009, pp. 204-214.

Knaus. Gagoshidze. Babaev. Florian Knaus, Iulon Gagoshidze, Ilias Babaev. A Persian Propyleion in Azerbaijan Excavations at Karacamirli. <http://www.pontos.dk/publications/books/bss-11-files/bss-11-knauss>.


Lordkipanidze 1996. O. Lordkipanidze. Vani Ein Antikes Religioses Zentrum Im Lande Des Goldenen Vlieses (Kolchis). Mainz. 1996.

Hartner 1965. W. Hartner. The Earliest History of the Constellations in the Near East and the Lion-Bull Combat, JNES, XXIV, 1965, N1-2.

Stronach 1973. D. Stronach, Pasagradæ. A report on the excavations conducted by the British Institute of Persian Studies from 1961 to 1963. Oxford. 1973.

სურათების აღწერილობა:


- სურ. 1. ოქროს ფირფიტა. ძვ.წ. V ს. საირხე.
- სურ. 2. ოქროს ფირფიტაზე გამოსახული ლომისა და ხარის ბრძოლის სცენის გრაფიკული ჩანახატი.
- სურ. 3. ვერცხლის ფიალა. ძვ.წ. V ს. საირხე.
- სურ. 4. აჭურამაზდას მედალიონები. ძვ.წ. IV ს. საირხე.
- სურ. 5. ოქროს საყურე. ძვ.წ. IV ს. საირხე.
- სურ. 6. აქემენიდური მინის ფიალა. ძვ.წ. V ს. საირხე.
- სურ. 7. აქემენიდური მინის ფიალის გრაფიკული ჩანახატი.
- სურ. 8. ოქროს ვერძის თავებიანი სამაჯური. ძვ.წ. IV ს. საირხე.
- სურ. 9. ვერცხლის რიგონი. ძვ.წ. IV ს. სოფ. მთისძირი, (გ. გამყრელიძის რეკონსტრუქცია).
- სურ. 10. მოხატული დოქი. ძვ.წ. IV ს. ითხვისი.



1



2



3





4



5



6



7



8



9



10

ორგანოფილქიანი ლუმელი

შიდა ქართლის გორანამოსახლარებზე და-
მონმებული სახლის სამშენებლო ტრადიცია და
ინტერიერის მოწყობის პრინციპი ანალოგებს
ჰპოვებს სამთავროს გვიანბრინჯაო-ადრერ-
კინის ხანის ნამოსახლარზე – სამთავრო I
გათხრილ სახლებში; ნახევრადმინური სახლის
კედლები ქვაბულის ზედაპირამდე ქვა-ტა-
ლახით იყო ნაგები; მიწის ზევით კი, სავარაუ-
დოდ, ორმხრივ თიხალესილი ხე-ლასტის კე-
დლებით იქნებოდა დასრულებული. ხის ძეღე-
ბზე განყოფილი, თიხატყეპნილი, ბანური სახუ-
რავი კედლებს, პილასტერებსა და შუა ბოძზე
ან ბოძების რიგზე გადებულ თავხეს ეყრდ-
ნობოდა. იატაკი უმთავრესად თიხატყეპნილი
ჰქონდა. სახლები მეტწილად ერთი, იშვიათად
ორსენაკიანი (№№ 1,3) იყო. ძირითადი სათავ-
სის ზურგის მარცხენა კუთხეში გვხვდება ორ-
განყოფილებიანი ლუმელი, მისგან მარჯვნივ –
ეთნოგრაფიულ ყოფაში ცნობილ “ანგელოზის
კუთხეში” [ჩიტაია გ. 1951: 376] კი საკუთხე-
ველი. საკუთხეველის წინ, სახლის (№№ 1,2,5)
მარჯვენა მხარეს მართავდნენ ქვის ფილებით
მოზღვავებულ საქონლის სადგომს – ბაგა-სა-
ნერწყულიან ზღვეს. სახლებისათვის დამახა-
სიათებელი იყო აგრეთვე სამეურნეო ორმო,
კერა, მერხი, თახჩა-თაროები და სხვ. სახეზეა
გარკვეული სამშენებლო ტრადიცია, ინტერიერ-
ის განყოფილის მყარად ჩამოყალიბებული პრინ-
ციპი და სავალდებულო ელემენტები (ტაბ. I^{1,6}).

სამთავროს სახლის (№№ 1,2,4,5,6,7) ინ-
ტერიერის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია
ორგანოფილქიანი ლუმელი¹, რომელიც
უმეტესად ზურგის მარცხენა კუთხეში (№№
1,2,5,6) გვხვდება (ტაბ. I¹⁻⁶). მარცხენა კუთხი-
დან ლუმელის ოდნავ წინ ან მარჯვნივ გადაწ-
ევის ფაქტი ცნობილია ხოვლეგორის ე. წ.
“მზიანი” ნაგებობის D ოთახის [მელითაური კ.
1973: გვ. 3,4], ნარეკვავზე 1983 წელს გათხრი-
ლი მეორე სახლისა [სადრადე ვ, დავლიანიძე რ.
1983: გვ. 4] და სამთავროს მეოთხე და მეშვიდე
სახლის მაგალითზე. მსგავსი შემთხვევები იშ-

ვიათია.

ლუმელს თაღოვანი გადახურვა, მარცხნივ
საცხოობი და მარჯვნივ საცეცხლე განყოფილე-
ბა, ერთი (№№ 4,5,7) ან ორი (№№ 1,2) სანაცრე
და საცხოობის ჩამოსწვრივ (№№ 1,2), კედელზე
ამოკვეთილი, პატარა ნიში (გამოღრმავებუ-
ლი ადგილი კედელში, რისამე შესადგმელად)
[ქეგლ. 1986: 359] ჰქონდა (ტაბ. I^{2,3,6}) [აფაქიძე
ა. და სხვ. 1978: გვ. 112,115]. ასეთი ნიში დამ-
ახასიათებელი ყოფილა ხოვლეგორის ე.წ.
“ხახალიანი” ნაგებობისა [მელითაური კ. 1973:
გვ. 1,2] და ნარეკვავის (თახჩა?) ნამოსახლარზე
გათხრილი ორი სახლის (№№ 1,2) [აფაქიძე ა.
და სხვ. 1978: გვ. 145,146, სურ. 29,353,355,356]
ლუმელისათვის.

მე-2 სახლის ლუმელს საცეცხლეს ზურგ-
თან პატარა თარო, ხოლო იატაკზე, ძირი-
თად სანაცრესთან დაკავშირებული, ნაცრის
გამოსაყრელი – სასულე ხვრელი ჰქონდა
(ტაბ. I^{2,3}) [აფაქიძე ა. და სხვ. 1978: გვ. 115-116;
Гиунашвили Г.Д, Мелитаури К.Н. 1979: стр. 505-
508]. ასეთი პატარა თარო ჰქონდა არადეთის
ორგორის ჩრდილოეთის გორის ლუმელიანი
სათავსისა [გაგომიძე ი. და სხვ. 1986: გვ.57-58,
სურ. 1] და ნარეკვავზე 2000 წელს გათხრილი
№2 სახლის (კალანდაძისგორა III, II ტერასა;
ძვ.წ. VIII-VI სს.) ლუმელის საცეცხლეს, რო-
მელიც გამთხრელებმა “შემის დასაწყობად
და ცეცხლის სწრაფად გასაღვივებლად” გა-
კეთებულად მიიჩნიეს [აფაქიძე ა. და სხვ. 2001:
გვ. 6-8]. საგულისხმოა სულხან-საბასეული
განმარტება სიტყვისა – კერა მუგუზის თა-
ვის სადები, მუგუზის თავის დასადებელი
(მუგუზი ცეცხლკიდეებული, ცეცხლიანი შეშა)
[ორბელიანი სს. 1949: 366,526]; მუგუზალი (მუ-
გუზისა) ცეცხლმოკიდეებული შეშა [ქეგლ.
1986: 343].

საკუთრივ ნაცრის გამოსაყრელი - სა-
სულე ხვრელები დამონმებულია ხოვლეგორის
“ხახალიანი” ნაგებობის (ძვ.წ. XIII ს) [მელითაუ-
რი კ. 1973: 1], არადეთის ორგორის ჩრდილო-
ეთის გორის ლუმელიანი სათავსის (ძვ.წ. IX-VII
სს) [გაგომიძე ი. და სხვ. 1986: გვ.57-58, სურ. 1]²,

1 . “ლუმელი არს პურის საცხოობი” [ორბელიანი სს.
1949: 312-313]; “ლუმელი კედელთა შინა კამაროსანი
საცეცხლე პურთა საცხოობელად და საჭმელთა
შესანველად” [იქვე: გვ. 67, იხ. “საცეცხლე”].

2 . არადეთის დედოფლის გორის ლუმელის

ნარეკვავის: 1976 წელს გათხრილი პირველი და მეორე სახლის (კალანდაძისგორა I; ძვ. ნ. VII-VI სს) [აფაქიძე ა. და სხვ. 1978: გვ. 144-146; დავლიანიძე რ, სადრაძე ვ. 1993: 7,10-11,25-26; ტაბ. V_{1,2-5}], 1983-1988 წწ. გათხრილი №3 სახლის (კალანდაძისგორა II) [დავლიანიძე რ, სადრაძე ვ. 1993: 7,14; ტაბ. XIV_{1,2}], 2000 წელს გათხრილი №2 და №3 სახლის (კალანდაძისგორა III, II ტერასა; ძვ. ნ. VII-VI სს) [აფაქიძე ა. და სხვ. 2001: გვ. 6-10; ტაბ. II,III,XI] ლუმელის საცეცხლეზე. სხვებისაგან განსხვავებით, ნარეკვავზე 2000 წელს გათხრილი №3 სახლის ლუმელის სანაცრე ხვრელი ჩაჭრილი იყო საცეცხლეს პირთან და გადიოდა ლუმელზე, საცეცხლეს წინ, მიშენებულ სანაცრე ორმოში. ლუმელს არა ჰქონდა გვერდითი დიდი სანაცრე ორმო [აფაქიძე ა. და სხვ. 2001: 9-10, ტაბ. I-III,XI]. საცეცხლედან დიდ სანაცრეში ნაცრის გადატანის ეს წესი ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი და გვიანაც არაერთხელ გამოუყენებიათ³.

სამთავროს ლუმელებისათვის დამახასიაღებელი იყო ოთხკუთხა (№2), ნახევრადოვალური (№4), სეგმენტური (№5) და ოთხკუთხა კუთხეებმომრგვალებული (№7) სანაცრეები.

მეშვიდე სახლის დაზიანებული ლუმელის მაგალითზე გაირკვა, რომ ქვატეხილითა და თიხით აშენებულ ბაქანზე მარცხენა – საცხოების მხარეს, თიხაში შერეული კერამიკის ნატეხებით, ქმნიდნენ ე.წ. თერმოსაიზოლაციო ფენას. ამ ხერხით ლუმელი დიდხანს ინარჩუნებდა სიმხურვალეს. იგივე ქმედება იწვევდა საცეცხლესთან შედარებით, საცხოების ზედაპირის ამალღებას. ორივე განყოფილების ზედაპირს, პერიოდულად, თიხის ახალი ფენით ლესავდნენ და ანახლებდნენ (ტაბ. I^{4,5}).

გახურებისას ცეცხლს ანთებდნენ ლუმელის ორივე განყოფილებაში. გახურების შემდეგ, ნაღვერდალი გადაჰქონდათ ღრმა საცეცხლეში და იქ შემის პერიოდული შემატე-

ბით ლუმელში ინარჩუნებდნენ სასურველ ტემპერატურას. გახურებული საცხოები კი “პურთა საცხოებელად და საჭმელთა შესანველად” მზად იყო.

საქართველოში პირველი ორგანოფილებიანი ლუმელი ცხინვალის ნაცარგორის (1945-48 წწ) II ფენის შენობათა ზოგ ნანგრევთან და III ფენის №5 სენაკის მარცხენა კუთხეში აღმოჩნდა. მაშინ, გ. გობეჯიშვილმა, სენაკის ინტერიერის ეს კონკრეტული ელემენტი საკურთხევლად მიიჩნია და აღწერა როგორც ოთხკუთხედი საკურთხეველი [გობეჯიშვილი გ. 1951: 246,255-257, IV₂,XIV₁].

შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად გაირკვა, რომ შიდა და ქვემო ქართლის, მათ შორის ნალკა-თრიალეთისა და ჯავახეთის, ბრინჯაორკინის ხანის და შემდგომი პერიოდის ნამოსახლარებზე გათხრილი სახლების ინტერიერისათვის, ახ.წ. VI საუკუნის ჩათვლით, დამახასიათებელი ელემენტია ორგანოფილებიანი ლუმელი. მსგავსი ორგანოფილებიანი ლუმელი უკვე აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს, ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიის (დაღესტანი), აზერბაიჯანისა და ჩრდილო-დასავლეთი ირანის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე.

საქართველოში, ახალციხის ამირანის გორის ადრებრინჯაოს ხანის – ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული ნამოსახლარის ცხოვრების მეორე და ბოლო პერიოდის, შესაბამისად XIII და XXII სათავსოში აღმოჩნდა ორგანოფილებიანი პურის საცხოები ლუმელი, რომელიც მცირე სიმაღლის თალით უნდა ყოფილიყო გადახურული. აბაზანისებური “ლუმელი” XIII ნაგებობის უკანა მარცხენა, დასავლეთის, კუთხესთან იყო გამართული. ორივე შემთხვევაში ლუმელი და კერა თანაარსებობდა [ჩუბინიშვილი ტ. 1963: 32-35, 64-65, 88, სურ. 6,7¹; Кушнарёва К, Чубинишвили Т. 1970: 64-66, 92-93; ტაბ.II¹]. საგანგებოდ ჩაჭრილ გრუნტზე გამართული, 20-54 მ² ფართის მქონე ქვის სწორკუთხა ფორმის, ბანურ-გადახურვიანი ნაგებობები ფასადით სამხრეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო მიმართული. ფასადისაკენ ოდნავ დაქანებული თიხალესილი იატაკის ცენტრში სხვადასხვა ტიპის თიხის კერები გაუმართავთ. ზოგ შენობაში იყო ლუმელი, ზოგში ზურგის კედელთან გამართული ტახტისებური შემალღება, იყო ნიშიც. შენობის გარეთ, იშვიათად

აღმოსავლეთ კედელს მთელ სიმაღლეზე ორი პილასტრი აუყვებოდა [გაგოშიძე ი. და სხვ. 1986: გვ.57-58] და ამ ნიშნითაც ჰგავდა სამთავროს მეორე სახლის ლუმელს.

3 . მაღლობას მოვასხენებთ ბატონ იულონ გაგოშიძეს, რომელმაც ნება დაგვრთო გამოგვექვეყნებინა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2012 წელს არადეთის დედოფლის გორის რომაული ხანის ფენაში გაითხარა სრულყოფილად – თალიანად დაცული ორგანოფილებიანი ლუმელი, რომლის საცეცხლეს იატაკზე ანალოგიური სასულე ხვრელი ჰქონდა.

შიგაც, სამეურნეო ორმოები იყო გამართული [ჩუბინიშვილი ტ. 1963: 23; Кушнарёва К, Чубинишвили Т. 1970: 64-66; ორჯონიკიძე ა. 1983: 11-12].

1976 წელს ღუმელი აღმოჩნდა მჭადი-ჯვრის გორანამოსახლარის ქვედა, ადრებრინჯაოს ხანის გვიანი ეტაპით დათარიღებულ ფენაში [Цитланаძე Л. и др. 1979: 88-89,91. ტაბ. XXXI].

აღმოჩენას მოჰყვა მოსაზრება, რომ ეს ფაქტი მსგავსი ღუმელების ხანგრძლივად გამოყენებაზე და ადგილობრივ წარმოშობაზე მიგვითითებდა (აფაქიძე ა. და სხვ. 1978: 145-146). გვიან, შეცვალეს დამოკიდებულება და ღუმელი გვიანბრინჯაოს ხანით დაათარიღეს [Tsitanadze L. 2008: 189, Fig. 3: 4]. თუმცა, ღუმელის “არქაული” ფორმა უფრო ძველი – პირველი თარიღის სასარგებლოდ მეტყველებდა.

ბერიკლდეების მრავალფენიან ნამოსახლარზე, 1979-1992 წწ, ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ხუთი ქრონოლოგიურად განსხვავებული კულტურული ფენიდან III ფენა ბედენურ მასალას შეიცავდა. დაახ. 1,0 მ სიმაღლის კულტურულ ფენაში გამოიყო 8 სამშენებლო ჰორიზონტი. მათგან შვიდი ნაგებობებს ეკუთვნოდა: გაიწმინდა 14 შენობა და შენობის ნაშთი, 20 სამსხვერპლო ბაქნიანი კონსტრუქცია; მერვეში გაიწმინდა, სხვადასხვა დროის, 233 საკულტო ორმო [ჯალაბაძე მ. 1998: 10,11,30,33-34]. მიუხედავად იმისა, რომ ბედენური ფენის შვიდივე სამშენებლო ჰორიზონტზე მასალის – კერამიკის მიხედვით დიდი ცვლილებები არ ჩანდა, სიახლე ჩნდება არქიტექტურაში. კერძოდ, ბედენის ფენის ბოლო – მეშვიდე სამშენებლო ჰორიზონტზე სწორკუთხა, ცენტრალურკერიანი, ნაგებობებს ცვლის მსუბუქი კონსტრუქციები. მათთვის დამახასიათებელია სანაცრე ღარის მქონე ბრტყელზედაპირიანი, სხვადასხვა ფორმის (ოთხკუთხა, ოვალური, წრიული), ბაქნები [ჯალაბაძე მ. 1998: 30,40]. სამსხვერპლო ბაქნის, რომელსაც მარჯვენა ნაპირის გასწვრივ გაკეთებული ჰქონდა “სანაცრე ღარი”, ბედენური ფენის მეშვიდე სამშენებლო ჰორიზონტისათვის დამახასიათებელი მსუბუქი კონსტრუქციის მქონე ნაგებობების უკანა მარცხენა კუთხესთან აგებდნენ. ბაქნის გვერდებზე, უფრო წინა გვერდზე, რელიეფურ სპირალს და სხვა ასტრალურ სახეებსაც ძერწავდნენ. ბაქნის წინა გვერდის ძირთან, სანა-

ცრე ღარის ჩასწვრივ, იატაკზე, თიხითვე მოილესებოდა წრიული ბორტიანი დაბალი კერა, წყვილი, რქისებური დაბალი შვერილით [ჯავახიშვილი ალ. 1985: გვ. 20-21, 27; ჯავახიშვილი ალ. 1986: გვ. 12-13]. 1989 წელს გათხრილი სამი სამსხვერპლო ბაქნიდან (№№ 18,19,20) №19-ის ნაშთზე, თიხის თხელი ნალესობის ქვეშ გამოჩნდა ბრტყლად, 3-4 ფენად, დალაგებული ბედენური კერამიკის, უმთავრესად ტლანქად ნაძერწი, თიხის ჭურჭლის მოზრდილი ნატეხები [ჯავახიშვილი ალ. 1989: გვ. 7-8, ტაბ. I], რომელიც გვიანდელი ღუმელების საცხოვში გამართული თერმოსაიზოლაციო ფენის იდენტიური ჩანდა.

“სანაცრე ღარის მქონე ბრტყელზედაპირიანი, . . . ბაქნები” [თორთლაძე ზ. 2010: 56] შეიქმნა საფუძველი ეჭვისა, რომ იქ ორგანოფილებიანი ღუმელები იყო აღწერილი. მითუმეტეს, რომ ბერიკლდეების სავლე სამუშაოების დოკუმენტური ანგარიშების ტაბულებზე, ბედენური ფენის ამსახველ სავლე ფოტოებსა და გეგმებზე [ჯავახიშვილი ალ. 1985: ტაბ. II₆₋₈; III₁₁₋₁₈; IV_{19,20}; V_{24-27,30}; VI₃₁; ჯავახიშვილი ალ. 1989: ტაბ. I; II_{3,5-8}; IV_{3,4}], კარგად იკითხება ორგანოფილებიანი ღუმელები (ტაბ. II²). მითუმეტეს, რომ 1989 წელს გათხრილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სახლის ნაშთის უკანა მარცხენა კუთხეში გამართული იყო სამსხვერპლო ბაქანი (№20), რომელიც არ განსხვავდებოდა ბედენური ხანის ბაქნისაგან და წარმოადგენდა სწორკუთხა მასივს, რომლის სამხრეთის – მარჯვენა ნაპირის გასწვრივ ამოღარული იყო სანაცრე ღარი [ჯავახიშვილი ალ. 1989: გვ. 8-10, ტაბ. I, IV_{3,4}]. ნამოსახლარზე აღმოჩენილი 21 ბაქნიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი (№20) გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისა ყოფილა და, მათ შორის დიდი ქრონოლოგიური სხვაობის მიუხედავად, კონსტრუქციულად ერთი და იმავე ტიპს ეკუთვნოდა [ჯალაბაძე მ. 1998: 11, შენ.2]. ხოლო, “ბაქნის” ეს ტიპი არის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებისათვის დამახასიათებელი ორგანოფილებიანი ღუმელი. შესაბამისად, ეჭვგარეშეა, რომ ბედენურ ფენაში აღმოჩენილი “სამსხვერპლო ბაქანი”, რომელიც აქაც სახლისა თუ “სამლოცველოს” უკანა მარცხენა კუთხეშია გამართული, ტიპური ორგანოფილებიანი ღუმელია, რომელსაც, ასევე, მარცხენა მხარეს აქვს საცხოვში (“სამსხვერპლო ბაქანი”), მარჯვნივ კი საცეცხლე (“სანაცრე ღარი”) განყოფილება.

უაღრესად საინტერესოა ალ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ “№20 ბაქნის კომპლექსის აღმოჩენა ორი მნიშვნელოვანი ფაქტის დადგენის საშუალებას იძლევა: 1. სამსხვერპლო ბაქნები თიხალესილი ხის სამლოცველო შენობების ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ და, უეჭველია ამ სახით ბედენური კულტურის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ჩნდებიან, საფიქრებელია მტკვარ-არაქსის კულტურასთან მჭიდრო კონტაქტის შედეგად; 2. სამსხვერპლო ბაქნების შემცველი სამლოცველოები ამ დროიდან იკიდებენ ფეხს ადგილობრივ სანესო პრაქტიკაში – განაგრძობენ არსებობას გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში და შემდეგაც, თვით ადრეფეოდალურ ხანამდე, როგორც ამას მონმოზს ი. გაგომიძის ექსპედიციის 1989 წლის აღმოჩენები დედოფლის გორაზე” [ჯავახიშვილი ალ. 1989: გვ. 11].

ფაქტიურად, ციტირებულ მონაკვეთში განსაზღვრულია დრო – ბედენური კულტურის განვითარების გარკვეული საფეხურიდან ადრეფეოდალურ ხანამდე, როცა “სამსხვერპლო ბაქნები” და მათი “შემცველი სამლოცველოები” არსებობდა.

ალ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებულ კონცეფცია, რომ სამსხვერპლო ბაქნების შემცველი მსუბუქი კონსტრუქციის მქონე თიხალესილი შენობები სამლოცველოებია [ჯავახიშვილი ალ. 1989: გვ. 11], წარმოადგენს გ. გობეჯიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა ლოგიკურ განვითარებას. გ. გობეჯიშვილი თვლიდა, რომ ცხინვალის ნაცარგორის II და III ფენა საცხოვრებელი და საკულტო შენობათა ხარჯზე იყო შექმნილი; ზოგ ნანგრევთან აღმოჩენილი საკურთხევლები და სამსხვერპლოები კი მონმოზდა, რომ ეს ნანგრევები პირველყოფილი-წარმართული ტაძრების და საკულტო-სამლოცველო სენაკების ნაშთს წარმოადგენდა; ყველა სენაკში მდგარა ერთი ან მეტი თიხალესილი მცირე ნაგებობა – საკურთხეველი, სამსხვერპლო და მისთანა; ხოლო, №5 სამლოცველო სენაკის ინტერიერში გამოვლენილი ყველა ელემენტი საკურთხეველი (ღუმელი) ან სამსხვერპლოა (ბაგებიანი სამსხვერპლო) [გობეჯიშვილი გ. 1951: 246, 254-257, XIII, XIV, XV].

ნაგებობაში საკურთხევლის აღმოჩენა სავალდებულოდ არ უნდა გულისხმობდეს იმას, რომ მათი სახით, ყოველთვის, გვაქვს სამლოცველო ანუ საკულტო ნაგებობა. ის

ფაქტი, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში სახლისა და მარნის მარჯვენა კუთხე “ანგელოზის კუთხედ” ითვლებოდა (-საკმარისია, გავიხსენოთ ქართლის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სახლის მარჯვენა კუთხეში დამონმებული ზურგიანი საკურთხეველი და მივხვდებით, თუ რაოდენ ძველია ეს ეთნოგრაფიული ტრადიცია) და ამ კუთხეში წარმართულთან ერთად ტარდებოდა არაერთი ქრისტიანული რიტუალი, მათ შორის ნათლობისა და ჯვრისწერისა (ჩიტაია გ. 1951: 376; თოფურია ნ. 1957: 59-62; თოფურია ნ. 1984: 30-35), განა საეჭვოს ხდის სახლის სახლობასა და მარნის სამეურნეო დანიშნულებას. პირიქით, ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს ნიკო ბერძენიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, “., რომ საზოგადოების ცხოვრებაში იყო დრო, როცა კულტი ადამიანისათვის იგივე პრაქტიკა იყო და იქვე სრულდებოდა, სადაც ადამიანი ბინადრობდა” (ბერძენიშვილი ნ. 1975: 48).

ღუმელთან დაკავშირებით ვიზიარებ დ. ხახუტაიშვილის მოსაზრებას და ვთვლი, რომ ცხინვალის ნაცარგორის მსგავსი ნაგებობების ერთი ჯგუფი, რომელსაც გ. გობეჯიშვილი “ოთხკუთხა საკურთხევლებს” უწოდებს, “დამოუკიდებლად იმისა დაკავშირებული არიან თუ არა სანესო რიტუალთან, მაინც ღუმელებია და არა საკურთხევლები” [ხახუტაიშვილი დ. 1964: 26]. იგივე ითქმის ბერიკლდეების “სამსხვერპლო ბაქნებთან” დაკავშირებით. მითუმეტეს, რომ მათ ადარებენ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარზე აღმოჩენილ კონსტრუქციებს და, მათ შორის დიდი ქრონოლოგიური სხვაობის მიუხედავად, კონსტრუქციულად ერთი და იმავე ტიპს აკუთვნებენ [ჯავახიშვილი ალ. 1989: გვ. 8-10, ტაბ. I, IV_{3,4}; ჯალაბაძე მ. 1998: 11, შენ.2; გაგომიძე ი. 1999: 57-59].

ბერიკლდეების ბედენური ფენა განეკუთვნება ადრეული ბრინჯაოს ხანის მიწურულს – ე.წ. ბედენურ ეტაპს და ნასახლარმა არსებობა შეწყვიტა ადრეული ბრინჯაოს ხანის მიწურულს ან ადრედან შუა ბრინჯაოზე გარდამავალ ხანაში [ლლონტი ლ, ნემსაძე გ, ჯავახიშვილი ალ. 1986: 41-42; ჯალაბაძე მ. 1998: 45-46]⁴.

4 . “ბედენური ფენა C₁₄ მეთოდით დათარიღებულია ძვ.წ. 2900 წლით”. [გაგომიძე ი, ჯავახიშვილი ალ. 1990: 359]. თარიღი აშკარად დაძველებულია (?). 1998 წელს მ. ჯალაბაძე წერს: “გარკვეული მიზეზების გამო ჯერჯერობით ხელთ არა გვაქვს ფენის რადიოკარბონული

ახალციხის ამირანის გორის (ძვ.წ. III ათას-წლეულის I ნახევარი), მჭადიჯვრის გორისა და ბერიკლდეების ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე აღმოჩენილი ორგანოფილებიანი ლუმელი კარგი მონიშნა უნდა იყოს იმისა, რომ კავკასია – სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონების მსგავსად, ორგანოფილებიანი ლუმელი ადრებრინჯაოს ხანის საკმაოდ ადრეული პერიოდიდან ჩნდება.

ლუმელი აღმოჩენილია მთიანი დაღესტნის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე. იქ, ადრებრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ნამოსახლარებზე (ჩირკეი, მეგეკი, გალგალათლი I) საცხოვრებელი არქიტექტურის ძირითადი ფორმა იყო მრგვალი გეგმარების სათავსი ბანური გადახურვით, ცენტრში – იატაკში გამართული მრგვალი სტაციონარული კერითა და გეგმაში ოვალური ან არანესიერი ოთხკუთხა წინკარით⁵. ამ უკანასკნელში, როგორც წესი, იმართებოდა ორგანოფილებიანი ლუმელი თაღოვანი გადახურვით [Гаджиев М. Г. 1991: 155-158, 229; სურ. 38,42,43; ტაბ. II³]. ადრებრინჯაოს ხანის ბოლოს დაღესტნის ნამოსახლარებზე (სიგიტმა) ჩნდება ქვის სწორგვერდა, კუთხეებმომრგვალებული, საცხოვრებელი ნაგებობები. მათი მშენებლობის პრინციპები, სავარაუდოდ იქ, წინა აზიიდან და ამიერკავკასიიდან შემოდის, სადაც ასეთი ნაგებობები უძველესი დროიდან არსებობდა [Абакаров А, Давудов О. 1993: 37-38]. არქიტექტურულ-დაგეგმარებითი მნიშვნელობით სიგიტმას ნამოსახლარისათვის დამახასიათებელი ხდება უკვე სხვა სამშენებლო ტრადიცია, განსხვავებული მთიანი დაღესტნის ადრეული ძეგლებისაგან. ნამოსახლარის ძირითადი კონსტრუქციული თავისებურება ხდება ნაგებობა სწორი კედლებითა და მომრგვალებული კუთხეებით. საცხოვრებელ სათავსებში ჩვეულებრივია კედელთან (მარჯვენა კუთხეში - გ.გ. იხ. ტაბ. II^{3,4}) გამართული ორგანოფილებიანი ლუმელი; ხოლო, იატაკის ცენტრში გამართული კერა, დამახასიათებელი მრგვალი ნაგებობებისათვის, რჩება, მაგრამ კარგავს ადრინდელ მნიშვნელობას (აღმოჩენილია 3 კერა და 16 ლუმელი; ტაბ. II⁴). იქ, თავდაპირველად, სახლმშენე-

ბლობის ძირითადი ტიპი იყო დამოუკიდებლად მდგარი სახლი, მიმდებარე ეზო-მოედნით. მხოლოდ დასახლების გვიან ეტაპზე, გადაკეთების შედეგად, პირველად მთიანი დაღესტნის არქიტექტურის ისტორიაში ჩნდება ორ-სამსათავსიანი ნაგებობები. [Гаджиев М. Г. 1991: 160-163, სურ. 49].

ადრე და შუაბრინჯაოს ეპოქების ზღვარზე ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის კულტურულ-ისტორიულ განვითარებაში მოხდა საფუძვლიანი ცვლილებები, რამაც საბოლოოდ გამოიწვია ამ მხარის შესამჩნევი კულტურული გარდასახვა. მიუხედავად ამისა, შუაბრინჯაოს ხანის კულტურებში შემორჩა წინამორბედი ეპოქისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ტრადიცია: ქვის სამშენებლო ტექნიკა, ინტერიერის დეტალები – ორგანოფილებიანი ლუმელი, საწოლი და სხვა [Гаджиев М. Г. 1991: 238]. მთის ტიპის დასახლებებზე არსებობდა ძირითად ხაზებში ჩამოყალიბებული ქვის არქიტექტურა, სწორკუთხა (20-40 მ²) ნაგებობის სახით. მათი კედლები შენდებოდა ერთმანეთზე კარგად მორგებული ქვებით, შემაკავშირებელი ხსნარის გარეშე; სათავსებს ჰქონდა ბანური გადახურვა; ისინი ერთმანეთსა და ქუჩას უკავშირდებოდნენ საკარე ლიობებით; სათავსებში აგებდნენ საგანგებო საწოლებს; კედლებთან განალაგებდნენ თაღოვან ორგანოფილებიან ლუმელს – “კორა”-ს. ნიშანდობლივია, რომ საცხოვრებლის იერსახეში (საკარე ლიობის გაფორმება, ინტერიერის ელემენტები – საწოლი, თიხით ნაგები ორგანოფილებიანი ლუმელი) ბევრი საერთოა თანამედროვე დაღესტნისმთის სახლთან [Абакаров А, Давудов О. 1993: 45-48].

მაკინის ალბანური ხანის (ძვ.წ. III – ახ.წ. IV სს.) ნამოსახლარზე გათხრილი საცხოვრებელი სახლის, რომელიც შესდგებოდა ორი ოთახისა და შემოზღუდული ეზოსაგან, ერთ-ერთ ოთახში გაიწმინდა ორგანოფილებიანი ლუმელი [Абакаров А, Давудов О. 1993: 70-71].

ლუმელი აღმოჩნდა ნახჭევნის ოვჩულარ თეფესის, 6 არეალში გათხრილი, ადრებრინჯაოს ხანის ნაგებობაში. ეს იყო, ალიზის-აგურითა და ქვით აშენებული, 7 მ-მდე დიამეტრის მრგვალი ნაგებობა, რომელსაც, მთიანი დაღესტნის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარების მსგავსად, ჰქონდა მცირე ზომის კვადრატული მინაშენი, ანუ წინკარი, სადაც გამართული იყო ლუმელი [Бахшалиев В. и др. 2009: 61, 59-62].

თარიღები” [ჯვალაბაძე მ. 1998: 45-46].

5 . წინკარი: ბინაში შესასვლელი პირველი მომცრო ოთახი (არასაცხოვრებელი), საიდანაც შედიან სხვა ოთახებში (ქეგლ. 1986: 564).

ნახჭევანთან, ქიულ-თეფე II ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე გამოვლენილ 14 სამშენებლო ჰორიზონტში გაითხარა 28 მრგვალი (დმ. 4-13 მ.) გეგმარების სათავსი. ზოგიერთი სათავსის (XXI, XXVI-XXVIII) კედელზე მიშენებული იყო ოთხკუთხა ორგანყოფილებიანი ღუმელი (ტაბ. II^{5,6}). ძეგლზე, 8,5 მ. სიღრმეზე, აღებული ხის ნახშირის ნიმუშისათვის განისაზღვრა (4880±90) ძვ.წ. 2930⁺ 90 წელი [Кушнарёва К, Чубинишвили Т. 1970: 85-89, 92-93, рис. 33].

იანიკ-თეფეს ნამოსახლარი მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთ ირანში, ურმიის ტბიდან აღმოსავლეთით. ნამოსახლარზე აღმოჩნდა სამი ფენა: გვიანნეოლითური, ხალკოლითური და ადრებრინჯაოს ხანის; ნამოსახლარზე, მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ძირითადი საზღვრებიდან ერთგვარი დაცილების მიუხედავად, ჩამოყალიბდა ტიპური მტკვარ-არაქსული კომპლექსი, ყველა ნამყვანი ნიშნით. რასაც ძეგლის გამთხრელი არქეოლოგი ჩ. ბარნეი იმით ხსნიდა, რომ ადრებრინჯაოს ხანის კულტურა იქ ჩრდილოეთიდან მოსულემა მოიტანეს. ძეგლზე გამოვლენილი ცხრა სამშენებლო ჰორიზონტი მან დაჰყო ადრებრინჯაოს ხანის I და II პერიოდებად. I პერიოდის ყველა ჰორიზონტზე აღმოჩნდა თიხისა და ალიზის 37 მრგვალი ნაგებობის ნაშთი. მათთვის დამახასიათებელი იყო “სტანდარტული” ხასიათის ინტერიერი. ყველა სათავსში იყო თიხის დაბალი ორნაწილიანი ღუმელი და იქვე კერა (ტაბ. II⁷). ადრებრინჯაოს II პერიოდის სამშენებლო ჰორიზონტები უშუალოდ ედო I პერიოდის სამშენებლო ჰორიზონტებს. იქ, მრგვალი გეგმარების სათავსებს ჩაენაცვლა ორსართულიანი სწორკუთხა ნაგებობები. ორ ოთახში (№N¹, 4), აღმოჩნდა ღუმელი და კერა (ტაბ. II⁸) [Кушнарёва К, Чубинишвили Т. 1970: 89-93, рис. 36,37,39].

იანიკ-თეფეზე მოპოვებული მასალებიდან ჩანდა, რომ ხალკოლითის ბოლოს მიტოვებული ნამოსახლარი მხოლოდ ადრებრინჯაოს ხანის უკანასკნელ პერიოდში დასახლდა. ჩ. ბარნეი ადრებრინჯაოს I პერიოდის სამშენებლო ჰორიზონტებს ძვ.წ. 2100-1900 წწ. ათარიღებდა. კ. კუშნარიოვამ და ტ. ჩუბინიშვილმა მასალის – კერამიკის შესწავლის საფუძველზე ჩ. ბარნეის მიერ გამოყოფილი ადრებრინჯაოს I პერიოდში ორ ეტაპი გამოჰყვეს. ხოლო, ადრებრინჯაოს II პერიოდის ჰორიზონტებს, მათ-

ვის დამახასიათებელი სწორკუთხა სახლებით, ადრებრინჯაოდან შუაბრინჯაოზე გარდამავალ პერიოდს მიაკუთვნებენ. ისინი თვლიან, რომ იანიკ-თეფეს ადრებრინჯაოს I პერიოდის სამშენებლო ჰორიზონტები წარმოადგენენ ერთი ტერიტორიული ჯგუფის (სამხრეთი აზერბაიჯანი და ჩრდილო-დასავლეთი ირანი) ადრებრინჯაოს კულტურის ყველაზე გვიანდელ ეტაპს [Кушнарёва К, Чубинишвили Т. 1970: 93-95].

ავტორთა მოსაზრებით, აღმოსავლეთი ამიერკავკასიის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე, კერების გარდა, დამატებითი გათბობის მიზნით, ზოგიერთ სახლში, კედელთან აგებდნენ ღუმელს. უმეტეს შემთხვევაში, ეს იყო თიხის სწორკუთხა, ორნაწილიანი, თალიანი ღუმელი; საცეცხლე ნაწილი შედარებით დაბლა მდებარეობდა, საიდანაც არხით ცხელი ჰაერი ხვდებოდა კამერაში (ქიულ-თეფე II, ამირანის გორა). ასეთი ღუმელები არსებობდა შედარებით გვიან პერიოდშიც (იანიკ-თეფე, ღუნბი). ზოგიერთებს იმავდროულად ჰქონდა საწარმოო ხასიათი, კერძოდ, იყო პურის საცხობი [Кушнарёва К, Чубинишвили Т. 1970: 100].

განხილული მასალიდან უძველესი ჩანს მრგვალი ნაგებობის ოვალურ ან არანესიერ ოთხკუთხა (მთიანი დაღესტნის ნამოსახლარები: ჩირკეი, მეგეკი, გალგალათლი I) [Гаджиев М. Г. 1991: 155-158, 229; სურ. 38,42,43] და ოთხკუთხა (ოვრულარ თეფესი) [Бахшалиев В. и др. 2009: 61, 59-62] წინკარში გამართული ღუმელი. წინკარი (დერეფანი), ჯერ კიდევ, იმირის გორის ენეოლითური ხანის ნამოსახლარზე გათხრილ №8 შენობას ჰქონდა და მისი გამოჩენა “მხოლოდ შენობის ფართობის გადიდების უკიდურესი საჭიროებით” აიხსნა (ჯაფარიძე ო, ჯავახიშვილი ალ. 1971: 66-72; სურ. 21,23-25). ადრებრინჯაოს ხანიდან, წინკარი, მასში ღუმელის გამართვის შემდეგ, სამზარეულოსა და სახაბაზოს ფუნქციასაც შეიძენდა. ამის შემდგომ პერიოდში ღუმელი წინკარიდან უშუალოდ საცხოვრებელ ნაგებობაში გადააქვთ და არსებობის მთელი დროის მანძილზე იქ რჩება. ღუმელს აგებენ კვლავინდებურად მრგვალი ნაგებობის კედელთან: ნახჭევანის ქიულ-თეფე II (4880⁺ 90; ძვ.წ. 2930⁺ 90 წ) [Кушнарёва К, Чубинишвили Т. 1970: 85-89, 92-93, рис. 33], იანიკ-თეფეს ნამოსახლარის I პერიოდი (ძვ.წ. 2100-1900 წწ) [Кушнарёва К, Чубинишвили Т. 1970: 89-93, рис. 36,37,39,93-95]. მომდევნო პე-

რიოდისაა ღუმელი, რომელიც გამართულია ნაგებობაში სწორი კედლებითა და მომრგვალებული კუთხეებით, კედელთან (სიგიტმა ადრებრინჯაოს ხანის ბოლო) [Гаджиев М. Г. 1991: 160-163, სურ. 49].

ადრე და შუაბრინჯაოს ეპოქების ზღვარზე დაღესტნის მთის ტიპის დასახლებებზე საბოლოოდყალიბდება ქვის არქიტექტურა, სწორკუთხა ნაგებობის სახით, რომლებისთვისაც, კვლავაც, დამახასიათებელია თიხით ნაგები ორგანოფილებიანი ღუმელი [Гаджиев М. Г. 1991: 238; Абакаров А, Давудов О. 1993: 45-48]. ამავე დროისა იანიკ-თეფეს გვიანი, ადრედან შუაბრინჯაოზე გარდამავალი, II პერიოდის სამშენებლო ჰორიზონტებში აღმოჩენილი სწორკუთხა ნაგებობები. ღუმელები კვლავ ნაგებობის კედელთანაა გამართული.

ახალციხის ამირანის გორის ქვით ნაგები ოთხკუთხა ნაგებობებიდან ორში (№№ XIII, XXII) აღმოჩენილი ღუმელებიდან, ერთი გაუმართავთ ნაგებობის (№ XIII) უკანა მარცხენა - დასავლეთ კუთხესთან, ჩრდილო-დასავლეთი კედლის ძირში [ჩუბინიშვილი ტ. 1963: 32-35, სურ. 6,7¹]. ბერიკლდეების ბედენური ფენის მეშვიდე სამშენებლო ჰორიზონტისათვის დამახასიათებელი მსუბუქი კონსტრუქციის მქონე ნაგებობების უკანა მარცხენა კუთხესთან იმართებოდა სამსხვერპლო ბაქანი [ჯავახიშვილი ალ. 1985: გვ. 20-21, 27; ჯავახიშვილი ალ. 1986: გვ. 12-13] ანუ ღუმელი. აქედან დანყებულნი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ნაგებობის მარცხენა კუთხე არის ღუმელის განთავსების ძირითადი ადგილი.

უძველესი ღუმელები მრგვალი არქიტექტურულ-გეგმარებითი გემოვნების გათვალისწინებითაა შექმნილი. მათთვის დამახასიათებელია მომრგვალებულ-ოვალური ფორმა (ჩირკეი, სიგიტმა და სხვ) [ტაბ. II³⁻⁸; Гаджиев М. Г. 1991: 158,162, рис. 43,49]. ანალოგიური ფორმისაა ახალციხის ამირანის გორისა და ბერიკლდეების ადრებრინჯაოს ხანის ღუმელები. თუმცა, ნაგებობებს უკვე ოთხკუთხა გეგმარება აქვს (ტაბ. III²) [ჩუბინიშვილი ტ. 1963: 33, სურ. 6,7¹; Jalabadze . 2014: 222, ფიგ, 3]. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ღუმელები ძირითადად ოთხკუთხა გეგმარებისაა. თუმცა, შეიმჩნევა მომრგვალებული ფორმებიც.

გ. მირცხულავა თვლის, "რომ ღუმელები, როგორც ჩანს, უფრო მკაცრი კლიმატის პირობებში ჩნდება პიველად და შესაძლოა მერე

ვრცელდება" სხვაგან. ღუმელი, ღია ცეცხლთან შედარებით, საწვავის მოხმარების მხრივ უფრო ეკონომიური იქნებოდა და უფრო მეტხანს შეინარჩუნებდა სითბოს [მირცხულავა გ. 2011: 137-138].

ღუმელი დამახასიათებელი ელემენტია შიდა ქართლის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებზე გათხრილი სახლები-სათვის: მჭადიჯვარი [Цитланадзе Л. и др. 1980: 57-59. ტაბ. XXXI₂; Цитланадзе Л. 1985: 16-19. ტაბ. XXXI₁], საჯოგე [Абрамишвили Р. 1995: 59-60; Абрамишвили Р. 1997: 53-55], ცხინვალის ნაცარგორა [გობეჯიშვილი გ. 1951: 254-257, XIII₁, XIV], ხოვლეგორა [მელითაური კ. მ1973: 1-31], ყათნალიხევი [ხახუტაიშვილი დ. 1964: 26], თრელიგორები [აბრამიშვილი რ. და სხვ. 1972: 167; აბრამიშვილი რ., რამიშვილი ალ. 1975: 21], ნარეკვავი [სადრადე ვ, დავლიანიძე რ. 1993: 10-28], არადეთის ორგორის ჩრდილოეთის გორა [გაგოშიძე ი. და სხვ. 1986: 57-58], ნასტაგისი [Бохочадзе А. и др. 1981: 145-146; Бохочадзе А. и др. 1982: 44-47; XXII₂], სამთავრო I და სხვ [Гиунашвили Г. 2010: 124-126].

ჩამოთვლილთაგან უადრესია მჭადიჯვრისა და საჯოგეს აღმოჩენები: 1977 წელს, მჭადიჯვრის გორის ჩრდილოეთის ფერდზე გავლებულ თხრილში (№3), გვიანბრინჯაოს ხანის ფენაში, გაითხარა ღუმელი [Цитланадзе Л. и др. 1980: 57-59. ტაბ. XXXI₁], რომელიც იქ აღმოჩენილი არტეფაქტების საფუძველზე გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპით დათარიღდა [Цитланадзе Л. 1985: 16-19. ტაბ. XXXI₁]. 1988 წელს ღუმელი აღმოჩნდა იმავე პერიოდის, კერძოდ, გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპით დათარიღებული, ე.წ. ლჭაშენ-წითელგორული ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურისათვის დამახასიათებელი არტეფაქტების შემცველ ძეგლზე – საჯოგეს ნამოსახლარის I უბნის №1 სათავსში [Абрамишвили Р. 1997: 54-55].

ქვემო ქართლში, დმანისის რაიონის სოფ. ვარდისუბნის დასავლეთით, ღრმახევისთავის რკინის ფართო ათვისების ხანის ნამოსახლარზე გათხრილი 11 ნაგებობიდან პირველ და მერვე ნაგებობაში აღმოჩნდა ორგანოფილებიანი პურის საცხობი ღუმელი [აბრამიშვილი რ. და სხვ. 1980: 23-24; Абрамишвили Р. 1976: 22].

2003 წელს ისტორიულ ჯავახეთში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. ტაბანყურიდან ჩრდილო-დასავლეთით, ზღვის დონიდან 2000 მ. სიმაღლეზე, ძვ.წ. VI-IV საუკუნეებით

დათარიღებული ე.წ. “ქციის მინდვრის ნამოსახლარზე” გაითხარა 13 სათავსის ნაშთი. მათგან ორში (№№1,2) აღმოჩნდა ორგანოფილებიანი ლუმელი. პირველი სათავსის ლუმელი სახლის მარცხენა კუთხეში ყოფილა გამართული [ლამბაშიძე ირ. 2003: 4.311,12.311,14.311,34.311,43,311; სურ. 3; ტაბ. XXIII, XIV, I, II, VII].

ქვემო ქართლის ნალკის მუნიციპალიტეტის სოფ. დარაქოში, მდ. ქციის მარჯვენა ნაპირზე, გაითხარა ძვ.წ. VI-IV სს. ნამოსახლარის ნაშთები – 9 სახლი, 20 სამეურნეო ორმო და 2 ხარო. ორიდან, ზედა ფენაში გათხრილი 9 სახლიდან შედარებით უკეთ დაცული 6 სახლის სხვადასხვა კუთხეში (№№ 1-NW; 2-NO; 3-?; 4-NO; 5-NO; 6-W) აღმოჩნდა ორგანოფილებიანი პურის საცხობი ლუმელი [ნარიმანიშვილი გ. და სხვ. 2011: 85-100].

2004-2005 წლებში თეთრინყაროს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ტერიტორიაზე, რომელსაც ადგილობრივები სხალთას უწოდებენ, შეისწავლა ელინისტური ხანის – ძვ.წ. IV-III სს ნამოსახლარი და სამაროვანი. გათხრილი ექვსი სახლიდან ყველაზე კარგად №3 სახლი იყო დაცული. ფასადით სამხრეთ-აღმოსავლეთით მიმართული ნაგებობის ორივე სათავსის მარცხენა – ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გამართული იყო პურის საცხობი ლუმელი [ნიკოლაიშვილი ვ. და სხვ. 2010: 430-431,448].

2009 წელს, ქვემო ქართლში, მდ. ბზისწყლის ხეობაში, თეთრინყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფლის მიდამოებში, თბილისი-კოდა-ნალკა-ახალქალაქის საავტომობილო გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული არქეოლოგიური სამუშაოების დროს ახალსოფლის ნამოსახლარის III და IV უბნებზე გაითხარა ელინისტური ხანის – ძვ.წ. III-I სს ორი სახლის ნაშთი. მეცხრე სახლის მარცხენა – ჩრდილოეთ კუთხეში შემორჩენილი იყო ორგანოფილებიანი ლუმელი [დავლიანიძე რ. და სხვ. 2011: 101-104, ტაბ. V,VI].

თუკი, ნასტაგისის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სახლებში ლუმელს აგებდნენ მარცხენა – ჩრდილო-დასავლეთ (NW) კუთხეში, ელინისტური ხანის (ძვ.წ. III-II სს) სახლებსა და სამლოცველო კომპლექსში, რომლებსაც შესასვლელი ასევე სამხრეთიდან ჰქონდა, ლუმელი მარჯვენა – ჩრდილო-აღმოსავლეთ (NO) კუთხეში აუგიათ [Bohochadze A. и др. 1982ა: 99; Бохоцадзе А, Мирианшвили Н. 1982ც: 115; Бохоцадзе А. и др. 1982ბ: 44-47; XXII]. ბამბების

ნამოსახლარის IV – ადრეელინისტური ხანის ფენის ქვედა დონის საცხოვრებელი კომპლექსის ძირითადი დარბაზის ჩრდილო-აღმოსავლეთ (NO) – მარჯვენა კუთხეში გადარჩენილი იყო ხოვლური ლუმელის სანაცრე, ხოლო სამხრეთ კედელში კარების ქრილი [ხახუტაიშვილი დ. 1964: 24-26]. ციხიაგორის სამოთახიანი ნაგებობის პირველი სათავსის (№11) აღმოსავლეთის კედელში გაჭრილი იყო საკარე ლიობი; მისგან მარჯვნივ, სათავსის წინა მარჯვენა, კვლავ, ჩრდილო-აღმოსავლეთ () კუთხეში გამართული იყო ლუმელი [Цкитишвили Г. и др. 1979: 117-118; ცქიტეშვილი გ. 2003: 16]. საყარაულო სერის ნამოსახლარის ძვ. წ. III ს-ის – ელინისტური ხანის სათავსის ჩრდილო-აღმოსავლეთ (NO) მარჯვენა კუთხეში აუგიათ ლუმელი [გვეტაძე ჯ. 1979: 15-17; Цкитишвили Г. и др. 1980: 129]. აშკარაა, რომ შიდა ქართლის ამ კონკრეტულ რეგიონში მაინც, ელინისტური ხანის სახლისა და სამლოცველოს მარჯვენა, ხაზგასმითა და გამორჩეულად ჩრდილო-აღმოსავლეთ (NO), ე.წ. ანგელოზის კუთხეში ლუმელი საკურთხევლის ადგილს იკავებს და, სავარაუდოდ, ის საკულტო-სარიტუალო ფუნქციასაც იძენს (!?).

ზევით აღვნიშნეთ, რომ არადეთის დედოფლის გორის რომაული ხანის ფენაში გაითხარა საუცხოოდ დაცული ორგანოფილებიანი ლუმელი. კარსნისხევის მეთუნე ხელოსანთა დასახლების №4 სახლში (ახ.წ. III) აღმოჩნდა, ალიზით ნაგები, პურის საცხობი ორგანოფილებიანი ლუმელი. იქვე გამართული ყოფილა სანაცრე ორმო [ნიკოლაიშვილი ვ, 1993: 11-12,26].

არადეთის დედოფლის გორის ზედა, ანუ პირველი, ახ.წ. IV-VI სს-ით დათარიღებულ კულტურულ ფენაში ექსპედიციამ გამოავლინა სამლოცველოების ნაშთი, რომელთა უკანა მარცხენა კუთხეში იდგა საკურთხეველი – რიყის ქვითა და თიხით ნაგები ოთხკუთხა ტრაპეზი, რომელსაც ზედაპირზე წინიდან გახსნილი დიდი ოთხკუთხა კეცი და მისგან მარჯვნივ მოწყობილი ვიწრო და ღრმა სანაცრე ჰქონდა. კეცის წინ და ოდნავ დაბლა საგანგებო საფეხურში პირისკიდემდე ჩადგმული იყო თიხის ქოთანის. “საკურთხეველები თავისი კონსტრუქციით” თითქმის არ განირჩეოდა დედოფლის გორის მახლობლად ადგილ ბერიკლდეებზე გათხრილი ძვ.წ. VIII-VII სს საკურთხეველებიდან, რომლებიც თავისთავად ძალიან ჰგავდ-

ნენ “იქვე გათხრილი ადრებრინჯაოს ხანის საკულტო ბაქნებს“ [გაგოშიძე ი. 1999: 57-59].

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1988 წელს სავსებით ასეთივე წარმართული საკურთხეველი გათხარა ყათნალიხევის ამავე პერიოდის (ახ.წ. IV-VI სს) ნამოსახლარზე [გაგოშიძე ი. 1999: 57-59]. ყათნალიხევის სკ სათაგისის ჩრდილოეთის, ზურგის მარცხენა კუთხეში აღმოჩენილ დეტალს ლუმელს უწოდებენ [ახალია ლ. 1996: 174]. ე.ი. დედოფლის გორისა და ყათნალიხევის ახ.წ. IV-VI სს. “საკურთხეველი”, ისევე როგორც ბერიკლდეების ადრებრინჯაოს და, მითუმეტეს, რკინის ფართო ათვისების ხანის “საკულტო ბაქნები”, ტიპური ორგანყოფილებიანი ლუმელები ყოფილა.

ცხინვალის ნაცარგორის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარზე პირველი (1945-48 წწ) ორგანყოფილებიანი ლუმელის აღმოჩენის შემდეგ, მათი აღმოჩენის შემთხვევებმა იმატა და ამჟამად ლუმელი აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს, ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიის (დაღესტანი), აზერბაიჯანისა და ჩრდილო-დასავლეთი ირანის ადრებრინჯაოს (ახალციხის ამირანის გორა, ბერიკლდეების ბედენური ნამოსახლარი, ჩირკეი, მეგეკი, გალგალათლი I, სიგიტმა, ოვჩულარ-თეფესი, ქიულ-თეფე II, იანიკ-თეფე, ლუნიბი), შუაბრინჯაოს (ზემო ლუნიბი, ირგანაი, უსიშა), გვიანბრინჯაო-ადრერკინის (ცხინვალის ნაცარგორა, ხოვლეგორა, ყათნალიხევი, მჭადიჯვარი, საჯოგე, ღრმახევისთავი, სამთავრო, ნარეკვაგი, თრელიგორები, ნასტაგისი, ბერიკლდეები და სხვ), ანტიკური (ქციის მინდორი, დარაქოი – ძვ.წ. VI-IVსს; მაკინი, ნასტაგისი, სხალთა, ახალსოფელი, ბამბები, ციხი-აგორა, საყარაულო სერი – ძვ.წ. III-სს; მაკინი, არადეთის დედოფლის გორა – ახ.წ. I-IIIსს) და ადრეული შუასაუკუნეების (ყათნალიხევი, არადეთის დედოფლის გორა – ახ.წ. IV-VIსს) ნამოსახლარებზე.

ზემოთქმულის საფუძველზე ვასკვნიტ, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიის, აღმოსავლეთი ამიერკავკასიისა და ჩრდილო-დასავლეთი ირანის ნამოსახლარებზე გათხრილი სახლების მნიშვნელოვანი ნაწილის ინტერიერისათვის, ადრებრინჯაოს ხანიდან (ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლო) ადრეული შუასაუკუნეების (ახ.წ. IV-VIIსს) ჩათვლით, დამახასიათებელი ელემენტია ორგანყოფილებიანი ლუმე-

ლი, რომელსაც იყენებდნენ გათბობის მიზნით, “პურთა საცხობელად და საჭმელთა შესანველად”. მათზე, სავარაუდოდ, სარიტუალო კვერიც ცხვებოდა და, შესაბამისად, ლუმელის საკულტო-სარიტუალო დანიშნულება ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ლიტერატურა:

- აბრამიშვილი რ, ნიკოლაიშვილი ვ, რამიშვილი ა. 1972:** დიღმის ხეობაში 1971 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების წინასწარი ანგარიში. – აკძს 1971 წელს, 12 - 15. თბილისი.
- აბრამიშვილი რ, რამიშვილი ა. 1975:** არქეოლოგიური გათხრები თბილისში. – ძმ, № 39, 16 - 24. თბ.
- აბრამიშვილი რ, გიგუაშვილი ნ, კახიანი კ. 1980:** ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები. თბ.
- აფაქიძე ა, კალანდაძე ა, ნიკოლაიშვილი ვ, მანჯგალაძე გ, სიხარულიძე ა, სადრაძე ვ, ხეცურიანი ლ, ჯღარკავა თ, ძნელაძე მ, დავლიანიძე რ, გიუნაშვილი გ. 1978:** მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის მუშაობის ანგარიში. – მცხეთა II, 81 - 156. თბილისი.
- აფაქიძე ა, ყიფიანი გ, ნიკოლაიშვილი ვ, გიუნაშვილი გ, გავაშელი ე, სიხარულიძე ა. 2001:** მცხეთის ინსტიტუტის ნარეკვავის რაზმის არქეოლოგიური კამპანია 2000 წ. – V სამეცნიერო სესია, 2000 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ანგარიშები, 5 - 23. თბ.
- ახალია ლ. 1996:** ადრეფეოდალური ხანის ნაგებობათა ნაშთები ყათნალიხევიდან, სხსმ, ნარკვევები, II, 173-175, XIV-XV, თბილისი.
- ბერძენიშვილი ნ. 1975:** საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII. თბილისი.
- გაგოშიძე ი, ქორიძე ე, გოგიჩაიშვილი ა. 1986:** შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979-81 წლების მუშაობის ანგარიში – სსმაე, VIII, 56-67. თბილისი.
- გაგოშიძე ი, ჯავახიშვილი ალ. 1990:** ბერიკლდეების ნასოფლარი და სამაროვანი, სიკძა, ტ.5, 359-360. თბ.
- გაგოშიძე ი. 1999:** ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრების ისტორიისათვის – სსმმ, 43-ბ, 57-68, თბ.
- გვეტაძე ჯ. 1979:** საყარაულოს სერის ნასახლარი – ძმ № 49, 15 - 18. თბილისი.
- გობეჯიშვილი გ. 1951:** სტალინის ნაცარგორა. – მიმომხილველი II, 239 - 276, ტ. I - XVII, 1 - 7. თბ.
- დავლიანიძე რ, სადრაძე ვ. 1993:** ნარეკვავის ნამოსახლარი და სამარავანი, შიდა ქართლის ძეგლების ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხები. თბ.
- დავლიანიძე რ, მურვანიძე ბ, შანშაშვილი ნ, კვაჭაძე მ, ნარიმანიშვილი გ. 2011:** არქეოლოგიური გათხრები სოფ. ხადიკსა და ბზისწყლის ხეობაში – კრებ. ძსა, №20, გვ.101-117, ტაბ. I-X, თბილისი.
- თორთლაძე ზ. 2010:** საქართველოს ტერიტო-

რიაზე აღმოჩენილი უძველესი კერები და მათი ფუნქციური დატვირთვა. – სემმ, I (46-B), 48-71. თბილისი.

თოფურია ნ. 1957: ზოგიერთი არქეოლოგიური მონაცემი ეთნოგრაფიული მასალების შუქზე. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, IX, 55-67. თბილისი.

თოფურია ნ. 1984: ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან (მევენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები). თბილისი.

მელითაური კ. 1973: ხოვლეგორელთა მშენებლობის ხელოვნება. – 31 ხელნაწერი გვერდი. თბილისი.

მირცხულავა გ. 2011: მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემები. თბილისი.

ნიკოლაიშვილი ვ, 1993: კარსნისხევის მე-თუნე-ხელოსანთა დასახლება. თბილისი.

ნარიმანიშვილი გ, ყვავაძე ე, დავლიანიძე რ, მურვანიძე ბ, შანშაშვილი ნ, კვაჭაძე მ, ბენდუქიძე ო, 2011: არქეოლოგიური გათხრები სოფ. დარაქოში, კრებ. ძსა, № 20, გვ. 85-100. თბილისი.

ნიკოლაიშვილი ვ, შატბერაშვილი ზ, შატბერაშვილი ვ, 2010: სხალთის ნამოსახლარი და სამაროვანი, კრებ. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, გვ. 430-453. თბ.

ორბელიანი სულხან-საბა. 1949: სიტყვის კონა. თბილისი.

ორბელიანი სულხან-საბა. 1993: ლექსიკონი ქართული, II. თბ.

ორჯონიკიძე ა. 1983: სამცხე-ჯავახეთი ადრე-ბრინჯაოს ხანაში, თბ.

სადრაძე ვ, დავლიანიძე რ. 1983: ნარეკვავის ნამოსახლარი (1983 წ. ანგარიში). ხელნაწერი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. 1986: თბ.

ლამბაშიძე ირ. 2003: ბორჯომის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2003 წელს ჩატარებული საველე სამუშაოების ანგარიში. თბილისი.

ლონტი ლ, ნემსაძე გ, ჯავახიშვილი ალ. 1986: ქარელის რაიონში, ბერიკლდეებზე, 1979-1981 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში, სსმაე, VIII, გვ. 36-44, ტაბ. VI-IX, თბილისი.

ჩიტაია გ. 1951: ქართული თორნე. – მიმომხილველი, ტ. II, 369 - 385. თბილისი.

ჩუბინიშვილი ტ. 1963: ამირანის გორა, მასალები მესხეთ-ჯავახეთის უძველესი ისტორიისათვის. თბ.

ცქიტიშვილი გ. 2003: ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი, თბილისი.

ხახუტაიშვილი დ. 1964: უფლისციხე, I (1957 - 1963 წწ. არქეოლოგიური კვლევის შედეგები), თბ.

ჯავახიშვილი ალ. 1985: ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბერიკლდეების არქეოლოგიური ექსპედიციის 1985 წლის საველე სამუშაოების დოკუმენტური ანგარიში, ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრში.

ჯავახიშვილი ალ. 1986: საქართველოს სახელმწი-

ფო მუზეუმის ბერიკლდეების არქეოლოგიური ექსპედიციის 1986 წლის დოკუმენტური ანგარიში, ინახება იქვე.

ჯავახიშვილი ალ. 1989: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბერიკლდეების არქეოლოგიური ექსპედიციის 1989 წ. მუშაობის დოკუმენტური ანგარიში, ინახება იქვე.

ჯალაბაძე მ. 1998: ბედენის კულტურა შიდა ქართლში (ბერიკლდეების ნამოსახლარი), ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., ხელნაწერი.

ჯაფარიძე ო, ჯავახიშვილი ალ. 1971: უძველესი მინათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისი.

Jalabadze M. 2014: Bedeni Culture and Berikldeebi Settlement, Proceedings of International Conference: Problems of earli metal age archaeology of Caucasus and Anatolia, 216 -225. Tbilisi.

Tsitlanadze L. 2008: Mchadijvari Gora, Ancient near eastern studies, Supplement 19, Archaeology in southern Caucasus: perspectives from Georgia, Edited by Antonio Sagona and Mikheil Abramishvili, PEETERS, LEUVEN-PARIS-DUDLEY, MA.

Абакаров А, Давудов О. 1993: Археологическая карта Дагестана. Мос.

Абрамишвили Р, Кахиани К, Гоциридзе Д, Цикаридзе С. 1976: Грмахевиставское селища и могильники - ПАИ в 1974 году (ПАИ в 1974 году), 20 - 24. Тбилиси.

Абрамишвили Р, Вашакидзе Т, Пхаладзе Б, Гигუაშვილი Н, Даташвили М, Султანიшвили И, Туриашვიდი Д. 1995: Раскопки в Тбилиси. - ПАИ в 1987 году, 55 - 62. Тбилиси.

Абрамишвили Р, Абрамишвили М, Вашакидзе Т, Гоциридзе Д, Джугели Д, Кренташвили Э, Пхаладзе Б, Султანიшвили И. 1997: Археологические Раскопки в Тбилиси. - ПАИ в 1988г., 47-56. Тб.

Бахшалиев В, Ашуров С, Марро К. 2009: Археологические работы на поселении Овчулар Тепеси. Первые результаты и новые перспективы. сб. Азербайджан – страна, связывающая восток и запад. Обмен знаниями и технологиями в период «первой глобализации» VII-IV тыс. до. н.э., симпозиум, Баку, 1-3 апреля 2009 года, стр. 59-62.

Бохочадзе А, Мирианшвили Н, Нариманишвили Г, Надибаидзе М. 1981: Настакисская археологическая экспедиция Мцхетского района. - ПАИ в 1978 г., 143 - 159. Тб.

Бохочадзе А, Мирианшвили Н, Нариманишвили Г. 1982а: Настакисская археологическая экспедиция Мцхетского района. – ПАИ в 1979 году, 93 - 106. Тб.

Бохочадзе А, Мирианшвили Н, Нариманишвили Г, Надибаидзе М, Карая К, Сургуладзе В. 1982б: Настакисская археологическая экспедиция Мцхетского района. - ПАИ в 1980 году, 44 - 51. Тбилиси.

Бохочадзе А, Мирианашвили Н. 1982с: Основные итоги работ Настакисской археологической экспедиции в 1975 - 1979 гг. - АИНН ГССР, 111 - 123. Тб.

Гаджиев М. Г. 1991: Ранне-землевельчская культура северо-восточного Кавказа, эпоха энеолита и ранней бронзы, Мос.

Гиუნაშვილი Г, Мелитаური К. 1979: Жильё рубежа II - I тысячелетий до н. э. в Самтавро. - საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, 96, №2, 1979, 505-508. თბ.

Гиუნაშვილი Г. 2010: Поселение Самтавро I, Международная научная конференция, Археология, Этнология, Кавказа, Сб., Тбилиси, 25-27 июня 2009 года, 124-126, Тб.

Кушнарёва К, Чубинишвили Т. 1970: Древние культуры южного кавквза (V-III тысячюдо н. э.), Ленинград.

Цитланадзе Л, Кигურადзе Т, Менабде М, Мирцхулава Н. 1979: Раскопки населённого холма в с. Мчадиджвари. - ПАИ в 1976 году, 88 - 91. Тбилиси.

Цитланадзе Л, Мирцхулава Н. Менабде М, Кигურადзе Т. 1980: Итоги археологических исследований «Мчадиджварис гора». - ПАИ в 1977 году, 55 - 60. Тбилиси.

Цитланадзе Л. 1985: Археологические исследования Мчадиджварис гора. - ПАИ в 1982 г., 16 - 18. Тб.

Цкитишвили Г, Гветадзе Дж, Накаидзе Н, Берадзе Э, Рамишвили А, Квиташвили Р, Челидзе Л, Нуцубидзе А. 1979: Итоги работ Кавтисхевской арх. экспедиции. - ПАИ в 1976 г., 117 - 130. Тб.

Цкитишвили Г, Гветадзе Дж, Берадзе Э, Накаидзе Н, Квиташвили Р, Джинджихашвили Г. 1980: Отчёт археологической экспедиции Каспского района. - ПАИ в 1977 г., 127 - 130. Тб.

№7 მრგვალი სახლის ღუმელი [Кушнарёва К, Чубинишвили Т. 1970: 91, рис37]; 8. იანიკ-თეფეს ნამოსახლარი, ადრებრინჯაო III-დან შუაბრინჯაოზე გარდამავალი ხანის სახლები, გეგმა [Кушнарёва К, Чубინიшვილი Т. 1970: 94, რის39].


ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I. სამთავრო I – 1976-1981 წწ. 1. სახლები №№ 1-5; გეგმა (კ. მელითაური); 2. №2 სახლის ღუმელი; 3. იგივე, რეკონსტრუქცია (კ. მელითაური); 4. №7 სახლის ღუმელი, რეკონსტრუქცია (კ. მელითაური); 5. №7 სახლის ღუმელი, განივკვეთი (გ. გიუნაშვილი); 6. №1 სახლის ინტერიერი.


ტაბ. II. 1. ახალციხის ამირანის გორა, № 22 სახლის ღუმელი (ჩუბინიშვილი ტ. 1963: 33, სურ. 7); 2. ბერიკლდეების ბედენური ნამოსახლარი, ბაქანი 10 (Jalabadze M. 2014: 222, fig, 3); 3. ჩირკეის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, ღუმელი (გადჯიევ მ. გ. 1991: 158, რის. 43); 4. სიგიტმას ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. საცხოვრებელი ნაგებობების გეგმა (გადჯიევ მ. გ. 1991: 162, რის. 49); 5. ქიულ-თეფე II, თიხის ღუმელი მრგვალი ნაგებობიდან [Кушнарёва К, Чубинишვილი Т. 1970: 88, რის33]; 6. ქიულ-თეფე II, II და III ჰორიზონტის ღუმლიანი ნაგებობების გეგმა (დ-სიმბოლო აღნიშნავს ღუმელს) [Кушнарёва К, Чубинишვილი Т. 1970: 88, რის34]; 7. იანიკ-თეფეს ნამოსახლარი,

Gela Giunashvili


1




2



3











4



5



6



V საუკუნის სახლი მცხეთიდან

მცხეთის დედაქალაქობის დროინდელ ურბანიზაციაზე საუბრისას, მეცნიერთა მხრიდან ყოველთვის პირველწყაროდ სტრაბონის გადმოცემა სახელდება, რომლის თანახმადაც, იბერიაში (და უპირველესად მცხეთაში) ქალაქები მჭიდროდ იყო დასახლებული და სახლები წითელი კრამიტით დახურული (სტრაბონი XI,3,1). ამას ემატება არქეოლოგიური გათხრების შედეგად შეძენილი ინფორმაცია, რომელიც სტრაბონის სიტყვებს მთლიანად ადასტურებს. წლების მანძილზე მცხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლენილი არაერთი ნამოსახლარით თუ ვიმსჯელებთ, რომლებიც იშვიათი გამონაკლისის გარდა ძლიერ ფრაგმენტულია, ახ.წ. I-V სს. მცხეთის სახლებს ძირითადად წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა ქონდათ. ნაგები იყო თიხით შემტკიცებული ქვიშაქვის ქვატეხილითა და რიყის ქვით, ან ქვატეხილების ნყოფაზე ამოყვანილი ალიზით. გადახურული იყო ან მცხეთური ბრტყელი და ღარიანი კრამიტით, ან ქონდა ბანური სახურავი. იატაკი უმეტესად თიხატკეპნილი იყო. სახლები ძირითადად ერთი ოთახისგან შედგებოდა, რომლის შუაშიც ალიზით ნაგები კერა იყო მოწყობილი. ზოგ შემთხვევაში, სახლებს ქონიათ გადახურული აივანი ან სათავსო. ყველაზე რთული საკითხი, რომელიც დღემდე გადაუჭრელად რჩება, ესაა სახლებში სარკმელთა არსებობა. ასეთი სახლების ნაშთები უკეთაა დადასტურებული კარსნისხევის მეთუნეთა უბანში, სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე (სამთავროს ტაძრის წინ) და სვეტიცხოვლის უბანში [ნიკოლაიშვილი ვ. 1993:8-15; აფაქიძე ა., . . . 1989:10-11; აფაქიძე ა., . . . 1989:40-42].

1989-1992 წწ. მცხეთა-ქალაქის ტერიტორიაზე, სვეტიცხოვლის დასავლეთით რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით, მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა ნამოსახლარის ნაშთები, რომელმაც ამ მხრივ არაერთი სიახლე შემოგვთავაზა. ადრეშუასაუკუნეების ნამოსახლარზე აღმოჩნდა ორი ხუროთმოძღვრული კომპლექსი და მათი გამყოფი ქუჩის ნაშთი.

ამ კომპლექსებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ქუჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით გამოვლენილი სახლი, რომელიც მცხეთელ ებრაელს, აბრაამს ეკუთვნოდა. არქეოლოგიური მასალის საფუძველზე ის V ს. დათარიღდა [აფაქიძე ა., . . . 2004:70-81].

სახლი დამხრობილი იყო სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (ტაბ.1). ნაგები იყო პოლიგონალური ნყოფით – დიდრონი ქვატეხილითა და რიყის ქვით თიხაზე. სახლის კედლებიდან, რომელთა სისქე 0.55-0.80-1.20 მეტრს შორის მერყეობდა, ყველაზე სქელი ყოფილა ზურგის კედელი. კედლების ნყოფა სისქეში ორ-ორ მნკრივს ითვლიდა და შუაში ე.წ. ხურდა ქვით იყო შევსებული. კედლები სიმაღლეში დაახლოებით 0.5-0.8 მ სიმაღლეზე შემორჩა, ამიტომ დაზუსტებით იმის თქმა, სახლი მთლიანად ქვის იყო თუ არა, ძნელია. თუმცა, თუ მცხეთაში გათხრილ გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების სამშენებლო ტრადიციებს გავითვალისწინებთ, რომლის თანახმადაც, არა მხოლოდ რიგითი მოსახლის საცხოვრებელი, არამედ საკულტო დანიშნულების ძეგლიც კი ქვის ბაზისზე ალიზის აგურით ამოყვანილი კედლებით იყო ნაგები (კარსნისხევი, ბაგინეთი, სამთავრო, სვეტიცხოვლის უბანი) [ნიკოლაიშვილი ვ. 1993:8-15; ნიკოლაიშვილი ვ. 2011; აფაქიძე ა., . . . 1989:10-11; აფაქიძე ა., . . . 1989:40-42], უფრო სავარაუდოა, რომ ამ სიმაღლის ქვის ნყოფის შემდეგ კედლები უკვე ალიზის ყოფილიყო. სახლის გადასახურად მცირე ზომის ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტი იყო გამოყენებული, იატაკად კი – თიხატკეპნილი.

იმის მიხედვით, რაც არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლინდა, სახლი ორ სამშენებლო პერიოდს მოიცავს: როგორც ჩანს, თავიდან აქ უფრო მცირე ზომის სახლი მდგარა, რომელსაც ჰქონია ერთი სენაკი და 22 მ² ფართობის მქონე მარანი. მოგვიანებით კი სახლი გაუფართოვებიათ: გადაკეთება შეხებია მარანს, რომლის სივრცე უფრო გაზრდილა და იგი სამეურნეო დანიშნულების ოთახად ქცეულა. გათხრების შედეგად და-

მონმებული ფენები იმაზე მეტყველებს, რომ აქ სულ მცირე ორი თაობის ცხოვრება უნდა ვიგულისხმოთ. იმის გარკვევა, ერთი ოჯახის ორი თაობის საცხოვრებელთან გვაქვს საქმე თუ სხვადასხვა ოჯახისა, არ ხერხდება. ამჯერად, სწორედ მეორე სამშენებლო პერიოდზე და მის მესაკუთრეზე შევჩერდებით.

სახლი შედგებოდა: სასტუმროსა და სამეურნეო ოთახისაგან¹. სასტუმროს, რომლის ფართობი 42.5 მ² წარმოადგენდა, გრძივი კედლების გასწვრივ გამართული იყო ქვა-ტალახით და ხის ძელებით ნაგები ჩამოსასხდომად განკუთვნილი მერხები (სიგანე – 0.73-1.45 მ; სიმაღლე – 0.15-0.27 მ). სასტუმროს ცენტრალურ ნაწილში მოწყობილი იყო ოთხკუთხა, კუთხეებმომრგვალებული, ალიზით ნაგები კერა (ზომები: 0.95×0.95 მ). მისგან სამხრეთით კი გაუჭრიათ დაბალი ორმო (დმ – 1.1 მ; სიღრმე – 0.3 მ), რომელიც მთელი ოთახის მსგავსად, შევსებული იყო სამშენებლო ნარჩენებით [აფაქიძე ა., . . . 2004:70-71].

სასტუმრო ოთახს ორი კარი ჰქონია: ერთი, სამხრეთის კედელში დატანებული, შესასვლელი უნდა ყოფილიყო (კარის სიგანე – 2.4 მ, ამ ვარაუდის საშუალებას იძლევა). მეორე, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გაჭრილი 1.45 მეტრის სიგანის კარით კი – სამეურნეო დანიშნულების სენაკში გადიოდნენ. ხის ორივე კარს ჰქონია რკინის ანჯამები, რომელთა ფრაგმენტები სენაკებში დადასტურდა.

სამეურნეო დანიშნულების სენაკი თითქმის კვადრატული ფორმისაა და მისი ფართობი 50.3 მ² აღწევს. სენაკის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, კედლის გასწვრივ მოწყობილი ყოფილა თიხა-ალიზით ნაგები შემადგენელი მოედანი, რომლის ფუნქციის განსაზღვრა,

1 იმის გამო, რომ არქეოლოგიურად შესასწავლი მონაკვეთი საბჭოთა პერიოდის ნაგებობებით იყო შემოზღუდული და არ იძლეოდა არქეოლოგიური ველის გაფართოების საშუალებას, ჩვენთვის საინტერესო სახლიც ფრაგმენტულად იქნა შესწავლილი. ამიტომ, დაზუსტებით იმის თქმა, ამ ორი ოთახის გარდა კიდევ ქონდა თუ არა სახლს სხვა დანიშნულების ოთახ-ნაგებობები (მათ შორის ზღვეც), ძნელი სათქმელია. მიუხედავად ამისა, მაინც ვცადეთ იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც ჩვენ ხელთ გვქონდა, წარმოგვედგინა როგორი უნდა ყოფილიყო სახლი. ამ მონაცემების ზუსტად გათვალისწინებით არქიტექტორ არჩილ ჩიხლაძის მიერ გაკეთდა სახლის სამგანზომილებიანი, ინტერიერის ვირტუალური მოდელი, რომელმაც ნათლად წარმოადგინა სახლის შიდა სახე (ტაბ. I_{2,3}).

ცუდი დაცულობის გამო, არ მოხერხდა. მისი იატაკისა და კედლების შელესილობა, როგორც ჩანს, ცეცხლის ძლიერ ზემოქმედებას განიცდიდა. აქ აღმოჩნდა ძლიერ ცეცხლში ნამყოფი და ადგილზე დაშლილი 8 თიხის ჭურჭელი, ძირითადად სურები და ხელადები (ინვ. №№1182-1189; სამ. №19770-19777) (ტაბ. II₄). ამ მოედნის მარცხნივ, პირველი და მეორე სენაკის გამტახრავი კედლის პარალელურად, ქვიშაქვის ქვატეხილის ერთი რიგით მოწყობილი იყო მომცრო მოედანი (ზომები: 1.9×0.7×0.3 მ), რომლის სიახლოვეს ჭარბობდა დამსხვრეული თიხის ჭურჭლის ნატეხები. სენაკის ჩრდილოეთი კედლის სიახლოვეს ჩამშვებული იყო მოჩაღისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, ბრტყელპირიანი ქვევრი (ზომები: სიმაღლე – 1.45; მუცლის დმ – 1 მ). ამავე ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კი კიდევ შვიდი ქვევრი ჩაუდგამთ. მათგან ნაწილი წინა პერიოდის სახლის კუთვნილი იყო, ნაწილი კი მოგვიანებით, სახლის პატრონს ჩაუდგამს. ქვევრები, ძირითადად მოჩაღისფრო-მოწითალოდაა გამომწვარი, აქვთ ბრტყელი ბაკო, ვიწრო პირი, მაღალი ყელი, სფერული ტანი და ბრტყელი ძირი. ტანზე შემოსდევთ რელიეფური სარტყლების რიგი (ტაბ. II₁₀).

ქვევრების აღმოჩენა ებრაელის სახლში შემთხვევითი და უცნაური არ გახლავთ, რადგან ებრაელთათვის ღვინო იყო და დღესაც რჩება ბუნებრივ და ყოველდღიურ სასმელად, რომლის შესმის წინ ყოველთვის წარმოითქმის ღვთის სადიდებელი. თვით ძველ აღთქმაში ღვინო და ვაზი 443-ჯერაა ნახსენები, რაც მათ სიმბოლურ დატვირთვაზე მეტყველებს. ებრაელთა წეს-ჩვეულებებისა და რელიგიური პროცესებიდან აქ მხოლოდ ერთს გამოვყოფთ, რომელიც ყველაზე მეტად უსვამს ხაზს ღვინის მნიშვნელობას ებრაელებში: პასექობის დღესასწაულის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის სედერის დროს, როცა ებრაელებში ხდება ეგვიპტიდან გამოსვლის შეხსენება, ყველა ებრაელმა (განურჩევლად ასაკისა და სქესისა) აუცილებლად უნდა შესვას ოთხი ჭიქა ღვინო, რომლის რიცხვი ღვთის ოთხი აღთქმის სიმბოლოა (გამოსვლა 6: 6-8)². ამდენად, ღვინო ებრაელთათვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ქრისტიანებისთვის.

2 აღნიშნულის შესახებ იხილეთ: <http://www.jewfaq.org/holidaya.htm>

სახლის სენაკებში დადასტურებული ნივთიერი მასალა მოიცავდა როგორც თიხის ნანარმს, ისე ბრინჯაოს, რკინის, ძვლის ნივთებს, რომლებიც სახლის მაცხოვრებელთა ყოფას ასახავენ. ოჯახის სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი, ქვევრებთან ერთად, მოითვლიდა მაღალყელიან სურებსა და ხელადებს, რომელთაც სამტურა პირი, ნიბოიანი ყელი და მსხლისებრი მუცელი აქვთ, ყელსა და მუცელზე კი დაძერწილია ოვალურგანივკვეთიანი ყური; ქოთნებს, თითო ან ორი ყურით; თეფშებსა და სხვადასხვა ზომის ჯამებს; ჭრაქებს. აქ აღმოჩენილი ჭურჭელი დამზადებულია წმინდად განლექილი თიხისგან და ძირითადად მოჩალისფროდაა გამომწვარი. ჭურჭლის უმეტესობას, იმ პერიოდში გავრცელებული ფორმების მსგავსად, ყელზე შემოსდევს ნიბო და ყურები შემკული აქვს კოპებით. სახლის გასანათებლად ჩვეულებრივ, გამოუყენებიათ თიხის ჯამისებური ჭრაქები.

სახლში აღმოჩენილი მასალა მცხეთასა და ქართლის ადრეული შუა საუკუნეების ყოფითი კულტურის ნაწილია. მსგავსი ნივთები აღმოჩენილია როგორც მცხეთის ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე, ასევე ქართლის სხვადასხვა ნამოსახლარებზე. ისინი უმეტესად ადგილობრივ ნანარმს წარმოადგენს და IV-VI სს. თარიღდება [აფაქიძე ა., . . . 1978:63; რამიშვილი რ. 1979:23,17,65; რამიშვილი რ. 1983:104,114; Рамишвили Р. . . 1991:89-95, таб.226; ნიკოლაიშვილი ვ., . . . 1995:98,112-113; აფაქიძე ა., . . . 1989:9-10, სურ.4; მანჯგალაძე გ. 1985:58-59; აბუთიძე თ., . . . 1988:653-656].

იმ პერიოდის მცხეთის მოსახლეობის სავაჭრო ურთიერთობებზე მეზობელ სახელმწიფოებთან მშვენიერ ინფორმაციას იძლევა სახლის სამეურნეო სენაკში აღმოჩენილი თიხის ორი საბეჭდავი-ბულა სასანური მონოგრამების გამოსახულებით³. ერთი მათგანი აღმოჩნდა ქვევრის ფსკერზე (ინვ.№1175, სამ.№19763, ტაბ. II,). წარმოადგენს მოვარდისფრო-მოყავისფრო, წმინდად განლექილ, მკვრივი თიხის გუნდას (პირის დმ – 29 მმ), რომლის დაბრტყელებულ პირზე მრგვალი ფორმის, ბრტყელპირიანი საბეჭდავის მკ-

ვეთრი ანაბეჭდია (დმ – 16 მმ). გამოსახულია რთული კომპოზიცია: დიდი ჯვარი ვერტიკალური ღერძის გაფართოებული ბოლოებით. მის ძირში ჯიხვის წყვილი თავი და რქები გაშლილი ფრთების ასოციაციას იწვევს. ჯვრის თავთან ორი ფრთაგაშლილი მტრედია, რომლებიც ნისკარტებით ჯვარს ეხებიან. რქებსა და ჯვრის მკლავებს შორის კი აფრიალებული ბაფთებია გამოსახული. გარდა ამ, ძირითადი ანაბეჭდისა, ბულის კიდებზე მოცემულია კიდევ ორი მცირე ანაბეჭდი. ერთი გამოსახავს მწოლიარე ჯიხვს უკან გადახრილი პარალელური რქებით (ანაბეჭდის დმ – 10 მმ), მეორე კი – მინიატურულ ჯვარს, ასევე წყვილი აფრიალებული ბაფთით შემკულს (ანაბეჭდის დმ – 7 მმ). უკანასკნელი ანაბეჭდი ბუნდოვანი და ჩადრეკილია, რაც ქ. რამიშვილის მოსაზრებით, იმას უნდა მიუთითებდეს, რომ ინტალიო ამობურცულ-ზედაპირიანი მინის იყო (რამიშვილი 2005: 188). აშკარაა, რომ ბულაზე მოცემული მთავარი ანაბეჭდი ქრისტიანული საიდუმლოს – ზიარების სიმბოლური გამოსახულებაა, ერთგვარად შერწყმული სასანური კულტურის ელემენტთან – აფრიალებულ ბაფთებთან და ამდენად, ბულა ცხადად მიუთითებს საბეჭდავის მფლობელის ქრისტიანობაზე.

მეორე ბულა (ინვ.№1177, სამ.№19765, ტაბ. II,) წმინდად განლექილი თიხის მოზრდილი გუნდაა (დმ – 35 მმ), რომელსაც ატყვია ცეცხლში მოხვედრის კვალი. ბულა პირისა და ზურგის მხარეს მცირედ დაბრტყელებულია; პირის კიდესა და ზურგიდან პირისკენ აქვს სამი გამჭოლი ხვრელი. პირზე საბეჭდავის ანაბეჭდია: მოცემულია სასანური მონოგრამა – „სადგარი“ ნახევარმთვართით (რამიშვილი 2005: 186). მონოგრამის გარშემო ფალაური წარწერაა: „იაზდან შაჰი ძე სტადანისა“⁴ (ანაბეჭდის დმ – 20 მმ). გარდა ამ მონოგრამისა, ბულაზე კიდევ სამი მცირე ზომის ბუნდოვანი ანაბეჭდია. მათგან ერთი, გამოსახავს მწოლიარე ლომს პროფილში მარჯვნივ (ანაბეჭდის დმ – 10 მმ). მეორე გრძელ სამოსიან, მდგომარე პიროვნებას (სიგრძე – 10 მმ), მესამე კი უბრალოდ ფრჩხილის ჩანაჭდევი უნდა იყოს. ბულის მთავარი ანაბეჭდი ქ. რამიშვილმა მსგავსი სასანური მონოგრამების გათვალისწინებით, ცეცხლის საკურთხევე-

3 ბულები შეისწავლა ქ. რამიშვილმა [რამიშვილი ქ. 2005:186-193].

4 წარწერა გაშიფრა მედეა ნონელიამ.

ლის – ათაშდანის გამოხატულებად მიიჩნია და შენიშნა, რომ დაკვირვების მიხედვით, მონოგრამიანი საბეჭდავები სასულიერო პირებს – ქურუმებს ეკუთვნოდათ, რომლებიც იმავე დროს, მსაჯულის ფუნქციასაც ასრულებდნენ [რამიშვილი ქ. 2005:188].

ბულათა ნაწილი გამოიყენებოდა სხვადასხვა დოკუმენტების, პირადი წერილების, სიგელების თუ ამანათების დასაბეჭდად, ხოლო მეორე ნაწილი, უფრო მოზრდილები, რამოდენიმე გამოსახულებითა და ზონარის გასაყრელი გამჭოლი ფოსოებით, საქონლის დასაბეჭდ ბულებს წარმოადგენდნენ. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ქ. რამიშვილი სათავსოში აღმოჩენილ ბულებს სწორედ ასეთი ტიპის ბულებად თვლის. მათი აღმოჩენა სათავსო ოთახში უნდა მიუთითებდეს, რომ აქ ინახებოდა ამ ბულებით დაბეჭდილი საქონელი [რამიშვილი ქ. 2005:190].

სათავსოში აღმოჩენილი ბულებიდან პირველი, როგორც ჩანს, ქრისტიანი სასულიერო პირის საბეჭდავის ასლია, ხოლო მეორე ზოროასტრ ქურუმ-მსაჯულს უნდა მიეკუთვნოს, „რომელმაც თავისი ბეჭდით დაადასტურა საქონლის ვარგისიანობა“. ვინაიდან, სასანურ ირანში არა მხოლოდ ზოროასტრული რელიგიის მესვეურებს ენიჭებოდათ მსაჯულობის უფლება, არამედ ქრისტიანული ეკლესიების მეთაურებსაც, ქ. რამიშვილის მოსაზრებით, დიდი ალბათობით, მცხეთის ბულებით, სწორედ, ირანიდან იმპორტირებული საქონელი უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი [რამიშვილი ქ. 2005:191].

განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა სასტუმრო ოთახში აღმოჩენილმა ოქროს გრაგნილმა არამეული წარწერით (ინვ.№1437; სამ.№17646, ტაბ. II₃). ოთხად მოკეცილი ფურცელი ჩადებული იყო ჩალისფრად გამომწვარ, სამტურჩა, ცილინდრულ ხელადაში (ინვ.№1594, სამ.№20187), რომელიც ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, იატაკში იყო ჩადგმული. გრაგნილი დამზადებულია ოქროს თხელი ფურცლისგან (სისქე – 0.9 მმ, გაშლილის სიგრძე 5.8 სმ-ია, სიგანე – 2.8 სმ) და მასზე, როგორც აღინიშნა, ამოკვეთილ-ამოჭრილია 29 სტრიქონიანი არამეული ტექსტი – ებრაული შელოცვა, რომელიც ებრაული ანბანის ასოთა სახელწოდებებით ბოლოვდება. წარწერა შეისწავლა კ. წერეთელმა. რომლის თანახმადაც, ტექსტი

დანერილია იუდეურ-არამეულზე, ანუ ენაზე, რომელზედაც გვიანანტიკურ ხანაში მეტყველებდნენ ებრაელები, მათ შორის ქართლში მცხოვრებნიც⁵. მისეული ნაკითხვით, ტექსტი ასე გამოიყურება: „ეს არის კეთილი ამულეტი აბრაჰამ სარას ძისათვის, მისი ოჯახის წევრებისათვის, ეს [არის] ბეჭედი, რომლითაც დაბეჭდა სოლომონ მეფემ [ბოროტი სულები], რათა არ ევნოს ბრაჰამ სარას ძეს, და [არც] არავის მისი ოჯახის წევრებიდან ჩვენს წინაშე და, როგორც ადრეც, შეასრულა [სიტყვა] ღმერთმა ძლიერმა აბრაჰამის მიმართ, რომ [იგი] იქნებოდა ღმერთი დამცველი [მისი] მუდამ. შენ შეჭირვებული ხარ. განდევნე [ბოროტი სულები], გააკეთე სიკეთე და ფარულად (საიდუმლოდ) დაადე ხელი მას! [და] კვლავ (კიდევ უფრო) განამტკიცე სამართლიანი [საქმე], სახელითა ამ ანგელოზებისა მე ვბეჭდავ და ვკრავ [ბოროტ სულს], რათა [მან] არ იბატონოს მასზე, აბრაჰამ სარას ძეზე [იყოს] ჯადო და ავი საქმე და არც შეკრულნი (მოჯადოებულნი), და არც ქერუბიმნი. და არც ეშმაკი და არც ეშმაკეული და არც არავითარი ბოროტი დემონი, და არ ექნებათ [მათ] ძალა, აბრაჰამ სარას ძეზე დღეიდან უკუნისამდე! ამენ, ამენ, სელა! აღდეგ და აღასრულე ნამოქმედარი მოწყალებისა! არ არის მათში სუბსტანცია. ალფე, ბეთ, გიმელ, დალეთ, ჰე, ვა, ზაინ, ხეთ, ტეთ, იოდ, ქაფ, ლამედ, მემ, ნუნ, სამეხ [აინ], ფე, ცადე, კოფ, რეშ, შინ, თავ. და თქვა იაკობმა, როდესაც იხილა ისინი: „ღმერთის ბანაკია ეს“. და უწოდა სახელი ადგილსა მას მახანაიმ“ [წერეთელი კ. 1996:100-101].

ფირფიტა წარმოადგენს ამულეტს – ავგაროზს, რომელსაც ადრეულ შუა საუკუნეებში ებრაელები ფართოდ იყენებდნენ როგორც პატრონის დამცველს ავი თვალისა და ბოროტებისაგან. ამულეტები, უფრო ხშირად, გულსაკიდებს წარმოადგენდნენ, შესრულებული იყო ლითონის (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ტყვია) თხელ ფირფიტაზე, რომელიც იგრაგნებოდა და თავსდებოდა ბუდეში ყელზე დასაკიდებლად. მაგრამ, ასევე ხშირად, მსგავს ამულეტებს ათავსებდნენ ხოლმე კერძო სახლებსა და სინაგოგებში [წერეთელი კ. 1996:95-96]. მცხეთის შემთხვევაში, ამულე-

5 მეცნიერი ამულეტს შინაარსის, პალეოგრაფიული ნიშნების, ენობრივი მახასიათებლებით და თანმდევნი არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით V-VI სს. ათარილებს [წერეთელი კ. 1996:126].

ტი სწორედ სახლის, აბრაჰამ სარას ძისა და მისი ოჯახის, ავგაროზად გვევლინება, რომელიც ხელადაში ჩადებული, მოთავსებული იყო სასტუმრო ოთახის იატაკში.

სახლის მოცულობის, ოქროს გრაგნილი-სა და საბეჭდავი ბულების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახლი ეკუთვნოდა მცხეთის ებრაელ მკვიდრს, აბრაჰამ სარას ძეს. იგი რწმენით იუდეველია, სოციალური სტატუსით – მაღალი ფენის წარმომადგენელი, კონკრეტულად კი, ვფიქრობთ, სწორი უნდა იყოს ვ. ნიკოლაიშვილის მოსაზრება, რომ აბრაჰამ სარას ძე ვაჭართა ფენის წევრი უნდა ყოფილიყო [ნიკოლაიშვილი ვ. 2010:241-256] და შესაძლოა, გარკვეული გავლენითაც სარგებლობდა.

ამდენად, 1989-1992 წწ. მცხეთაში შესწავლილმა სახლმა, საშუალება მოგვცა მეტი წარმოდგენა შეგვექმნა მცხეთის დედაქალაქობის ბოლო პერიოდის შეძლებული მოსახლეობის ერთი ნაწილის ცხოვრების სტილსა და ქალაქის ურბანიზაციაზე.

ლიტერატურა:

აბუთიძე ა., ბიბლიური თ., მაისურაშვილი ნ. 1988: ახალი არმაზის ადრექრისტიანული ხანის სამაროვანი. საქ. მეცნ. აკად. მოამბე. თბილისი. ტ.131.

აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. 1978: მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის მუშაობის ანგარიში. მცხეთა. II. თბ.

აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა., ბიბლიური თ., გიუნაშვილი გ., ირემაშვილი შ., მანჯგალაძე გ., სადრაძე ვ. 1989: დიდი მცხეთა, 1980. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მცხეთა. IX. თბ.

აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა., ბიბლიური თ., გიუნაშვილი გ., ირემაშვილი შ., მანჯგალაძე გ., სადრაძე ვ., ხეცურიანი ლ. 1989: დიდი მცხეთა, 1981. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მცხეთა. IX. თბ.

აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., ნარიმანიშვილი გ., სადრაძე ვ., ძნელაძე მ., ირემაშვილი შ., ნონეშვილი ა., ხეცურიანი ლ., გავაშელი ე. 2004: მცხეთის ექსპედიცია. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში. თბ., გვ. 70-81.

მანჯგალაძე გ. 1985: სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები. კატალოგი. მცხეთა. VII. თბ.

ნიკოლაიშვილი ვ. 1993: კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება. თბ.

ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ. 1995: ბაიათხე-

ვი. მცხეთა, X. თბ.

ნიკოლაიშვილი ვ. 2010: ქართლის (იბერიის) სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ებრაული წარწერები (ისტორიულ-არქეოლოგიური წარწერები). საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის შრომები. VI. თბ., გვ.241-256.

ნიკოლაიშვილი ვ. 2011: არმაზციხე: ქართლის მეფეთა რეზიდენცია. თბ.

რამიშვილი რ. 1979: ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. თბ.

რამიშვილი რ. 1983: ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ. განათხარის მიხედვით. ჟინვალი. I. თბ., გვ.81-130.

რამიშვილი ქ. 2005: ორი ბულა სვეტიცხოვლის უბნიდან. – ძიებანი. საქართველოს მეცნ. აკადემიის არქეოლოგიის კვლევის ცენტრის ჟურნალი, №15-16.


წერეთელი კ. 1996: მცხეთის არამეული ამულეტი. მცხეთა. XI. თბ., გვ.95-132.

Рапишвили Р., Джорбенадзе Б., Чиковани Г., Глonti М., Гогочури Г., Цитланадзе Л., Мухигулашвили Н., Маргвелашვილი М., ... 1991: Археологическая экспедиция горного региона Восточной Грузии. Полевое Археологическое Исследования в 1986 г.

ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I – 1. აბრაამის სახლის გეგმა; **2.** აბრაამის სახლის სასტუმრო ოთახის 3D მოდელი; **4.** მარნის 3D მოდელი (არქიტ. ა. ჩიხლაძე).

ტაბ. II – 1-2. მარანში აღმოჩენილი თიხის ბულები. **3.** სასტუმრო ოთახში აღმოჩენილი ოქროს ამულეტი. **4-6.** ხელადაები; **7-9.** დოქები და სურები; **10.** ქვევრი; **11.** რკინის სამეურნეო იარაღი.




2



3

II



1



2



3



4

5

6

7



8



9



10



11

რკინის საბრძოლო იარაღები

ძვ.წ. VI-III სს. არაბვის ხეობაში

ნამოსახლარების თუ სამაროვნების ხასიათის გასარკვევად, მათი სოციალურ-ეკონომიკური ბუნების ასახსნელად, ისევე როგორც მატერიალური კულტურის სხვა დარგებს (კერამიკა, სამკაული), უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბრძოლო და სამეურნეო იარაღსაც, მით უმეტეს ისეთ პერიოდში როგორცაა ძვ.წ. VI-IV სს. ძეგლის სოციალური ბუნების გასაგებად, ამ პერიოდში საბრძოლო იარაღი, ვფიქრობთ ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორიც კია. ცნობილია რომ სამხედრო ხელოვნების და შეიარაღების დონე, მისი განვითარება უპირველესად განისაზღვრება ეკონომიკური პირობებით [Блаваткий, 1954, გვ. 5], ეკონომიკა კი, როგორც ბაზისი ყოველთვის წარმოგვიდგენს ზედნაშენის სოციალურ სახეს.

ვფიქრობთ ვარსიმაანთკარის მასალებიც გარკვეულ წვლილს შეიტანს ადრეანტიკური ხანის იარაღ-საჭურველის შესწავლის საქმეში, მით უმეტეს რომ ყველაზე მასიურად იგი აქაა წარმოდგენილი და დაცულობის მხრივაც უკეთეს მდგომარეობაშია.

ვარსიმაანთკარის სამაროვანზე გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი საბრძოლო იარაღ საჭურველს უკავია, იგი თითქმის ყველა სახეობითაა წარმოდგენილი რითიც შეიარაღებული იყო იმ პერიოდის მეომარი (ცულის გარდა): შუბისპირები, ხელშუბები, სატევრები, აკინაკი, დანები, ისრისწვერები, მუჯირა, ფარი, მუზარადი, ჯავშანი, ე.ი. წარმოდგენილია როგორც შეტევითი ისე თავდაცვითი იარაღი.

ვარსიმაანთკარის სამაროვანზე იარაღი ყველა მამაკაცის სამარხისთვისაა დამახასიათებელი, იშვიათი გამონაკლისის გარდა (ისიც არაა განსაზღვრული ანთროპოლოგიურად ვის ეკუთვნოდა სამარხი – ქალს თუ მამაკაცს). 118 სამარხიდან 66-ში იარაღია დადასტურებული. სულ აღმოჩენილია 49 შუბისპირი, 16 ხელშუბისპირი, 3 მუჯირა, 1 მახვილი-აკინაკი, 63 დანა, 13 ისრისწვერი, 7 სატევარი, 2 ფარი, 2 მუზარადი, 3 ჯავშანი. სახეობების მიხედვით სამარხებში მათ განლაგებაში კანონზომიერება არ შეინიშნება.

თითოეულ სახეობას განვიხილავთ ცალ-ცალკე.

შუბისპირები. 66 სამარხში დადასტურებულია 49 შუბისპირი და 16 ხელშუბისპირი. როგორც აღვნიშნეთ სამარხში მათ განლაგებაში რაიმე კანონზომიერება არ შეინიშნება. ყველაზე მეტად თავის ქალის არეში გვხვდება (14 შემთხვევა). გარდა ამისა დადასტურებულია წელის არეში, (5 შემთხვევა). გულ-მკერდის ნინ (4 შემთხვევა). ზურგს უკან, (9 შემთხვევა), მუხლებთან (3 შემთხვევა). ტერფებთან (2 შემთხვევა), მენჯთან მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღმოჩნდა. როგორც ვხედავთ ყველაზე მეტად დამახასიათებელია თავის ქალასთან. მათ განლაგებას სამარხში მნიშვნელობა ჰქონდა იმდენად, რამდენადაც დაგვეხმარებოდა მთლიანი ზომის წარმოდგენაში, მაგრამ ყველა შემთხვევაში სამარხის ზომების მიხედვით (ყველაზე დიდი 1,6 მ.) წარმოდგენილია მათი მთლიანი გამართვა სამარხში პროპორციების მიხედვით. ასევე წარმოდგენილია ისეთი მოკლე ტარის ხმარება, რასაც სამარხის ზომები იძლევა. ამასთან ყველა მათგანის მასრაში შემორჩენილია ხის ნაშთი, ნიშანი იმისა რომ უტაროდ ატანდნენ. ე.ი უნდა ვივარაუდოთ რომ ტარს სამარხში ჩატანების დროს აჭრიდნენ, რადგან იმასაც ვერ დავუშვებთ რომ ტარს ვერტიკალურად არჭობდნენ სამარხში, ვინაიდან *in situ* ყველა ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია აღმოჩენილი. ზოგიერთი შუბისპირის მიხედვით, რომელიც მიცვალებულის ზურგს უკანაა ჩატანებული და წვერი სამარხი ორმოს ზღვარს ებჯინება, შეგვიძლია დაახლოებით ვივარაუდოთ მათი მთლიანი სიგრძე 1,2-1,3 მ. შუბისპირები თავისი ფორმისა და ზომის მიხედვით თითქმის ყველა განსახვავებულია ერთმანეთისაგან, რის მიხედვითაც შეიძლება რამოდენიმე ტიპისა და ქვეტიპის გამოყოფა.

I ტიპი (ტაბ. I; სურ. 1 №164, 149, 172, 287) დიდი ზომის შუბისპირები, მოკლე ოვალურგანიკვეთიანი გახსნილი მასრით, დაქანებული მხრებით რომლებიც მთავრდება მცირე ნიბოთი, რომელიც სწორ კუთხეს ქმნის გვერდთან. გრძელი წვეროსაკენ თანაბრად შევიწროვ-

ბული პირით, პირზე ორმხრივი, რელიეფური ქედით. ქედის გამოყვანა მასრიდან იწყება. მასრა ფუძესთან დაბრტყელებულია, სიგრძე მერყეობს 33-42-43-80 სმ. მასრის სიდიდე - 3-3,5 სმ. I ტიპში გამოირჩევა №149 (ტაბ. I, სურ. 1), რომელსაც შედარებით ვიწრო და გრძელი, თითქმის მასრის სიგანის პირი აქვს. პირის სიგრძე რამდენჯერმე აღემატება მასრას.

ამ შუბისპირების ზუსტი ანალოგიები ვერ მოვიძიეთ ვერც ა/კავკასიის სინქრონულ სამაროვნებზე და არც სკვითურ-სავრომატული და ბერძნული შეიარაღებისათვის ჩანს დამახასიათებელი, რაც გვაფიქრებინებს მათ ადგილობრივ წარმოებას, მაგრამ ესეც სათუთა, ვინაიდან არც ერთ სინქრონულ სამაროვანზე საქართველოში მსგავსი ფორმები არ არის დაფიქსირებული. სკვითებს მართალია ახასიათებთ დიდი ზომის შუბისპირები, მაგრამ ისინი ფორმით განსხვავებულია. [Мелюкова 1964. გვ. 36]. გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ ასეთი შუბისპირები გვხვდება მხოლოდ ე.წ. წარჩინებულ პირთ სამარხებში (№№ 105, 106, 107, 117), რომელთაც ალბათ ყველაზე მეტი საშუალება გააჩნდათ გამოირჩეული იარაღის დასამზადებლად და შესაძენად, სავარაუდოა რომ ე.წ. წარჩინებულები მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსნებს მიეკუთვნებოდნენ, რომელთა შეიარაღება გამოირჩეოდა რიგითი ქვეითებისაგან. ერთი შეხედვით საერთო ფორმით ისინი თითქოს არ გამოირჩევიან დანარჩენებისაგან, მაგრამ მხრებისა და მასრის ფორმით ამკარად უცხოდ გამოიყურებიან დანარჩენ მასალაში. სამარხეული კომპლექსების მიხედვით ისინი შეიძლება ძვ. წ. VI ს ბოლო V ს. დავათარილოთ. მათთან ერთადაა დადასტურებული თიხის გოფრირებული ჭურჭელი, სკვითური ტიპის სამფრთიანი ისრისპირები რომლებიც დამახასიათებელია ძვ.წ. VI-IV სს., ძელისებურთავიანი და თირკმლისებურვადიანი სატევარი, ძვლის პირამიდური ისრისწვერები და სხვა. გარდა ამისა თუ გავითვალისწინებთ მასრის ფორმას (ოვალურგანივკვეთიანი უფრო ადრეული ჩანს), პირის გაფორმებას, ზომებს რომლებიც ჩვენი სამაროვნის მაგალითზე გვიანდელი ჯგუფის სამარხებში ამკარად მცირდება. ვფიქრობთ რომ I ტიპი წინ უნდა უსწრებდეს მათ ან ისინი თანაარსებობენ მაგრამ სოციალურად განსხვავებულ პირთა სამარხებში, რაც თავის მხრივ მძიმედ შეიარაღებულ მეომრებს უკავშირდება.

II ტიპის შუბისპირებს (ტაბ. I სურ. 1. №№43, 309) ახასიათებთ მოკლე გახსნილი მასრა მრგვალი დიამეტრით განიერი დაქანებული ფრთები, პირზე ორმხრივი მაღალი რელიეფური ქედი. I ტიპისაგან განსხვავდება მხოლოდ მასრის ფორმით, იგი მრგვალდიამეტრიანია და შედარებით ვიწრო. პირი წვეროსაკენ თანაბრადაა შევიწროვებული და არც ნიბო ახასიათებს, სიგრძე 37-64, მასრის დმ. 2,5 სმ.

III ტიპის შუბისპირები (ტაბ. I, სურ. 1, №№ 193, 222, 208]. ხასიათდება გახსნილი მრგვალი მასრით, მკვეთრად დაქანებული მხრებით, რომლებიც გვერდთან შეერთების ადგილას სწორ (პატარა) კუთხეს ქმნის, წვერისაკენ თანაბრად შევიწროვებული პირით, პირზე ორმხრივი რელიეფური ქედი. I და II ტიპისაგან განსხვავდება მხრებისა და მასრის გაფორმებით (ქედიც ყოველთვის არ ხასიათდება მაღალი რელიეფით № 208). სიგრძე მერყეობს 32-56 სმ. მასრის სიგრძე 10,5-12 სმ. დმ 2,5 სმ.

როგორც ვხედავთ I-II-III ტიპის შუბისპირები განსხვავდება მცირე დეტალებით. რაც შეეხება IV ტიპის შუბისპირებს [ტაბ II, სურ I №№ 268, 161]. მათგან გამოირჩევა მხოლოდ შემცირებული ზომებით. ახასიათებთ მრგვალდიამეტრიანი საშუალო სიგრძის მასრა, დაქანებული მხრები, ვიწრო პირი, პირზე ორმხრივი ქედი, სიგრძე 26,5-39სმ, მასრის სიგრძე 10,5-12 სმ, დმ-2,5.

მსგავსი ვიწროპირიანი შუბისპირები გავრცელებულია ა/კავკასიის მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ განსხვავებაა მასრისა და მხრების გაფორმებაში. სამართლიანად შენიშნავს ც. დავლიანიძე “რომ ადრეანტიკურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული რომელიმე გარკვეული ტიპის შუბისპირებისათვის ლოკალური რაიონის გამოყოფა არ ხერხდება. თითქმის ყველანაირი შუბისპირი მეტ-ნაკლები ურთიერთმიმსგავსებით გვხვდება, როგორც საქართველოს სხვადასხვა რაიონში, ასევე მის ფარგლებს გარეთ გამოვლენილ თანადროულ მასალებს შორის”. [დავლიანიძე 1983. გვ 46]. აქედან გამომდინარე, ხომ არ შეიძლება I-II-III-IV ტიპის შუბისპირებისათვის არაგვის ხეობა მივიჩნიოთ ლოკალურ რეგიონად, სადაც I-IV ტიპის შუბისპირები მზადდებოდა, ვინაიდან ისინი განსხვავდება სხვა რეგიონის შუბისპირებისაგან. დაბეჯითებით რა თქმა უნდა ამას ვერ ვიტყვით, ვინაიდან სხვა ძეგლებზე მასალა

უფრო ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი და შესაძლოა სწორედ ის დეტალები აკლდეთ, რომლებზეც ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ. მაგრამ სწორედ კარგად შემონახულ მასალებშიც არ ჩანს ანალოგიური ცალები.

V ტიპის შუბისპირებს №№ 116, 532 ახასიათებს მრგვალი, საშუალო სიგრძის გახსნილი მასრა, ფოთლისებური პირი, მომრგვალებული მხრები, წვერისაკენ თანაბრად შევიწროვებული პირი, პირზე ორმხრივი, მომრგვალებული, რელიეფური ქედი. სიგრძე 41 სმ. მასრის სიგრძე 12 სმ. – დმ. 2,3 სმ. პირის საშუალო სიგანე – 4,5 სმ. მსგავსი შუბისპირები (მაგრამ არა ანალოგიური) აღმოჩენილია ყანჩათში [გაგოშიძე 1964 გვ. 80. სურ 34]. ღრმხევისთავში [აბრამაშვილი რ და სხვა. 1980 ტაბ. XXXII გვ 471]. რკინის კალოზე [კობაიძე ლ. 1978 ტაბ. XVII გვ. 74]. ჩვენი შუბისპირები განსხვავებულია მათგან, უფრო მომრგვალებული მხრები აქვს და ქედიც მასრაში გადადის, პირიც უფრო მეტად აქვს დავიწროვებული წვეროსაკენ, ამით იგი უფრო მეტად უახლოვდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის შუბისპირებს, როცა ქედი მასრაში გადადის [თბილისი 1978 ტაბ XI]. მსგავსია გოლოვინოში აღმოჩენილი შუბისპირები. რომლებიც I ჯგუფშია გაერთიანებული. [Мартirosian 1954, სურ 1-6]. ხასაითდება იგივე ფორმით, ნაგრძელებული ფოთლისებრი პირით, კარგად გამოხატული ქედით, ა. მარტიროსიანი I ჯგუფის შუბისპირებს ურარტულ შუბისპირებს უკავშირებს და რკინის ფართო ათვისების ხანით ათარილებს. მსგავსი შუბისპირები აღმოჩენილია მუსიერში, ახტალაში, ლალვარის, ვორნაკის სამაროვნებზე, სადაც ძვ. წ. VII-VI სს თარიღდება [Мартirosian 1954, გვ. 42]. მხრებისა და მასრის გაფორმებით, ძალზე ჰგავს ათარბეკიანში ძვ.წ VII-VI სს დათარიღებულ შუბისპირებს [Есаиан 1966 ტაბ. III 3,4]. მსგავსი შუბისპირები შედარებით ფართოდაა წარმოდგენილი ქვემო ქართლის ძეგლებზე, ბეშთაშენის, კიკეთის და კუმისის სამაროვნებზე [დავლიანიძე 1983, ტაბ VI 2. 35] მაგრამ მცირე ზომებით ხასიათდება. ც. დავლიანიძე მათ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში გავრცელებულ ბრინჯაოს შუბისპირებს უკავშირებს [დავლიანიძე 1983 გვ. 45]. სწორად შენიშნავს იმასაც, რომ ქვემო ქართლის შუბისპირების უფრო ზუსტი ანალოგიები ქარბობს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ თანადროულ

შუბისპირებს შორის [დავლიანიძე 1983 გვ. 45]. რადგან დასავლეთ საქართველოს შუბისპირებს ახასიათებს უფრო ნაგრძელებული ფორმები და შედარებით ვიწრო პირიც. ორი ცალი შუბისპირია აღმოჩენილი კავთისხევშიც, ქასრაანთ მიწების სამაროვანზე, აქედან ერთი მათგანი ჰგავს V ტიპის შუბისპირს [ბერაძე 1980 XXIII], თარიღდება ძვ. წ. VI-IV სს. როგორც ვხედავთ V ტიპის შუბისპირები ჩნდება ძვ. წ. VII-VI სს-ში. გენეტიკურად უკავშირდება ბრინჯაოს ფოთლისებურპირიან შუბისპირებს და ძირითადად გავრცელებულია ა/კავკასიის ტერიტორიაზე. ჩრდ. შავიზღვისპირეთში აღმოჩენილ შუბისპირებს ა. მელიუკოვა კავკასიას უკავშირებს [Мелюкова 1964. გვ 42]. და აღნიშნავს, რომ ისინი ჩნდება ძვ.წ. VI ს I ნახევარში, ფართოდ ვრცელდება VI-V ს I ნახევარში [Мелюкова 1964. გვ 38].

VI ტიპის შუბისპირი (ტაბ. I სურ. 2) წარმოდგენილია ორი ცალით (№№ 75. 105), ახასიათებს გრძელი გახსნილი მასრა, დაქანებული მხრები ძალზე ვიწრო პირი რომელიც მასრისაგან ოდნავაა გამოყოფილი, წვრილი პირი წვეროსაკენ თანაბრად ვიწროვდება, აქვს ოდნავ გამოხატული ქედი. სიგრძე 20-21 სმ. მასრის სიგრძე 8-10 სმ. დმ. 2 სმ. მსგავსი შუბისპირები უფრო მეტად დამახასიათებელი ჩანს დასავლეთ საქართველოს ძეგლებისათვის, კერძოდ, აღმოჩენილია ნითელი შუქურის სამაროვანზე, ძვ.წ. VIII-VI სს. სამარხებში [Трапш 1969, ტაბ. XXI/9]. გუადიხუს, სოხუმის სამაროვნებზე არსებობს ძვ.წ. VI ს – დან IV-III ს. ჩათვლით, [Лорткипанидзе г. 1973. გვ. 54. ტაბ. IX] მსგავსი შუბისპირები აღმოჩენილია აგრეთვე წინანდალში [ქორიძე 1958. ტაბ XX]. დათარიღებულია ძვ.წ VI-IV სს ით, დნესტრისპირეთში [Петренко 1967. გვ. 48 ტაბ 36, სურ 15]. სადაც ძვ.წ IV-III სს. თარიღდება, ლუგოვოს [ГИМ №238 K33/3]. და ბერიოზოვსკის [ГИМ K33/3 №347]. სამაროვნებზე, სადაც ძვ.წ. VI-V სს ითაა დათარიღებული სამარხისეული ინვენტარის მიხედვით. კრუპნოვი მათ ადგილობრივ, კავკასიურ ტიპად მიიჩნევს. [Крупнов 1960 გვ. 282]. და აღნიშნავს რომ ისინი გავრცელებულია ყაბარდო-ბალყარეთის საზღვრებამდე, დასავლეთით – ყუბანამდე. [Крупнов 1960 გვ. 283]. დამონმებულია აგრეთვე ისთ-სუს სამაროვანზე [Артемонова-Полтавцева 1950 სურ 202]. ჩვენი შუბისპირები სამარხეული კომპლექსების მიხედვით ძვ.წ. IV ს. განეკუთვნებიან.

VII ტიპის შუბისპირები (ტაბ. II, სურ. 3) ხასიათდება საშუალო სიგრძის გახსნილი მასრით, დაქანებული, სამკუთხედად ჩამოჭრილი მხრებით. პირი ნვეროსაკენ შევიწროვებულია, ორმხრივი რელიეფური ქედით. მაღალი ქედით გამოირჩევა №11. სიგრძე მერყეობს 26-32-36 სმ, მასრის სიგრძე – 9-11 სმ. დმ. 2-2,8 სმ. პირის სიგანე – 2,3-3,5 სმ.

შუბისპირების ეს სახე ყველაზე დამახასიათებელია ჩვენი სამაროვნისათვის და საერთოდ ა/კავკასიის ძეგლებისათვის. შედარებით დიდი რაოდენობითაა ქვემო ქართლის ძეგლებზე [დავლიანიძე 1983. ტაბ. V, სურ. 9,13]. ბეშთაშენში, კიკეთში, კუმისში, დიდ ლილოში, საგარეჯოში, ნინანდალში, სამთავროში ძვ.წ. VII-VI სს. დათარიღებულ სამარხებში [აბრამიშვილი რ. 1961, ტაბ. XVI-2], კავთისხევში [ბერაძე ე. ტაბ. XXIII], განთიადში [ავალიშვილი 1974. გვ. 77], კამარახევში [ჯღარკავა 1982. 1385], ღრმახევისთავში [აბრამიშვილი 1980. ტაბ XXXII. 553. სურ. 77], რკინის კალოზე [კობაიძე ლ. 1978. ტაბ. XXI114 VIII-VI სს.], სიმაგრის ნამოსახლარზე [მიქელაძე 1978. ტაბ. XXXVIII, 1249], ნიგეზიანის [Микеладзе 1977 სურ. 32]. გუადიხუს [Трапш 1969. ტაბ III] წითელი შუქურას [Трапш 1969. ტაბ. VI. სურ.12, 13]. სამაროვნებზე, სადაც ძვ.წ VIII-VI სს თარიღდება, ვანში მეომრის მე-9 სამარხში [ლორთქიფანიძე და სხვა. 1972. სურ 175]. დიდი რაოდენობითაა სომხეთში, გოლოვინოში [Мартirosian 1954, გვ. ტაბ. I სურ. 3, 4, ტაბ XV სურ. 12 (VII-VI სს.)]. ბამბეკში, დილიჟანში, [Есян 1966 ტაბ. IV სურ 1. გვ. 23]. მაკარაშენში, ვორნაკში თარიღდება ძვ.წ. VIII-VI სს. გვხვდება სავრომატულ შეიარაღებაში [Смирнов 1984. 23. სურ. 415] რომელსაც კ. სმირნოვი უკავშირებს კავკასიურ შეიარაღებას. მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში კომაროვის კოლექციაში ГИМ 69/206, ერიცოვის კოლექციაში ვორნაკიდან, ჩრდილოეთ კავკასიაში ლუგოვის და ნესტოროვსკის სამაროვანებზე [Крупнов 1960. ტაბ. XII. სურ. 5. 6. ტაბ. XIII15]. ამგვარი შუბისპირები დაფიქსირებულია ჩესნოკორტის სამაროვნიდან (სამოკვასოვის კოლექცია).

როგორც ჩანს შუბისპირების ეს ფორმა ჩნდება ძვ.წ. VIII-VI სს-ში და ჩვენი სამაროვნების მაგალითზე ძვ.წ IV ს-შიც ფართოდაა გავრცელებული. IV ს.-ის მესამე მეოთხედითაა დათარიღებული მსგავსი შუბისპირები ვანიდან. ვრცელია მისი გეოგრაფი-

ული საზღვრებიც: ა/კავკასია, ჩრდ. კავკასია, დნეპრისა და ყუბანისპირეთი, ვოლგისპირეთი და ურალისპირეთი. იქ რა თქმა უნდა მცირე რაოდენობით გვხვდება და სრულიად სამართლიანად მიიჩნევენ მათ კავკასიურ ტიპად.

VIII ტიპის შუბისპირები (ტაბ. II, სურ. 3) (№№ 378, 379). VII ტიპისაგან განსხვავდება მკვეთრად დაქანებული მხრებით, რომლებიც რომბის ფორმას აძლევს შუბისპირს, აქვს ფართო პირი, პირზე ორმხრივი რელიეფური ქედით. სიგრძე – 31-32 სმ, მასრის სიგანე – 11-12 სმ, დმ -2,2-2,6 სმ, პირის საშუალო სიგანე - 4-5 სმ.

ქვეტიპად გამოიყოფა №№ 367,106ა (ტაბ. II. სურ.1) შუბისპირები, რომელთაც პირის მოყვანილობა იგივე აქვთ მაგრამ პროპორციულად მასრა და პირი თითქმის თანაბარი ზომისაა, სულ ოდნავ აღემატება პირის სიგრძე. სიგრძე – 22 სმ, მასრის სიგრძე – 8,5-11 სმ, დმ – 1,9-2 სმ. პირის საშუალო სიგანე – 2,5-3,5 სმ.

სამაროვანზე გამოვლენილია 13 ხელშუბისპირი (ტაბ. III.) (№№ 201, 271, 25, 30, 72, 127, 192, 207 249, 386, 76, 376). ისინი იმეორებენ შუბისპირების ფორმებს, გამოირჩევიან მათგან მხოლოდ შემცირებული ზომებით. სიგრძე – 15-26 სმ, მასრის სიგრძე – 6-10 სმ, დმ – 1,6-2 სმ, პირის სიგანე – 1,8-3 სმ. ისინი ძირითადად შეესატყვისება VII ტიპის შუბისპირებს, მხოლოდ №201 იმეორებს V ტიპის ფორმას, მასვე შეიძლება დავუკავშიროთ №30 და №271, მხოლოდ ქედშია განსხვავება, მათ №201 მსგავსად არ ახასიათებს მაღალი, რელიეფური ქედი. №25 უფრო VI ტიპს ემსგავსება. დანარჩენები იმეორებენ VII ტიპის შუბისპირების ფორმებს.

ამრიგად, ვარსიმაანთკარის სამაროვანზე გამოვლენილი შუბისპირები თავისი ფორმითა და ზომით, მასრისა და პირის პროპორციებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ისინი როგორც ვნახეთ ჩნდებიან ძვ.წ. VIII-VI სს-ში და ხანგძლივად არიან ხმარებაში. ყველა ტიპი თითქმის თანაარსებობს მხოლოდ I ტიპის შუბისპირები არ გვხვდება VI ს. ქვემოთ, ყოველ შემთხვევაში, IV ს.-ის I ნახევრის შემდგომ აღარ უნდა იყოს. დამზადებულია ქედვით, საშუალო სისალის ფოლადისგან. ფორმათა ეს მრავალგვარობა არ უნდა მივანეროთ მხოლოდ სხვადასხვა სახელოსნო ცენტრებს, ეს ოსტატის ინდივიდუალობაზეც იყო დამოკიდებული, როცა იგი საერთო ნორმებს ემორჩილებოდა, მაგრამ არ ცდილობდა მთლიანად ერთნაი-

რი გაეკეთებინა. საბრძოლო იარაღები ყველაზე დიდი რაოდენობით ვარსიმაანთკარის სამაროვანზეა წარმოდგენილი მაშინ როცა მის სინქრონულ სამაროვანებზე ან საერთოდ არაა წარმოდგენილი, ან ფრაგმენტულადაა. მაგ., კავთისხევსა და კამარახევში იშვიათად გვხვდება მთელი ცალები, ეს, ალბათ, ფოლადის ხარისხზეც იყო დამოკიდებული. სამწუხაროდ კამარახევის რკინის მასალის ანალიზი გაკეთებული არ არის, მაგრამ, ალბათ, უფრო დაბალი ხარისხის რკინისაგან იყო დამზადებული, რადგან ასე ცუდადაა შემორჩენილი. ეს ხაზს უნდა უსვამდეს განსხვავებული სახელოსნო ცენტრებით სარგებლობას. ჩვენთან ცუდადაა შემონახული დანები, შუბისპირების და სატევრების უმრავლესობა სრული სახითაა. იარაღის სიმრავლე, ფორმათა მრავალგვარობა, ხარისხი უნდა მიგვანიშნებდეს არაგვის ხეობაში ცალკე სახელოსნო ცენტრის არსებობაზე, მაშინ როცა კამარახევის 156 სამარხში აღმოჩნდა მხოლოდ 19 ცალი შუბისპირი, აქედან არ არის გამოყოფილი რამდენია ხელშუბი, არც ზომებია მითითებული. აქვეა 3 მახვილი, 31 დანა. კავთისხევში 30 სამარხში აღმოჩნდა 2 შუბისპირი, 8 დანა, 2 სატევარი. ღრმახევისთავში 99 სამარხიდან – 7 შუბისპირი, 13 დანა; განთიადში 7 სამარხიდან – 3 შუბისპირი. რკინის საბადოებით მდიდარი ქვემო ქართლის სამაროვანებზე, ბეშთამენი – 15 ცალი, კუმისისა და კიკეთის სამაროვანებზე – თითო ცალი. რაოდენობრივი მაჩვენებელიც ხომ ერთ-ერთი მაჩვენებელია ადგილობრივი წარმოებისა.

სამაროვანზე ერთადერთი აკინაკია წარმოდგენილი (№ 207. ტაბ. II, სურ. 4) ძელისებური თავით, დაღარული, თირკმლისებრი ვადით, გრძელი თანაბრად განვრილებული პირით, რომელზეც ასევე ღარები შეინიშნება. პირზე ხის ნაშთებია შემორჩენილი, ალბათ ქარქაშისა. სიგრძე – 75,5 სმ, ვადის სიგრძე – 11,5 სმ, პირის სიგანე – 4 სმ.

იარაღის ამ ტიპს “სკვითურს” უწოდებენ, ვინაიდან უფრო მეტად დამახასიათებელია სკვითური – ვიდრე საქართველოს მატერიალური კულტურისათვის. მაგრამ თუ გადავხედავთ არქეოლოგიურ მასალას, იგი გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე. ესაა, რომ იარაღის ეს სახე ფართოდ არ ჩანს გამოყენებული იმდროინდელი საქართველოს ლაშქრის ტაქტიკაში,

შუბთან შედარებით მას მეორე ხარისხოვანი ადგილი უკავია. ამასთან საქართველოში აღმოჩენილი ცალები ცალკეული დეტალებითაც განსხვავებულია სკვითურისაგან. ძელისებურთავიანი მახვილი აღმოჩენილია გუადიხუს სამაროვანზე [Лорткипанидзе 1973 ტაბ VIII 7], მაგრამ ვადის გაფორმებით იგი განსხვავებულია ჩვენი მახვილისაგან, უფრო მეტად ემსგავსება სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ აკინაკს [აბრამიშვილი 1961 ტაბ XVIII 2], რომლის შემოსვლასაც რ. აბრამიშვილი ვარაუდობს რკინის წარმოების III საფეხურზე ძვ.წ VII-VI [აბრამიშვილი 1961. გვ 373]. განსხვავებაა მხოლოდ ღარებში, სამთავროს აკინაკს იგი არ გააჩნია. რკინის ორი მახვილია დადასტურებული ვანში [ლორთქიფანიძე და სხვ, 1972. სურ. 174]. იგიც განსხვავებულია ვარსიმაანთკარის მახვილისგან და თარიღდება ძვ.წ IV ს. III მეოთხედით. მსგავსი მახვილები გვხვდება ჩრდილოეთ კავკასიაშიც, ელუბაგანლის სამაროვანზე [Ковалевская 1984. გვ. 51] მკვლევარი ვ. კოვალევსკაია აღნიშნავს, რომ კავკასიის ანალოგების მიხედვით ძვ.წ VII ს. ბოლო - VI ს. I ნახევრით შეიძლება დათარიღება, სტეპის სკვითების მასალების მიხედვით კი - ძვ.წ VI ს. I ნახევრით [Ковалевская 1984. გვ. 49].

როგორც ვხედავთ, საქართველოს და საერთოდ კავკასიის მასალები წინ უსწრებს სკვითურ აკინაკებს. დნეპრისპირეთში მსგავს აკინაკებს ძვ.წ VI ს. ათარიღებენ [Петренко 1967. ტაბ. 331], მაგრამ მათგან განსხვავებულია ჩვენი აკინაკისთავიც და ვადაც, ჩვენს აკინაკზე დარჩილულია თირკმლისებური დანაძერწი, რომელიც დაბალი რელიეფურობით ხასიათდება. იმათ აკინაკს კი პეპლისებური ვადა აქვს. რკინის ანალოგიური აკინაკი ცნობილია ლუგოვოის სამაროვნიდან (ГИМН № 223), რომელიც ძვ.წ VI-V სს. თარიღდება. როგორც ვ. პეტრენკო აღნიშნავს, დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, ისევე როგორც სკვითურ ყორღანებში, მახვილები და სატევრები იშვიათად გვხვდება, ვიდრე შუბისპირები და ისრები, რომ მახვილის სამარხში ჩატანება ხდებოდა რიტუალთან დაკავშირებით, რადგან ისინი რიგით სამარხებშიც გვხვდება, როცა მდიდრულ სამარხებში არ არის [Петренко 1967. გვ. 42]. ისინიც ჭედვითაა დამზადებული, მირჩილული ან დამაგრებული ვადით. სიგრძე - 50-84 სმ-ია. მსგავსი მახვილები ცნობილია სავრო-მატულ შეიარაღებაშიც - ვოლგისპირეთის და

ურალის მასალებში [Смирнов, Петренко1963. ტაბ. 115], სადაც კ. სმირნოვი ფორმის მიხედვით სამ ჯგუფს გამოყოფს. ჩვენი მახვილის მსგავსი I ჯგუფშია გაერთიანებული. ვარსიმანთკარის მახვილი ძალზე წააგავს „კამიშინსკის“ მახვილს, რომელსაც ისეთივე ღარები გააჩნია, როგორც ჩვენსას. კ. სმირნოვს მიაჩნია, რომ მათი დანიშნულება იყო მეტი სიმტკიცე მიეცა სახელურისათვის [Смирнов1961. გვ. 12]. VI ს.-ით ათარიღებს მათ და აღნიშნავს, რომ სახელურზე ღარებიანი მახვილები დამახასიათებელია სკვითებისათვის და კავკასიისათვის ადრესკვითურ ხანაში (ძვ.წ. VIII-V სს). აქვე დასძენს, რომ სკვითების და ა/კავკასიის მახვილების ადრეული ვადები შემკული იყო წყვილი ღარებით, იშვიათად - სამით [მიქელაძე 1978. გვ. 16]. თუ სკვითებსა და სავრომატებში მკაცრად იყო განსაზღვრული მახვილის ტარება მარჯვენა, იშვიათად მარცხენა მხარეს, ჩვენი მასალები ამის თქმის საშუალებას არ გვაძლევს. კ. სმირნოვი სავრომატული მახვილების ანალიზის საფუძველზე ასკვნის მათი წარმოშობის ერთ წყაროს, საიდანაც სკვითური აკინაკის ფორმა ფართოდ გავრცელდა ევრაზიაში, მივიდა რა დასავლეთ უნგრეთამდე; აღმოსავლეთით - ციმბირამდე. როგორც სკვითების, ისე სავრომატების ტერიტორიაზე მათი პროტოტიპები ცნობილი არ არის და ფიქრობს, რომ წინა აზიიდან არის შემოტანილი [Смирнов1961. გვ. 29]. ამავე აზრისაა მ. ფირცხალავაც, იხილავს რა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ აკინაკებს, აკეთებს მათ კლასიფიკაციას, რომლის მიხედვით ჩვენში აკინაკი ბ ჯგუფში შედის, რომლის მსგავსია აგრეთვე ბრილში აღმოჩენილი აკინაკი, ძვ.წ. VII ს.-ის ბოლო - VI ს. დათარიღებული. მ. ფირცხალავა თვლის, რომ აკინაკი სკვითებში გავრცელდა ირანის აღმოსავლეთიდან, და აღნიშნავს, რომ მახვილის თავდაპირველი ფორმა (ძელისებური თავი და პეპლისებური ვადა) შავიზღვისპირეთის სკვითურ კულტურაში შესულია აღმოსავლეთიდან, იგი დამონმებულია საქართველოს არქეოლოგიურ კომპლექსებში, სკვითურ კულტურაში კი ზუსტი ანალოგიები ცნობილი არ არის. იქ თითქმის ყველა მათგანი თავისებურებებით გამოურჩევა [Пирцхалава1975. გვ. 13]. იგი ვარაუდობს მათ ადგილობრივ წარმოებას და თვლის, რომ შავიზღვისპირეთში მახვილის ამ სახემ შეაღწია წინა აზიიდან კა-

ვკასიის, კერძოდ, საქართველოს გავლით. ვფიქრობთ, სწორია მ. ფირცხალავას აზრი, ვინაიდან ჩვენში მახვილის შედარებისას სკვითურთან გაირკვა, რომ ზუსტი ანალოგია არც სკვითურ და არც სავრომატულ შეიარაღებაში არა აქვს, ცალკეული დეტალები ჰგავს, მაგრამ მთლიანობაში - არა. ამიტომ მართალია მ. ფირცხალავა, როცა ამ მსგავსებას საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სკვითური მახვილებით ხსნის ძველი საქართველოს მოსახლეობის ურთიერთობით სკვითურ ტომებთან [Пирцхалава1975. გვ. 14]. მ. პოგრეზოვა სხვაგვარად ხსნის სკვითური ელემენტების არსებობას კავკასიაში. მას სკვითური ძეგლების ძირითად არეალში შეჰყავს ურარტუს ქალაქები (თეიშებაინი), მინგეჩაური, კახეთი, აგრეთვე სკვითური კულტურის ელემენტების შემცველი სამთავროს სამაროვანი, წინამურის, შულავრის ჩაშვებული სამარხი, დვინის, თლის, ბრილის, გუადიხუს, წითელი შუქურის, ყულანურხვას, მერხეულის, პალურის, ნიგეზიანის სამაროვნები [Погрєзова М. 1984. გვ. 36]. ე.ი. ყველა ის ძეგლი, სადაც სკვითური ტიპის ისრისწვერები და აკინაკებია აღმოჩენილი. ამის მიხედვით მაშინ ვარსიმანთკარის სამაროვანიც ამ ჯგუფში უნდა შედიოდეს, რაც ნაკლებ დამაჯერებელია. იგი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლს ძვ.წ. VII-VI სს. ათარიღებს და აღნიშნავს, რომ სკვითური კულტურის აქტიური გავრცელება ცენტრალურ და დასავლეთ კავკასიაში იწყება ჯერ კიდევ VII ს.-ის II ნახევრიდან და გრძელდება VI ს.-მდე, რის შემდეგაც მკვეთრად მცირდება და სხვა ხასიათს იძენს. ამ მოვლენებს იგი სკვითური ეთნოსის შემოსვლას უკავშირებს [Погрєзова1984. გვ. 37]. სკვითური მოსახლეობის გაჩენას ვარაუდობს ძვ.წ. VI-IV სს.-ში თანამედროვე ჩრდ. აზერბაიჯანისა და კახეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიურად ადგილობრივისაგან მკვეთრად გამოყოფილი კულტურით. ამის მტკიცება (კახეთის მაგალითზე) რამდენიმე სამარხის მიხედვით ძნელი დასაჯერებელია. შესაძლოა იმ სამარხებში მართლაც სკვითები იყვნენ დაკრძალულნი, მაგრამ ვარაუდი სკვითი მკვიდრი მოსახლეობის შესახებ ნაკლებად დამაჯერებელია. იარაღთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ იგი ან ადგილობრივ ინარმოებოდა სკვითური ნიმუშების მიხედვით, ან სკვითებთან ერთად ხვდებოდა ა/კავკასიაში (Погрєзова1984 გვ. 203). გაცვლას ნაკლებ

მნიშვნელობას ანიჭებს. სკვითური აკინაკე-ბიც დამზადებულია ქედვით, სახელური და პირი ერთი ნაჭრისაგანაა გამოჭედილი, ყველა მათგანს აქვს ვადა, რომლის დანიშნულება იყო ხელის დაცვა გაჭრისაგან, სიგრძე - 50-70 სმ.

მახვილების და სატევრების ჩატანებას სამარხში ა. მელიუკოვაც რელიგიურ და რიტუალურ მიზნებს უკავშირებს. მისი კლასიფიკაციით ჩვენი მახვილი შედის I ნაწილის I ტიპში [Мелнюкова1964 ტაბ. 152], ძელისებურთავიანი და თირკმლისებურვადიანი. ყველაზე გრძელი მახვილი ამ ტიპში 75-56 სმ-ია, საერთოდ კი - 40-60 სმ-ის. პირის სიგანე - 3-4 სმ. ათარიღებს ძვ.წ. VI ს. - V ს. II ნახევრით [Мелнюкова1964 გვ. 47]. მსგავსი მახვილები ცნობილი ყოფილა ტრანსილვანიაში და უნგრეთშიც. როგორც ა. მელიუკოვა აღნიშნავს, ასეთი ტიპის მახვილები ჩნდება ძვ.წ. VI ს.-ის დასაწყისში, ფართოდ ვრცელდება VI-V ს. I ნახევარში. გვიანაც არსებობს, მაგრამ გაბატონებულ ტიპს არ წარმოადგენს. ვადა ისე აღარა აქვთ გამოყოფილი, როგორც წინა პერიოდის მახვილებს ჰქონდათ. ნესტოროვიკისა და ლუგოვის სამაროვნებზე აღმოჩენილ მსგავს ღარიან მახვილებს ე. კრუპნოვი ყობანურ ღარიან სატევრებს და ცენტრალური კავკასიის ბრინჯაოს მახვილებს უკავშირებდა და მათ ადგილობრივ წარმოებას ვარაუდობდა [Крупнов1960. 47 123]. ა. მელიუკოვა არ გამორიცხავს ორნამენტის ამ სახის (ღარების) პირველად გამოყენებას კავკასიელი ხელოსნების მიერ, მაგრამ აღნიშნავს, რომ ფართოდ არ გავრცელდა. იგი საერთოს ნახულობს სპარსულ მახვილებთან [Лорткипанидзе Г.გვ. 501].

მსგავსი ღარიანი აკინაკი აღმოჩენილია „კოლონია კარასში“ დ. სამოკვოსოვის მიერ, რომელიც ძვ.წ. V ს. ათარიღებს [Самоковос1908 გვ.123]. ს. მაკალათია დვინში აღმოჩენილ მსგავს სატევარს ძვ.წ. VII-VI სს. ათარიღებს [Макалатия 1949 გვ. 237. სურ. 41.2].

ამრიგად, მსგავსი აკინაკები ძირითადად თარიღდება სკვითებში - ძვ.წ. VI-V სს-ით, საქართველოში - VII-VI სს-ით. მისი წარმოშობის შესახებაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მაგრამ მთელი რიგი ნიშნებით იგი რამდენადმე განსხვავებულია სკვითურისაგან, განსხვავებაა ზომებშიც. ამდენად ვფიქრობთ, რომ იგი ადგილობრივაა დამზადებული, შესაძლოა, სკვითურის გავლენით. სწორად მიგვაჩნია გ. ავალიშვილის

აზრი, რომ იარაღის გავრცელება არ უნდა იყოს მაინცა და მაინც დაკავშირებული ეთნიკური და კულტურული ერთობის ფაქტორთან, იგი უფრო ისტორიული მოვლენის ანარეკლია - ომი, მიგრაციები, სხვადასხვა ხალხები ქმნიან თითქმის ერთნაირ იარაღს, ამიტომ იარაღი ნაკლებ განმსაზღვრელია კულტურულ-ეთნიკური ერთობისა [ავალიშვილი 1974 გვ. 97]. სავარაუდოა, რომ ძველ საქართველოში ერთი სახელოსნო ცენტრი არსებობდა, სადაც ბრილის, გუადიხუს სამთავროს, დვანისათვის მზადდებოდა მახვილები. დასახელებული ძეგლები ადრეული პერიოდით თარიღდება, ცოტა მოგვიანო ხანში კი მსგავსი იარაღი დადასტურებული არ არის, თუ არ ჩავთვლით კოლხეთის მასალებს. ადვილი შესაძლებელია, სწორედ კოლხეთთან ურთიერთობის შედეგი იყოს ჩვენთან აღმოჩენილი აკინაკიც.

ვარსიმაანთკარის სამაროვანზე 7 ცალი სატევარია აღმოჩენილი. ყველა განსხვავებულია ერთმანეთისაგან როგორც ზომებით, ისე ვადისა და პირის გაფორმებით. ამიტომ ამ პრინციპით ოთხი ტიპი გამოვყავით. ყველა მათგანი თავის ქალასთანაა დადასტურებული.

I ტიპის სატევარი (ტაბ. III. სურ. 5) (№228) ძელისებური თავით, დაღარული, „თირკმელისებრი“ ვადით, იმეორებს მახვილის ფორმას. წვეროსკენ თანაბრად შევიწროებული პირიც ორივე მხარეს დაღარულია. ვადა და პირი ერთი ნაჭრისაგანაა გამოჭედილი, თავი და „თირკმლისებრი“ დანაძერწი შემდეგაა მირჩილული. სიგრძე - 35 სმ, ვადის სიგრძე - 10 სმ, პირის სიგანე - 2,5 სმ.

მსგავსი სატევარი აღმოჩენილია დვანის ნეკროპოლზე [Макалатия1949 გვ. 237. სურ. 41.2], სადაც უკრაინისა და შავი ზღვისპირეთის მასალების მიხედვით ძვ.წ. VII-VI სს. დათარიღებული, იგი 30 სმ. სიგრძისაა და ჩამორჩება ჩვენს სატევარს. ანალოგიური სატევრები დამახასიათებელია სკვითურ სავრომატული შეიარაღებისთვისაც. ისინი იმეორებენ მახვილის ფორმებს, განსხვავებაა მხოლოდ ზომებში. სატევრები უფრო მცირე ზომებით ხასიათდება, რაც დანიშნულებიდან გამომდინარეობს - იგი ხელჩართული ბრძოლისთვისაა განკუთვნილი, მაშინ როცა მახვილი უფრო ცხენოსან მეომრებს ახასიათებს. მ. ტრაპში აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ VI ს-ში ასეთი სატევრები გამოიყენებოდა საკმაოდ ფართო

ტერიტორიაზე, როგორც საძვერებელი იარაღი ხელჩართულ ბრძოლაში [Трапш 1969 გვ. 62]. იგი ადგილობრივ წარმოშობას ვარაუდობს. პარალელები აღარ მოგვყავს, რადგან ისინი ზუსტი ანალოგიაა ზემოთ აღწერილი აკინაკისა. სამარხეული კომპლექსების მიხედვით მათი დათარიღება შეიძლება VI-V სს-ით.

II ტიპის სატევარი, (ტაბ. III.) ხასიათდება სწორი ყუით. პირის მხარე წვეროსაკენ შევიწროვებულია. ვადა რომელზეც 3 მანჭვალაა შემორჩენილი, შედგენილია, პირისა და ვადის ზღვარზე შევრილით. კოტაზე მანჭვალით ორივე მხარეს მიმაგრებული ყოფილა თავმრგვალი ფირფიტები, დეზისებრი შევრილით. *in situ*, დეზისებრი შევრილები გრძელდებოდა ქვედა შევრილისაკენ, რითაც იქმნებოდა დაბალი რკალი. მანჭვლებს შორის შემორჩენილია ხის ტარის ნაშთი. სიგრძე – 42 სმ. ტარის სიგრძე – 11 სმ, სიგანე – 3 სმ. პირის სიგანე – 3,4 სმ.

მსგავსი (არა ანალოგიური) სატევრები აღმოჩენილია გუადიხუში, გ. ლორთქიფანიძე მას ბერძნულ მახაირას უწოდებს და ძვ.წ. V-IV სს. ათარიღებს, ანალოგიურია ითხვისშიც, სადაც ძვ.წ. IV ს.-თაა დათარიღებული [ლორთქიფანიძე გ. 1973 ტაბ. VIII.6. 30. გვ. 7]. ყანჩაეთში [გაგოშიძე 1964. ტაბ. XII] დნებრისპირეთში [Петренко 1967, ტაბ. 33, სურ. 19] მაგრამ უფრო მეტად ითხვისის სატევარს ემსგავსება, ვიდრე ჩვენსას. ზუსტ ანალოგიას ვერ მივაკვლიეთ ვერც აღმოსავლეთ, ვერც დასავლეთ საქართველოს სინქრონულ სამაროვნებზე, მსგავსებით კი ჰგავს ბერძნულ-მაკედონურ მახაირებს, ძვ.წ. V-VI სს. დათარიღებულს, მხოლოდ კოტის გაფორმებითა და მოხრილობითაა ოდნავ განსხვავებული. ვადის დეზისებური შევრილი თითქოს ფრინველის თავსაც მოგვაგონებს. რაც სკვითურ-სავრომატული სამყაროსათვისაა დამახასიათებელი [Смирнов. Петренко 1963. ტაბ. 17, 68, 62, 69]. თვით სატევრის ფორმა კი არ არის დადასტურებული სკვითურ-სავრომატულ შეიარაღებაში. სატევარი სამარხეული კომპლექსის მიხედვით ძვ.წ. V-VI სს. თარიღდება.

III ტიპის სატევარი (ტაბ. III. სურ. 5) № 320, ცალპირლესურია, სატარეზე ორი მანჭვალით, პირი ცენტრალურ ნაწილში ფართოვდება, წვეროსაკენ წამახული და წაკვეთილია. სიგრძე – 32 სმ. სიგანე – 3,5 სმ, ფართო ნაწილში – 4,5 სმ.

ზუსტი ანალოგიები ვერც ამ სატევარს

მოვუძებნეთ, რამდენადმე ემსგავსება დნესტრისპირეთში აღმოჩენილ დანას [Петренко 1967 ტაბ. 17, 3]. პირის გაფორმებით – სამკუთხა წვერით, ახლოს დგას აგრეთვე გუადიხუში აღმოჩენილ დანა-სატევართან [Шамба 1980. გვ. 47. ტაბ X]. რომელიც, ძვ.წ. V-IV სს. თარიღდება. ამავე პერიოდს ეკუთვნის ჩვენი სატევარიც.

IV ტიპის სატევრები შედარებით მრავლადაა წარმოდგენილი (ტაბ. II. სურ. 4. №№ 247, 193, 324). ეს არის საჩხები-სატევრები. რომელთაც ახასიათებთ ცალპირულობა, ვადაში ოდნავ მოხრილი, სატარეზე მანჭვლებით, 3-4 ს-მდე, ტარი ალბათ ძვლის ან ხის ექნებოდა, არაა შემორჩენილი. სიგრძე – 26-27 სმ. თუ სატევრების I-III ტიპი ყოველთვის თავის ქალასთან გვხვდება, ეს მხოლოდ ზურგს უკანაა. ამას შესაძლოა გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს. ზურგს უკან, ბუნებრივია მოხსნილ მდგომარეობაში ჩაატანდნენ, ისე შეუძლებელი და წარმოუდგენელია ზურგზე მისი ტარება. სკვითებში და სავრომატებში კარგად ჩანს რომ სატევარს ატარებდნენ მარჯვენა გვერდზე, იშვიათად მარცხენაზე. საერთოდ ვარსიმაანთკარის სამაროვანზე ისეთი შთაბეჭდილება იქმნება რომ მეომარი ყველანაირი იარაღისაგან თავისუფლდება და ისე ატანდნენ სამარხში ამიტომ არ შეიძლება კანონზომიერება მათ განლაგებაში.

IV ტიპის სატევრები გენეტიკურად შეგვიძლია დაფუკავშიროთ გვიანბრინჯაოს ხანის სატევრებს, რომლებიც მრავლადაა დადასტურებული საქართველოს ამ პერიოდის სამაროვნებზე: რკინის კალოზე [კობაიძე 1987 ტაბ. X10, X120, XXI115], ღრმახევისთავში [აბრამაშვილი და სხვ. 1980. ტაბ. XI, X192], სამთავროზე [კალანდაძე 1982. 16. ტაბ. XV2-4], ანტიკურ ხანაში მცირე ცვლილებებს განიცდის. იგი აღმოჩენილია კამარახევის სამაროვანზე [ჯღარკავა 1982. 1005,] სადაც მახვილად მიიჩნევენ, მაგრამ ანალოგიურია ჩვენი სატევრისა (ზომები არაა მითითებული), ყანჩაეთში [გაგოშიძე 1964. ტაბ. XII] სადაც ასევე მახვილადაა მიჩნეული (4 ნატეხია) სიგრძე – 45 სმ, პირის სიგანე – 4,0 სმ. ი. გაგოშიძე აღნიშნავს რომ გ. გობეჯიშვილი ასეთ მახვილებს ბერძნულ მახაირებად თვლიდა და საქართველოში იმპორტულ ნივთებად მიიჩნევა, მაგრამ თვითონ არ გამოორიცხავს მათ კავშირს ა/კავკასიაში ძვ.წ. VII-VI სს ში ფართოდ გავრცელებულ

ბულ რკინის მოხრილ დანებთან [გაგოშიძე 1964. გვ. 52] რომელთაგან ზოგი საკმაოდ დიდი ზომისაა. ამასთან არ უარყოფს მსგავსებას ბერძნულ მახაირასთან და აღნიშნავს, რომ მსგავსება იმდენად დიდია, რომ ბერძნული გავლენის უარყოფა არ შეიძლება. საერთოდ ფრაგმენტების მიხედვით მსჯელობა ძალიან ძნელია, როცა საერთო ფორმა არ ჩანს. ჩვენ კი უფრო მეტ მსგავსებას ადგილობრივ, მოხრილ დანებთან ვხედავთ.

მსგავსი სატევრები დადასტურებულია კავთისხევში – 2 ც. [ბერაძე 1980. ტაბ. XVIII – 1, ტაბ. XXI – 13], ნინანდალში [ქორიძე 1958. ტაბ. XX]. ასეთი სატევრები არ ჩანს დამახასიათებელი სომხეთის, აზერბაიჯანისა და სკვითურ-სავრომატული შეიარაღებისათვის. ამიტომ ვფიქრობთ, რომ იგი ადგილობრივ ნიადაგზეა ჩამოყალიბებული და გენეტიკურად უკავშირდება გვიანბრინჯაოს ხანაში გავრცელებულ მოხრილ დანებს.

სამარხეული კომპლექსების მიხედვით ვარსიძეანთკარის სამაროვანზე აღმოჩენილი სატევრები ძვ.წ. V-IV სს. თარიღდება.

მუჯირა (ტაბ. II.) (№№ 250, 44, 325) სულ სამი ცალია აღმოჩენილი. აქვს გახსნილი მასრა, დანახნაგებული პირი. ერთ-ერთ მათგანს წვერი უფრო წამახული და დანახნაგებული აქვს.

მუჯირას ორგვარი დანიშნულება ჰქონდა – სამეურნეო და საბრძოლო და, და როგორც ჩანს დიდი პრაქტიკული დანიშნულება არ გააჩნდა, რადგან ისე ფართოდ არ ჩანს გავრცელებული, როგორც იარაღის სხვა სახეები. ერთეული ცალებია დამონმებული რკინის კალოს [კობაძე 1978. ტაბ. XIII27], ძვ.წ. VI სს სამაროვანზე, ემერის ნაქალაქარზე [Шамба 1980. ტაბ. XIV8,9 გვ. 48] სადაც, ძვ.წ. III სს. დათარიღებული, გუადიხუში [Трапиз 1969 ტაბ. II. სურ. 7]. სომხეთშია ანალოგიური მუჯირები დანახნაგებული პირით. ს. ესაიანი აღნიშნავს, რომ იშვიათია მათი აღმოჩენის შემთხვევები და ძვ.წ. VIII-VII სს ათარიღებს მათ. აღმოჩენილია გოლოვინოში, დილიჟანში, ვორნაკში, ქედაბეკში, შამქორში. როგორც ჩანს, მუჯირაც, რკინის შუბისპირების მსგავსად, ძვ.წ. VII-VI სს-დან ვრცელდება, გააჩნია მყარი ფორმა და ხანგრძლივადაა ხმარებაში, თუმცა ისე მასიურად არა, როგორც შუბისპირი. ვარსიძეანთკარის მუჯირები სამარხეული კომპლექსების მიხედვით ძვ.წ. V-IV სს. თარიღდება.

დანები 63 ცალია აღმოჩენილი, გვხვდება როგორც ქალის, ისე მამაკაცის სამარხებში, დანების უმრავლესობა ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. მნიშვნელოვანი ნაწილი სრული სახითაა და მათი საშუალებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მათ ფორმასა და დანიშნულებაზე. ჰქონიათ ხის ან ძვლი ტარი, ზოგიერთ მათგანზე შემორჩენილია. გვხვდება ორნამენტირებული ცალებიც. სამარხში არც მათ განლაგებაში შეინიშნება კანონზომიერება. გვხვდება როგორც თავის ქალასთან და ზურგს უკან, ისე საიმპევენო საგზალთან ერთად. დანები ერთმანეთისაგან განირჩევა ფორმითა და ზომით, ტარის დაგების ტექნიკით. ყველა მათგანი ცალპირლესულია. დანიშნულების მიხედვით იყოფა საბრძოლო და სამეურნეო-პირადი მოხმარების დანებად.

I ტიპი (ტაბ. III. სურ. 6) (№№ 384, 106, 169, 72, 94, 58, 321, 549, 369, 173, 165, 150.) გაერთიანებულია მოზრდილი დანები, რომელთაც ახასიათებს მოხრილობა. ყველა მათგანი ცალპირლესული, პირი წვეროსაკენ შევიწროვებულია, სატარეზე რამდენიმე მანჭვალით. ზოგიერთის ტარი სამკუთხედისებურადაა ჩამოჭრილი, ე.ი განსხვავდება ტარის დაგების ტექნიკით. ერთ-ერთ მათგანზე – №173 შემორჩენილია ძვლის ტარი, რომელზეც ხობხისთვალა ორნამენტია გამოყვანილი, პირზე კი ქარქამის ნაშთიცაა შემორჩენილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ დანების ნაწილს ჰქონდა ქარქამიც, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. სიგრძე მერყეობს 18,5-30 სმ შორის. პირის სიგანე – 2,5-3 სმ. ისინი გვხვდება როგორც წელის არეში (3 ცალი), თავის ქალასთან, (5) ზურგს უკან (2), ისე ხელების წინ (1). ასეთი დანები, პროპორციების მიხედვით საბრძოლო დანიშნულების უნდა იყოს. ყველა მათგანი გვხვდება მხოლოდ მამაკაცთა სამარხში. როგორც ცნობილია, მოხრილი დანები დამახასიათებელია ანტიკური ხანისათვის და დიდი ადგილი უკავია ქართველთა შეიარაღებაში. ასეთი დანების გავრცელების როგორც ქრონოლოგიური, ასევე გეოგრაფიული საზღვრები მეტად დიდია – წინა აზიიდან სამხრეთ რუსეთის ველების ჩათვლით. მათი პროტოტიპები სასხლავი დანების სახით ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზეა აღმოჩენილი, ბაკურციხეში [აფაქიძე 1949. გვ. 84], რკინის კალოზე [კობაძე 1978. ტაბ. XIV365] XXVII186], სიონში [მენა-

ბდე მ. კილურაძე თ. 1981 სურ. 343] (VII-VI სს.), ღრმახევისთავში [აბრამიშვილი 1980 სურ. 231. ნახ. 86,90], (VII-VI სს.) განთიადში [ავალიშვილი 1974. გვ. 78-79]; შემდგომი პერიოდის სამაროვნებზე: კამარახევში [ჯღარკავა 18921372], კავთისხევში [ბერაძე 1980. ტაბ. XIV3XIV5 XVI2], წნისში [კვიციანიძე 1983. სურ. 171], ქვემო ქართლის ძეგლებზე [დავლიანიძე 1983. ტაბ. VII 1, 2, 11]; ასევე ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში: ეშერაში [Шамба 1980. ტაბ. X1,6] წითელი შუქურის [Трапш 1969. ტაბ VI11] დაბლაგომის [Куфтин 1949. გვ. 4] სამაროვნებზე. დიდი რაოდენობითაა როგორც ჩრდ. კავკასიაში [Крупнов 1960. გვ. 224-86] და სამხრეთ რუსეთის ველებზე, სკვითურ სავრომატულ შეიარაღებაში [Смирнов. Петренко 1963. ტაბ. 18 21, 22, 23, 25] ისე სომხეთსა და აზერბაიჯანში.

მოხრილი დანების ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მეცნიერთა ერთი ნაწილი, (კუფტინი) ასეთ დანებს მევენახეობას უკავშირებს. ამავე აზრისაა ხაჩატრიანიც [Хачатриан 1976], მაგრამ მათი აღმოჩენა მევენახეობისათვის არახელსაყრელ რაიონებში საკითხს სხვაგვარად აყენებს. როგორც ა. ბოხოჩაძე აღნიშნავს მათი დანიშნულება და სამეურნეო ფუნქცია სხვადასხვა რაიონებში განსხვავებული უნდა ყოფილიყო და დანიშნულების მიხედვითაც უკვე დიფერენცირებულია [ბოხოჩაძე 1963. გვ.62]. ამასვე უნდა ფიქრობდეს გ. შამბა, როცა არ უარყოფს მათ სამეურნეო დანიშნულებას მაგრამ ამასთან არ გამორიცხავს მათი უფრო ფართო დანიშნულების შესაძლებლობას [Шамба 1980. გვ. 80], რადგან მათი არსებობა სოხუმის მიდამოების ძვ. I ათასწლეულის II ნახევრის მეომარ ტომთა სამარხებში არ უნდა უარყოფდეს აზრს, რომ ისინი შედიოდა შეიარაღების არსენალში. ეს კარგად ჩანს ვარსიმანთკარის სამაროვნის მაგალითზე, სადაც ყველა მამაკაცი მეომრადაა წარმოდგენილი და ასეთი დანებიც საბრძოლო დანებად მიგვაჩნია. ჩვენი სამაროვნის მასალების მიხედვით გვიანდელ სამარხებში, კერძოდ IV ს ბოლო – III ს. ასეთი დანები აღარ გვხვდება, მათ ცვლის მცირე ზომის დანები, რომელსაც ასეთივე მოხრილობა ახასიათებს. დანების გარკვეულ ნაწილს ლ.წითლანაძე უკავშირებს მესაქონლეობას, დიდი ზომის დანები კი მასაც საომარ იარაღად

მიაჩნია. ამ აზრის განსამტკიცებლად მოჰყავს მაგალითი როცა ერთ-ერთ სამარხში ჩონჩხიდან ამოიღეს დანის ნატეხი [წითლანაძე. 1983. გვ.73].

II ტიპში გავაერთიანეთ საშუალო ზომის დანები (ტაბ. III სურ.6) (№№ 73, 209, 202, 272, 308, 501, 507, 480, 318), რომლებსაც ახასიათებს თითქმის სწორი ტანი, ტანიდან გამოყოფილი ცალპირლესური პირი, ზოგჯერ ტარის სიგანე მნიშვნელოვნად სჭარბობს პირს; სატარე მანჭვლებით. ერთ-ერთ მათგანზე – №308 შემორჩენილია ძვლის ტარის ნაშთი, რომელზეც სამი მანჭვლით ყოფილა დამაგრებული, ხოლო №318 შესაძლოა სატევარიც კი ყოფილიყო, იმდენად მასიურია, მაგრამ ფრაგმენტებია შემორჩენილი. სამარხებში ისინი ისევე როგორც I ტიპის დანები, სხვადასხვა ადგილზე გვხვდება. მათი სიგრძე მერყეობს 18-27 სმ შორის. პირის სიგანე – 1,8 – 2,7 სმ.

მსგავსად I ტიპის დანებისა, II ტიპიც ფართოდაა გავრცელებული. ანალოგიურია სანთაში [გაგოშიძე 1982. ტაბ. V11-4] აღმოჩენილი დანა. აგრეთვე სოფ. მთისძირში აღმოჩენილი დანა [იხ. გამყრელიძე 1982: 106, სურ. 49]. ძალიან ძნელია მათი ფუნქციონალური დანიშნულების გარკვევა. ზოგიერთი მათგანის სახელური იმდენად მასიურია, რომ წარმოუდგენელია მათი ყოველდღიური მოხმარება, მაგრამ არის ისეთი ცალებიც, რომელთაც სამეურნეო დანიშნულება ექნებოდათ, ამიტომ ვფიქრობთ, რომ მათ ორივე ფუნქცია ეკისრებოდათ – საბრძოლოც და სამეურნეოც.

III ტიპის დანები მცირე ზომისაა (ტაბ. III. სურ 6.) გვხვდება როგორც მოხრილი, ასევე სწორი ტანით, ყველა ცალპირლესურია, ზოგი ყუნწიანია (№№ 274, 36, 518, 117, 129, 130). ამ ტიპის დანების უმრავლესობა ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი, მხოლოდ აღნიშნული ნომრებია სრულად შემორჩენილი. მათი სიგრძე – 11-12 სმ-ია. პირის საშ სიდიდე 1-2,8 სმ. გვხვდება როგორც წელის არეში ასევე ზურგს უკან, ასევე თავის ქალასთან და ნეკნებთან. ვფიქრობთ, ეს მცირე ზომის დანები სამეურნეო ან პირადი დანიშნულების უნდა ყოფილიყო. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ I ტიპის დანები და ხშირად II – ც გვხვდება შუბისპირებთან ერთად, მათთან ერთად არის პატარა ზომის დანებიც, რომელიც საიმქვეყნო საგზალთან ერთად არის ჩატანებული ან სრულიად განცალკევებით დევს. ამიტომ

ვფიქრობთ, რომ დანები, რომლებიც შუბის-პირებთან ან სატევრებთან ერთად გვხვდება, საბრძოლოა. ქრონოლოგიურად, სამარხეული კომპლექსების მიხედვით ძვ.წ. V-IV სს. თარიღდებიან.

ძალიან საინტერესოა დანა (№ 173) რომელსაც ხის ტარი აქვს შემორჩენილი, ხოხბისთვალა ორნამენტით შემკული. ორნამენტის ეს სახე უძველესი დროიდანაა გავრცელებული ა/კავკასიაში. ტარზე შემორჩენილია ბრინჯაოს ერთი მანჭვალის (საერთოდ რკინის მანჭვლებითაა დამაგრებული). შესაძლებელია ბრინჯაო ინკრუსტაციის სახითაა გამოყენებული, ვინაიდან მანჭვალის ძალზე მცირე ზომისაა, ერთის მეტი არაა შემორჩენილი, ბრინჯაოს ჟანგი კი შეიმჩნევა. რკინის დანებზე ძვლის ტარის გამოყენება დნესტრისპირეთის მაგალითზე ძვ.წ. V ს.-დან იწყება. უფრო ადრე კი როგორც ვ. პეტრენკო აღნიშნავს ხის ტარს იყენებდნენ, რომელიც შემორჩენილი არ არის [Петренко 1967. გვ. 26. ტაბ. 175]. ჩვენი დანისაგან განსხვავებით მათ დანებს სწორი ზურგი აქვთ, ტარი კი ისეთივე ორნამენტითაა შემკული. დანიშნულების გარკვევისას პეტრენკო აღნიშნავს, რომ დანა არის უნივერსალური სამეურნეო იარაღი, ხანდახან კი როგორც საბრძოლო, ისე გამოიყენებოდაო. დანით სარგებლობდნენ ხის ძვლის და ტყავის დამუშავებისას, საოჯახო ყოფაში და წვრილმან საქმეებზე. დნესტრისპირეთის ძეგლებზე დანა ყოველთვის საიმპროვიზაციო საგზალთან ერთად დევს ან მიცვალებულთან წელის არეში – მარცხენა მხარეს. ასეთ დანას ძვ. წ. VI ს.-ით ათარიღებენ, ნაკლებად დამახასიათებელია V საუკუნეში.

ვარსიმიანთკარის სამაროვანზე წარმოდგენილი დანებიდან შრომის იარაღებად შეიძლება, მივიჩნიოთ II ტიპის დანების ნაწილი და III ტიპის დანები. დანების გარდა სამაროვანზე რკინის სამეურნეო იარაღები არ არის წარმოდგენილი.

ისრისწვერები. სამაროვანზე სულ 13 ცალია გამოვლენილი, 6 ბრინჯაოს, 3 რკინის და 4 ძვლის. ბრინჯაოს ე. წ. სკვითური ისრისწვერები ერთმანეთისაგან განსხვავდება მასრისა და ფრთების გაფორმებით. ერთი მათგანი აღმოჩნდა ბარძაყის ძვალში გარჭობილი, ორი ქვედა კიდურებთან. ძვლის ისრისწვერები მიცვალებულის ზურგს უკან იყო განლაგებული შუბისპირთან ერთად. მასალისა და ფორ-

მების მიხედვით 4 ტიპი გამოიყოფა.

I ტიპი – სამწახნაგა, ფრთებდაშვებული, მოკლე, მრგვალმასრიანი და გრძელღეზიანი [ნითლანაძე 1983. ტაბ. XXII2] ისრისწვერებია.

II ტიპი – სამფრთიანი, წაგრძელებული წვერით, ფრთებდაშვებული, მრგვალი, გამონეული მასრით (№142. ტაბ. III. სურ. 6). მასრა წვერიდანვე იწყება. მისგან განსხვავებულია №146, იგი უფრო მოკლე და ფართოა (ტაბ. III. სურ. 6). სიგრძე - 2,8 სმ, მასრის დმ – 0,5 სმ.

IV ტიპის სამფრთიანი, მრგვალი გამოყოფილი მასრით, რომელსაც კონუსური ფორმა აქვს. ფრთები რკალისებურად აქვს გაფორმებული და III ტიპისაგან სწორედ ამით და მასრის გაფორმებით განსხვავდება. ფრთები მასრასთან სწორი კუთხითაა ნაჭრილი (№147. ტაბ. III. სურ. 6) სიგრძე – 2-3 სმ. მასრის სიგრძე – 0,6-0,9 სმ. დმ – 0,6 სმ.

I ტიპის ისრისწვერები მოპოვებულია 1972 წ. გათხრების დროს ისტ. მეცნიერებათა კანდიდატის ლ. ნითლანაძის მიერ. იგი აღნიშნავს, რომ ანალოგიური ისრისწვერები დადასტურებულია შავი ზღვისპირეთში ყველაზე ადრეულ სკვითურ სამარხებში და ძვ.წ. V ს.-ზე უფრო გვიანდელი არ უნდა იყოსო (ნითლანაძე. 1983. გვ. 72).

სკვითური ისრისწვერებთან შედარებისას ზუსტი ანალოგია ვერ მოვძებნეთ, ფორმით ჰგავს, მაგრამ ცალკეული დეტალებით მაინც განსხვავდება. მაგ. თუ ფრთების გაფორმებით ჰგავს, მასრა განსხვავებულია და ა.შ. მეტნაკლებად მსგავსი ფორმებია დადასტურებული შუა დნესტრისპირეთში (ჭუროვკა, ტიკლინო). სადაც ჩვენი IV ტიპის ისრისწვერების მსგავსი ისრისწვერები გაერთიანებულია მე-3 ტიპში და ძვ. წ. V-IV სს ათარიღებენ [Петренко 1967. ტაბ. 3421], აგრეთვე დუნაისპირა დაბლობზე, პლავნი I სამაროვანზე [Суничук, Фокеев 1984. სურ. 417] თარიღდება ძვ.წ. V-IV ნიკონიაში [Екимова 1984. გვ. 123.]. სადაც ასევე ძვ. წ. V-VI სს თარიღდება. კასკაყოლის სამაროვანზე, ძვ.წ. IV ს. [Ягодик 1978. გვ. 87.]. ჩვენი III ტიპის ისრისწვერი დადასტურებულია ქვემო ვოლგისპირეთში სავრომატულ ძეგლებზე და ძვ.წ. VII-VI სს. განეკუთვნება [Смирнов. 1963. ტაბ.12,9ა89]. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზუსტი ანალოგიები მაინც არ არის. ჩვენი ისრისწვერების მსგავსი ვ. ეკიმოვას ნიკონიის მასალებში გაერთიანებული აქვს I ვარიანტის a ჯგუფში და V ვარიანტში [Екимова 1984.

სურ.1]. თუ ჩვენი III ტიპის ისრისპირები ხასიათდება უფრო წაგრძელებული ფორმით, დაშვებული ფრთებით, ოდნავ გამონეული მასრით, ნიკონიის I ვარიანტის a ჯგუფის ისრისწვერებს სწორი კუთხით აქვს წაჭრილი. იგივე შეიძლება ითქვას IV ტიპზეც, რომელიც იქ V ვარიანტშია გაერთიანებული – ფრთების გაფორმებით ჰგავს, მაგრამ განსხვავდებიან მასრის სიგრძით. ნიკონიის ისრისწვერებს გრძელი მასრა აქვს, ჩვენსას კი ოდნავ გამოყოფილი. ამდენად, სწორია კ. სმირნოვი, როცა აღნიშნავს რომ “სკვითური” ისრისწვერების გამოჩენა არ შეიძლება დავუკავშიროთ მხოლოდ სკვიტებს, მაგრამ მათ ეკუთვნით წამყვანი როლი ამ ტიპის ისრისწვერების გავრცელებაში წინა აზიაში ეგვიპტემდეო [Смирнов. 1961. გვ. 37]. სავრომატულ შეიარაღებაში სმირნოვი გამოყოფს ისრისწვერების 13 ტიპს. მისი აზრით, სამფრთიანი, მასრიანი, დაფნისფოთლისებურპირიანი ისრისწვერები მიდია-სპარსეთს უკავშირდება მათთან მჭიდრო საომარი და კულტურული კონტაქტების შედეგად [Смирнов. 1961. გვ. 67]. სკვიტების მეშვეობით ხვდება იგი სავრომატებში. კ. სმირნოვი აღნიშნავს, რომ სკვიტურისაგან განსხვავებით სავრომატულ ისრისწვერებს აქვთ მთელი რიგი ტიპიური ფორმები, მხოლოდ სავრომატებისათვის დამახასიათებელი. კერძოდ, სამფრთიანი, სამნახნაგა, სამკუთხა თავით, შიდა მასრით და გრძელი დაშვებული დეზით [Смирнов. 1961. გვ. 68]. შესაძლოა ჩვენი III ტიპის ისრისწვერები ასეთი გეომეტრიული ფორმებით ყველაზე ახლოს იდგეს სავრომატულ ისრისწვერებთან. ა. მელიუკოვაც აღნიშნავს, რომ VI ს-დან სკვიტური და სავრომატული ისრისწვერები სხვადასხვა გზით ვითარდება თუმცა საფუძვლად ერთი და იგივე პროტოტიპები უდევსო. [Мелюкова 1964. გვ. 23]. სკვიტური ისრისწვერები ძალიან დიდ ფართობზეა გავრცელებული: დაწყებული ციმბირით, ალტაის მხარე, შუა აზია, ეგვიპტე, საბერძნეთი, შუა ევროპა, რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, რასაც ა.მელიუკოვა ადგილობრივ ტომებთან კავშირით ხსნის. რაც შეეხება საქართველოს სკვიტურ ისრისწვერებს, ისინი დამონმებულია სამთავროს, [აბრამიშვილი 1961. ტაბ XVIII1], სიონის [მენაბდე, კილურაძე 1981. ტაბ. XIX3] სამაროვნებზე, ხოვლეგორას II და III ჰორიზონტებში [მუსხელიშვილი 1978. ტაბ XII]. თარიღდება ძვ.წ. VII-

VI სს. როგორც დ. მუსხელიშვილი შენიშნავს, ძვ.წ. VI ს-ის ბოლოდან დაწყებული V ს-ში შეიმჩნევა ტენდენცია უფრო მსუბუქი ფორმების, სამკუთხა მოყვანილობის ისრისწვერების გავრცელების და ხოვლე II პერიოდის სამფრთიანი ისრისპირების უმრავლესობა სწორედ ასეთიაო [მუსხელიშვილი 1980. გვ. 78]. ანალოგიურია ჩვენი ისრისწვერებიც, გამოირჩევა მსუბუქი, დახვენილი, გეომეტრიული ფორმით. სკვიტური ისრისწვერები დამონმებულია აგრეთვე კახეთში იორ-ალაზნის აუზში, ე. წ. სკვიტურივენტარიან სამარხებში [მამაიაშვილი ნ. 1980. გვ 78]. თარიღდება ძვ. წ. V-IV სს. ფორმით ისინი უფრო სავრომატულს წააგავს. ნ. მამაიაშვილი, ითვალისწინებს რა, ვ. ვინაგრადოვის შეხედულებას თუ ვინ უნდა ჩაითვალოს “სკვიტური” კულტურის მატარებლად და აქ დაკრძალულებს სკვიტებად მიიჩნევს. მ. პოგრებოვა, ა/კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბრინჯაოს მასრიან ისრისწვერებს უმრავლეს შემთხვევაში აკუთვნებს არქაულ ტიპს და უშვებს ვარაუდს მათი ადგილობრივი წარმოებისა მაგრამ სკვიტური ნიმუშების მიხედვით. [Ковалевсеая 1984. გვ. 66]. იგი სკვიტური მოსახლეობის გარკვეული პროცენტის არსებობასაც ვარაუდობს და ამას უკავშირებს არა სკვიტების დაბრუნებას წინა აზიიდან არამედ სკვიტების აქტიურ მოქმედებას მთელ ასწლიან პერიოდს წინა აზიაში [Погрєбова 1984. გვ. 197]. სულ სხვა მოსაზრება აქვს ამის შესახებ გ. ავალიშვილს სოფ. განთიადთან აღმოჩენილი სკვიტური ისრისწვერების მიხედვით, რომლსაც ძვ.წ. VI ს-ის I ნახევრით ათარიღებს. მიაჩნია იგი უცხო ელემენტად, ვინაიდან ერთი ცალია აღმოჩენილი, მაშინ როცა სხვა იარაღი კარგადაა წარმოდგენილი [ავალიშვილი 1974. გვ. 94] მოჰყავს რა მინგეჩაურის მაგალითი, სადაც ანალოგიური ისრისწვერებია აღმოჩენილი დიდი რაოდენობით, იგი უარყოფს სკვიტური იარაღის შემცველ სამარხებში ყველგან სკვიტების დამარხვის მოსაზრებას, რადგან სკვიტური ტალღების ნაშთებად და გზად, რომლითაც მათ წინა აზიაში შეაღწიეს, მას მიაჩნია ისეთი ადგილი, რომელიც ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოთი ახლოს დგას სამხრეთ რუსეთის ველებთან. კერძოდ, ზღვისპირა დაღესტანი, შემახი და გეოკ ჩაი, მინგეჩაური, შირაქის ველი, მარნეულის ვაკე, ჯანდარის ტბის მიდამოები და სხვა [ავალიშვილი 1974. გვ. 98]. სადაც ძვ.

ნ. VII-VI სს-ის ადგილობრივ კულტურაში კიდევაც შეინიშნება სკვითური ელემენტი. იგი ასკვნის რომ იარაღი ნაკლებად განმსაზღვრელია კულტურულ-ეთნიკური ერთობისა. ვფიქრობთ, სწორია გ. ავალიშვილი, ვინაიდან ვარსიმაანთკარის სამაროვანის სამარხები არც სამარხის ტიპით, არც დაკრძალვის წესით და არც სხვა ინვენტარით არ ჰგავს სკვითურს, ხოლო ერთი-ორი ისრისწვერით როგორ უნდა დავინახოთ უცხო ეთნიკური ერთეული. ვფიქრობთ ეს უფრო ურთიერთობების შედეგი უნდა იყოს. ძნელი წარმოსადგენია ასეთ უზარმაზარ ტერიტორიაზე, სადაც სკვითური ისრისწვერებია გავრცელებული, ყველგან სკვითი დავინახოთ. მისი ასეთი გავრცელება თვით ისრისწვერის ფორმით, მისი საბრძოლო თვისებებით იყო გამონვეული. სკვითური ისრისწვერების დამზადება საქართველოში ნაკლებად დამაჯერებლად მიაჩნია მ. ფირცხალავასიმისგამო, რომ ჩამოსასხმელი ყალიბები არ არსებობს [Пирцхалава 1075. გვ. 15] მაგრამ საერთოდ რა მიზანი უნდა ჰქონოდა ერთეული ცალეების არსებობას, თუ არ ჩავთვლით მელაანის სამლოცველოს, როცა მათი სიმცირე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა ლაშქრის ტაქტიკასა და შეიარაღებაზე. მაგრამ თუ წარჩინებულ მეომრებს ცხენოსნებად მივიჩნევთ (ჩვენი სამაროვნის მაგალითზე), მაშინ კიდევ გამართლებულია, რომ პრივილეგიებულ პირს სხვებისაგან განსხვავებული და უფრო სრულყოფილი იარაღი აქვს, რომლის შექმნის შესაძლებლობაც მას გააჩნია. მაგრამ რით უნდა ავსნათ ის ფაქტი რომ, პარალელები ეძებნებათ სავრომატულ ისრისწვერებში და არა სკვითურში? ვფიქრობთ, ესეც ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს. ბუნებრივია, ყოველთვის ცდილობენ უფრო სრულყოფილი და დახვეწილი ფორმების გადმოღებას. ამასთან გასათვალისწინებელია ვ. კოვალევსკაიას აზრი: “არ უნდა დავივიწყოთ, რომ სკვითებმა დაატყვევეს დიდი რაოდენობით ხელოსნები, კერძოდ მეთარაღენი ურარტუდან, ასურეთიდან, მანადან, რომლებიც მათთან მუშაობდნენ” [Ковалевская 1974. გვ.114]. სწორედ ამ დროს ამ დამარცხებული ქვეყნების ყველა მიღწევა გამოიყენეს და შექმნეს სინთეზი, როგორც ყველაზე სრულყოფილი იარაღი ამ პერიოდისა. ამიტომ მხოლოდ სკვითების დამსახურებად ვერ ჩავთვლით სამფრთიანი, მასრიანი ისრისწვერების შექმნას. სავარაუდოა

რამდენიმე ცენტრის არსებობა. ძირითადად ალბათ სავრომატულ სამყაროშია სავარაუდო, ვინაიდან ისარი მათთან №1 იარაღია, რადგან ცხენოსანი მეომრები მათთან ძირითად დამრტყმელ ძალას წარმოადგენს. მაგრამ, ალბათ, ა/კავკასიაშიც იქნებოდა ერთ-ერთი ცენტრი, სადაც სკვითური ნიმუშების მიხედვით ისრისწვერები ადგილობრივ მზადდებოდა. ა/კავკასიაში, კი იარაღის ეს სახე არ გავრცელებულა. ბუნებრივია არც მოთხოვნილება იქნებოდა დიდი, რადგან წამყვან იარაღს ა/კავკასიაში შუბი წარმოადგენდა. მაგრამ შესაძლებელია ერთი სახელოსნო ცენტრი არსებობდა სადაც მზადდებოდა განთიადის, სამთვროს, სიონის, წინამურის, მელაანის, შულავერის და სხვათა ისრისწვერები (სკვითური და სავრომატული ისრისწვერების დამზადების ტექნიკა განხილული აქვს ბ. გრაკოვს) [Граков 1930].

რაც შეეხება ძვლის ისრისწვერებს, იგი სულ სამი ცალითაა წარმოდგენილი (ტაბ. III. სურ. 6) №№ 160, 161, 162. ოთხნახნაგა, პირამიდული, ღრუ მასრიანი. სიგრძე – 3,3–4,2 სმ, მასრის დმ – 0,5 სმ. მსგავსი ინვენტარი აღმოჩენილია კახეთში სკვითურ ინვენტარიან სამარხებში [ნ. მამიაშვილი 1980. გვ. 110. ტაბ. XXX], სხვა ძეგლებზე არ ჩანს დამახასიათებელი, მაშინ როცა სკვითურ-სავრომატულ შეიარაღებაში და ჩრდ. კავკასიაში ფართოდაა წარმოდგენილი [Смирнов. 1961. გვ. 61] ჩენსოკგორტის სამაროვნიდან – ГИМ №1750-1754, აგრეთვე ტყე-სტეპების ყორღანებიდან, სადაც ძვ. წ. VII-V სს. დათარიღებული; კუმბულტის, ზედა რუხთის – ძვ. წ. VI-V სს. სამაროვნებზე [Крупнов 1960. გვ. 239. სურ. 33, 15, 77, 18] ლუგავოისა და ნესტოროვკის სამაროვნებზე მათი მიმოქცევის პერიოდად კრუპნოვსკი ძვ. წ. VI-IV სს. თვლის [Крупнов 1960 გვ.286]. დადასტურებულია აგრეთვე ისთი-სუს, ბოისი-ირზოს, მინგეჩაურის სკვითური პერიოდის სამარხებში [Артамонова-Полтавцева 1950. გვ. 124-176]. ზოგადად ძვ. წ. VI-V სს. თარიღდება. ჩვენთან წარმოდგენილი ისრისწვერებიც სამარხეული კომპლექსების მიხედვით ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს, უფრო ზუსტად ძვ. წ. V-IV სს, რაც შეეხება რკინის გრძელყუნწიან ისრისწვერებს რომლებიც განივკვეთში რომბისებურია და დაწახნაგებული (ტაბ. III. სურ. 6) № 252, 529. საქართველოს სინქრონულ ძეგლებზე მათ პარალელს ვერ მივაგენით, ხოლო სარმატულ ძეგლებზე ისინი

ძვ. წ. IV-III სს. საზღვარზე ჩნდებიან, მაგრამ მათ ახასიათებს ბრტყელი, სამკუთხა ან რომბისებური თავი, რითაც განსხვავდებიან ჩვენი ისრისწვერებისაგან. როგორც კ. სმირმოვი აღნიშნავს, ყუნწიან ისრისწვერებს თითქმის არ იცნობენ სკვითები და მათი ფართოდ გავრცელების როლი ჩრდ. შავიზღვისპირეთში და კავკასიაში სავრომატებს ეკუთვნისო. ყუნწიანი ისრისწვერების გაჩენას ძვ. წ. VI-V სს. ზღვარზე ვარაუდობს [Смирнов. 1961. გვ. 61]. ჩვენი ისრისწვერები სრულიად განსხვავებულია მათგან თავისი გაფორმებით, ამიტომ პარალელად არ გამოგვადგება, რაც შეეხება სამარხეულ კომპლექსებს, ძვ. წ. V-IV სს-ითაა დათარიღებული.

ფარი - 1981 წლის გათხრების დროს მე-18 და 65-ე სამარხებში გამოვლინდა ფარები. მე-18 სამარხის ფარი (ტაბ. IV. სურ. 7). საგანგებოდაა დაზიანებული და დაჭყლეთილი, რის გამოც ფარი სრულყოფილ სახეს არ იძლეოდა. 65 სამარხის ფარი აღმოჩნდა მთელი (ტაბ. IV.). ორივე ფარი ანალოგიურია, ტიპოლოგიურად განეკუთვნებიან მრგვალ ფარებს. დამზადებულია თხელფურცლოვანი ბრინჯაოსაგან, ნაპირები წერტილოვანი ორნამენტითაა შემკული. ფარებს ცენტრში დარჩილული აქვთ რელიეფური გამოსახულება, რომელიც 6 “სხივისაგან” შედგება. “სხივები” ბოლოვდება სამ-სამი ბურთულათი. “სხივების” შემკრებ ცენტრში შემადლებული კუნუბია გამოყვანილი, რომელიც შედგება ოთხ-ოთხი ბურთული-საგან შედგენილი მტევნისებური შვერილისაგან, შვერილები ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილითაა დაცილებული. სხივები კუნუბიან ბიკონუსურ ღეროსთან ერთადაა ჩამოსხმული და ფარის ცენტრში გამჭოლი ღეროთივეა ჩამაგრებული, რომელიც შიდა მხარეს მორკალულია. ფარებს ოთხ საპირისპირო მხარეს ორ-ორი მცირე დიამეტრის ხვრელები აქვს. შესაძლოა მათი საშუალებით ხდებოდა მოპირდაპირე მხარეს ტყავის სარჩულის დამაგრება. ფარის დმ - 30 სმ. გამოსახულების დმ 7,4 სმ. სიმაღლე - 3,5 სმ. კუნუბის დმ 2 სმ. მსგავსი ტიპის, ე. ი. მრგვალი ფარები, საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან გვხვდება, სახელდობრ, ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ პერიოდში [საქართველოს არქეოლოგია 1959. გვ. 177]. მაგრამ არც თუ მოგვიანო ხანის წყაროებით ცნობილია, რომ ფარს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქარ-

თველ ტომთა სალაშქრო საჭურველში.

ჰეროდოტეს ცნობით, ტიბარენებს, მაკრონებს და მოსინიკებს თავზე ხის ჩაფხუტი ეხურათ, იარაღად კი პატარა შუბებსა და ფარს ხმარობდნენ, კოლხებს კი ტყავგადაფარებული ფარები და ხანჯლები ჰქონიათ; ქსენოფონტეს ცნობის მიხედვით მოსინიკებს ტყავგადაკრული დაწნული ფარი ჰქონიათ (ჯავახიშვილი 1979, გვ. 69), ე. ი. ამ პერიოდში რამდენიმე ტიპის ფარია სავარაუდებელი. არქეოლოგიური მასალით კი საქართველოს მრგვალი ფარები ჩანს დამახასიათებელი. აღმოჩენილია: ვანში [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972, სურ. 164], მეომრის სამარხში, ბრილში [ცისკარიშვილი 1953], შედარებით ხშირია მათი აღმოჩენა კახეთში, ბაღიაურში [საქართველოს არქეოლოგია 1959, გვ. 177. 49. ძვ.წ. XII-X სს.], ლილოსა და კაჭრეთში [ქსე. I, 1975] მელაანში [ფიცხელაური 1973, გვ. 221], ვანთაში [ნუცუბიძე 1980, ტაბ. 1, 8]. მელაანში აღმოჩენილი ფარის ურარტულ წარმოშობას ან მის მიბაძვას ვარაუდობს კ. ფიცხელაური, რადგან მსგავსი ფარები - გულამობურცული და კიდებანეული საქართველოს ტერიტორიაზე არ არის აღმოჩენილი, ურარტულ ნივთებზე კი ისინი საკმაოდ ხშირადაა გამოსახული [ფიცხელაური 1973, გვ. 221]. მათი დიამეტრი 0,7 სმ-ია. შუა ნაწილი წარმოადგენს კონუსურ შვერილს, ხანდახან გამოსახულებით. გარდა ამისა, ურარტულ ფარებს შიდა მხრიდან 3 სახელური აქვს, ერთი დიდი და ორი პატარა [Пиотровский 1952, გვ. 26]. მრგვალი ფარი დადასტურებულია კამარახევის სამაროვანზე [ჯღარკავა 1982, სურ. 1024], ხოლო ყაზბეგის განძში შემავალი ნივთი, რომელიც მკვლევარმა ლ. ნითლანაძემ ხუფად მიიჩნია, რადგან ბრინჯაოს სიტულასთან ერთად აღმოჩნდა, ჩვენი ფარების ზუსტ ანალოგიას წარმოადგენს, განსხვავებაა ზომებში, მისი დმ-ია 13 სმ. [ნითლანაძე 1976, ტაბ. IV_{1,2}]. ცნობილია, რომ ყაზბეგის განძში სხვადასხვა ხასიათის ნივთებია თავმოყრილი და შესაძლოა ეს ნივთიც სიტულასთან მოხვდა და სინამდვილეში წარმოადგენს ამ პერიოდში გავრცელებული ფარის გულს - უმბონს, რომლის ანალოგიებს იმ დროისათვის ვერ მიაკვლია ლ. ნითლანაძემ. ვარსიმანთკარის ფარებს გარკვეულად ემსგავსება კამარახევის ფარიც, რომლის ნაპირებიც ისეთივე ორნამენტით ჩანს შემკული, როგორც ჩვენი ფარები. განსხვავებაა

ცენტრის გამოსახულებაში – მასზე სადა ფირფიტა ჩანს მირჩილული. შესაძლოა, ცენტრში ასეთი დანაძერწები დარტყმის ძალის შესასუსტებლად იყო გამოყენებული. საფიქრებელია, რომ ყაზბეგის, კამარახევის და ვარსიმაანთკარის ფარები ერთ სახელოსნო ცენტრში იყოს დამზადებული, ყაზბეგისა და ვარსიმაანთკარის ფარები მაინც. მათი ასეთი გავრცელება როგორც მთიან, ისე ბარის რაიონებში, ხაზს უნდა უსვამდეს არა მხოლოდ ვინრო საშინაო ბაზრის არსებობას, არამედ საერთო ქართულ სანარმოო ცენტრებთან კავშირს. მეღვინეობის მაღალი კულტურა ქართველ ტომებში ძველადვე ქმნიდა წინაპირობას სამეურნეო და საბრძოლო იარაღების სხვადასხვა ტიპების ჩამოყალიბებისა და მათი ადგილობრივ დამზადებისათვის [ჩოლოყაშვილი 1956, გვ. 293]. ფარის ფორმა და სიმრგვალე საერთოდ ჩანს დამახასიათებელი საქართველოს როგორც ადრეული ხანის, ისე მომდევნო პერიოდის ძეგლებისათვის, მათზე გამოყვანილი სხვადასხვა ორნამენტული სახეები კი ცალკეული ადგილობრივი სახელოსნო ცენტრების არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. მრგვალი ფარის უმბონები დიდი რაოდენობით ყოფილა აღმოჩენილი კოლხეთშიც.

ფარები საერთოდ მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი სხვა ძეგლებზეც და ფორმითაც განსხვავდება საქართველოსათვის დამახასიათებელი მრგვალი ფარისაგან. მაგ., სავრომატულ ძეგლებზე მხოლოდ ერთი ფარის უმბონია აღმოჩენილი [Смирнов 1961. სურ. 42 2], რომელიც ძვ.წ. VI-V სს. თარიღდება. თვით ფარი, მკვლევარის ვარაუდით, ხის ან ტყავის უნდა ყოფილიყო [Смирнов 1961, გვ. 75]. ასევეა სკვითებშიც. კ. ჩერნენკოს ვარაუდით, ძირითადი მასა ხის ან მისი ტოტებისაგან დამზადებულ ფარს ხმარობდა [Черненко 1984, გვ. 39], ხოლო წარჩინებულნი – ლითონის ფარებს, რომლებიც ასევე მცირე ზომით ხასიათდება. იყო ოთხკუთხა ფორმის, ოდნავ მომრგვალებული კუთხეებით, რომლებიც, როგორც ვ. ბლავატსკი აღნიშნავს, ძვირად ღირებული თავდაცვითი იარაღი იყო სკვითი წარჩინებულებისათვის [Блаватский 1954, გვ. 13].

ურარტული ფარები რამდენიმე ტიპისაა, გამოირჩევა წაგრძელებული ფორმებით. მხოლოდ ერთი მათგანია მრგვალი [Есаян 1966, ტაბ. XV₁], რომელიც ფორმით ჰგავს ჩვენს ფარებს, მაგრამ შიდა მხრიდან მას სახელური

აქვს. ს. ესაიანის ვარაუდით, ასეთი ფარებიც ტყავზე უნდა ყოფილიყო დამაგრებული [Есаян 1966, გვ. 96].

ჰეროდოტეს გადმოცემით დაწვლმა ფარებმა ფართო გავრცელება ჰოვეს სპარსეთში. ისინი ოვალური იყო, დიდი ზომის, ისე რომ თავისუფლად შეეძლოთ მოწინააღმდეგის ისრებისაგან დაცვა [Черненко 1984, გვ. 22-24. სურ. 8₁]. ჩვენს ფარს ფორმით ემსგავსება ამუდარიის ფარის უმბონი, ისიც მრგვალია და ცენტრში გამოსახულება აქვს სიმაგრისათვის [Черненко 1984, სურ. 8, 4].

რაც შეეხება ბერძნულ ფარებს, ჰოპლიტები ორი ტიპის ფარს ხმარობდნენ – მრგვალს და ოვალურს – გვერდებამოლარულს. ფარის დამ – 0,8-1 მ, დამაგრებული იყო ხეზე, გარედან იფარებოდა ტყავით ან ფურცლოვანი ლითონით, ზედაპირი ამობურცული იყო, შიდა მხარეს სახელური ჰქონდა [Блаватский 1954, გვ. 46]. ასეთი ფარები განკუთვნილი იყო მძიმედ შეიარაღებულთათვის, რაც შეეხება ქვეითებს, ისინი ტყავის მსუბუქ ფარებს იყენებდნენ (იქვე). ვ. ბლავატსკი აღნიშნავს, რომ თავდაცვითი საჭურველი იმდენად ძვირად ფასობდა, რომ შეუძლებელი იყო მათი ჩატანება საშუალო შეძლების მქონე პირთა სამარხებში [Блаватский 1954, გვ. 76]. თუ გავითვალისწინებთ ამ აზრს, ჩვენი სამაროვნის მაგალითზე, მაშინ ბუნებრივია 179 სამარხში მხოლოდ ორი ფარის აღმოჩენა. ეს ორი შემთხვევაც გამონაკლისია, ვინაიდან სხვა პრივილეგირებულ პირთა სამარხებში ფარები არ გვხვდება. ასეთი სამარხი სულ რვაა. შესაძლოა მათ შორისაც იყო რაღაც განსხვავება და ლითონის ფარებს მხოლოდ მძიმედ შეიარაღებული წარჩინებული პირები ატარებდნენ, დანარჩენი მასა კი სხვა მასალის ფარებით სარგებლობდა, რომლებიც შემორჩენილი არ არის. შესაძლოა წარჩინებულნი წარმოადგენდნენ მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსან მეომრებს, რომლებსაც უკავშირებს კ. ჩოლოყაშვილი მრგვალი ფორმის ფარებს [ჩოლოყაშვილი 1956, გვ. 300]. ძირითადი მასა კი მსუბუქად შეიარაღებული ფეხოსანნი უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც ლაშქრის ძირითად ბირთვის წარმოადგენდნენ. რაც შეეხება ფარის თარიღს, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფარების უმრავლესობა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას განეკუთვნება. უფრო ნაკლებია ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის მასალებში. სამარხე-

ული კომპლექსების მიხედვით ჩვენი ფარები ძვ.წ. V-IV სს. უნდა დათარიღდეს. ამავე ხანას უნდა ეკუთვნოდეს ბრინჯაოს ორი **მუზარადი** (ტაბ. IV. სურ. 8), რომლებიც ტიპოლოგიურად სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. №9 აღმოჩნდა მე-18 სამარხში. იგი ძალზე დაზიანებულია, საგანგებოდაა დაჭყლეტილი, ალბათ, დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებით. მუზარადს უნდა ჰქონოდა ნახევარსფერული ზედა ნაწილი და განიერი ფარფლი მთელ პერიმეტრზე, მხოლოდ კეფასთან არ უნდა ჰქონოდა, ვინაიდან სამანჭვლე ხვრელების მიხედვით ირკვევა, რომ აქ სხვა ფირფიტა უნდა ყოფილიყო დამაგრებული, რომელიც იქვე აღმოჩნდა. დამზადებულია ბრინჯაოს სქელი ფირფიტისაგან, ნაკერები გაერთიანებული ყოფილა მიქლონვის წესით, რკინის მანჭვლებით. ფარფლის სიგანე წინა ნაწილში – 6,5 სმ. ფირფიტის სისქე – 0,3 სმ. ანალოგიური ფორმის მუზარადს ვერ მივაკვლიეთ ვერც ერთ ურარტულ და სკვიტურ-სავრომატულ თავდაცვით საჭურველში და ვერც ბერძნულში, არ ჰგავს არც აქემენიდურს. როგორც ცნობილია, სკვიტური მუზარადები ქოთნის ფორმისაა, ჩამოსხმულია, მასიურია, წინა ნაწილი ამოღარულია (VI. ს. ძვ.წ.). ა. მელიუკოვა შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი მუზარადების უმრავლესობას ბერძნულად მიიჩნევს [Мелюкова 1964, გვ. 77]. სავრომატებშიც ბერძნული მუზარადები ჩანს გავრცელებული [Петренко 1967, ტაბ. 337,]. სრულიად განსხვავებულია სპარსული მუზარადები, რომელთაც კონუსური ფორმა ახასიათებს [Черненко 1964, სურ. 6. 1], ხოლო ურარტულს ჩაბალახის ფორმა აქვს [Пиотровский 1954, ტაბ. 11]. ბ. პიოტროვსკი აღნიშნავს, რომ ურარტული მუზარადები ახლოს დგას ასურულთან. ეს არის ნაგრძელებული ფორმის, წვეტიანი (იქვე, გვ. 24) მუზარადები. საერთოდ შენიშნავს, რომ ა/კავკასიის მასალებში ლითონის მუზარადები ძალზე ცოტაა (იქვე, გვ. 26). მათ არაფერი აქვთ საერთო ჩვენს მუზარადებთან. მე-18 სამარხის მუზარადს წააგავს ილირიის აპოლონიის მოზაიკაზე გამოსახული მეომარი მამაკაცის მუზარადი, განსაკუთრებით ზედა ნაწილი. ისიც ორი ნაწილისაგან შედგება. თარიღდება ელინისტური ხანით [Будина 1959, გვ. 27-28]. მსგავსია აგრეთვე მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ბრინჯაოს მუზარადი ქუთაისიდან, იგიც

ბერძნულია. ბერძნული მუზარადებია დადასტურებული ეპერაშიც [Пордкипанидзе 1973, გვ. 44], ვფიქრობთ, რომ ჩვენი მუზარადი ყველაზე მეტად მაინც ბერძნულს უახლოვდება, კერძოდ თრაკიულს [Гафуров 1980, გვ. 95. სურ. 3], ძვ.წ. IV ს., მაშინ როცა ვერავითარ საერთოს ვერ ვხედავთ ურარტულ და სპარსულ მუზარადებთან.

საქართველოში მუზარადები აღმოჩენილია აგრეთვე თრიალეთში – კონუსური ფორმის, ვანში და კამარახევში, მაგრამ იმდენად ფრაგმენტულია, რომ შედარების საშუალება არა გვაქვს.

მეორე ტიპის მუზარადი (ტაბ. IV. სურ. 8) (№ 111₁) ოვალურია, შედგენილია წრიულად მორკალული ბრინჯაოს ბრტყელი ფირფიტისაგან, რომელსაც ორივე მხრიდან განივად აკრავს ასეთივე ფირფიტები. ფირფიტები ერთმანეთთან მანჭვლებით ყოფილა დაკავშირებული. შიდა პირზე შემორჩენილია ტყავის თასმები. როგორც ჩანს, ტყავის თასმები ერთმანეთში ყოფილა ჩანწული და ნივთის შიდა პირზე გამოკრული. სიგრძე – 25,5 სმ., სიმაღლე – 12 სმ. მსგავს მუზარადს ვერსად მივაკვლიეთ, იგი აშკარად ადგილობრივია, დამზადებულია ისეთივე პრინციპით, როგორც ჯავშანი. გარდა ყაზბეგის მასალებისა, სადაც ბრინჯაოს ასეთივე ფირფიტებია დადასტურებული (2 ცალი), სხვაგან არსად მსგავსი ტექნიკით შესრულებული ფირფიტები არ შეგვხვედრია, რაც კიდევ ერთხელ უნდა მიგვანიშნებდეს მის ადგილობრივ წარმოებაზე. ყაზბეგში ანალოგიური ფირფიტები [ნითლანაძე 1976, ტაბ. XXXI,] სარტყლის ნაწილადაა მიჩნეული.

ჯავშნის ნაწილები (ტაბ. IV. სურ.9) შედგება სხვადასხვა ზომის და მოყვანილობის თხელფურცლოვანი ფირფიტებისაგან, რომელთა ნაწილი ერთმანეთთან ბრინჯაოს რგოლებითა და მანჭვლებითაა დაკავშირებული. ჯავშანი, როგორც ჩანს, წარმოადგენდა მრავალნაჭრიან რთულ ნაკეთობას, რომლის თავდაპირველი სახით წარმოდგენა ფრაგმენტულობის გამო არ ხერხდება. ჯავშნის მთავარ ნაწილს წარმოადგენს ბრტყელი და განიერი ნაპირებგოფირებული ფირფიტა, რომელზედაც ასხმული უნდა ყოფილიყო დანარჩენი შემადგენელი ნაწილები. მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობითაა შემონახული მოგრძო სამკუთხა მოყვანილობის “სხივისე-

ბრი” ფირფიტები. მათი ერთობლიობა, ალბათ, ქმნიდა მკერდის საფარველს. სავარაუდოა, რომ ჯავშნის მთელი კონსტრუქცია ასხმული იყო ტყავის სარჩულზე. ნამსხვრევებს შორის შემორჩენილია ბრინჯაოს რგოლები და ფირფიტის ნამსხვრევები. განიერ და “სხივისებრ” ფირფიტებს, უკლებლივ ყველას, აქვს რადიალური რელიეფური ნიბო, რაც, ალბათ, ლითონს სიმტკიცეს სძენდა. ფირფიტის უდიდესი სიგანე – 8,5 სმ, უმცირესი – 2,4 სმ. სხივისებრი ფირფიტის უდიდესი სიგანე – 5,3 სმ, უმცირესი – 1,5 სმ.

ასეთივე ნაწილებია დადასტურებული 55-ე სამარხშიც. ორივე შემთხვევაში ჩონჩხიდან მოშორებით იდო. მე-18 სამარხში – თავის ქალას დასავლეთით, 55-ში კი ქვედა კიდურებთან. ვფიქრობთ, ასეთი ტიპის ჯავშნით იცავდნენ მკერდს. იგი უკან თასმებით იქნებოდა დამაგრებული, რომლებმაც ჩვენამდის არ მოაღწია. შესაძლოა წელის არე მთლიანად იყო ჯავშანში ჩამჯდარი, ზურგის ზედა მხარეზე კი თასმებით მაგრდებოდა. ჯავშნის აწყობის ეს პრინციპი არ ჰგავს ე.წ. ქერცლოვან ჯავშნებს, რომლებიც ასე ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ სამყაროში. ასეთი ტიპის ჯავშანი უსახელო იქნებოდა. ჯავშანი ძვ.წ. V-IV სს. თარიღდება.

ვარსიმანთკარის სამაროვანზე ცხენის დაკრძალვის 3 შემთხვევა გვქონდა მხედართან ერთად. როგორც ცნობილია ცხენის სამარხები ა/კავკასიაში ჩნდება II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებიდან (ნახჭევანის ასსრ. შახტახტი) და მიღებულია, რომ ცხენს კრძალავდნენ მხოლოდ წარჩინებულთა სამარხებში. [Ковалевская 1977. გვ. 66] ვ. კოვალევსკაია აღნიშნავს, რომ ასეთ სამარხებში რაც უფრო სრულადაა წარმოდგენილი იარაღის კომპლექტები, მით უფრო მაღალი რანგის მეომარია დაკრძალული [Ковалевская 1977. გვ. 54]. ამის მიხედვით, I ანუ უმაღლესი რანგის მხედარია (დაკრძალულია ცხენთან, ცხენის აღკაზმულობასთან) ის ვინც შეიარაღებულია ისრით, აკინაკით ან სატევრით, ცულით და საბრძოლო დანით, ამავე ჯგუფს აკუთვნებს მეომრებს რომლებსაც აკლიათ ერთი რომელიმე სახეობის იარაღი [Ковалевская 1977. გვ. 56].

II რანგი – ცხენი არაა დაკრძალული, მაგრამ წარმოდგენილია სამი სახის იარაღი.

III რანგი – ორის სახის იარაღია – შორს და ახლო ბრძოლისათვის განკუთვნილი.

IV რანგი – იარაღის ერთი სახითაა წარმოდგენილი [Ковалевская 1977. გვ. 57].

ამ პრინციპის მიხედვით ჩვენთან სამივე შემთხვევაში უმაღლესი რანგის მეომრები ყოფილან დაკრძალული, ვინაიდან ისინი შეიარაღებული არიან იარაღის თითქმის სრული კომპლექტით ცულის გარდა, რომელიც არაა დამახასიათებელი იარაღი ვარსიმანთკარის სამაროვანზე.

ცხენის ზომები: სიგრძე – დაახლოებით 2,30 მ, მეორე ცხენის 1,5X0,55 მ. როგორც სპეციალისტმა გ.მელაძემ გვითხრა პირად საუბარში, ისინი საშუალო ზომის ცხენებს განეკუთვნებიან და დამახასიათებელი ჯიშია იმდროინდელი საქართველოსათვის. ცხენები ამკარად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, პირველი ბევრად დიდია. ცხენებს ახლდა რკინის ლაგმები საყბურითურთ. მესამე სამარხში მხოლოდ ლაგამი იყო დადასტურებული, ორწილადი, შესაძლოა საყბური ძვლის ჰქონდა რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია. ტიპოლოგიურად ორივე ლაგამი განსხვავებულია.

I ტიპი (ტაბ. II. სურ.4) №52. რკინის. შედგება ორწილადი, გარეთა რგოლებზე ბრტყელფროიანი, თავებგაგანიერებული საყბურებია გამოდებული. იმავე რგოლზეა გამოდებული საღვედე თითო რგოლიც. მარცხენა საყბური დეფორმირებულია. ლაგამის სიგრძე – 15 სმ. საყბურის სიგრძე – 18 სმ. საღვედე რგოლის დმ – 4,2 სმ.

საქართველოს სინქრონულ სამაროვნებზე იშვიათია ცხენის სამარხები. იგი მდიდრულ სამარხებთან ერთად გვხვდება, სადაც ძირითადად ბრინჯაოს ლაგმებია წარმოდგენილი. ლაგმების ზომა: მინიმალური 10 სმ-ია, მაქსიმალური – 20 სმ. სავრომატული ლაგმების მაგალითზე ეს სრულიად ბუნებრივად მიაჩნია კ. სმირნოვს, ვინაიდან ისინი იცნობდნენ სხვადასხვა ჯიშის ცხენებს [Смирнов 1961. გვ. 22]. მაშინ ჩვენი ლაგმების ზომების მიხედვით, რომლებიც განსხვავებულია, დაკრძალული გამოდის სხვადასხვა ჯიშის ცხენები. № 52 ლაგამი უახლოვდება ძვ. წ. V ს-ით დათარიღებული სავრომატულ ლაგამს [Смирнов 1961. სურ. 463. გვ. 88], მაგრამ ჩვენგან განსხვავებით იგი ხვრელებიანია. ჰგავს აგრეთვე დნესტრისპირეთის სოფ. კულეშოვკის სკვითურ ყორღანში აღმოჩენილ საყბურს, რომელიც ძვ. წ. V ს. I ნახევრით თარიღდება [Галанина 1977. გვ. 35. ტაბ. 17. 4]. ზუსტ ანალოგიებს ვერ მივაგენით.

. რაც შეეხება მეორე ტიპის ლაგამს (ტაბ. II. სურ.4; № 253), იგი შედგება რკინის რგოლით ერთმანეთზე გადაბმული ორი ნაწილისაგან. ლაგამ-საყბურის თითოეული ნაწილი გამოჭედილია რკინის მთლიანი ნაჭრისაგან. მას აქვს მშვილდისებურად მორკალული საყბური 3 საღვედე ხვრელით, რომელთაგან შუათანა ოვალური მოყვანილობისაა და დიდია გვერდითა, მრგვალდიამეტრიან ხვრელებზე. ლაგამის შვერილებს აქვს მორკალული თავები და ერთიმეორესთან რკინისავე რგოლითაა შეკრული. საყბურის სიგრძე – 18 სმ. ლაგამის სიგრძე – 11 სმ. საღვედე მოზრდილი ხვრელის სიგრძე – 2,6 სმ, სიგანე – 0,8 სმ. მცირე ხვრელის დმ – 0,8 სმ. შემაერთებული რგოლის დმ – 2,3 სმ.

როგორც მ. კოვალევსკაია აღნიშნავს, ძვ. წ. VII-VI სს. მიჯნაზე ჩამოყალიბდა ლაგამის ახალი ტიპი რომელსაც “აზიურს” უწოდებენ [Ковалевская 1977. გვ 118]. იგი გავრცელებული იყო წინა აზიაში, ეგვიპტეში, საბერძნეთში. ფართოდ იყო წარმოდგენილი ა/კავკასიაში. საყბურები ლაგამთან ერთად ყოფილა ჩამოსხმული (ჩვენს შემთხვევაში გამოჭედილია) ეს უკანასკნელი კი ინარჩუნებს ორ ნაწილს. ასეთი ლაგამის გამარტივებად უნდა ჩაითვალოს მესამე რგოლის წარმოქმნა ლაგამზე, რომელიც საშუალებას იძლეოდა თითოეული ნაწილი ცალ-ცალკე დაემზადებინათ და მერე შეეერთებინათ [Ковалевская 1977. გვ 118]. ამავე პრინციპითაა დამზადებული ლაგამი 53-ე სამარხიდან, ფორმაში განსხვავებაა აგების პრინციპი ერთია. შესაძლოა იგი ადგილობრივ-ლოკალური ვარიანტია. მათ პროტოტიპს უნდა წარმოადგენდეს ძვლის სამხვრელიანი საყბურები, რომლის ცენტრალური ხვრელია ასევე ოვალური იყო და მოზრდილი. ასეთი საყბურები ფართოდ იყო გავრცელებული ძვ. წ. X-IX სს. ძეგლებზე [Ковалевская 1977. გვ 34]. ჩვენი ლაგამის საყბურს გავს აგრეთვე დნესტრისპირეთში გავრცელებული ლაგამ-საყბური, მაგრამ დამაგრების წესი სხვანაირია – საყბური ლაგამთან დამაგრებულია რგოლით მაშინ, როცა ჩვენი მთლიანი ნაჭრისგანაა გამოჭედილი. ასეთი ლაგამ-საყბურები ძვ. წ. V-III სს. თარიღდება [Петренко 1967. ტაბ. 2613]. დიდი რაოდენობითაა ისინი ურარტუში [Пиотровский 1955. სურ 34], დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სოხუმის მახლობლად ძვ. წ. VI ს. სამარხში აღმოჩენილი ლაგამ-საყბურები [Шамба 1983. გვ.

33 სურ 11. 2. 3], რომელიც ასევე სამნაწილიანი საყბურისაგან შედგება, აგების პრინციპით კი მაინც განსხვავებულია ჩვენი ლაგამ-საყბურისაგან და ზუსტ ანალოგიას არ წარმოადგენს.

სამარხეული კომპლექსისი მიხედვით ძვ. წ. V-IV სს. თარიღდება.

ამრიგად, ვარსიმაანთკარის სამაროვანზე ძირითადად წარმოდგენილია საბრძოლო იარაღი. სამეურნეო იარაღი თითქმის არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით დანებს, რომელთა ფუნქციონალური დანიშნულების გარკვევა ზუსტად მაინც საეჭვოა. სინქრონულ სამაროვანებთან შედარებისას გაირკვა, რომ ყველაზე მეტი რაოდენობით საბრძოლო იარაღი წარმოდგენილია ვარსემაანთკარის სამაროვანზე, თანაც უკეთესად დაცული. სამწუხაროდ, ყველა სამაროვნიდან სტატისტიკური მონაცემების გაკეთება ვერ შევძელით, რამდენადაც ყველა მათგანი გამოქვეყნებული არ არის. არც იმაში ვართ დარწმუნებული, რამდენად სწორი იქნება ჩვენი მონაცემები იარაღის საერთო რაოდენობის შესახებ რადგან, შესაბამის ლიტერატურაში არ არის მოცემული იარაღთა საერთო რაოდენობა და არც შუბისპირებია გამოყოფილი ხელშუბისპირებიდან. ამდენად, ვფიქრობთ, მხოლოდ დაახლოებითი წარმოდგენა შეგვექმნება სინქრონულ სამაროვანებზე გამოვლენილ იარაღის რაოდენობაზე, რომელთა რაოდენობაზე უკვე გვქონდა საუბარი შუბისპირების განხილვის დროს, მაგრამ კიდევ ერთხელ მოვიყვანთ მათ მონაცემებს: კამარახევი – 156 სამარხი – 19 შუბისპირი, 3 მახვილი, 31 დანა; კავთისხევი – 30 სამარხი – 2 შუბისპირი, 2 სატევარი, 8 დანა. ღრმახევისთავი – 99 სამარხი – 7 შუბისპირი, 13 დანა; განთიადი – 7 სამარხი – 3 შუბისპირი. ბეშთაშენი – 15 შუბისპირი. კუმისისა და კიკეთის სამაროვანებზე თითო ცალი. როგორც ვხედავთ, სამაროვნები, რომლებიც ძვ. წ. VII-VI სს. თარიღდება ფართოდაა წარმოდგენილი იარაღით მაშინ, როცა ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის სამაროვნებზე ან ძალიან ცოტაა ან საერთოდ არ არის. ანალოგიური მდგომარეობაა დასავლეთ საქართველოშიც. იარაღი მასიურადაა წარმოდგენილი გუადიხუს, ნითელი შუქურის, სოხუმის, პალურის, ნიგვზიანის, მერხეულის, ურეკის სამაროვნებიდან, მაგრამ ისინიც ძვ. წ. VII-VI სს დათარიღებული, უფრო გვიან კი იარაღი იქაც შემცირებული ჩანს, თუ არ ჩავთ-

ვლით მდიდრულ სამარხებს ვანიდან, ითხვისიდან. როგორც ჩანს ეს მოვლენა დამახასიათებელი ჩანს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოსთვის, მაგრამ დასავლეთ საქართველოში რამდენადმე ადრე დაწყებულა. ამ ფაქტს სხვადასხვანაირად ხსნიან მეცნიერები: აკად. ს. ჯანაშია ამ მოვლენაში სოციალურ შინაარსს ხედავდა, დაუკავშირა რა იგი მცხეთის გაქალაქებას. ხოლო ი. გაგოშიძე აღნიშნავს, რომ სამარხებში იარაღის მასობრივი გაქრობა არ არის ლოკალური მოვლენა, არამედ გარკვეული ხანიდან დამახასიათებელია მთელი საქართველოს ბარისთვის. თუნდაც მარტო ამიტომ ამ მოვლენაში უნდა მეტი დავინახოთ ვიდრე ცალკეული პუნქტების გაქალაქების შედეგად [გაგოშიძე 1964. გვ. 79.]. იგი აღნიშნავს რომ ქვემო ქართლის სამაროვნებზე ძვ. წ. VI-V სს. სამარხებში ჯერ კიდევ ბევრია იარაღი, მაგრამ ძვ. წ. V ს შუა წლებისა და მომდევნო ხანის მრავალრიცხოვან სამაროვნებზე კი იარაღი სრულებით აღარ გვხვდება. ასევე დასავლეთ საქართველოში, ყანჩაეთში აღმოჩენილ მდიდრულ სამარხში აღმოჩენილ იარაღში იგი ხედავს სოციალურ შინაარსს და აღნიშნავს, “რომ ძნელია იმ საზოგადოებაში სადაც ამგვარი დაპირისპირება ჩანს, არ დავინახოთ კლასობრივი საზოგადოება, სადაც იარაღი და მასთან ერთად ძალაუფლებაც გარკვეულ უფლებრივად და ეკონომიკურად დაწინაურებული წრის, ფენის ხელშია, სადაც იარაღის და ქვეყნის დაცვაზე ზრუნვა ამ ფენის მოვალეობას და კიდევ უფრო მეტად მის პრივილეგიას შეადგენს, ხოლო მოსახლეობის ძირითდი ნაწილი მიწის მუშები და მოქალაქენი “თავისუფალია” იარაღისაგან და ფიზიკური თავდაცვის აუცილებლობისაგან” [გაგოშიძე 1964. გვ. 80-81]. ამავე აზრისაა ჯ. ნადირაძეც. იგი აღნიშნავს, რომ იარაღი არ არის დადასტურებული მოდინახეს ადრეანტიკური ხანის სამარხებში მიუხედავად იმისა, რომ ორი მათგანი საკმაოდ შეძლებული შუა ფენის მამაკაცებს ეკუთვნის. სანინაანლმდეგოდ ამისა ადრეანტიკური ხანის მდიდრული სამარხები როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში უხვად შეიცავენ საბრძოლო იარაღს (ვანი, ითხვისი, ყანჩაეთი, ალგეთი), რაც ამკარად მიუთითებს რომ ეს სამარხები ადგილობრივ დიდებულებს და მათი ოჯახებიდან გამოსულ წარჩინებულ ადამიანებს ეკუთვნის [ნადირაძე 1975. გვ. 42].

იგი იმეორებს ი.გაგოშიძის აზრს რომ ქვეყნის დაცვაზე ზრუნვა დაწინაურებული კლასის მოვალეობაა და დასძენს, რომ იარაღის სამარხში ჩატანებაც მათი პრივილეგიაა [ნადირაძე 1975. გვ. 43]. მაშ, რით უნდა ავხსნათ იარაღის ასეთი სიმრავლე ვარსიმაანთკარის სამაროვანზე? ბუნებრივია არ გამოგვადგება ჯ. ნადირაძის აზრი, ვინაიდან ჩვენთან ყველა მამაკაცის სამარხისათვისაა დამახასიათებელი საბრძოლო იარაღი. თუ გავიზიარებთ საერთოდ მიღებულ აზრს იარაღის გაქრობის შესახებ და ჩვენთან არსებულ რაოდენობას, მაშინ სამაროვნის თარიღის IV ს-ში ჩამოტანაც გაგვიჭირდება, თუმცა ძალზედ კარგად ჩანს IV-III საუკუნეების მიჯნის სამარხებში იარაღის შემცირება და ნაწილობრივ ფორმათა ერთგვაროვნება. ვერც იმაში დავეთანხმებით ჯ. ნადირაძეს, როცა აღნიშნავს, რომ “პოლიტიკურ ხელისუფალთა სამარხში იარაღის მთელი კომპლექსიც კი შეიძლება ინსიგნაცია იყოს, ეს გამოხატავდა მის სოციალურ პრივილეგიას გარდაცვალების შემდეგ, რასაც იმავე სოციალურ-პოლიტიკური მიზეზების გამო მოკლებულნი არიან საზოგადოების რიგითი ან საშუალო ფენის წევრები”. იგი ფიქრობს რომ რომ ამ უკანასკნელთ ქვეყნის დაცვაში კი უნდა მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ იარაღით დაკრძალვის უფლება არ ქონდათ, რადგან იგი მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე [ნადირაძე 1975. გვ. 43]. ჩვენთან როგორც ვხედავთ სულ სხვა სურათია. ინსიგნია შეიძლება მივიჩნიოთ იარაღთა სრული კომპლექტები და ეს ასეცაა, მაგრამ სამარხში მათ ჩატანებაში პრივილეგიას ვერ ვხედავთ, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, იგი მამაკაცის ყველა სამარხისათვისაა დამახასიათებელი. სწორედ, იარაღით, მათი ტიპებიდან ჩანს როგორ იწყება ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი და როგორ ხდება რიგითი მეომრებიდან დაწინაურებულ პირთა გამოყოფა, რომელთაც შეიარაღების საუკეთესო კომპლექტები გააჩნიათ (როგორც შეტევითი იარაღის ყველა სახეობა, ისე თავდაცვითი) მაშინ, როცა რიგითი მხოლოდ შუბისპირით და დანით არიან შეიარაღებულნი ან ერთ-ერთი მათგანით მხოლოდ. ეს ფაქტი შეგვეძლო იმითაც აგვეხსნა, რომ ვარსიმაანთკარის სამაროვანი მთისწინეთია და ბარის მოვლენები წინ უსწრებს აქ მიმდინარე პროცესებს. მაგრამ მთისწინეთია თრიალეთის ძეგლებიც,

მაშინ როცა სხვა მხრივ (ინვენტარი, დაკრძალვის წესი, სამარხის ტიპი) ერთგვაროვანი კულტურა ჩანს. გარდა ამისა, თუ მხოლოდ წარჩინებულთ პრივილეგია იყო სამშობლოს დაცვა, რა ძალებზე იყო დაფუძნებული იგი, თუ ქვეყნის დაცვაში რიგითი მოსახლეობა – ძირითდი მასა არ მონაწილეობდა. ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ წინამძღოლები, რაშიც გამოიხატებოდა მათი პრივილეგია, მაგრამ ის რომ “ამ უკანასკნელთ კი უნდა მიეღოთ მონაწილეობა” ნაკლებ დამაჯერებელია, “კი უნდა მიეღოთ” კი არა, ალბათ, ძირითდ ბირთვის წარმომადგენდენ. ვფიქრობთ ვარსი-მანთკარში მიმდინარე მოვლენები წინ უნდა უსწრებდეს საირხესა და ყანჩათში არსებულ სურათს. ანალოგიური სურათი ჩანს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ გუადიხუს, ყულანუხვას, წითელი შუქურის, პალურის, ნიგვზიანის, ხუცუბანის სამაროვნებზე ძვ. წ. VII-VI სს-ში დიდი რაოდენობითაა იარაღი, VI ს-დან კი მცირდება და ისინი შრომის იარაღებით იცვლება. გ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ რიგით მოსახლეობაში ხდება ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი და ხდება მეთემეთა საერთო მასიდან პროფესიონალი მეომრების გამოყოფა [Лордкираниძე 1973. გვ. 49]. ანალოგიური სურათი ჩანს ჩვენთანაც. იგი საშუალო ფენის მოსახლეობიდან შედარებით მდიდარ წარმომადგენელს გამოყოფს ინვენტარის რაოდენობისა და სახეობების მიხედვითაც. რაც ვარსი-მანთკარის სამაროვნის მაგალითზეც კარგად ჩანს. კერძოდ, კირკალის, სასაფეთქლეების, საყურის, სამაჯურების (2-4 ც.) შემცველი სამარხები მნიშვნელოვნად გამოირჩევიან რიგითი სამარხებიდან. მაშინ როცა ზოგიერთ სამარხში რამდენიმე მძივი და თიხის ჭურჭელია წარმოდგენილი. ეს უკვე მაჩვენებელია ძლიერი ქონებრივი დიფერენციაციის არსებულ საზოგადოებაში. ასეთივე პროცესი შეინიშნება კოლხეთში ძვ. წ VIII-VI სს. სამარხებში, ხოლო V-II სს. სამარხებში გ. ლორთქიფანიძეს სიმპტომატურად ეჩვენება უკვე იარაღისგაქრობის ფაქტი [Лордкираниძე 1973. გვ. 50]. რა საზოგადოება უნდა ყოფილიყო ეს? როგორც გ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს ანალოგიური მოვლენების განხილვის დროს კოლხეთის მაგალითზე (როცა 9 სამარხიდან 8 მეომარს ეკუთვნოდა), როცა ადგილობრივი მოსახლეობა იმყოფებოდა განვითარების იმ დონეზე, როცა საზოგადოების

თითოეული წევრი – მეომარი, სახალხო ლაშქარი ერთ მთლიანობას შეადგენდა, ე. ი. სახალხო მმართველობა ემთხვეოდა სამხედროს. ეს დამახასიათებელია გვაროვნული წყობილებისათვის ... ასეთი ორგანიზაცია შეუძლებელი იქნებოდა კლასობრივ საზოგადოებაში. ამასთან იარაღის სტანდარტები, მრავალფეროვნება, მაღალხარისხოვნება უჩვენებს, რომ იგი ეკუთვნოდა პროფესიონალ მეომარ-რაზმელებს, რომლებიც გამოყოფილი იყვნენ მეთემეთა საერთო მასიდან, რაც დამახასიათებელია გვაროვნულ-ტომობრივი საზოგადოების დაცემის დროს [Лордкираниძე 1973. გვ. 55], ე. ი. ამ დროიდან უკვე საფუძველი ეყრება კლასობრივ საზოგადოებას. ვფიქრობთ საზოგადოებრივი განვითარების ამავ უფლებურზე იდგნენ “ვარსი-მანთკარელებიც”, სადაც ასევე რიგითი მეთემე-მეომრებისაგან ხდებოდა წარჩინებულ მეომართა გამოყოფა. მაგრამ კოლხეთისაგან განსხვავებით აქ, ალბათ უფრო გვიან ხდება ეს, ვინაიდან ძვ. წ. VI ს-დან როგორც გ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, ცენტრალურ კოლხეთში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება საზოგადოებაში, როცა ხალხი და ლაშქარი უკვე აღარ შეადგენს ერთ მთლიან მასას და ამ პერიოდიდან იარაღის ტარების უფლება არის პრივილეგირებული წრის უპირატესობა [Лордкираниძე 1973. გვ. 80].

ვარსი-მანთკარის სამაროვანზე სადღეისო არქეოლოგიური მონაცემებით წარჩინებულ მეომართა გამოყოფის პროცესი მხოლოდ დაწყებულია, მაგრამ კარგად ჩანს მათი უპირატესობა – ისინი შეიარაღებულნი არიან იარაღთა სრული კომპლექტით. შუბები, მახვილი, სატევარი, ისრისწვერი, დანა, მუჯირა, ფარი, მუზარადი, ჯავშანი. გარდა ამისა ყველა მათგანს აქვს ოქროს ერთი საყურე – ინსიგნია.

გ. კოვალევესკაიას მიხედვით თუ გამოვყოფთ მეომართა რანგებს (იარაღის რაოდენობის მიხედვით), მაშინ პირველი ან უმაღლესი რანგის მეომრად შეიძლება ჩაითვალოს მე-18, 65-ე, 53-ე და 132-ე სამახებში დაკრძალულნი. მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა მე-18 სამარხის მეომარი ყოფილა – 30-35 წლისა, ყველაზე ხნიერი კი 65-ე სამარხის – 45-50 წლის. სამწუხაროდ ყველა სამარხის ანთროპოლოგიური მონაცემები არ გაგვაჩნია, რომ დაახლოებით მაინც დაგვეზუსტებინა, რამდენი წარჩინებული მოღვაწეობდა ერთ გარკვეულ პერიოდში. მეორე რანგის მეომრებია 101-ე, 105-ე, 106-ე 109-ე სა-

მარხებში დაკრძალულნი. ამავე რანგს შეიძლება მივაკუთვნოთ 110-ე და 117-ე სამარხების მეომრებიც. ვფიქრობთ სწორედ ესენი იყვნენ ის წარჩინებული მეომრები რომლებსაც საუკეთესოდ შეიარაღებული და ეკიპირებული რაზმები გამოჰყავდათ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. I რანგის მეომრებს გააჩნდათ იარაღთა ისეთი სახეები, რომელთა სამარხში ჩატანება მათი ძვირად ღირებულების გამო მაჩვენებელია მათი პრივილეგიისა. საგულისხმოა რომ თვით ამ მეომრების შეიარაღებაში შეინიშნება სხვაობა, რაც, ალბათ, ლაშქრის ტაქტიკურ მხარეზეც იყო დამოკიდებული. გამოირჩევა შორს და ახლოს ბრძოლის იარაღებით. მაგ., მე-18 სამარხის მეომარი შეიარაღებულია შუბისპირით, სატევრით, ხელშუბით, დანით, აქვს მუზარადი, ფარი, ჯავშანი. ამავე რანგის მეომარს განეკუთვნება 65-ე სამარხიდან, რომელიც იგივე სახეობებითაა შეიარაღებული, მაგრამ 53-ე სამარხში ემატება მუჯირა და ისრისწვერი, მაჩვენებელი იმისა, რომ იგი შორს მანძილზე ბრძოლაშიც იღებდა მონაწილეობას, ხოლო 41-ე, 105-ე, 106-ე სამარხებში შუბთან და დანასთან ერთად ისრისწვერებიცაა აღმოჩენილი. იარაღთა ასეთი მრავალფეროვნება უნდა მიუთითებდეს მათ მონაწილეობას ლაშქრის სხვადასხვა სახეობებში, რაც თავისთავად დამოკიდებული იყო ბრძოლის ტაქტიკურ მეთოდებზე. ჩვენ არა გვაქვს საშუალება ზუსტად წარმოვიდგინოთ, რა ტაქტიკაზე იყო დაფუძნებული აქ წარმოდგენილი საზოგადოების ლაშქარი, ერთი კი ცხადია, რომ მეისრეთა როლი ძალზე მცირე ყოფილა. ეს ბუნებრივია, ა/კავკასიაში №1 იარაღად შუბი იხმარებოდა, რომელიც იარაღის ყველაზე გავრცელებული სახეა. აქაც ძირითად ბირთვის, ალბათ, შუბისპირებით და დანებით შეიარაღებული ქვეითნი წარმოადგენდნენ. მათი წინამძღოლები კი მძიმედ შეიარაღებული მხედრები იყვნენ. ისე შეუძლებელია ქვეითს ემოქმედა 80 სმ. სიგრძის შუბისპირით. გრძელი შუბისპირები დამახასიათებელი ყოფილა სკვით წარჩინებულთათვის [Мелюкова1964, გვ. 43]. ხელჩართულ ბრძოლაში იყენებდნენ სატევარს, ხელშუბს, დანებს. სკვითების მაგალითით, სადაც შეიარაღებული ძალები შედგებოდა რიგითი სკვითი ლაშქრისაგან და წარჩინებული მეომრების რაზმისაგან [Блаватский1954, გვ. 13]. ჩვენთანაც, ალბათ, ასე იქნებოდა, მაგრამ ტაქტიკურად სრულიად განსხვავებული, ვინაიდან სკვითების ძირითად დამრტყმელ ძალას ცხენოსანი მომთაბარენი

წარმოადგენდნენ, რომელთა ტაქტიკა დამყარებული იყო სისწრაფეზე [Блаватский1954, გვ. 11]. განსხვავებულია ბერძნების ტაქტიკისაგანაც, რომელთა მთავარ ძალას ჰოპლიტების ფალანგა წარმოადგენდა. იგი გამოდიოდა როგორც ერთიანი, განუყოფელი ტაქტიკური ერთეული, რომელსაც არ შეეძლო რთული და სწრაფი მანევრი [Блаватский1954, გვ. 50]. განსხვავებულია ურარტუს სამხედრო ორგანიზაციისაგანაც, სადაც იგი უმაღლეს დონეზე იდგა. აქ ძირითად ძალას მძიმედ და მსუბუქად შეიარაღებული ქვეითნი შეადგენდნენ. პირველი – მეფარენი დამცავ როლს თამაშობდნენ, მათ მოჰყვებოდნენ მეისრენი და მეშურდულენი. გარდა მეფარეთა მძიმედ შეიარაღებული ქვეითისა ურარტუელებს ჰყავდათ მეაბჯრენიც, რომლებიც ისევე მოქმედებდნენ პირველ რიგებში, როგორც ფარიანები. მსუბუქად შეიარაღებული ქვეითნი შედგებოდნენ მეისრეებისაგან. ისინი პირველისაგან განსხვავებით აქტიურად ებმებოდნენ ბრძოლაში. ურარტუელებს ჰყავდათ მზვერავი რაზმები, გზების გამყვანები და სხვ. [Есаян1966, გვ. 107-113]. აქედან გამომდინარე, ვარსიმიანთკარის სამაროვნის მასალების მიხედვით, ალბათ, წინა რიგებში იბრძოდნენ მძიმედ შეიარაღებული წარჩინებული მხედრები, მათ კი მიჰყვებოდნენ შედარებით მსუბუქად შეიარაღებული ქვეითნი. ბრძოლის ტაქტიკაში, როგორც ჩანს, უპირატესობა ხელჩართულ – ახლო ბრძოლას გააჩნდა, ვინაიდან მეისრეთა როლი ძალზე მცირე ჩანს. ძირითად ბირთვის ქვეითნი წარმოადგენდნენ, რომლებიც, ალბათ, უშუალოდ – მეფარეთა გარეშე ებმებოდნენ ბრძოლაში, ვინაიდან ჩვენს სამაროვანზე გამოვლენილი ფარი, ბერძნულისა და ურარტულისაგან განსხვავებით, არ გამოდგებოდა წინა რიგებში საბრძოლველად და მონაწილეობდა ისრებისაგან თუ შუბებისაგან დასაცავად. საერთოდ, როცა ვადარებთ სკვითურ-ურარტულ-ბერძნულ სამხედრო ორგანიზაციას, ეს მხოლოდ პირობითია, ვინაიდან მხოლოდ ვარსიმიანთკარის სამაროვნის მასალების მიხედვით ამ საკითხებზე მსჯელობა სრულყოფილად არ მიგვაჩნია, რადგან ერთი მცირე პროვინციის მიხედვით განზოგადების გაკეთება ძნელია. ზემოთ განხილულ პარალელებში ლაპარაკია მთლიანად სახელმწიფოს ლაშქრის-ჯარის ორგანიზაციაზე და ტაქტიკაზე, ჩვენ კი საამისოდ ჯერ-ჯერობით მასალა არ გავაჩნია, წარმოდგენა არა გვაქვს მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე,

ნასახლარებსა და სასიმაგრო ნაგებობებზე. გასათვალისწინებელია ვ. ბლავატსკის აზრი, რომ საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ის, რომ არაფერი არაა ეკონომიურ პირობებზე დამოკიდებული ისე, როგორც არმიის შემადგენლობა, ორგანიზაცია, შეიარაღება და ტაქტიკა. ეს არის იარაღის წარმოებაში ეკონომიური ფაქტორის როლი და შეიარაღების ხასიათი, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს სამხედრო ტაქტიკას [Блаватский 1954, გვ. 5]. სამწუხაროდ, ეკონომიკაზე ფართო მსჯელობის საშუალება ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ არქეოლოგიური მონაცემებით, პირველ რიგში თვით იარაღით, მათ ფორმათა მრავალგვარობით, სტანდარტებით, ფოლადის ხარისხით – ვხედავთ მაღალგანვითარებულ მეტალურგიას, ხელოსნობის მაღალ პროფესიულ დონეს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეკონომიკის ეს დარგი საერთოდ ჩანს განვითარებული. წინააღმდეგ შემთხვევაში იარაღის წარმოების ასეთი მასშტაბები, ნედლეულის ბაზების, ხელოსნებისა და სახელოსნოების წარმოდგენა ძნელია ეკონომიკის გარეშე.

იარაღთა უმრავლესობა რომ ადგილობრივად და მზადებული, ფაქტია, რადგან არსად სინქრონულ სამაროვნებზე მსგავსი მასალა დადასტურებული არ არის. მსგავსი ფორმები არ ჩანს არც სკვითურ-სავრომატულ, ურარტულ და ბერძნულ შეიარაღებაში, რაც გვაფიქრებინებს მათ ადგილობრივ წარმოებას. საგულისხმოა, რომ I-IV ტიპის შუბისპირები ძირითადად გვხვდება ე.წ. წარჩინებულთა სამარხებში და შეიძლება გვეფიქრა, რომ მათთვის ხელმისაწვდომი იყო შეეძინათ იარაღთა სრულყოფილი სახეები. მაგრამ ის ფაქტი, რომ სხვაგან მსგავსი არაა დადასტურებული, წინააღმდეგობაში გვაგდებს. ისინი ამ საერთო მასალებშიც უცხოოდ გამოიყურებიან. ზოგიერთზე, მაგ. (ტაბ. I. სურ. 1; № 149) 80 სმ. სიგრძის შუბისპირზე, შეიძლება სკვითური გავლენაც ვიგულისხმოთ, მაგრამ ადგილობრივ დამზადებული. დანარჩენების პროტოტიპებად კი შეიძლება ცენტრალურ კავკასიაში გვიანბრინჯაოს ხანაში გავრცელებული მახვილიც მივიჩნიოთ ისეთივე ფართო გადგმული მხრებით [Техов 1980, ტაბ. 71. სურ. 3. 4]. გარდა ამისა, თვით ლითონის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სხვა სამაროვნის მასალებთან შედარებით ბევრად მაღალი ხარისხისაა, ვინაიდან ყველაზე კარგად ჩვენთანაა დაცული. გ. ინანიშვილმა და თ. საყვარელიძემ გააკეთეს ვარსიმაანთკარის სამაროვნის 1972 წ. გათხრი-

ლი რკინის ნივთების ანალიზი. მოგვყავს მათი დასკვნა მთლიანად:

1. შესწავლილი ნივთები დამზადებულია ცივსაბერ ქურაში მიღებული შენადული რკინისაგან და დაბალი ან საშუალო სისხლის ფოლადისაგან.

2. ნივთების დანიშნულება და მათი სიმრავლე გვიჩვენებს, რომ რკინის ნაწარმი ამ რაიონში ძვ.წ. V-IV სს. ფართოდაა გავრცელებული. რკინა გამოიყენება არა მარტო საომარი და სამეურნეო დანიშნულების იარაღის გამოსაჭედად, მისგან მზადდება სამკაულიც;

3. საკმაოდ მაღალ დონეზეა სამჭედლო საქმე, ჩამოყალიბებულია სხვადასხვა დანიშნულების ნივთების ტიპური ფორმები, ბევრი მათგანი გამოირჩევა ზუსტი და ლამაზი პროპორციებით. მჭედელი იცნობს რთული ჭედვის ხერხებს და საჭიროების მიხედვით იყენებს მას.

4. საომარი დანიშნულების ნივთების დასამზადებლად გამოყენებულია შედარებით დაბალნახშირბადიანი ფოლადი, ვიდრე ეს უნდა შეესაბამებოდეს ამ ტიპის იარაღს. ნაკლებადაა ცნობილი თერმული დამუშავების ისეთი ხერხები, როგორცაა: წრთობა, მოშვება, მოწვა და სხვა. დადასტურებულია მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ნივთის დასამზადებლად გამოყენებულია სპეციალური თერმული დამუშავება პერლიტური ცემენტიტის დაშლისა და მისი კოაგულაციის მიზნით, რითაც საგრძობლად გაზრდილია ფოლადის პლასტიკურობა და გაუმჯობესებულია ტექნოლოგია;

5. აღნიშნული მასალის ხარისხის შესწავლისას, ისე როგორც სხვა რკინის ნივთების კვლევისას, შეინიშნება დაბალი მასალის ფოლადისა და, ხშირად, შენადული რკინის გამოყენება საომარი და სამეურნეო დანიშნულების ნივთების დასამზადებლად. ეს მოვლენა დაკავშირებული უნდა იყოს ამ პერიოდში რკინის წარმოების მასშტაბების ზრდასთან, რამაც გამოიწვია დაბალი ხარისხის ლითონის გამოყენების აუცილებლობა [ინანიშვილი, საყვარელიძე 1983, გვ. 80], მაგრამ ეს დასკვნები გაკეთებულია რამდენიმე ერთგვაროვან ნივთზე, რის შემდეგაც მნიშვნელოვნად გაიზარდა რაოდენობაც და ფორმებიც. და შესაძლოა ახალმა მონაცემებმა განსხვავებული სურათიც მოგვცეს. არ არის გაკეთებული სხვა სამაროვნებზე აღმოჩენილ რკინის ნივთთა ქიმიური ანალიზი, რომ შედარების შესაძლებლობა გვქონოდა. მაგრამ ერთი ფაქტია, რომ ვარსიმაანთკარის რკინის ხარისხი

ბევრად ჯობს კამარახევის, კავთისხევის, ღრმახევისთავის და სხვ. სამაროვნებში მოპოვებულ რკინის ხარისხს, ვინაიდან ყველგან ცუდადაა შემონახული, უმრავლეს შემთხვევაში ფრაგმენტებია შემორჩენილი, რაც ბუნებრივია, ლითონის ხარისხზეცაა დამოკიდებული. ჩვენ ჯერ-ჯერობით არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ მაინცა და მაინც ვარსიმაანთკარში არსებობდა სამჭედლო სახელოსნო, მაგრამ სავარაუდოა, რომ არაგვის ხეობაში არსებობდა ერთ-ერთი სახელოსნო ცენტრი, რომლის პროვინციასაც ვარსიმაანთკარი წარმოადგენდა. არც რკინის საბადოებია დამონებული სიახლოვეს, ამიტომ, ბუნებრივია, გაგვიჭირდება ამის დამტკიცება, მაგრამ მდნეულითაა მდიდარი ქვემო ქართლი, ფოლადაურის და გახვრეტილის ხეობები, ბედენი, ბოგვი, მცირე რაოდენობითაა შიდა ქართლშიც, კერძოდ, სად. კასპთან [აბრამიშვილი 1961, გვ. 342-343-344]. ადვილი შესაძლებელია, რომ მადანი ამ რეგიონებიდანაც შემოჰქონდათ. საინტერესოა დ. ბელოვის აზრი, რომ არც ერთი დასახლება არ შეიძლება ყოფილიყო სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და სახელოსნო ხელსაწყოების გარეშე. რკინისაგან კეთდებოდა როგორც თავდაცვითი და შემტევი იარაღი, ასევე რკინას მოითხოვდა მშენებლობაც – ლურსმანი, კავი. იგი აღნიშნავს, რომ ძნელია გარჩევა, ანტიკური ხანის რომელი ნაწარმი იყო შემოტანილი და რომელი იწარმოებოდა ადგილზე. მას მიაჩნია, რომ ძირითადი ნაწილი მაინც მზადდებოდა ადგილზე, რადგან ზოგიერთი უმნიშვნელო ნივთის შემოტანა მაშინ, როცა მისი ადგილზე გაკეთება შეიძლებოდა, არარეალურად ეჩვენება [Мелов 1979, გვ. 3]. ამიტომ ვარაუდობს, რომ ჩრდ. შავიზღვისპირეთში რკინა შემოჰქონდათ და ადგილზე ხდებოდა სხვადასხვა ნივთების დამზადება. ამიტომ ჩვენც შესაძლებლად მიგვაჩნია ქვემო ქართლის რკინის საბადოებით სარგებლობა. ეს რა თქმა უნდა, მხოლოდ ვარაუდია (ნამოსახლარზე ჯერ-ჯერობით ვერ მივაკვლიეთ ისეთ მძლავრ ფენებს, რომ ცოტათი მაინც დაგვხმარებოდა ამ ვარაუდის განმტკიცებაში). შესაძლოა ამით აიხსნას ის ფაქტიც, რომ ყველა იარაღი, შეტევითი იქნება ეს თუ თავდაცვითი, საგანგებოდაა დაზიანებული და დაჭყლელი. ანალოგიური ფაქტი დადასტურებულია ჩითახევის სამაროვანზე, სადაც დაკრძალვის რიტუალს უკავშირებდნენ, ყანჩაეთში კი ანალოგიურ შემთხვევას ფოლადის დაბალი სისალით ხსნიან [გაგოშიძე 1964, გვ. 51-54]. ჩრდილო კავკასიაში – ნესტოროვკის,

ლუგოვოის, კოლონია კარასის სამაროვნებზე მსგავს შემთხვევას ე. კრუპნოვიც დაკრძალვის რიტუალს უკავშირებს, მაგრამ ამასთან არ გამოირიცხავს ასეთი ნივთის გამოყენებას, როგორც ცხენიდან მხედრის ჩამოგდების საშუალებას [Крупнов 1960, 203]. თუ აღნიშნულ სამაროვნებზე ასეთი შემთხვევები ერთეულია, ჩვენთან იგი მასიურადაა და დაზიანებული იარაღი გვხვდება ყველა მამაკაცის სამარხში. შესაძლოა, იგი მთისწინეთის დაკრძალვის წესის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს, სადაც თავისუფალ მეთემეთა ფენა განსაკუთრებით ძლიერი იყო.

საგულისხმოა ისიც, რომ დაკრძალვის წინ აზიანებდნენ არა მხოლოდ რკინის, არამედ ბრინჯაოს თავდაცვით იარაღს და სამკაულის ნაწილსაც. ეს ერთის მხრივ შეიძლება აიხსნას დაკრძალვის რიტუალით, როცა მეომართან ერთად კვდებოდა მისი პირადი იარაღიც, ხოლო მეორეს მხრივ – გაძარცვის თავიდან აცილების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ არაგვის ხეობის მთისწინეთის მოსახლეობა ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში უკვე დიდი რაოდენობით სარგებლობს რკინით, როგორც ჩანს, მოთხოვნილება საბრძოლო იარაღზე დიდი იყო და ზოგიერთ ადგილზე ჩნდებოდა გაძარცვის საშიშროება. შესაძლოა ეს დაკავშირებული იყოს იმასთანაც, რომ რკინა ადგილზე არ მოიპოვებოდა, ხოლო მადნის შემოტანა ძვირი ჯდებოდა. ამრიგად, მასალის ანალიზმა ცხადჰყო, რომ ძვ.წ. VI-III სს. არსებული რკინის იარაღის ფორმები ჩამოყალიბებას იწყებენ ძვ.წ. VIII-VI სს-ში და ხანგრძლივად ინარჩუნებენ ტრადიციულ ფორმას.

ლიტერატურა:

აბრამიშვილი 1961: რ. აბრამიშვილი. “რკინის ფართო ათვისების საკითხისთვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. (ძვ. წ. XIV-VI სს)”. სსმმ. XXII. 13. 1961 წ.

აბრამიშვილი და სხვა. 1980: რ. აბრამიშვილი. ნ. გიგუაშვილი. კ. კახიანი. “ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები”. თბილისი. 1980 წ.

ავალიშვილი 1974 : – გ. ავალიშვილი. “ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში”. თბ.

აფაქიძე 1949 : ა. აფაქიძე. “ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები”. თბილისი 1949.

ბერაძე 1980 : ე. ბერაძე “ადრე ანტიკური ხანის ორმოსამარხები “ქასრაანთ მინების” სამაროვნიდან”. კრებ. “კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები” თბილისი. 1980 წ.

ბოხოჩაძე 1963 : ა. ბოხოჩაძე. “მევენახეობა-მელვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალის მიხედვით”. თბილისი 1963. წ.

გაგოშიძე 1964 : ი. გაგოშიძე “ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან”. თბილისი 1964 წ.

გაგოშიძე 1982 : ი. გაგოშიძე “თრიალეთის სამაროვნები”. თბილისი 1982 წ.

გამყრელიძე 1982 – გ. გამყრელიძე, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, მეც. აკად. გამომც. “მეცნიერება”, თბ., 1982.

დავლიანიძე 1983: ც. დავლიანიძე “ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ. წ. I თბ. I 1978 .

ინანიშვილი და სხვა 1983: გ. ინანიშვილი, თ. საყვარელიძე, “სოფ. ვარსიმანთკარის სამაროვნის რკინის ნივთების კვლევა”. კრებ. ჟინვალი I. თბილისი 1983 .

კალანდაძე 1982: ა. კალანდაძე, სამთავროს წინა რე ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, კრებ. მცხეთა I. თბ. 1982 .

კვიციანიძე 1983: კ. კვიციანიძე “წნისისხევის ადრეელინისტორი ხანის სამაროვანი”. “ძეგლის მეგობარი” №63. თბილისი 1963 წ.

კობაიძე 1978: ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, რკინის კალოს სამაროვანი. თბ. 1978 .

ლორთქიფანიძე და სხვა. 1969: ო. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორაძე, ა. ჭყონია. “არქეოლოგიური გათხრები ვანში”. კრებ. ვანი I. თბ. 1972 .

მიქელაძე 1978: თ. მიქელაძე “არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე”. თბ. 1978 წ.

მენაბდე. კილურაძე. 1981: მ. მენაბდე, თ. კილურაძე “სიონის არქეოლოგიური ძეგლები”. თბ. 1981 წ.

მამაიაშვილი 1980: ნ. მამაიაშვილი “სკვითურინვენტარიანი სამარხები იორ ალაზნის აუზიდან”. კრებ. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები V 1980 წ.

მუსხელიშვილი 1878: დ. მუსხელიშვილი “ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა”. 1978 წ.

ნუცუბიძე 1980: ა. ნუცუბიძე “ალაზნის ველის ძვ. წ. XIV-XII სს არქეოლოგიური ძეგლები”. 1980 წ.

ნადირაძე 1975: ჯ. ნადირაძე “ყვირილას ხეობის არქეოლოგიური ძეგლები” 1975 წ.

საქართველოს არქეოლოგია 1959 წ.

ფიცხელაური 1973: კ. ფიცხელაური “აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.)”. თბილისი 1973 წ.

ქართული ენციკლოპედია. I 1975 .

ქორიძე 1958: დ. ქორიძე “თბილისის არქეოლოგიური ძეგლები” თბ. 1958 .

ჩოლოყაშვილი 1956: კ. ჩოლოყაშვილი “ქართული საჭურველი”. სსმმ XIX. 1956.

ცისკარიშვილი 1953: ვ. ცისკარიშვილი, საინტერესო აღმოჩენა. გაზ. კომუნისტი 1953. 20.XII. (№299).

ნითლანაძე 1976: ლ. ნითლანაძე “ხევის არქეოლო-

გიური ძეგლები” თბილისი 1976 წ.

ნითლანაძე 1983: ლ. ნითლანაძე “ვარსიმანთკარის სამაროვანი”. კრებ. ჟინვალი I. თბ. 1983.

ჯავახაშვილი 1979: ივ. ჯავახაშვილი ტ. 1. თბილისი .

ჯღარკავა 1982: თ. ჯღარკავა “კამარახევის სამაროვანი”, კრებ. მცხეთა I. 1982 .

Артемонова-полтавцева 1950: О. А. Артемонова-полтавцева. Культура Севера-Восточного Кавказа в скифский период. СА. XIV.

Будина, Кастанаиан 1959: Д. будина, Е. Кастанаиан, Раскопки аполонии иллирийской. Албом. P-12107 Ж.

Блаватский 1954: В. Блаватский. Очерк военного дела в античных государствах Северного Причерноморья.

Галанина 1977: А. К. Галанина. Скифские древности подднепровья. САИ вып. Д1-33.

Гафуров, Цибукидис. 1980: Б. Гафуров, Д. Цибукидис. Александр македонский и восток. М.

Греков 1930: Б. Греков. Техника изготовления наконечников стрел у скифов и сарматов. сборник. Техника обработки камня и металла. М. 1930 г.

Екимова 1984: В. Екимова. Наконечники стрел из Никопия. Ранний железный век Северо-Западного Причерноморья.

Есаиан 1966: С. Есаиан. Оружие и военное дело древней Армении. Е. 1966 г.

Ковалевская 1977: В.Б. Ковалевская. Конь и всадник. М.

Ковалевская 1984: В.Б. Ковалевская. Кавказ и Алани. М. 1984 .

Крупнов 1960: Е.И. Крупнов. древняя история Северного Кавказа.

Куфтин 1949: Б.А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды I. 1949 .

Лордкипанидзе 1978: Г. Лордкипанидзе. Колхида в V-III вв. до н. э. 1978 .

Мартirosian 1954: А.А. Мартirosian. Раскопки в Головино. Е. 1954 .

Мелюкова 1964: А.И. Мелюкова. Вооружение скифов. САИ. вып. Д1-4. М. 1964.

Макалатия 1949: С. Макалатия. Раскопки Дванского могилника. СА. IX. 1949 г.

Микеладзе, Барамидзе 1977: Т. Микеладзе, М. Барамидзе. Колхский могилник VII-VI вв. до н. э. в с. Нигвзиани КС. 152. 1977 г.

Петренко 1967: В. Петренко. Правобережье среднего Приднепровья в V-III вв. до н. э. САИ. в. Д1-4. М.

Пиотровский 1952: Б. В. Пиотровский. Кармир – Блур. II. 1952 г.

Пиотровский 1955: Б. В. Пиотровский. кармир – Блур III. Е. 1955 г.

Пирцхалава 1975: М.С. Пирцхалава. Памятники скифский архаики (VII-VI вв. до н. э.) на территории

древней Грузии. Автореферат диссертации на соискание уч. степени истор. наук. Тб. 1975 г.

Погребова 1984: М.Н. Погребова. Закавказье и его связи с Передней Азией в Скифское время. М. 1984 .

Самоквасов 1908: Д. Самоквасов. Могилы русской земли. М.

Смирнов. Петренко 1963: К. Смирнов, В. Петренко. Савроматы Приволжия и Южного Приуралья. САИ. в. ДІ-9. М. 1984.

Смирнов 1961: К.Ф. Смирнов. Вооружение Сарматов. МИА. 1961.

Сумичук, фокеев 1984: Е. Сумичук, М. Фокеев. Скифский могилник плавни I в низинах дуная. Ранний железный век Северо-Западного Причерноморья. Сборник научных трудов. 1984.

Тапш. 1969 : М. М. Трапш. труды. 2. Сухуми. 1969.

Техов. 1980: Б. В. Техов. Тлийский могилник. 1980.

Хачатрян. 1976: Ж. Хачатрян. Античный некрополь Гарни. V. E.

Шамба. 1983: Г. Шамба. Погребение VI в. до н. э. близ Сухуми. КС. 174. 1983.

Шамба. 1980: Г. Шамба. Ешерское городище. 1980.

Шелов. 1979: Д. Шелов. Железодельное производство в сев. Причерноморье. КС. 159.

Черненко. 1984: Е. В. Черненко. Скифо-Персидская война. К. 1984.

Ягодин. 1978: В. Н. Ягодин. Царматский курган на УСТЮРТЕ. КС. 154. 1978.

ილუსტრაციების აღწერილობა:


ტაბ. – I. 1. I, II და III ტიპის შუბისპირები; **2.** II, IV და VI ტიპის შუბისპირები;

ტაბ. – II. 3. III, VII და VIII ტიპის შუბისპირები; **4.** IV, VIII ქვეტიპის შუბისპირები, ლაგმები, მუჯირები, აკინაკი, სატევრები /IV ტიპის/.


ტაბ. – III. 5. შუბისპირები. I-II-III ტიპის სატევრები; **6.** I, II და III ტიპის დანები. ბრინჯაოს, რკინის და ძვლის ისრისწვერები.

ტაბ. – IV. 7. ფარები 65-ე და მე-18 სამარხებიდან; **8.** მუზარადი II ტიპის- 101-ე სამარხიდან, მუზარადი I ტიპის- მე-18 სამარხიდან; **9.** ბრინჯაოს ჯავშნის ნაწილები.

1




1





2

II




3




4

III





5




6

IV



0 1 2 3
7



0 1 2 3
8



0 1 2 3
9



მცხეთის ანტიკური პერიოდის სუროთმოქმედრული კაპლაჰი

ქალაქ მცხეთის მტკვრისა და არაგვის ხერთვიში დაფუძნება სავაჭრო გზების გზაჯვარედინით იყო ნაკარნახევი. ანტიკური ხანის დიდი მცხეთა აღმოსავლეთით – ნაქულბაქევამდე და დასავლეთით სამადლომდე ვრცელდებოდა, სამხრეთით აბულეთ-ნაბაღრებსა და ციხედიდს, ჩრდილოეთით კი – ზედაზენსა და ღართისკარს აღწევდა. მისი მთავარი ნაწილები და უბნები იყო: არმაზციხე, წინამურის უბანი, არმაზისხევი, სარკინე და საკუთრივ მცხეთა [აფაქიძე ან. 1963:162]. რატერიტორია ეჭირა დიდ მცხეთას, გვაძლევენ უკიდურესი მისი მიწები – აღმოსავლეთით ნაქულბაქევი და ჩრდილოეთით ღართისკარი. ეს პუნქტები ანტიკურ ხანაშიაც რომ დიდი მცხეთის კუთვნილებას წარმოადგენდნენ, ამის საბუთია 1867 წელს ნაქულბაქევთან აღმოჩენილი ახალი წელთაღრიცხვის 75 წლის ვესპასიანე კეისრის წარწერა, რომელიც იუწყება, რომ კეისარმა მეგობარ იბერთა მეფესა და ხალხს აქ ციხის კედლები გაუმაგრა [აფაქიძე ან. 1963:126-127]. ეს მემორიალური დაფა ამასთან ერთად გვიმტკიცებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობის ჭეშმარიტებასაც, რომ იმ დროს ნაქულბაქევი დიდი მცხეთის შემადგენელი ნაწილი იყო: “არამედ იყო ქალაქი არმაზი აქით-გან ვიდრე ნაქულბაქევამდე” [ვახუშტი ბატონიშვილი, 1842:194]. რაც შეეხება ღართისკარს, აქ ბრინჯილეღეს სამხრეთი კალთის თავზე არქეოლოგიური გათხრებით ზღუდის მძლავრი ალიზის კედლები და ოთხკუთხა კოშკები დაფიქსირდა 1980-1985 წლებში.

თავდაცვითი ნაგებობები: თავდაპირველად განსახილველია მთა-ქართლის ციხის მშენებლობის ისტორია, რადგანაც წერილობითი წყაროების მიხედვით იგი ადრეული დროისაა და ქართველთა ეთნარქ ქართლოსის სახელთანაა დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ იქ არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩნდა ძვ.წ. II-I საუკუნეების არქეოლოგიური მასალა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ძეგლის შემდგომი გათხრები შეწყდა. მთა-ქართლის ექსპედიციას 1961-1962 წლებში ხელმძღვანელობდა აკად. ნ. ბერძენიშვი-

ლი, ხელმძღვანელის მოადგილე კი აკად. ან აფაქიძე იყო.

მთა-ქართლის შედარებით შევაკებულ თხემი გეგმით ტრაპეციის ფორმისაა და ზომით დაახლოებით 80X110 მეტრია. თხემის ჩრდილოეთ კიდეზე წმ. ნინოს სახელობის პატარა, დარბაზული ეკლესია დგას, რომლის სამხრეთით გაითხარა სწორკუთხა B კოშკის ნანგრევი, აგრეთვე ამ კოშკიდან ეკლესიისაკენ მიმართული ციხის AB კედელი, სამხრეთით კი გათხრებმა გამოავლინეს სწორკუთხა კოშკების ნაშთები B1, C, D, E, F და მათ შორის შემაერთებული დრუსოები (კურტინები), ხოლო დასავლეთით G, H, J ციხის კედლის ფრაგმენტები (სურ. 1). აღსანიშნავია, რომ ორი მეტრის სისქის კედლების ქვითკირის პერანგები ქვატალახისა იყო. ამ ციხის აღდგენა შედარებით უფრო ადვილია, რადგანაც ამ ნაგებობის აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილების გარე კონტურები კარგადაა შემონახული [Мелитаური К., 1969: 59-70, სურ. 23-58]. რაც შეეხება ციხის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის აღდგენას, მთლიანად ვარაუდზეა დამყარებული, რადგან ამ ნაწილში გათხრები ბოლომდე არ ჩატარებულა. ციხის აღდგენაში მიახლოებითაა წარმოდგენილი კოშკები: K, M, N, P, რომლებიც E კოშკის სიდიდისაა. ციხის ორსართულიანი კოშკები ბანით უნდა ყოფილიყო გადახურული, რომლებიც ამასთანავე საბრძოლო ბაქნებსაც წარმოადგენდა. რაც შეეხება დრუსოებს, მათი სიმაღლე 6 და მეტი მეტრისა უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ ეს ციხე ახ.წ. IV საუკუნის მიწურულს, ალბათ, ბაკურ მეფემ ააგო, რომელიც “იმიერ განვიდა და განაახლა არმაზი სპარსთა შიშისათვის” [მოქცევაი ქართლისაი, 1979:325; მელიქიშვილი გ., 1970:49] (სურ. 5)

საყურადღებოა, რომ ლეონტი მროველს “ქართლის ცხოვრებაში” აღნიშნული აქვს: “ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვს არაგვ მტკვარსა, და განვიდა მთას მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი. და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა ზედა სახლი... და უწოდა მთასა მას

სახელი თავის თვისისა ქართლი. და ვიდრე აღმართებამდე მუნ-ზედა კერპი არმაზისი ერქვა მთასა მას ქართლი, და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანიტგან ვიდრე ზღვამდე სპერისა. მოკვდა ქართლოს და დაფლეს იგი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა ან ეწოდების არმაზი” [ქც, 1955:8].

ყურადღებას იპყრობს AB დრუსოს (კურტინას) ქვეშ შემორჩენილი, ნაგლეჯი ქვით შესრულებული კედელი, რომელიც ქვითკირის პერანგის წინაა გამონეული და მისი პარალელური არაა (სურ.2). სამაგიეროდ ამ ნიშნის ფრაგმენტის პარალელური და აგრეთვე ნაგლეჯი ქვითვე შესრულებული კედლის ნიშნობა ქვითკირის პერანგისი ზღუდის შევსებაში აღმოჩნდა, რომელიც ადრინდელი, ქვატალახით ნაგები – 1,75 მ სისქის კედლის ნაშთი უნდა ყოფილიყო. დასაშვებია, რომ ეს ფრაგმენტი ქართლოსის ამბებთან დაკავშირებულ ციხის ნაშთსაც წარმოადგენდეს.

თხემის სამხრეთით, E კოშკის ჩრდილოეთით აღმოჩნდა კედლის ნიშნის ნაშთი. ნიშნობა კირხსნარის გარეშე იყო შესრულებული, ჩათლილ-ჩასწორებული ფენოვანი კლდის ქვებით. ამ კედლის ჩრდილოეთით აღმოჩნდა ოთხი ქვევრი, მათ მახლობლად კი ძვ.წ. II-I საუკუნეების ქვევრსამარხი [თოლორდავა ვ. 1963:152-153]. E კოშკთან ზონდირების დროს პირონიანი ქვათილი იყო აღმოჩენილი, რომელიც ქვითკირის ნიშნობაში იყო ჩატანებული ისე, რომ პირონები არა ჩანდნენ. ეკლესიაშიც არის კედლებში ჩაყოლებული პირონიანი ქვათილიები, რომლებიც ცხადია დანგრეული და აქ არსებული უფრო ადრეული შენობისა უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია ისიც, რომ თხრისას ბევრგან თიხაც ამოდიოდა საპირისპიროდ ადგილობრივი ნიადაგისა. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ აქ ძვ.წ. IV-III საუკუნეებში ქვით მოსწორებულ საფუძველზე და პირონიანი ქვათილიებით შესრულებულ ზეძირკველზე ალიზის კედლებიანი ციხე იყო აღმართული (სურ. 3,4).

ანტიკური პერიოდის თავდაცვითი ნაგებობები განსაკუთრებით გამოირჩევა თავიანთი გრანდიოზულობითა და მშენებლობის მაღალი სამშენებლო ტექნიკის ფლობით. ზღუდეები მართალია ერთმანეთის მსგავსია თავისი ტექნიკური შესრულებით, მაგრამ მაინც ერთმანეთისაგან გამოირჩევიან, რასაც ცალკეული ძეგლის განხილვისას ვნახავთ.

არმაზციხე. ანტიკური პერიოდის ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან ყველაზე ადრეული და დიდმნიშვნელოვანია არმაზციხე, რომელიც ქალაქ მცხეთის პირდაპირ, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე აღმართულ მთის კალთაზეა განლაგებული და რომლის თხემი ჩრდილო-დასავლეთიდან ქარაფებითაა მოზღუდული. ამ ადგილს ბაგინეთსაც უწოდებენ [აფაქიძე ან., ... 1955:VII-VIII,1-2], (სურ. 10).

ციხის ძირითადი ზღუდე მწვერვალზე მოთავსებულ 9,5X9 მ ზომის I კოშკიდან იწყება. იგი 18,5 მ სიგრძის დრუსოთი (კურტინით) მომცრო, 7X7 მ ზომის II კოშკს უერთდება. ეს კოშკი ქვითკირითაა ნაგები და ეტყობა მომდევნო ხანაში ალიზი ქვითკირით შეუცვლიათ. იგი 39 მეტრის სიგრძის დრუსოთი III კოშკს უერთდება. დრუსოს დაახლოებით შუახაზიდან, დასავლეთიდან განშტოება უერთდება. განშტოების შემდეგ, დაბლა ზღუდეს ორივე მხრიდან 0,8-1,0 მ სიგანის და ამავე სიდიდეზე წინ გამონეული კონტრაფორსები აქვთ აგებული, დაახლოებით ყოველი ოთხი მეტრის მანძილზე [აფაქიძე ან. 1963:22-23, სურ.2-3]. III კოშკი გეგმით 10,5X8,5 მეტრისაა და 54 მეტრიანი კონტრაფორსებიანი დრუსოთი უერთდება IV კოშკს. ეს კოშკი გეგმით 10,5X10,5 მეტრისაა და მისგან სამხრეთ-დასავლეთით დრუსო დაბლა ეშვება. ციხის ამ მთავარი ხაზის შემდგომი გაგრძელება ვარაუდითაა წარმოდგენილი არმაზციხის აღდგენის აქსონომეტრიაში, საგულისხმოა, რომ ეს ზღუდე ხმელი ხევის თხემს გაჰყვება და ითვალისწინებს მტრის მოგერიების ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს. ქარაფებთან გამავალ გზაზე, საფიქრებელია, რომ ციხის ერთერთი კარიბჭე იყო აგებული ორი კოშკით. შემდეგ კი ციხის კოშკებიანი ზღუდე დიდი ტერასის ნაპირს უნდა გაჰყოლოდა ვიდრე კლდეკარამდე და აქედან, მას ქარაფების თავზე უნდა გადაევიდა; შემდეგ ციხის კედელი აბანოს ჩრდილოეთიდან აღმართს უნდა აჰყოლოდა კალთის თხემს I კოშკისაკენ. ზღუდის კედლის სისქე 3,8 მ-ს უდრის. ზღუდის პერანგები ქვათილიებით ნაგებ საძირკველ-ზეძირკველს ეყრდნობა; ქვათილიები კი კლდეში ამოკვეთილ ბუდეებში ისე იყო ჩასმული, რომ ქვების ზედაპირი თარაზული იყო. ამ ქვათილიებს შორის მოთავსებული სივრცე შევსებუ-

ლი იყო ქვებითა და თიხით. ამ შემზადებაზე აგებდნენ ალიზის კედელს, რომელშიც ხის არმატურასაც ჩააყოლებდნენ ხოლმე. ციხის ამ ძირითად ხაზს ხმელი ხევის სამხრეთ-დასავლეთ თხემზედაც გაჰყვებოდა ციხის წინა ხაზი (პროტიეიქიზმა), რომლის VII და VIII კომპი ერთმანეთთან 43,5 მ სიგრძის დრუსოთი იყვნენ დაკავშირებული. VII კომპი ტეხილი დრუსოთი უერთდებოდა დასავლეთით მოთავსებულ VI კომპს; ეს უკანასკნელი კი – ზღუდის მოკლე მუხლებით უერთდებოდა ქარაფის პირს (სურ. 7,8). ზღუდის სიმაღლე 6 და მეტი მეტრია ნავარაუდები. იქ სადაც რელიეფი მძაფრად ეშვება ქვემოთ – ზღუდის თავი კიბისებური მონერილობითაა წარმოდგენილი, ზღუდის თავზე მოთავსებული საფარი კედლების (პარაპეტების) სისქე ერთი ალიზისა – 52 სმ უნდა ყოფილიყო, სიმაღლე კი – 2 მ-მდე უნდა ჰქონოდათ; მათში 0,7 მ სიმაღლიდან 0,5 სიგანის მეტრ ნახევარი სიხშირით ამბრაზურებია სავარაუდებელი, საბრძოლო ბილიკის სიგანე კი – 3,2 მეტრი უნდა ყოფილიყო. გათხრების დროს აღმოჩენილი კრამიტის თანახმად, საბრძოლო კომპებს კრამიტის საბურავი, ხოლო სახურავი ორქანობიანი ჰქონიათ, ზღუდე კი ცალკალთიანი, ისიც არა ყველგან.

ციხის VII კომპი პროტიეიქიზმაშია მოქცეული და ძალიან დამრეც მიწის ზედაპირზეა მოთავსებული, რის გამოც კომპის საფუძვლის კუთხეებს შორის განსხვავება 5 მეტრის სიმაღლეს აღწევს, კლდის ქრის მაგიერ მშენებლებმა კომპის პირველი სართულის იატაკი 5 მეტრის დონეზე გამართეს, მის ქვეშ დარჩენილი სივრცე ალიზით შეავსეს, რითაც ამ სივრცის გამოუყენებლობით კლდის ქრაზე დიდი შრომა და დრო დაზოგეს. კომპის პირველი სართულის სიმაღლე 3 მ უნდა ყოფილიყო, კედლების სისქე კი – 2 მ. მორებზე განხორციელებული სართულშუა გადახურვა 50 სმ სისქისა უნდა ყოფილიყო. I სართულში ნაგულისხმევია შესასვლელი კარი, სარკმელი და სამზერები. კომპის II სართულის სიმაღლე 3 მეტრი უნდა ყოფილიყო; მასში მოხვედრა შეიძლებოდა საბრძოლო ბილიკიდან ან ხის მისადგმელი კიბისა და იატაკში გაჭრილი ერდოს საშუალებით. წინა მხრის კედელში სატყორცნი მანქანის ამბრაზურაც უნდა ჰქონოდა აგებული. კომპის IV სართული საბრძოლო ბაქანს წარმოადგენდა

და აქ კედლები ალიზის აგურის (52 სმ. სისქის) უნდა ყოფილიყო (სურ. 9).

ციხის გამაგრების გარეხაზი ძალზე დამრეც ზედაპირზეა აგებული, ისე რომ VI და VIII კომპებს შორის სიმაღლეთა განსხვავება 80 მეტრს შეადგენს. მის გამო ვივარაუდეთ დრუსოების კიბისებური აგება. ციხის ძირითად ზღუდეს 16-ზე მეტი კომპი უნდა ჰქონოდა, წინა ხაზის ზღუდეს კი 7, ე.ი. არმაზციხეს სულ 23 და მეტი კომპი უნდა ჰქონოდა. შიდაციხის ტერიტორია დაახლოებით 12 ჰექტარს მოიცავდა და ჯერხანობით იქ მოპოვებულია ციხისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ნაგებობა, როგორცაა არსენალი. მასთანვეა გალავნის ფრაგმენტი, რომელსაც ეტყობა თავის დროზე მის სამხრეთ-დასავლეთით მოთავსებულ მაღალი წრეების კუთვნილ ნაგებობებში არასასურველ პირთა შეღწევისაგან დაცვა ეკისრებოდა. ქვედა დიდ ტერასის ჩრდილოეთით კლდეკარის აკლდამა და ცოტა მოშორებით ციხის პატარა აბანოა.

არმაზციხე დიდმნიშვნელოვანი რომ იყო ამას ლეონტი მროველიც აღნიშნავდა; მას ნათქვამი აქვს “თავადი ციხე, რომელ არს არმაზი” [ქც, 1955:19], სტრაბონი კი გვაუწყებს, რომ “ვიდრე მტკვარი და არაგვი ერთმანეთს შეუერთდებოდნენ, კლდეზე მდებარეობენ გამაგრებული ქალაქები ... მტკვარზე მდებარეობს ჰარმობიკე (არმაზციხე), ხოლო მეორეზე სისამორა (წინამური) [სტრაბონი 19: XI, III,5]. არმაზციხე ან. აფაქიძის აზრით, ძვ.წ. IV-III საუკუნეების ძეგლია [აფაქიძე ან., 1963:22, 178].

არმაზციხის საჯაბადრო. არმაზციხის თანადროული და ამასთან სამხედრო დანიშნულების ნაგებობაა ე.წ. “სვეტებიანი დარბაზი”. იგი ციხის შიგნით არის მოთავსებული და დიდი ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდე-სთან მდებარეობს. მისი დიდი ზომები (28,8X8,9 მ), კედლების სისქე (1,5 და 1,7 მ), მოჭარბებული ზომის ქვათილები (70X50X45 სმ), რომელთაგან ზოგიერთის სიგრძე მეტრსაც კი აღწევს, ნაგებობას დიდ მონუმენტურობას ანიჭებს; ხოლო განსაკუთრებული სისადავე და რაც მთავარია: შენობის შიგნით, იატაკიდან 0,8 და 1,6 მეტრის სიმაღლეზე ქვათილებში ამოკვეთილი ბუდეები (70X14X14 სმ), რომ მათში ღონიერი ხის კონსოლები ჩაემაგრებინათ და მათზე სქელი ფიცრებით თაროები გაემართათ და ამ თაროებზე მძიმე

ნივთები, მაგალითად: აბჯრები, ფარები, მახვილები, წათები, შუბები და მათი ბუნები, კაპარჭები, მშვილდები და ისრები დაეღაგებინათ. ყოველივე ამის გამო “სვეტებიანი დარბაზი” სამხედრო საჭურვლის საწყობს – არსენალს ანუ საჯაბადროს წარმოადგენდა [აფაქიძე ან., 1963:25-27], (სურ. 10-12). რაც შეეხება გათხრების დროს აქ აღმოჩენილ ძვლის მოჩუქურთმებულ ფირფიტას, ოქროს თხელფურცლოვან ფრაგმენტებს და ლურჯი, მწვანე და მოწითალო პასტის მძივებისმაგვარ ნატეხებს [აფაქიძე ან., 1963:26-27], ყოველივე ეს შტანდარტების – ალმების ნაშთები უნდა ყოფილიყო. საჯაბადროს შენობის გრძივ ღერძს დაახლოებით მერიდიანული დამხრობა აქვს და მისი გვერდის კედლები აღმოსავლეთით 1,7 მეტრით წინაა ნაწეული; ჩანს ნაგებობის მთელ სიგრძეზე აღმოსავლეთიდან დერეფანი გასდევდა. დერეფნის ჩრდილოეთის კიდეზე იარაღის შეკეთების, ალესვის და ამართვის სახელოსნო ყოფილა მოთავსებული, რასაც საგანგებოდ დაღაგებული, ცეცხლით გარუჯული ქვათილები ადასტურებენ. გათხრებით მოპოვებული კრამიტის ნატეხების მიხედვით საჯაბადრო კრამიტით დაბურული, ორქანობიანი სახურავით ყოფილა, რომლის ფალის (ფრონტონის) ფარგლებში წყვილი სარკმელი უნდა ყოფილიყო გამართული. შიგნიდან საჯაბადროს სამი რიგი, ზემოთ აღნიშნული თაროები ყოფილა განწყობილი, რომლებზედაც სამხედრო საჭურველი ლაგდებოდა. მცხეთის, იბერიის დედაქალაქის მცველ ციხეს – არმაზციხეს თავისი შესაფერისი საჯაბადროცა ჰქონდა, რომელიც მკვიდრად და განსაკუთრებული გულმოდგინებით იყო აგებული. მისი დიდი ზომები, მძლავრი კედლები და ქვედა ნაწილის სუფთად დამუშავებული ქვათილები ნაგებობას მონუმენტურ სახეს ანიჭებს და მშენებლების დიდ ოსტატობაზედაც მეტყველებს.

გალავანი და სადარაჯო. საჯაბადროს ჩრდილოეთითა და ხუთი მეტრის დაშორებით აგებულმა ე.წ. “ორსენაკიანმა ნაგებობამ” შემოგვინახა, მის ქვეშ მოთავსებული დიდი ზომის ქვათილებით (80X40 სმ – 60X55 სმ), თიხის ხსნარზე აგებული – 1,15 მ სისქისა და 12 მ სიგრძის გალავნის კედლის ფრაგმენტი. მცირე ხნის მერე გალავნის კარის წინ დაახლოებით 4X4 მ ფართობის, აგრეთვე

ქვათილებით აგებული სადარაჯო მიაშენეს. მას აღმოსავლეთ კედელში კარი დაატანეს. მოღწეული ქვათილებიანი შენობები, მთელი ნაგებობების მხოლოდ ქვედა ნაწილებს წარმოადგენენ, რომლებზედაც ალიზის კედლები იყო აღმართული. აღსანიშნავია, რომ მერე მიშენებული სადარაჯოს ქვათილები თიხის ქანზე არიან დაფუძნებულნი, გალავნის საფუძვლიდან 65 სმ სიმაღლეზე.

სარკინეს ციხე. სარკინე მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას, მცხეთის დასავლეთით მდებარეობს, შიომღვიმის მისადგომებთან და საკმაოდ ვრცელი ტერიტორია უკავია [აფაქიძე ან., 1963:206 და შემდეგ; აფაქიძე ან., ... 1982:211-212, სურ.1614-1621] (სურ. 13,14). ციხის ზღუდეები ჯოჯოხეთის ხევის დასავლეთით, ზანგელიების ხევის აღმოსავლეთი კალთის თხემს აჰყვება, მისი სამხრეთი კიდიდან, მდ. მტკვრისკენ ჩაჭრილ ქარაფთან აგებულ ციხის კარიბჭიდან დანყებული. ციხის კარიბჭე ქარაფის პირთანაა აგებული და ამიტომ მისი კედლის სამხრეთი მკლავი ქარაფის პირს ადგება. მისი სისქე 2,8 მ, სიგრძე კი 9,3 მ უნდა ყოფილიყო, ზღუდის კედლის აგება ხორციელდებოდა ჯერ ქვის საძირკვლის აგებით და შემდეგ მასზე ალიზის კედლის აღმართვით. კედლის პერანგის ქვეშ მსხვილ რიყის ქვებს ან ქვათილებს აწყობდნენ. კარიბჭის ზღუდის გარეთა პირი რამდენიმე რიგი თლილი ქვებით იყო აგებული, რომელთა სიგრძე 40-50, სიგანე 20-30 და სიმაღლე 10-15 სანტიმეტრს უდრიდა. კედლის ზეძირკვლის შუაგული ამოვსებული იყო ნაშალი და წვრილი რიყის ქვით. ამ შემზადებაზე მთლიანად ალიზის წყობა აღიმართებოდა, რომელშიც ჩაყოლობული იყო ხის გათლილი ძელების არმატურა დაახლოებით ყოველი ერთი მეტრის სიმაღლეზე. ბჭის ორივე გვერდი განზე იყო განეული, რათა კარების გაღების დროს თითოეული კარის ფრთა კედელში კარგად ჩარგულიყო და ხელი არ შეეშალა მხედართა რაზმების სწრაფი მოძრაობისათვის. კარიბჭის წინა 3,2 მ სიგანისა და 5 მ სიგრძის უბეა (კლავიკულა), რომელშიაც თავმოყრილი მტერი შებოჭილი იქნებოდა და მის განადგურებას გააადვილებდა. კარი ორფრთიანი იყო და რკინით მოჭედილი. 1953 წლის გათხრების დროს ჯერ კიდევ დარჩენილი იყო კარის რკინის ჯავშანი; ამის მიხედვით კარის ხის ფრთები გადაკრეული იყო

20 სმ სიგანის რკინის მოგრძო ფირფიტებით, რომლებიც დიდთავიანი ლურსმნებით კარზე იყვნენ დაჭედებული.

ლართისკარის ზღუდე ლართისკარის ხევის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდის ქიმს გაჰყვება, მხოლოდ ბრინჯისღელეს კალთის მხარეზე. საძირკველისა და ზეძირკველის გარეთა პირი მსხვილი რიყის ქვებითაა აგებული, შიგნით კი მცირე ზომის ქვებით. ამ შემზადებაზე აღიმართებოდა ალიზით ნაგები 2,8 მეტრის სისქისა და სულ ცოტა 6 მ სიმაღლის ზღუდე, რომელსაც ყოველ 55-50 მეტრში კვადრატული გეგმის კოშკი აქვს დაყოლილი. IV კოშკის შიდა ზომებია 4,6X4,6 მ, გარე ზომები კი 8,6X8,6 მ-ს უდრის. მიწის-პირა პირველი სართული 3 მეტრი სიმაღლისა უნდა ყოფილიყო, მეორისა 4 მ და მესამისა 4,5 მ. სართულშია გადახურვა 50 სმ უნდა ყოფილიყო, რომელიც 15-20 სმ-ის ძელებს, 10 სმ ფიჩხსა და დანარჩენი კი – მიწასა და თიხას უნდა დასთმობოდა; კოშკის ბანი საბრძოლო ბაქანს წარმოადგენდა, რომელსაც მოვლებული უნდა ჰქონოდა ორ მეტრამდე სიმაღლის ერთ-ორ აგურიანი სისქის პარაპეტი. ერთი მეტრის სიმაღლიდან მასში უნდა გამართულიყო 50 სმ სიგანის საისრეები, ფილაკავანებისა და სამალებისათვის უფრო დიდი ამბრაზურები, რაც შეეხება დრუსოებს მათ თავზე 2,3 მ სიგანის საბრძოლო ბილიკი უნდა ჰქონოდათ გამართული, რომელსაც იცავდა ორ ან ერთაგურიანი სისქის პარაპეტი. საფიქრებელია, რომ ეს კოშკებიანი ზღუდე არაგვის პირიდან იწყებოდა და მთავრდებოდა ხევის თხემთან.

ტაძრები. დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ანტიკური პერიოდის ტაძრების ან მათი ნაშთების არსებობა არქეოლოგიურად თუ ნაკლებადაა დადასტურებული, სამაგიეროდ უფრო ადრეული ხანის – გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სალოცავი ნაგებობები გათხრილია მცხეთის მიდამოებში, მაგალითად: სამთავროში, ნარეკვაგში, ლართისკარში; რაც შეეხება მომდევნო, ძვ.წ. VII-VI საუკუნეების ნაგებობებს გამოვლინდნენ სამადლოს თხემზე, სადაც გაითხარა აქემენიდური ხანის ტაძრის ნაშთები, რადგანაც ეს ტაძარი ელინისტურ ხანაშიაც მოქმედებდა, სასურველია მისი წარმოდგენაც.

სამადლოს ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი აგებული იყო სამადლოს მაღალი

ბორცვის გავაკებული თხემის აღმოსავლეთ კიდეზე. მისი გარე ზომები 14X14 მ, შიდა 5,5X5,5 მეტრი, სიმაღლე კი 22 მეტრი უნდა ჰქონოდა. გეგმით კვადრატული შენობის ოთხივე ფასადი ხუთ თანაბარ, ვერტიკალურ ზოლადაა წარმოდგენილი, რომლებიც ერთის გამოშვებით ღრმადაა ჩამჯდარი [Гагошидзе Ю., 1979:51]. საფიქრებელია, რომ თითოეულ გამოწეულ ზოლში სწორკუთხოვანი ნიშები იყო წარმოდგენილი, რომელნიც სარკმელებს წარმოადგენდნენ. ნაგებობას ალბათ აგვირგვინებდა დენტიკულებიანი ლავგარდანი და ზიგზაგებით შემკული კოზმიდი.

წინამურის მრგვალი ტაძარი. სტრაბონის “სისამორა”-სა და წინამურის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს [იხ. აფაქიძე ან., 1963:163-190]. წინამურის სერზე გალავნის შიგნით მრგვალი მოყვანილობის, შესანიშნავად ნათალი და ორმაგი სამაგრებით ერთიმეორეზე გადაბმული ქვათილილების წყობის ფრაგმენტები აღმოჩნდა, რომლებიც, შესაძლოა, საკულტო ნაგებობის ნაშთებიც კი იყოს [აფაქიძე ან., 1963:197], „...ნაგებობის ხუროთმოძღვრული ხასიათი, ნებას გვაძლევს წინამურის სერის ეს მრგვალი ნაგებობა, უკვე დაბეჯითებით ცეცხლთაყვანისმცემელთა “გოდოლის” ნაშთად მივიჩნიოთ, რომელიც თავის დროზე მრგვალ ტაძარს ანუ თოლოსს წარმოადგენდა“.

1953 წელს წინამურის სერზე დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა, რისი საბაზიცი იყო აქ ნაპოვნი ანტიკური პერიოდის კრამიტების ნატეხები [აფაქიძე ან., 1963:190]. სერის აღმოსავლეთ ნაწილში გათხრებისას აღმოჩნდა დიდი ქვათილიებით შესრულებული ნაგებობის ნაშთები [აფაქიძე ან., 1963:100]. ის ალიზით ყოფილა აგებული ქვათილიების ზეძირკველზე, ცოკოლზე, რომელსაც “მიყრილი და მიტკეპნილი ჰქონდა თიხა-მიწა; მტკიცე და ერთგვაროვანი მასა, რომელიც თხრისას ალიზის მასის შთაბეჭდილებას ქმნიდა” [აფაქიძე ან., 1963:193]. ცხადია ეს დანგრეული ალიზის კედლების ნაშთები იყო.

ნაგებობის შემორჩენილი ზეძირკველი აგებულია მსხვილი 58X44X37 სმ - 65X39X45 სმ ქვათილიების ორი რიგით და შესაძლოა თავის დროზე მათი რიცხვი მეტიც იყო. ეს ზეძირკველი 14,2 მეტრის დიამეტრის წრეს

ნარმოადგენდა, რომელზედაც დაფუძნებული იყო ალიზის კედელი. საყურადღებოა, რომ ამ ნაგებობის 14,2 მეტრის დიამეტრიც თითქმის უტოლდება სამადლოს ცეცხლ-თაყვანისმცემელთა კვადრატულ კოშკისებრ ტაძარს, რომლის გვერდების სიგრძე 14 მეტრს შეადგენს [Гагошидзе Ю., 1979:51]. საგულისხმოა ისიც, რომ სამადლოს კოშკის მსგავსი ტაძარი, ირანის ასეთი სახის ტაძრების ანალოგიური იყო [Гагошидзе Ю., 1979:52]. წინამურის სერის ნაგებობაც ხომ, მოყვანილი წყაროების მიხედვით გოდოლს – კოშკს ნარმოადგენდა; განსხვავდებოდა მხოლოდ მისი წრიული გეგმა. ეს ნაგებობა სამადლოს ნაგებობისაგან იმითაცაა განსხვავებული, რომ იგი კრამიტით იყო დაბურული, მაშინ როცა სამადლოსი – ბანიანი უნდა ყოფილიყო [Гагошидзе Ю., 1979:52]. ცალკე ისიც აღსანიშნავია, რომ წინამურის სერის ნაგებობა მრგვალია და არც საქართველოში (მაგ., სამადლო და ციხიაგორა) და არც ირანსა და ურარტუში მისი მსგავსი სალოცავები გეგმით მრგვალი, წრიული არაა [Гагошидзе Ю., 1979:52; Цкитишвили Г., 1977:87, სურ. 1; 2]. ეტყობა, რომ აქ უფრო დასავლურ გავლენასთანაა გვაქვს საქმე, საბერძნეთსა და რომში მრგვალი ტაძრები იშვიათობას არ წარმოადგენდნენ [ВИА, 1949:241, 316, სურ. 236, 334-339]. ამ მრგვალ ტაძართან ერთგვარი მსგავსება შეიძლება ჰქონოდა “დიდებული ღმერთების” მრგვალ ტაძართან, რომელიც ძვ.წ. 281 წელს პტოლემეოს სოტერის შვილმა არსინოიამ კუნძულ სამოთრაკიაზე ააგო. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ტაძრის დიამეტრი 19 მეტრს აღწევდა, ხოლო რეკონსტრუქციის მიხედვით მისი სიმაღლე 11,2 მეტრს შეადგენს [ВИА, 1949:315, სურ. 336].

წინამურის სერის წრიულმა ნაგებობამ სადღეისოდ ცოკოლის სახით მოაღწია ჩვენამდე, ისიც მხოლოდ ქვათლილების გარეთა წყობამ, ამის გამო ცოკოლის კედლის სრული სისქე აღდგენაში, არმაზციხისა და ღართისკარის ზღუდეთა სისქის გათვალისწინებით, 3 მეტრითაა წარმოდგენილი. რაც შეეხება ტაძრის სრულ სიმაღლეს, იგი 16 მეტრია ნავარაუდევია, რათა ნაგებობას გოდოლის-კოშკის სახე მისცემოდა. ტაძარი, რადგანაც გეგმით წრიული იყო, მისი ცილინდრული კორპუსი კრამიტით იყო დაბურული, გათხრებიც ხომ აქ მოფენილმა კრა-

მიტების ნატეხებმა განაპირობეს [აფაქიძე ან., 1963:190]. 14 მეტრის დიამეტრის ხის კონუსური კონსტრუქციის გამართვა არც გაუჭირდებოდათ იმ დროინდელ ხითხუროებს, რადგანაც მომდევნო ხანაში, ძვ.წ. 65 წ. დამწვარ მოგვთასთან მტკვარზე გადებული ხიდის ნაცვლად, მოკლე დროში მათ ხის ახალი ხიდი ააგეს, და თანაც ისეთი გამძლეობისა, რომ პომპეუსის მრავალრიცხოვანი ჯარის გავლას გაუძლო [აფაქიძე ან., 1963:218], სახურავის გამართვა მარტივადაც შეეძლოთ შეესრულებინათ, ნაგებობის ძელჭერით გადახურვის მოშველიებით; საყურადღებოა, რომ ზეძირკვლის ქვათლილები დამაგრებული იყო ორმაგი დამაგრებით, ანუ გარდა ჩვეულებრივი უწყვეტებისა, გეგმაში ტრაპეციის მქონე ქვათლილების გარეთა რიგი, ვერტიკალური ხის დამაგრებითაც იყვნენ დამაგრებული, რომ ეს ქვები გარეთკენ არ დაძრულიყვნენ [აფაქიძე ან., 1963:191-193, სურ. 101-192]. ეს ვერტიკალური დამაგრები საჭირო იყო მხოლოდ გეგმით წრიული ნაგებობისათვის.

კრამიტით დაბურული კონუსური სახურავის კონსტრუქციის აღდგენისას გასათვალისწინებელია ჯერ ის, რომ კონუსის წვეროსთან ნივნივების თავმოყრა შეუძლებელი იქნებოდა და ამიტომ მათი ჩამაგრება, დაახლოებით 1 მეტრი დიამეტრიც მორგვზე უნდა განეხორციელებინათ. ამ კონუსის წვეროს დასაბურავად კი, 4-5 სმ სისქის თიხის წრიული ფილა უნდა დაემზადებინათ და გამოეწვიათ. ეს ფილა მეტრზე ცოტა მეტი უნდა ყოფილიყო და ოდნავ ზემოთ აწეული, რომ წვიმის წყალი ზედ არ დაგუბებულიყო. მეორეც, რადგანაც კრამიტის სახურავს მარაოს სახე უნდა ჰქონოდა, ნაპირზე მოქცეულ სოლენებს ძალზე დიდი სიგანე ექნებოდათ, რისთვისაც ცენტრიდან დაახლოებით 4 მეტრის დაცილებით საფეხური უნდა შეექმნათ და გარეთ დარჩენილი წრე ცალკე გადაეხურათ. ამიტომ სახურავის კონუსის სამ ნაწილად წარმოდგენა, კონსტრუქციის აუცილებლობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. რაც შეეხება კონუსური სახურავის კრამიტებსა და მის დამაგვირგვინებელ წვეროს საგანგებოდ უნდა დაემზადებინათ სამეთუნეო საწარმოში.

აბულეთის გორაზე, სოფ. ნაბალრებთან ორი ეკლესიაა, რომელთა ირგვლივ სუფთად

ნათალი ქვის სვეტების დოლებია მიმიფანტული [მელიქიშვილი გ., 1970:465-466]; ერთი მათგანი 175 სმ სიგრძის კანელურებიანი სვეტის ღეროა; აქვეა სვეტის ბაზაც (სურ. 15). ეს ხუროთმოძღვრული დეტალები ანტიკური ხანისაა და ეტყობა ამ ეკლესიების ადგილზე ადრე აღმართული იყო ანტიკური ხანის სალოცავი ტაძარი [აფაქიძე ან., ... 1982: 205, სურ. 1573-1574].

საცხოვრებელი სახლები. ანტიკური ხანის საცხოვრებელი სახლების ნაშთები დიდი მცხეთის მიდამოებში ახლა ძალზე მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი და შესაძლებელი ხდება მხოლოდ დაგეგმარების გარკვევა. მაგრამ ეს სახლები სივრცეში რას წარმოადგენდნენ შეიძლება მიახლოებით წარმოვიდგინოთ: შემორჩენილი კედლებისა და გათხრებით მოპოვებული არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით და ეთნოგრაფიული მასალის მოშველიებით.

კარსნისხევის ბანიანი სახლი 1975 წლის გათხრების დროს I და II უბნებზე იყო აღმოჩენილი. თარიღდება III-IV საუკუნეებით [მელითაური კ., 1982:219-220, სურ. 1622-1623].

კარსნისხევის კრამიტით დაბურული სახლი აგრეთვე 1975 წელს იყო გათხრილი, ზემოთ მოყვანილი ბანიანი სახლიდან დასავლეთით, ცხრა მეტრის დაშორებით. ისიც III-IV საუკუნეებისაა [მელითაური კ., 1982:219-220, სურ 1622].

არმაზისხევის სასახლე საერისთავო უბნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშია მოთავსებული. პიტიახშთა სასახლე განხილული და გამოქვეყნებულია [აფაქიძე ან., ... 1955:147-175; სურ. 144-155; აფაქიძე ან., ... 1998].

აბანოები. არქეოლოგიური გათხრები გვიჩვენებენ, რომ ანტიკური პერიოდის საქართველოს ქალაქთმშენებლები სათანადო ყურადღებას აქცევდნენ სანიტარულ-ჰიგიენურ დანესებულებებს. ირკვევა, რომ აბანოებიც უშენებიათ და წყალსადენებიც ჰქონიათ გაყვანილი. მცხეთაში ორი აბანოა აღმოჩენილი, ორივე გვიანანტიკური – სამეფო და ერისთავთა რეზიდენციებთან დაკავშირებული [აფაქიძე ან., 1970: 718]. არმაზისხევის აბანო საოჯახო დანიშნულებისა იყო და ეკუთვნოდა ფრიად შეძლებულ პიროვნებას, შენობა ქვითკირითაა ნაგები და მცირე ზომისაა; სათავსების მწკრივად დალაგებული გეგმით რომაულ აბანოს წარმოადგენს. I-II საუ-

კუნეებით თარიღდება [აფაქიძე ან., .. 1955; მელითაური კ., 1989:160-166].

არმაზციხის აბანო მსგავსია არმაზხევის, მაგრამ ძალზე პატარაა [აფაქიძე ან., 1963:38-39, სურ. 95, ტაბ. XX-XXII; აფაქიძე ან., ..1998].

მცირე ფორმების ხუროთმოძღვრული ძეგლები. ანტიკური პერიოდის მცირე ფორმების ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან მავზოლეუმის ტიპის აკლდამები თავისებურად გადმოგვცემენ ჩვეულებრივ ხურითმოძღვრებას [აფაქიძე ან. 1970: 716], ხოლო მემორიალური დაფები და სტელები გვამცნობენ ისტორიულ ამბებს, პიროვნებებს, მოხელეობას და სხვ. მათ შორის ზოგი დაკრძალულის ხასიათსაც კი ასახავს.

სამადლოს მავზოლეუმის ტიპის აკლდამა ყველაზე ადრეულია და ძვ.წ. IV ს-ის დასასრულითა და III ს-ის დასაწყისით თარიღდება. იგი ძალზე დაზიანებული იყო. აკლდამის კამერა 5,5X4.0 მ ყოფილა და ქვეყნის მხარეების მიხედვით ძალზე მიახლოებითაა ორიენტირებული. ხით არმირებული ალიზით აგებული აკლდამის დასავლეთი ფასადის მხარე მონგრეული იყო. გათხრებმა გამოავლინეს ფასადის მოსაპირკეთებელი კირქვის ქვები და სახურავის კრამიტი. ნაგებობა ნახევრად მიწური ყოფილა და გადახურული უნდა ყოფილიყო ორქანობიანი, კრამიტით დაბურული სახურავით. დასავლეთის კედელი თავის დროზე მიწის ზედაპირზე გამოდიოდა და ამ კედლებშივე უნდა ჰქონოდა დატანილი შესასვლელი კარი, ფასადი კი – კირქვის ქვათლილებით ყოფილა შემოსილი [Гагошидзе Ю., 1979:67-68, 70, ტაბ. V-VI] (სურ. 16).

მოგვთაკარის მავზოლეუმის ტიპის აკლდამა მცხეთის ანტიკური პერიოდის აკლდამათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია. ეს აკლდამა მოგვთას აღმოსავლეთით 1951 წელს აღმოჩნდა [აფაქიძე ან., 1963:107-111, სურ.72-75, ტაბ. XXVI; ლომთათიძე გ., ..., 1951:641-646]. იგი დასავლეთი ნაწილით მიწაშია ჩამჯდარი და მისი მხოლოდ აღმოსავლეთი ნაწილია ხილული. ამიტომ მისი ეს ხილული ნაწილი საგანგებოდ, ხუროთმოძღვრულადაცაა დამუშავებული. შენობა აგებულია ქვიშაქვის დიდი ქვათლილებით კირის ხსნარზე. აკლდამის შიდა ზომები დაახლოებით 2,35X1,75 მეტრს შეადგენს. სწორკუთხედის გრძივი ღერძი ეკვატორული დამხრობისაა და აღმოსავლეთიდან 0,66 მ სიგანისა და 1,05 მ სიმაღ-

ლის საკარე ღიობია დატანილი, რომელიც მთლიანი ფილაქვით იხურებოდა. ქვათლი-ლებითვეა შესრულებული კამარა. ნაგებობის ორკალთა სახურავი დაბურულია ბრტყელი და ლარისებური კრამიტით, ეს პატარა “სახ-ლი” კეხამდე 3,45 მეტრი სიმაღლისაა. იგი თარიღდება ახ.წ. I საუკუნით. ამ აკლდამის ინტერიერის ქვათლილებით გულმოდგინედ შესრულება, ფასადის სახილველად წარმოდ-გენა და მისი ხუროთმოძღვრული დამუშავე-ბა, იმის მაჩვენებელია, რომ მისი მფლობელი მაღალი წოდებისა და დიდი ქონების პატრო-ნი იყო.

კლდეკარის მავზოლეუმის ტიპის აკ-ლდამა ბაგინეთის ჩრდილო-დასავლეთ კი-დეზე, კლდეკარის დასაწყისთან, 1947 წელს აღმოჩნდა. იგი კლდეში ჩაჭრილ ქვაბულ-შია ჩადგმული [აფაქიძე ან., 1963:104-107, სურ. 76, ტაბ. XXIX,4]. რადგანაც “აკლდამის ნაგებობა ექსპედიციას საფუძვლიანად დან-გრეული დაუხვდა” [აფაქიძე ან., 1963:105], ჩვენც, ამ I-II საუკუნეების აკლდამის ხუ-როთმოძღვრების შესახებ ბევრიც არაფერი გვეთქმის. ცხადია აქ მხოლოდ იმის აღნიშ-ვნა შეიძლება, რომ იგი მავზოლეუმის ტიპის აკლდამა იყო და ჩრდილო-აღმოსავლეთით მისი ფასადი დღის ზედაპირზე იმყოფებოდა, გააჩნდა გარკვეული ხუროთმოძღვრული სახე, რამაც მისი გაძარცვა და განადგურება გამოიწვია.

არმაზისხევის მავზოლეუმის ტიპის აკ-ლდამა გვიანანტიკური ხანის ბოლო ნიმუშს წარმოადგენს. ის ორი, სიმეტრიულად განლა-გებული სათავსოსგანაა შემდგარი და ნაგე-ბია ზომიერი სიდიდის ქვატეხილებით კირის ხსნარზე [აფაქიძე ან., ..1955:163-164; აფაქიძე ან., 1963:111-112]. წყობა სწორი რიგებითაა შესრულებული, თუმცა აქა-იქ ის დარღვეუ-ლია ქვის ზომისა და ფორმის გამო. მომცრო სათავსოს ზომა 4X4 მ., დიდისა კი – 8X6,9 მ. კედლების სისქე 1,3-1,0 მ-ის ტოლია. დიდი სათავსი საკუთრივ აკლდამას წარმოადგენს და ჩანს წინიდან, აღმოსავლეთიდან 4 მ-ის სიგანის ღიობი ჰქონდა. მასში მოთავსებული იყო პიტიახშ ასპარუგის სამარხი, ორქანობი-ანი სახურავის მქონე ქვის მე-2 სამარხი - ქა-ლისა და ბავშვის კრამიტსამარხი [აფაქიძე ან., 1963:112]. არქეოლოგიური გათხრების დროს აქ კრამიტი არ აღმოჩენილა და ჩანს ნაგებობა ბანიანი ყოფილა, ან განზრახ ააგეს

სახურავის გარეშე. საყურადღებოა, რომ I სამარხის იატაკი მხოლოდ 0,5 მ-ით დაბლაა აკლდამის სამხრეთი კედლის საფუძველზე; თვით ქვაყუთის სიმაღლე კი 1,1 მ-ია, რაც შეეხება II სამარხის იატაკს, იგი სამხრეთი კედლის საფუძველზე 1,0 მეტრით დაბლაა, ხოლო ქვასამარხის სიმაღლე კეხამდე 1,45 მ უდრის. ამგვარად, ეს სამარხები აკლდამის საფუძველზე 60 და 45 სმ-ით მაღალაა, რაც იმდროინდელი მიწის ზედაპირიდანაც თითქ-მის იგივე იქნებოდა. სამარხების გამართვის დროს ამოყრილი მიწა ნახევარი მეტრითაც ვერ დაფარავდა ქვასამარხებს. ასეთი მიწის საფარი ვერ დაიცავდა განძის მაძიებლებისა-განაც. ამიტომ აკლდამა ბანით უნდა ყოფილ-იყო გადახურული; IV-VIII საუკუნეებში ეს ადგილი სასაფლაოს წარმოადგენდა და ადა-მიანი მას მოწინებთა და შიშით ეპყრობოდა. ამასობაში უჭირისუფლოდ მიტოვებული აკლდამის სახურავის ხის ნაწილები დალპა და ბანი საბოლოოდ მთლიანად ჩამოწვა. აკ-ლდამა ერთიანად მიწით დაიფარა და განძის მაძიებლებისაგან დაიცვა ჩატანებული ფას-დაუდებელი სიმდიდრე. აკლდამის მომცრო სამყოფელს უშუალოდ კავშირი არა აქვს სა-მარხებთან აკლდამასთან, რაც არაა გასაკ-ვირი [აფაქიძე 1963:111-112]. ასპარუგის აკლ-დამის ფართო ღიობი კი ქვაყუთების გამართ-ვის დროს არავითარ დაბრკოლებას არ შეუქმნიდა მშენებლებს, ხოლო დასავლეთის მხრიდან აგებული სათავსო ეტყობა საცხ-ედრეს წარმოადგენდა, სადაც, სანამ სამარხს გამართავდნენ მიცვალებულს დროებით აქ დაასვენებდნენ და თანაც საღვთო წესებსაც შეასრულებდნენ. ეს სამარხი და თვით აკლ-დამაც ასპარუგს ეკუთვნოდა და თარიღდება II-III საუკუნეებით.

წილკნის აკლდამა 1979-1980 წლებში მცხ-ეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წილკნის რაზმმა საეპისკოპოსო ტაძრის აღმოსავლე-თით ერთნახევარი კილომეტრის დაშორებით აღმოაჩინა. აქ ამ ნაგებობის შესახებ უნდა აღინიშნოს ის, რომ მისი კამერა 3,45X3,25 მ ზომისაა, აღმოსავლეთიდან კიბეებიანი ჩასასვლელი აქვს და ნაგებობის მთელი სიგ-რძე 10 მეტრს აღემატება [აფაქიძე ან., .. 1982:199-202, სურ. 1551-1558]. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, აგებუ-ლია ქვიშაქვის სუფთად გათლილი ქვათლი-ლებით კირის ხსნარზე და ასეთივე ქვებით

შეკრულია დასაკრძალავი კამერაც. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე მიყრდნობილია ორი კვარცხლბეკი, თითოეულში წყვილი საცხედრით. აკლდამა განეკუთვნილი იყო მაღალი საეკლესიო წოდების პირების დასაკრძალავად და თარიღდება IV-V საუკუნეებით [აფაქიძე ან., .. 1982:202]. რადგანაც აკლდამა, მინაში იყო ჩადგმული და მინის ზემოთ არ ჩანდა, ხუროთმოძღვრულად შესანიშნავად გადაწყვეტილი ინტერიერი ჰქონდა.

თავისებურია არმაზისხევის საერისთავოს პიტიანშ ასპარუგის მავზოლეუმის ტიპის აკლდამა. ჯერ ერთი იგი დიდია და სიგანით 7,9 მეტრს აღწევს; მეორეც მისი ფასადი თლილი ქვებით კი არ არის მოპირკეთებული, არამედ ჩვეულებრივი ქვატეხილებითაა ნაგები და ბანით იყო გადახურული.

განხილული მავზოლეუმის ტიპის აკლდამათა შორის ჩვენთვის საგულისხმოა მოგვთას მავზოლეუმის ტიპის აკლდამა, რომელმაც ჩვენამდე შეუცვლელად მოაღწია. აკლდამის ფასადის ქვედა რიგი, თლილი ქვიშაქვის ლოდებითაა ნაგები და აქ ფასადის სიგანე საფეხურებით 3,9 მეტრია. ამ ლოდებზე დადებული ქვები ფასადის სიგანეს საფეხურებით 2,8 მეტრამდე ამცირებენ. კარს შუბლად 1,2X0,5 მეტრის ზომის ქვიშაქვის ლოდი ადევს, რომელსაც თავზე 0,25 მ სიმაღლის ორი გრძელი ქვაა დადებული, რომლებიც ხალხური მშენებლობის ხის გარეწალებს მოგვაგონებენ. ამ ქვებამდე შემავსებელი ქვების შვეული ნიბოები ფასადის შუახზისკენაა გადახრილი და ფასადის სიგანეც 2,6 მეტრამდეა შემცირებული. 0,25 მ სიმაღლის გრძელი ქვების ბოლოები უხეშადაა დამუშავებული და მალეობია ფრონტონის კარნიზის ქვების სანდოდ გამაგრებისათვის. ფრონტონის შიდაპირი ორი სამკუთხა ქვითაა წარმოდგენილი, რომელთა ზედაპირი ფასადის კედლის სიბრტყეშია მოქცეული. აკლდამის შესასვლელი კარის ღიობს 7 და 12 სანტიმეტრის დაშორებით შემოსდევს 3X10 სმ-ის სწორკუთხოვანი არშია, რომელიც კარის ჩარჩოს სახეს წარმოადგენს. ყურადღებას იპყრობს ამ პატარა “სახლის” ფასადის შიგნითკენ დახრა, თითქოს რაღაც ძალებს შეუვიწროვებიათ შენობის ზედა ნაწილი. აკლდამის ფასადი დაგვირგვინებულია სამკუთხა ფრონტონის თაროებით დანაწევრებული კარნიზით. აქ ფრონტონის დამაგვირგინე-

ბელი სამკუთხოვანი კარნიზი ქვემოდანაც თარაზული კარნიზით კი არ არის შეკრული, არამედ ფასადის სიბრტყესთანაა შეერთებული. საქართველოში გავრცელებული წესის მიხედვით, ასეთ ფრონტონს ფალს ეძახიან. მავზოლეუმის ტიპის ამ აკლდამის ღია რუხი ფერის ფასადი დაგვირგვინებულია ვარდისფერი კრამიტების ზოლით, რომელიც ნაგებობას გამოჰყოფს მინის მუქი ფერებისაგან. ამ პატარა ნაგებობაში ქართველი ერის ტაძარებისა და სახლების ხუროთმოძღვრების გამოძახილს ვხედავთ.

მცირე ფორმების ხუროთმოძღვრების ნიმუშებს წარმოადგენენ მემორიალური დაფებიც, რომლის ერთი და შესანიშნავი ნიმუშია 1867 წლის მაისში აღმოჩენილი ახ.წ. 75 წლით დათარიღებული ნაქულბაქევის მემორიალური დაფა. ის მუქ ნაცრისფერ ქვიშაქვაშია ამოკვეთილი, მას თავი დაზიანებული აქვს, მაგრამ მხოლოდ ოციოდე სანტიმეტრი უნდა დაჰკარგოდა. დაფის მთლიანი ზომა უნდა ყოფილიყო დაახლოებით 1,4X1,15 მ; მას 15 სმ სიგანის ჩარჩო ჰქონდა მოვლებული. ჩარჩოს გარეთა პირზე 7,5 სმ სიგანის თარო შემოუყვებოდა, შიგნით კი იმავე სიგანის ლილვიანი ღარის მეოთხედი გაჰყვებოდა ისე, რომ თვით დაფის სიბრტყე 4 სანტიმეტრით უფრო ღრმად შენეული გამოდიოდა [აფაქიძე ან., 1963:125-134, ტაბ. XVIII,4].

ბერძნულ წარწერიანი ქვა 1867 წლის მაისში აღმოჩნდა შარაგზის გაფართოებისას, კლდის ასაფეთქებელი სამუშაოების წარმოების დროს, დაახლოებით იქ, სადაც ახლა საავტომობილო გზა რკინიგზის ქვეშ გადის [აფაქიძე ან., 1963:125-134, ტაბ. XVIII,5]. იქვეა კლდეში მოთავსებული გამოქვაბულებიც. იბერიის დედაქალაქ მცხეთის ზღუდეები, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ნაქულბაქევამდე აღწევდა და რომის იმპერატორს სწორედ იქ აღუდგენია ზღუდე და იქ ჩაუტანებია კედელში ამ ამბის მთხრობელი მემორიალური დაფა. ეს დაფა ხალხმრავალ ადგილას უნდა ყოფილიყო, აკი იქვეა ქულბაქები, სავაჭროები ყოფილა ძველად, ახლა ნაქულბაქევის რომ ვეძახით. წარწერის ასოების 4-5,5 სანტიმეტრიანი სიდიდე კი იმის მაჩვენებელია, რომ დაფა საკმაოდ მაღლა უნდა ყოფილიყო მოთავსებული, მინიდან დაახლოებით 3-4 მეტრის სიმაღლეზე.

არმაზისხევის მემორიალური სტელა სი-

მაღლით 1,63 მ, სიგანე 0,70 მ, სისქე 0,2 მ-ია. სტელა ამოღებული იყო გვიანდელი სამარხის ქვაყუთიდან, სადაც ერთ-ერთ გვერდად იყო გამოყენებული, ისე რომ მისი აღმართვის ადგილი უცნობია. სტელაზე არამეული წარწერაა მოთავსებული [ინგოროყვა პ., 1941:416-426].

არმაზისხევის სტელა ეპიტაფიით. სტელის სიმაღლე 1,95 მ, სიგანე – 0,6-0,67, სისქე 0,2 მ. ეს სტელაც ამოღებულია იმავე გვიანდელი სამარხის ქვაყუთიდან, სადაც იგი აგრეთვე ყუთის ერთერთ გვერდს წარმოადგენდა. ამიტომ ესეც სად იყო თავდაპირველად აღმართული, ცნობილი არაა [აფაქიძე ან., 1963:147-151, ტაბ. XVIII,2]. ამ ქვაზე ეპიტაფია ბერძნულ და არამეულ ენებზე იყო ამოჭრილი. იმის გამო, რომ სტელას მხოლოდ შეძლებული ოჯახი აღუმართავდა თავის მიცვალებულს, ამიტომ ზოგიერთი, მდიდრული ქალის სამარხს სერაფიტას სამარხად მიიჩნევენ და სტელასაც იქვე აღმართულად თვლიან. სტელა II-III საუკუნეებითაა დათარიღებული.

სამთავროს სტელა ავრელი აქოლისის ეპიტაფიით სიმაღლით 64 სმ, სიგანით ზედა ნაწილში 34 და ქვედა ნაწილში 37,5 სანტიმეტრია. სტელას ზედა ნაწილი 14,5 სმ სიმაღლეზე უფრო თხელია. ეპიტაფია ბერძნული მთავრული ასოებითაა შესრულებული [იხ. ყაუხჩიშვილი ს., 19: 581-582]. ეს სტელაც სამარხის ქვაყუთის შედგენისათვის იყო გამოყენებული და ამიტომ მისი თავდაპირველი აღმართვის ადგილი უცნობია. წარწერაში საგულისხმოა ტერმინები: მხატვართუხუცესი, ხუროთმოძღვარი. სტელა II-III საუკუნეებით თარიღდება [აფაქიძე ან., 1963:135].

სამთავროს სტელა იოსებ ბარ ჰაზანის ეპიტაფიით. სტელა, როგორც წესი ქვიშაქვისაა, მისი სიმაღლე 82 სმ, სიგანე ზემოთ 46, ქვემოთ 36 სმ-ია, სისქე 12 სმ. ქვაზე გამოსახულია პური 21 სმ დიამეტრისა, სასმისი – 10 სმ სიმაღლისა, სურა 19 სმ სიმაღლისა და ხონჩა, რომელზედაც ებრაული წარწერაა ამოკვეთილი [წერეთელი გ., 1940:419-424] და IV-V სს-ით თარიღდება. ის ზემოთ აღწერილ სტელასთან ერთად სამარხი ქვაყუთის გვერდს შეადგენდა [აფაქიძე ან., 1963:137-138].

ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა **გზებსა და ხიდებს**. განსაკუთრებით კი დიდი იყო მათი მნიშვნელობა სავაჭრო ურთიერთობაში. ანტიკური დიდი მცხეთის გზებსა და ხიდებზედაც შეიძლება მაგალითები წარმოვადგინოთ.

არმაზციხის კლდეკარი მდებარეობს ბაგინეთის დიდი ტერასის დასავლეთ კიდეზე, სადაც მას კლდოვანი მთის კალთა ჰკვეთს. იქ საგანგებოდ ჩაიჭრა კლდოვანი ფერდი და აქედან ქვემოთ კლდე ჩაასწორეს დაბლა მოთავსებულ შევაკებად [აფაქიძე ან., 1963:137-138]. ასე შექმნილი კლდეკარი ეტყობა მნიშვნელოვანი სამოძრაო არტერია გამხდარა და რამდენიმე ხნის შემდეგ აქ მავზოლეუმის ტიპის აკლდამც კი ააშენეს [აფაქიძე ან., 1963:182].

მოგვთა ხიდი იმ ადგილზე უნდა ყოფილიყო, სადაც ახლაცაა ხიდი მდ. მტკვარზე, რომელიც 1839-1841 წლებშია აშენებული; ძველი ხიდი ზაჰესის საგუბარმა დაფარა და მისი დაცლის შემდეგ გამოჩნდება ხოლმე. ამ ხიდზე 1833 წელს დიუბუა დე მონპერემ გაიარა და შემდეგი აღნიშნა: “ძველ ხიდს, რომელიც ორ კლდეს შუა იყო გადაებული, გადაჰყავდა მტკვრის შესართავთან, უძველესი კოშკის ძირას და სხვა ძეგლების ნანგრევებთან, რომლებიც პატარა ხიდს გამოჰყოფდნენ უფრო მოზრდილისაგან, მისი შუა ნაწილი ხისა იყო”. ძველი ხიდის ორივე მხარეზე დამცველი კოშკები ყოფილა აღმართული [კვეზერელი-კობაძე ნ., 197:61-65].

დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ანტიკურ პერიოდში სამეურნეო და საწარმოო დანიშნულების ნაგებობებსაც აშენებდნენ. მათგან წარმოვადგენთ იმათ, რომელთა რეკონსტრუქციები შემისრულებია, სახელდობრ, კარსნისხევის დასავლეთ ფერდზე აღმოჩენილი ნაგებობები.

კარსნისხევის სამეურნეო საწარმო მოთავსებულია ხევის ბოლოს, განხილული სახლების ბოლოს. გათხრებით აქ გამოვლინდა კერამიკული ჭურჭლის გამოსანვავი გრძელი და მრგვალი ქურები, თიხის მოსაზელი და ნედლი ჭურჭლის გასაშრობი ფარდულები. საწარმო ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნით და ახ.წ. პირველი საუკუნეებით თარიღდება [აფაქიძე ან., ..1978:19-31, სურ. 6-10, 17, 153-155] (სურ 17).

კარსნისხევის საწარმო და მარანი ხეობის სიღრმეში არის მოთავსებული სამეთუნეო საწარმოდან დაახლოებით 200 მეტრის დაშორებით. ეს სამეურნეო ნაგებობები თარიღდებიან ახ.წ. პირველი საუკუნეებით [აფაქიძე ან., ..1978:81-146, სურ. 21, 22, 620-621] , (სურ. 18).

ასეთია დიდი მცხეთის ანტიკური ხანის აღდგენილი ხუროთმოძღვრული ძეგლების მიახლოებითი სურათი. ამ ნაშთებიდან ყველაზე შთამბეჭდავია საფორტიფიკაციო ნაგებობები, განსაკუთრებით არმაზციხის ქვათლილებით შესრულებული საძირკველ-ზეძირკვლები და ზოგან შემორჩენილი ალიზის კედლები. ადამიანს წარუშლელ და სიამაყის გრძნობას უნერგავს სვეტებიანი დარბაზის დიდრონი ქვათლილებით შესრულებული მძლავრი კედლები, რომლებიც საჯაბადაროს-არსენალის ნაშთებს წარმოადგენს. მნახველს ასეთივე გრძნობა ეუფლება არმაზისხევის აბანოს ნაშთების ხილვისას, მაგრამ სინანულსა და სევდასა ჰგვრიან იქვე სამარხებით დაქუცმაცებული ერისთავთა დიდებული სასახლის ნაშთები. ვამბობთ დიდებულ სასახლეს იმიტომ, რომ შემორჩენილია კარის ქვის ზღურბლი, ხუროთმოძღვრულ ნაკვთიანი ქვისავე წყრთილ-ამყოლის ნატეხი და მისი მოხდენილი ხუროთმოძღვრული ნაკვთებით შემკული ლავგარდანი, რომლის დენიკულები მესაფლავეებს უმოწყალოდ დაუკორტინათ და იქვე აღმოჩენილი ადამიანის, ცეცხლისა და დროის მიერ ნახევრად განადგურებული კორინთული კაპიტელი და ბაზა. ადამიანს მწუხარებასა და სინანულს ჰგვრის აგრეთვე ნინამურის მრგვალი ნაგებობის მწირი ნაშთები, ხოლო კაცი თავანას ნაშთების შესწავლის დაყოვნება სინანულის გარდა, მოუთმენელ მოლოდინსაც უნერგავს ადამიანს.

აქ წარმოდგენილი დიდი მცხეთის ანტიკური ხანის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თუნდაც მიახლოებით თუ ასახავენ სინამდვილეს, ჩემი მიზანი მიღწეული იქნება. იმედი მაქვს, რომ ყოველ შემთხვევაში მთელი ეს მასალა ბიძგი იქნება მათზე შემდგომი მუშაობისა და ჭეშმარიტების ძიებისა.

ლიტერატურა:

აფაქიძე ან., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, 1963, თბ.
აფაქიძე ან., ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970, თბ., გვ. 661-784.
აფაქიძე ან., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ., მცხეთა, I, 1955, თბ.
აფაქიძე ან., კალანდაძე ალ., ნიკოლაიშვილი ვ., მცხეთა 1975 წ. მცხეთის არქეოლოგიური ექს-

პედიციის 1975 წლის მუშაობის ანგარიში. – მცხეთა, II, 1978, თბილისი. გვ. 81-146.

აფაქიძე ან., კალანდაძე ალ., ნიკოლაიშვილი ვ., და სხვ. მცხეთა 1976 წ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის მუშაობის ანგარიში. – მცხეთა, II, 1978, თბილისი. გვ.

აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ., სარკინე. – მცხეთა, VI, 1982 თბილისი. გვ. 191-221.

აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ., და სხვ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში. – მცხეთა, X, 1998, თბილისი.

ვახუშტი ბატონიშვილი, გეოგრაფიული აღწერა საქართველოსა, 1842, სანქტ-პეტერბურგი.

თოლორდავა ვ., მასალები საქართველოს სამეფოს ისტორიისათვის ძვ.წ. III-I სს. – მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, III, თბ., 1963.

ინგოროყვა პ., ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა. – ენიმკის მოამბე, ტ. X, თბ., 1941, გვ. 418-428.

კვეზერელი-კობაძე ნ., მცხეთის ძველი ისტორიული ხიდი მდ. მტკვარზე. – ძეგლის მეგობარი, № 14, 1968, გვ. 61-65.

ლომთათიძე გ., ციციშვილი ირ., ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში. – სმამ, ტ. XII, № 10, თბ., 1951, გვ. 641-648.

მელითაური კ., კარსნისხევის გვიანანტიკური სახლები. – მცხეთა VI, 1982, თბ., გვ. 210-223.

მელითაური კ., არმაზისხევის აბანოს რეკონსტრუქცია. – მცხეთა, IX, 1989, თბ., გვ. 123.

მელიქიშვილი გ., საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970, თბ., გვ. 24-35.

მელიქიშვილი გ., ქართული პოლიტიკური და ეთნიკური წარმონაქმნები ელინისტურ ხანაში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970, თბ., გვ. 445-465.

მოქცევაი ქართლისაი, შატბერდის კრებული, 1979, თბ.

სტრაბონი, გეოგრაფია, 19

ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.

ყაუხჩიშვილი ს., მცხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, 19, გვ. 581-582.

წერეთელი გ., მცხეთის ახლად აღმოჩენილი ებრაული წარწერა. – ენიმკის მოამბე, ტ. V-VI, თბ., 1940, გვ. 419-424.

Всеобщая история архитектуры, т. II, 1949, М.


Гагошидзе Ю., Самадло, Тб., 1979.

Мелитаури К., Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, I, 1969, Тб.

Цкитишвили Г., Результаты работ на Цихиагора. – Краткие сообщения института археологии АН СССР, 151, М., 1977, с. 87.

ილუსტრაციების აღწერილობა:



1. მთაქართლი. გეგმა.
2. მთაქართლი. ზღუდის სამხრეთი კედლის ქვეშ დაფიქსირებული უძველესი ნყოფა.
3. მთაქართლი. მშენებლობის მეორე დონე, გეგმა.
4. მთაქართლი. აღმოსავლეთი ფასადის რეკონსტრუქცია.
5. მთაქართლი. მშენებლობის მესამე დონე, გეგმა.
6. კარსნის ხევისა და არმაზციხის (ბაგინეთი) ხედი.
7. არმაზციხის ზღუდის ფრაგმენტი და V-VIII კომპლექსი, გეგმა.
8. არმაზციხის ზღუდის ფრაგმენტისა და V-VIII კომპლექსის რეკონსტრუქცია.
9. არმაზციხე, VII კომპლექსის I, II, IV სართულების გეგმა და ჭრილი.
- 10, 11. არმაზციხე. არსენალის („სვეტებიანი დარბაზი“) გეგმა, ჭრილები, გადახურვის რეკონსტრუქცია.
12. არმაზციხე. არსენალის („სვეტებიანი დარბაზი“) აქსონომეტრია.
- 13, 14. სარკინე. ციხის კარიბჭის გეგმა და რეკონსტრუქცია.
15. ნაბაღრები. ანტიკური ხანის ნაგებობის სვეტების ფრაგმენტები.
16. სამადლო. მავზოლეუმის გეგმა და რეკონსტრუქცია.
17. კარსნისხევის სამეთუნეო სანარმო, რეკონსტრუქცია.
18. კარსნისხევის მარანი, რეკონსტრუქცია




1



2










7




8






11


ᐅᐃᐅᐅᐅ




12




11-3




14




15



16



17



18

2013-2015 წლების არქეოლოგიური გათხრები დედოფლის გორაზე

ექსპრეს ინფორმაცია

დედოფლის გორა მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლია, რომელიც მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტში მტკვრის მარცხენა შენაკადის დასავლეთის ფრონის (ფციულას) მარცხენა ნაპირას, მისი მტკვართან შესართავის მახლობლად, დასავლეთ და აღმოსავლეთ ფრონეებითა და კვერნაკის ქედის მონაკვეთით მოზღუდული ვრცელი ვაკის, ე.წ. დედოფლის მინდვრის სამხრეთ ბოლოში (კოორდინატები: 42°02'48.66''; 43°51'37.75'').

დედოფლის გორა არადეთის ორგორის დასავლეთის, უფრო მაღალი ბორცვია. ციცაბო ფერდობიანი გორის სიმაღლე მდინარე დასავლეთი ფრონის დონიდან 34 მეტრია (ზღვის დონიდან 678 მ), ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ დაქანებული ოვალური მოხაზულობის მისი თხემის ფართობი დაახლოებით 3500 კვ.მ.-ს შეადგენს; დედოფლის მინდვრიდან და ორგორის დასავლეთი, უფრო ვრცელი, მაგრამ დაბალი გორისაგან ღრმა თხრილითაა გამოყოფილი.

დედოფლის გორის სამხრეთი ფერდობი, რომელსაც მდინარე რეცხავს, თითქმის შვეულად ეშვება და აქ, ჭრილობი გორის თხემიდან 14 მეტრის სიღრმემდე კულტურული დანაშრევებია გაშიშვლებული.

დედოფლის გორა, როგორც საყურადღებო არქეოლოგიური ობიექტი ცნობილია 1926 წლიდან, როდესაც აქ მცირე არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა-გეოლოგმა ლეო ტიტვინიძემ (გათხრებით მოპოვებული მასალა - ოქროს, ბრინჯაოს, ძვლისა და კერამიკული ნაკეთობები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმში). [გაგოშიძე 1973: 77-82; აბრამიშვილი 1977: ტაბ. 8].

1956 წლის შემდეგ, როდესაც მუშაობა დაიწყო ს.ჯანაშიას სახელობის ურბნისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, დედოფლის გორა რამდენჯერმე მოიხილეს ქართველმა არქეოლოგებმა (მათ შორის ოთარ ღამბაშიძემაც), რომლებიც მას "ფოშტიგორის" სახელით მოიხსენიებდნენ.

1971 წელს ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქსნის (სამად-

ლოს) არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა ი.გაგოშიძემ, ხოლო 1976 წელს იმავე მუზეუმის შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრმა ვ.ლექვიანიძემ დედოფლის გორაზე სტაციონარული არქეოლოგიური გათხრების მიზანშეწონილების განსაზღვრის მიზნით ჩაატარეს მცირე მასშტაბის დაზვერვითი სამუშაოები: 1971 წელს გაინმინდა გორის გაშიშვლებული სამხრეთი ფერდობის დასავლეთ ბოლოში სულ 1 კვ.მ. ნახანძრალი იატაკი, ხოლო 1976 წელს გორის თხემის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გაითხარა 4მX10მ ფართობი 60 სმ. სიღრმემდე, სადაც მხოლოდ ადრეული შუასაუკუნეების კერამიკული მასალა აღმოჩნდა. დაზვერვის შედეგად გაირკვა, რომ საქმე გვაქვს გვიანელინისტური-ადრერომაული ხანის მძლავრ ნახანძრალ ფენასთან, რომელიც გადაფარულია ადრეული შუასაუკუნეების კულტურული ფენებით. გაირკვა ისიც, რომ დედოფლის გორა მართლაც დიდმნიშვნელოვანი არქეოლოგიური ობიექტია, სადაც არქეოლოგიური გათხრების დაწყება სერიოზული მომზადებისა და სათანადო დაფინანსების გარეშე შეუძლებელია.

1972 წლიდან დედოფლის მინდორზე არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის (ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმი) შიდა ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ი.გაგოშიძე). დედოფლის გორა, ცხადია, მუდმივად მოქცეული იყო ექსპედიციის კვლევის სფეროში. 1972-76 წლებში ექსპედიციამ ნაწილობრივ გათხარა დედოფლის მინდვრის გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი, რომელიც განისაზღვრა როგორც ქართლის (იბერიის) მეფეთა საგვარეულო სალოცავი. [გაგოშიძე 1977: 72-83; გაგოშიძე 1978: 62-77; Гагошидзе 1977: 102-108; Гагошидзе 1981: 102-115; Gagoshidze 1992: 27-48]. დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსი იმავე გვიანელინისტურ-ადრერომაულ პერიოდს მიეკუთვნება, რომელსაც დედოფლის გორის ზემოთნახსენები ნახანძრალი ფენა, და მაშინვე გაჩნდა ვარაუდი ამ ორი არქეოლოგიური ობიექტის მჭიდრო ურთიერთკავშირის

თაობაზე, რაც შემდგომში დამტკიცდა კიდევ.

1979-1981 წლებში შიდა ქართლის ექსპედიციას მოუხდა მუშაობა დედოფლის მინდვრის სამხრეთ ბოლოში, დედოფლის გორის მისადგომებთან, სადაც შენდებოდა საბოცვრე კომპლექსი. მშენებლობის ტერიტორიაზე გაითხარა ადრეული ბრინჯაოს ხანის (მტკვარ-არაქსის კულტურის) 11 აკლდამა, გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ეტლიანი ყორღანი და გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის 56 სამარხი, აგრეთვე ამავე პერიოდის რამდენიმე შენობა და მტკვარ-არაქსისა და ბედენური კულტურის ორმოები. [Гагошидзе, 1986: 56-67; Гагошидзе, Шишкин 1980: 79-81; ლლონტი, ნემსაძე... 1986: 36-44, ტაბ. VI-IX; გაგოშიძე, ქორიძე... 1986: 56-67]. 1979-80 წლებში საგულდაგულოდ დაიზვერა მთელი დედოფლის მინდორი და მისი მიმდებარე ტერიტორია და გაირკვა, რომ დედოფლის გორა ყოფილა შიდა ქართლში ბრინჯაოს ხანის, ალბათ, ყველაზე უფრო ვრცელი ნამოსახლარის ცენტრალური ობიექტი. ეს სამოსახლო გავრცელებული იყო დედოფლის გორის გარშემო - არადეთის ორგორის აღმოსავლეთ გორაზე და დედოფლის მინდვრის სამხრეთ ნაწილში იქ, სადაც დღეს სოფელი დოღლაურია, აღმოსავლეთ ფრონის ნაპირამდე. ნამოსახლარის გარშემო ვრცელი სამაროვანია (2012, 2013 და 2015 წლებში სამანქანო მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით ამ სამაროვანზე გაითხარა ადრეული და გვიანდელ ბრინჯაოს ხანის 443 სამარხი).

1980-იან წლებში გაირკვა, რომ მდინარე აღმოსავლეთ ფრონის შესართავთან, მის მარცხენა სანაპიროსთან გამოვლენილი ბერიკლდეების არქეოლოგიური ძეგლი იმავე ნამოსახლარის ნაწილი, სატაძრო-საკულტო უბანი უნდა ყოფილიყო, რომლის ცენტრი იყო დედოფლის გორა. ბერიკლდეების საკულტო სამოსახლოს ჩრდილო-აღმოსავლეთით ვაკეზე აღრიცხულია ორმოცდაათზე მეტი ყორღანი, რომელთაგანაც 7 გაითხარა. მათგან 2 ადრეულ ბრინჯაოს ხანას (ბედენის კულტურა), 4 შუა ბრინჯაოს ხანას და ერთი გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს (ქ.წ. XV ს.) განეკუთვნება. აშკარაა, რომ ამ ყორღანებში იმ სამოსახლოს მეთაურები იმარხებოდნენ, რომლის ცენტრი იყო დედოფლის გორა. [Гагошидзе, 1986: 56-67; Гагошидзе, Шишкин 1980: 79-81; ლლონტი, ნემსაძე... 1986: 36-44, ტაბ. VI-IX; გაგოშიძე, ქორიძე... 1986: 56-67].

ბერიკლდეების გათხრებით დადასტურდა, რომ ამ ვრცელ სამოსახლოს საფუძველი უნდა ჩაჰყროდა ხალკოლითის ეპოქაში, ქ.წ. IV ათასწლეულის პირველ ნახევარში: ბერიკლდეებზე გაითხარა ბედენური და მტკვარ-არაქსული ფენებით გადაფარული ხალკოლითის ხანის ორი კულტურული ჰორიზონტი, რომელთაგანაც ერთ-ერთში ტაძარიც აღმოჩნდა [ლლონტი, ნემსაძე... 1986: 36-44, ტაბ. VI-IX; ჯავახიშვილი 1998: 7-20; ყიფიანი 1997: 13-57].

მოგვიანებით ამავე კულტურის კუთვნილი კერამიკა დედოფლის გორის სამხრეთ ფერდობზეც დადასტურდა (მ.ჯალაბაძე). 2014 წელს ბერიკლდეების ჩრდილოეთით ავტომაგისტრალის მშენებლებმა გახსნეს ინერტული მასალის კარიერი, რომელმაც დააზიანა არქეოლოგიური ობიექტები. 2015 წლის თებერვალში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ იქ გააგზავნა არქეოლოგიური ექსპედიცია ი.გაგოშიძის ხელმძღვანელობით, რომელსაც დაევალა ამ დაზიანებული ობიექტების შესწავლა. ექსპედიციამ გაარკვია, რომ კარიერს გაუნადგურებია ხალკოლითის ეპოქის ვრცელი ნასოფლარი და ბრინჯაოს ხანის რამდენიმე ყორღანი. ექსპედიციამ გათხარა შუაბრინჯაოს ხანის ერთი დანგრეული ყორღანი და ხალკოლითის ეპოქის ერთი მიწურისა და 4 სამეურნეო ორმოს ნაშთი. ექსპედიციამ დაზვერა ასევე კარიერისათვის მომზადებული ტერიტორია, რომლის ფართობი 8500 კვ.მ. აღწევს და გაარკვია, რომ აქ ჩანს სამარხებისა და ორმოების კვალი. კარიერის მუშაობა შეჩერებულია და გამოვლენილი ობიექტები ელოდება გათხრა-შესწავლას.

1985 წელს დედოფლის გორაზე დაიწყო სტაციონარული არქეოლოგიური გათხრები, რომლის ძირითადი მიზანი იყო ქ.წ. I - ქ.წ. I საუკუნის სასახლის ნანგრევების შესწავლა. 1985-1990, 1992-1993 და 2004-2007 წლების გათხრების შედეგად გაირკვა, რომ სასახლე აუშენებიათ ქ.წ. II-I საუკუნეთა მიჯნაზე. დროდადრო, როდესაც ქართლის სამეფო ოჯახი მიდიოდა დედოფლის მინდვრის ტაძრებში სალოცავად, ეს სასახლე ქართლის (იბერიის) მეფეთა რეზიდენციად იქცეოდა ხოლმე. სასახლე დაინგრა ქ.წ. I საუკუნის ბოლოს ძლიერი მიწისძვრით [Varazanashvili, Tsereteli, 2011, 21], რომელსაც ხანძარიც მოყვა. ზედა სართულების დამწვარ-დადუღებულმა მასამ საიმედოდ დააკონსერვა სასახლის პირველი

სართული. მიწისძვრა და ხანძარი იმდენად ძლიერი და, რაც მთავარია, უეცარი ყოფილა, რომ სასახლის ბინადართ შენობიდან თითქმის ვერაფრის გატანა მოუხსნიათ. ამიტომ არის ესოდენ მდიდარი და მრავალფეროვანი სასახლის გათხრებით მოპოვებული ნივთიერი არქეოლოგიური მასალა. სასახლის 19 სათავსოდან მუზეუმში მოხვდა 15000- მდე არტეფაქტი: ავეჯი, საბრძოლო და სამეურნეო იარაღ-საჭურველი, სხვადასხვა მასალის (ვერცხლი, ბრინჯაო, მინა, ხე, ძვალი) ჭურჭელი, სამკაული, მონეტები და სხვ., მათ შორის ქსოვილებიც კი. აღმოჩნდა საქართველოსა და კავკასიაში უძველესი აბრეშუმი [Kvavadze, Gagoshidze 2008: 211-215.]. დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი არამეული წარწერები კ. წერეთლის აზრით ე.წ. არმაზული დამწერლობის უძველესი ნიმუშებია [წერეთელი 1992; Tsereteli 1993: 85-88]. (1985-1993 წლების გათხრების შედეგები გამოქვეყნებულია [Gagoshidze 2001; Furtwangler, Gagoshidze 2008]).

მშენებლობის ტექნიკის თვალსაზრისით, დედოფლის გორის სასახლე ტიპური ნაგებობაა ელინისტური ხანის ქართლისთვის [Гагошидзе 1979: 56-57; Zkitischvili 1995: 87, ნახ. 2-4]. მზიდი კონსტრუქცია ხისაა. კედლებისა და პილონების ქვედა ნაწილი წარმოადგენს კედლის სიგრძივ და გარდისგარდმო დალაგებული ხის ძელებით შეკრულ გალიას, რომელიც 1,5-2 მ. სიმაღლემდე შევსებულია ბუნარევი თიხის ხსნარზე დაწყობილი მსხვილი რიყის ქვით. კედელი გარედან და ზოგჯერ შიგნიდანაც მოპირკეთებულია ქვიშაქვის თლილი ბლოკებით, რომლებიც ერთმანეთთან და კედლის არმატურის ძელებთან დაკავშირებულია ისრისპირის ფორმის ხის პირონებით (ასეთივე პირონები უხმარიათ ზადენ-ციხის (წინამურის, სტრაბონის Συστάματα- იხ. Strabo, XI, 3,5. [ყაუხჩიშვილი 1957]) კედლებში [აფაქიძე 1963: 192], აგრეთვე, შორაპნის ციხის (Σαραπανά - იხ. Strabo, XI, 2, 17) უძველეს ფენაში (მაჩვენა 1987 წელს არქეოლოგმა ვ. ჯაფარიძემ). ისრის ფორმის ტყვიის გამირი ნაპოვნია სამადლოს ნაქალაქარზეც [Гагошидзе 1981ა: 604]. (ამგვარი ნიშნები ცნობილია Opus Gallicum სახელწოდებით [Wilsdorf 1986: 344-345]. მსგავსი ნიშნები - Timberlaced rampart - უკვე გამოიყენებოდა ტროა II-ში, მიწისძვრა და მიკენური ხანის ნაგებობებში, ცენტრალურ ევროპაში ურნების ველის კულტურაში (ქ.წ. IX-VIII სს), ჰალამტატსა და ლა-

ტენში; მისი განსაკუთრებული ფორმა - Murus Gallicum ანუ გალური კედელი კეისარს დახვედრია გალიაში, ბავარიაში. კედელში არ არის ვერტიკალური ძელები. შევსებულია რიყის ქვით. მოპირკეთებულია ფლეთილი ან თლილი ქვის მშრალი ნიშნით, ამასთან, ძეგლების ბოლოები გამოჩრილია მოპირკეთებაში. ასეთი ნაგებობის დაწვა იწვევს კედლის დაწინებამდამინებას (Vitrified Fort) [Bray, Trunp 1970: 233; Collis 1993: 102-103, ნახ. 78].).

1,5-2 მ. სიმაღლის ასეთ ცოკოლზე აყვანილია ალიზის კედელი, რომელიც ასევე არმირებულია ხის ძელებით. ძელები აწყვია ყოველ 90 სმ-ში, როგორც სიგრძივ, ისე გარდისგარდმო და ერთმანეთთან ჩაჭრით (ჯარგვალურად) არიან დაკავშირებულნი (ვიტრუვიუსის რეკომენდაციას იძლევა, შეძლებისდაგვარად ხშირად ჩაიწყოს გარუჯული ძელები ალიზის ნიშნებში, “რაც მას საუკუნო სიმტკიცეს ანიჭებს”. [Vitruvii.De Architectura, 1, V,3.] - ციტირებულია რუსული თარგმანიდან [Петровский 1936: 32].). ალიზის აგურის გვერდის სიგრძე 48-52 სმ-ია, (ერთ შემთხვევაში, 60X60 სმ-იანი აგურიც შეგვხვდა), სისქე თითქმის ყოველთვის 16 სმ-ია. ნიშნებში, ცხადია, იხმარება ნახევარაგურებიც. კედლები, რომლებიც ზოგან 2-3 მ. სიმაღლეზე შემორჩა, ყველგან, სადაც არ არის თლილი ქვით მოპირკეთება, ბუნარევი თიხის ხსნარით არის შებათქაშებული. მშენებლობის დაწყების წინ კედლის გარეპირთან ამოულიათ 50-60 სმ. სიგანის და 30 სმ. სიღრმის თხრილი, რომლის ძირზე დააგეს რიყის ქვის ერთი ფენა, რომელზედაც დაყრდნობილია საფასადე მოპირკეთება. თავდაპირველად, მოპირკეთების ამ პირველი ფენის ქვები ნაწილობრივ ჩანდა მიწისპირას, მაგრამ დროთა განმავლობაში მიწით დაიფარა და ციხე-დარბაზის ნგრევის მომენტისთვის მოპირკეთების მეორე ფენაც კი ნაწილობრივ მიწისქვეშ მოხვდა. აქ, კედლის გარეთ, მოხერხდა ნგრევისა და მშენებლობის პერიოდის მიწის ზედაპირის დადგენა და განმეხდა. გაირკვა, რომ ციხე-დარბაზის ორსაუკუნოანი არსებობის განმავლობაში მიწის დონე ციხე-დარბაზის გარეთ 20 სმ-ით აწეულა. ნგრევის პერიოდის ზედაპირი ნახშირითა და ნაცრითაა დაფარული, მშენებლობის დროისა კი - მოსაპირკეთებელი ქვის თლის დროს წარმოქმნილი ნაფხვენით.

ბოლო წლებში გაცხოველებული ინტერესი კავკასიის ხალკოლითური ხანის კულტური-

სადმი (მაიკოპ-ნოვოსვობოდნაის ერთობა ჩრდ. კავკასიაში, ლილა-თეფეს კულტურა აზერბაიჯანში, ბერიკლდეები, სამელე-კლდე და სხვ. საქართველოში), რომელიც მესოპოტამიურ ურუქის კულტურას უკავშირდება, გახდა იმის საფუძველი, რომ კიდევ უფრო გაზრდილიყო დედოფლის გორისადმი ინტერესი.

სწორედ ამიტომ მოექცა დედოფლის გორა ქართულ-იტალიური ერთობლივი "შიდა ქართლის არქეოლოგიური პროექტის" ინტერესთა სფეროში. პროექტის მონაწილე საქართველოს მხრიდან არის საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ხოლო იტალიის მხრიდან - ვენეციის კაფოსკარის უნივერსიტეტი.

2013 წელს ამ პროექტის მეხუთე სეზონი მიეძღვნა დედოფლის გორას, რომლის სამხრეთ და აღმოსავლეთ ფერდობებზე გაეგლო თითო სტრატეგრაფიული ქრილი. სტრატეგრაფიული ქრილების გათხრა გრძელდებოდა 2014 და 2015 წლებშიც. პარალელურად გრძელდებოდა სამეფო სასახლის გათხრებიც. შესწავლილ იქნა მორიგი, №20, №21, №22 ოთახები და დერეფნის (ტალანის) მონაკვეთი ამ ოთახების წინ. ცხადია, ამავე მონაკვეთზე გაითხარა ადრეული შუასაუკუნეების კულტურული ფენაც.

სამი საველე კამპანიის განმავლობაში სტრატეგრაფიული ქრილი დედოფლის გორის აღმოსავლეთ ფერდობზე დავიდა მტკვარ-არაქსის კულტურულ ფენამდე, რომელიც უშუალოდ გრუნტზე იდო. ხალკოლითის პერიოდის კულტურული ფენა აქ არ გამოვლენილა: ეს ფენა გორის შუაგულისაკენ უნდა იყოს. სამხრეთ ფერდობზე, სადაც ქრილში, გორის ზედაპირიდან თოთხმეტი მეტრის სიღრმეზე ადრევე ჩანდა მტკვარ-არაქსის ფენა (აქვე აღმოჩნდა ხალკოლითური ეპოქის კერამიკის ფრაგმენტიც), სტრატეგრაფიული თხრილი დავიყვანეთ გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპამდე.

სტრატეგრაფიული ქრილების გათხრებით გაირკვა, რომ გვიანდელ ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ ეტაპზე (სავარაუდოდ, ქ.წ. XIII საუკუნეში) გორის გარშემო დიდი ზომის ლოდებისგან აუგიათ გალავანი და იმავე დროს გორა გამოუყვიათ ათი მეტრის სიღრმისა და თითქმის ოცი მეტრის სიგანის თხრილით, როგორც დედოფლის მინდვრისგან, ისე ორგორის აღმოსავლეთი გორისაგან. თხრილიდან ამოღებული მასალით მოუსწორებიათ გორის ზედაპირი გალავნის შიგნით. ამრიგად გაირკვა,

თუ საიდან გაჩნდა ხრეში და რიყე, რომელშიც ელინისტური ხანის სასახლის ქვევრები იყო ჩასმული და ისიც, თუ რატომ ჩნდებოდა უშუალოდ სასახლის საძირკვლის ქვეშ არა აქემენიდური ან ადრეული ელინისტური ხანის, არამედ მხოლოდ ადრეული რკინის ხანის მასალა: სასახლის მშენებლობის დაწყების წინ სამშენებლო მოედნის ნიველირებამ, როგორც ჩანს, შეინირა გვიან ბრინჯაოს ხანაში მოხრეშულ ზედაპირზე დაგროვილი კულტურული ფენების ნაწილი (სტრატეგრაფიულ ქრილებში დადასტურდა როგორც აქემენიდური, ისე ადრეული ელინისტური ხანის ფენები, რომლებიც აქამდე არ ჩანდა).

დედოფლის გორის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ადრეული ბრინჯაოს ხანაში მეტყველებს აღმოსავლეთის ფერდობის სტრატეგრაფიულ ქრილში, მტკვარ-არაქსის კულტურულ ფენაში გამოვლენილი, ამ კულტურისათვის უჩვეულო ნაგრძელებული მართკუთხედის ფორმის ნაგებობა, რომელიც, ამჟამად, ტაძარი უნდა ყოფილიყო. ამ შენობაში აქამდე უცნობი ფორმის ორი კერამიკული რიტონიც აღმოჩნდა.

2015 წლის საველე კამპანიის ბოლოს 1მ.X0.8მ. ზომის შურფი ამოვიღეთ სამხრეთის სტრატეგრაფიულ თხრილში, ბრინჯაოს ხანის საფორტიფიკაციო კედლის უკან. ამ თხრილში 1,5 მ. სიღრმეზე დადასტურდა მოლესილი იატაკი, რომელზეც შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა, მათ შორის წითელ ფონზე შავად მოხატული ფრაგმენტიც აღმოჩნდა. ეს არის ნამოსახლარ ფენებში თრიალეთური კულტურის მოხატული ჭურჭლის აღმოჩენის პირველი შემთხვევა საქართველოს არქეოლოგიაში. შუა ბრინჯაოს ხანის თიხის შავპრილა ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა სამხრეთი ფერდობის სტრატეგრაფიულ ქრილში ამოღებულ ასეთივე შურფშიც, იმავე დონეზე. ამრიგად, გაირკვა, რომ დედოფლის გორაზე შუა ბრინჯაოს ხანის დასახლებაც არსებულა.

2013-2015 წლებში ექსპედიციამ იმუშავა ადრერომაულ-გვიანელინისტური ხანის სასახლის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც, როგორც უკვე ითქვა, გათხარეთ სასახლის სამი სათავსო (№21, №22, №23 სათავსოები). ეს არის დედოფლის გორის თხემის უკიდურესი აღმოსავლეთი კიდე და გორის ყველაზე მაღალი ნაწილი. აქ მიწის ზედაპირ-

ზევე იკრიფებოდა ადრეული შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი კრამიტის ნატეხები და ამიტომ ვთვლიდით, რომ აქ უნდა მდგარიყო დედოფლის გორის ადრეული შუასაუკუნეების სამოსახლოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი (კრამიტით დახურული) შენობა: გორაზე გამოვლენილ ამ პერიოდის არცერთ ნაგებობას (სამლოცველოების ჩათვლით) კრამიტის საფარიანი სახურავი არ ჰქონია. 2013-სა და, განსაკუთრებით, 2014 წლის გათხრებმა დაგვანახა, რომ დედოფლის გორის ზედა (პირველი) კულტურული ფენის ეს უმთავრესი ნაგებობა უკვე მეოთხე საუკუნეში ან მესამე-მეოთხე საუკუნეების მიჯნაზე აუშენებიათ და ის ამის შემდეგ, სულ ცოტა, ორჯერ მაინც განუახლებიათ (ან ხელახლა აუშენებიათ) მეექვსე საუკუნემდე, როცა დედოფლის გორის სამოსახლომ არსებობა შეწყვიტა. ამ დასკვნის უფლებას იძლევა ის გარემოება, რომ მიწისზედა, ჰუმუსიანი (არეული) ფენის თხრისას დიდი რაოდენობით გვხვდებოდა სამი განსხვავებული ტიპის კრამიტის ნატეხები. ერთი მათგანი – დიდი ზომის მაღალბორტიანი სოლენები, წითლად შეღებილი ზედაპირით არ უნდა იყოს III-IV საუკუნეზე უფრო გვიანი ხანისა მაშინ, როცა მათთან ერთად მიწის იმავე ფენაში გვხვდებოდა უფრო უხეში დაბალ და სქელბორტიანი სოლენები, რომელთა ზედა კიდეც ღარი გასდევს. ასეთი კრამიტები, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, VI საუკუნეზე ადრეული არ უნდა იყოს. ამ ორი ტიპის კრამიტებს გარდა აქვე გვხვდებოდა ისეთი სოლენებიც, რომლებიც ტიპოლოგიურად ორი ზემოხსენებული ტიპის კრამიტებს შორის უნდა მოთავსდეს.

კრამიტის ნატეხები კი ბლომად იყო, მაგრამ თვით შენობის ვერავითარ კვალს ვერ მივაგენით: კრამიტის ნატეხები შემცველი ფენის ალებისთანავე ჩვენ პირდაპირ მეორე კულტურულ ფენაზე ანუ გვიანელინისტური-ადრერომაული ხანის სასახლის ნანგრევებზე აღმოვჩნდით (გავიხსენოთ ადრეული გათხრები დედოფლის გორის თხემის დასავლეთ ნაწილში, სადაც პირველი კულტურული ფენის სიმძლავრე 2-3 მეტრს აღწევდა და რომელშიც ოთხიდან შვიდამდე სამშენებლო ჰორიზონტის დაფიქსირება მოხერხდა). ამას ორი მიზეზი აქვს. ერთი - ეს არის ქარისმიერი ეროზია, რომელიც ძალიან ძლიერია დედოფლის გორის თხემის აღმოსავლეთ და მაღალ ბოლოში. დღესაც კი, როცა ქვედა ქარს აქ ფეხზე ვერ

დაუდგები, გორის თხემის დასავლეთ, დაბალ ნაწილში მყუდროა ხოლმე. მეორე სავარაუდო მიზეზი უფრო პროზაულია: XX საუკუნის დასაწყისში, როცა ქართლის სოფლებში გლეხობამ მიწურებიდან მიწისზედა სახლებში დაიწყო გადასვლა, სოფელ არადეთის მცხოვრებლებმა დედოფლის გორის თხემის აღმოსავლეთ ნაწილში სამშენებლო ქვის კარიერი გახსნეს. ეს კარგად ახსოვდათ არადეთის უხუცეს მცხოვრებთ ამ 30-40 წლის წინ, როცა აქ შიდა ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაიწყო მუშაობა. არადელებმა გადათხარეს და მთლიანად შემოაცალეს სასახლის კედლის მოპირკეთების თლილი ქვები. ნათხარის კვალი დღესაც ჩანს. არადელების გაზიდული უნდა იყოს გორის ზედა კულტურული ფენის კრამიტის სახურავიანი ნაგებობის ქვები, თუკი ის ქვის ნაგებობა იყო, თორემ ალიზის ნანგრევს ქარიც წარმატებით წაიღებდა.

არეული (ჰუმუსიანი) მიწის თხელი ფენის ქვეშ ადრერომაული-გვიანელინისტურის სასახლის ნანგრევი გამოჩნდა, რომელშიც ჩასმული იყო ქ.მ. III-IV საუკუნის საღვინე ქვევრები. თხრილის უკიდურეს ჩრდილო ბოლოში ერთი დიდი ზომის ქვევრი ძირმოტეხილი ჩაუდგამთ მიწაში. ქვევრის მოტეხილი ძირი რიყის ქვების გროვას ეყრდნობოდა. ამკარაა, რომ ამ ქვევრს განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა: ეს იყო საპირფარეო. ასეთი საპირფარეოები დედოფლის გორაზე წინა წლებშიც გაითხარა. ყველა საპირფარეო, როგორც წესი, მოწყობილი იყო ეზოში, საცხოვრებელი სახლიდან ყველაზე მეტად მოშორებულ ადგილას. ერთ შემთხვევაში ძირმოტეხილი ქვევრი მიწაში პირქვე იყო ჩადგმული. მიწა საპირფარეოების გარშემო ფერშეცვლილი იყო.

2015 წელს გადაწყვიტეთ შეგვესწავლა გვიანელინისტური-ადრერომაული სასახლის ეზოს მონაკვეთი №20 ოთახის წინ (დასავლეთით). ამისათვის გასათხრელად მოვზომეთ 5X5 ფართობი, კვადრატი 102.100დ (კვადრატის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის სიმაღლე 677.55, სამხრეთ-აღმოსავლეთის-677.04, ჩრდილო-დასავლეთის-676.91, სამხრეთ-დასავლეთის-676,45). ფხვიერი ზედაპირული ფენის ქვეშ 676.50 დონეზე აღმოჩნდა ჩრდილოეთიდან-სამხრეთისაკენ მიმართული რიყის ქვების ნეობა-ალიზის კედლის საფუძველი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არის იმ შენობის დასავლეთი კედელი, რომლის ძირითადი ნაწილი სასახ-

ლის დერეფნისა და №20 ოთახის თავზე მდებარეობდა. ამ შენობას უნდა ეკუთვნოდეს 2014 წელს გათხრილი, ზემოთ ნახსენები ქვევრები. შენობა იდგა უშუალოდ სასახლის ნანგრევზე. ქვევრის ალაგების შემდეგ კარგად გამოჩნდა სასახლის გადმონოლილი ალიზის გარე კედელი, სადაც აგურები ვერტიკალურ მდგომარეობაში იყო. სასახლის ალიზის კედლის ნანგრევი ვრცელდება №20 ოთახის დასავლეთი კედლიდან 8 მეტრის მანძილზე, აქედან იწყება მკვეთრი ქანობი დასავლეთისკენ. ქვის წყობის დასავლეთით გაიწმინდა 3 ვიწრო ორმო. შესაძლებელია ხის ბოძებისათვის. ერთ-ერთში მართლაც აღმოჩნდა ხის ნაშთი.

კედლის დონიდან დაახლოებით 80 სმ სიღრმეზე კვადრატის დასავლეთ ნახევარში გაიწმინდა თიხით მოლესილი ფართობი, რომელსაც ალაგ-ალაგ ცეცხლის კვალი ემჩნეოდა. ამ მოლესილობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მინაში ჩადგმული იყო პატარა ზომის ქვევრის ზედა ნაწილი. ქვევრის პირი საგანგებოდ იყო მოლესილი თიხით. როგორც ჩანს ეს ტერიტორია ღია ცის ქვეშ იყო, ხოლო ქვევრის პირი ფარავდა წყლის სანრეტ ორმოს, ისეთს, როგორებიც ადრეც გვქონდა გათხრილი დედოფლის გორის პირველ, ადრეული შუასაუკუნეების ხანის კულტურულ ფენაში.

საინტერესო გამოდგა ამ პირველ კულტურულ ფენაში მოპოვებული კერამიკული ნაწარმი. კრამიტის ნატეხები 2014 წელთან შედარებით ნაკლები გვხვდებოდა და მათი უმეტესობა V-VI საუკუნეების ნაწარმი უნდა იყოს. სამაგიეროდ საკმაოდ მრავალფეროვანია კერამიკული ჭურჭელი. განსაკუთრებით ბევრი იყო სამზარეულო ქოთნების და ლუთერიუმების ფრაგმენტები. ქოთნების უმეტესობა შავი და რუხი ფერისაა, ლუთერიუმები კი – კარგად გამომწვარი წითელი ფერის ნაწარმია. საკმაოდ ბევრია ასევე სხვადასხვა ზომის დოქების ფრაგმენტები, რომელთა მხრები ხშირად შემკულია კვეთილი ორნამენტით. ვხვდებით დიდი ზომის ორყურა ყელნიბოიან ამფორებს. მრავლადაა ასევე ჯამები, რომელთა გვერდები შემკულია ჰორიზონტული ჭდეული ხაზებით. გვხვდებოდა დიდი ზომის ქვევრების ნატეხებიც.

ზემოთნახსენებ მოლესილ იატაკზე აღმოჩნდა კეცის მსგავსი დიდი ზომის თიხის ჭურჭლის ნატეხიც, რომელიც მოგვაგონებს დედოფლის გორაზევე გათხრილ საკურთხევე-

ლების ზედაპირზე ჩალესილ ჭურჭელს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამზარეულო ქოთანი, რომელშიც თიხის სამი ბულა აღმოჩნდა. ქოთნის გვერდით თიხის სამარილც იყო.

გარდა თიხის ჭურჭლისა ვიპოვეთ დედოფლის გორის ზედა კულტურული ფენისათვის დამახასიათებელი თიხის 2 კვირისტავი. პირველი ფენის არაკერამიკული მონაპოვრიდან აღსანიშნავია ძვლის 2 ნატიფი ხელობის საკინძი და მინის ჭურჭლების ფრაგმენტები - ერთი მათგანი ფაცეცებიანი ფლაკონის ნატეხია, რომელიც კარგად თარიღდება V საუკუნით.

გათხრების დასრულება სასახლის ეზოს დონემდე მოხერხდა მხოლოდ 102.100d კვადრატის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ალიზის ნანგრევები ფარავდა რიყის ქვის გროვას. მათ შორის იკვეთებოდა ნახშირის ფენა. ეზოს იატაკი გაიწმინდა მხოლოდ ერთი მეტრის მანძილზე და გაირკვა, რომ ეზოს ზედაპირი სასახლიდან მკვეთრად ეშვება დასავლეთისაკენ.

გათხრის დამთავრება ამ კვადრატში ეზოს დონემდე ვერ მოესწრო, რადგანაც დიდი დრო წაიღო №20 ოთახის მომზადებამ მისი სამგანზომილებიანი მოდელის შესაქმნელად. მოგვიხდა №20 ოთახის ხელახლა განმენდა და საგანგებოდ გაიწმინდა მისი კედლები გარედანაც.

დედოფლის გორის სასახლის №20 სათავსოს სრულიად განსაკუთრებული დანიშნულება უნდა ქონოდა. აქ აღმოჩნდა დაუზიანებლად შემორჩენილი ცეცხლის საკურთხეველი, რომლის ბრტყელ ზედაპირზე ხანძრის სიმზურვალისაგან ერთმანეთთან შედუღებული ნივთები ეწყო. ნივთების ადგილზე პრეპარირება სრულიად შეუძლებელი იყო, ამიტომ საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ექსპედიციაში მოავლინა რესტავრატორი თეიმურაზ ფარჯანაძე, რომელმაც მოხსნა ეს მასა და ეროვნული მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში გადაიტანა. თითქმის ერთი წლის ლაბორატორიული დამუშავების შემდეგ ჩვენს ხელთ აღმოჩნდა ბერძნულ-რომაული პანთეონი, თითქმის სრული შემადგენლობით, რომელიც ბრინჯაოსა და ვერცხლის მცირე ზომის ქანდაკებებითაა წარმოდგენილი: აპოლონ-ფებუსი, მისი ტყუპისცალი არტემიდე-დიანა ვერცხლის შუბითა და ვერცხლისავე სანვივებით და მათი დედა ლეტო-ლატონა (ვერცხლის), ტიხე-ფორტუნა, ვაზის ქვეშ მჯდომი სილენოსი, აგრეთვე, ბრინჯაოს არწივის, დელფინისა

და დიდი ზომის ვერცხლის ყორნის ფიგურები. ქანდაკებები პოსტამენტებზე მდგარა. აქვე იყო ოქროს ფოთლოვანი გვირგვინი, ვერცხლის თიმიატერიონი (სასაკმეველე) და მინის ჭურჭელში ჩაყრილი 15 მონეტა: ავგუსტუსის 13 დენარი და ალექსანდრე მაკედონელის სტატერის 2 ადგილობრივი (ქართული) ოქროს მინაბაძი. საკურთხეველზე იდო ხოხბის 2 კვერცი. მაზდეანობისა და ბერძნულ-რომაული კულტების ასეთი, თითქმის დაუჯერებელი თანაარსებობა მხოლოდ საქართველოში (ქართლის სამეფოში) თუ იყო შესაძლებელი.

№20 ოთახი სასახლისათვის “სტანდარტული” ზომის გამოდგა, მისი აღმოსავლეთი და დასავლეთი შიდა კედლების სიგრძე 4.70 მ, ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები კი 5.30 მ-ია. კარი გაჭრილია ოთახის დასავლეთ კედელში, ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან ახლოს და დერეფანში (ტალანში) გადის. საკურთხეველი დგას ოთახის შუა ნაწილში, უფრო დასავლეთის კედელთან ახლოს და აღმოსავლეთისკენაა გახსნილი. ოთახის კედლები შელესილი იყო, იატაკი – თიხატყეპნილი. იატაკის სტრუქტურის შესასწავლად ოთახის ჩრდილო კედელთან ამოვიღეთ მცირე ზომის (0.4X0.4) შურფი. გაირკვა, რომ 40 სმ-ის სისქის ბზენარევი თიხის ფენა დალესილი იყო წვრილი რიყის ქვის ფენილზე. ხანძრის შედეგად იატაკქვეშა თიხის ფენის ორგანული ინგრედიენტი დანახშირდა და ფენამ რუხი ფერი მიიღო.

№20 ოთახში ზემოხსენებულ ნივთებს გარდა რკინის დანა და რკინისავე გაურკვეველი დანიშნულების რამდენიმე ნივთი აღმოჩნდა, მაგრამ საყურადღებო ნივთები ვიპოვეთ კარის ლიობის შემავსებელ ნანგრევში. აქ ნაპოვნი რკინის ტარიანი ფირფიტა, მოძრავი სახელურით, როგორც ჩანს, თავის დროზე კარზე იყო დამაგრებული. აქვე აღმოჩენილი თიხის ორი ბულით, შესაძლებელია, კარი იყო დაბეჭდილი. ბულებზე ცხადად იკითხება ოვალური ფორმის რომაული და კვადრატული ადგილობრივი საბეჭდავების ანაბეჭდები. უნდა ვიფიქროთ, რომ საკურთხეველიან ოთახში შესვლის უფლება ყველას არ ექნებოდა.

აღსანიშნავია, რომ სასახლეში კიდევ ერთი მაზდეანური სამსხვერპლო-საკურთხეველი (ათეშგა) აღმოჩნდა 1992 წელს გათხრილ №10 ოთახში. ერთ შენობაში ორი საოჯახო სამლოცველოს არსებობა გვაფიქრებინებს, რომ მათ სხვადასხვა მომხმარებელი ჰყავდა. ერთი

მათგანი (№10 ოთახი), შესაძლოა, სასახლის მსახურებისათვის იყო განკუთვნილი, მაშინ, როცა მეორეში ლოცვებს დადახლის დიდგვაროვანი მფლობელები ალავლენდნენ.

№20 საკურთხეველიანი ოთახის მსგავსად, მის სამხრეთით მდებარე №21 და №22 სათავსოები ამოვსებული იყო მეტალურგიული ნიღის მსგავსი მასით, რომელიც წარმოიშვა სასახლის ზედა სართულების კედლებსა და სასახლის სახურავის ხანძარში წვისა და ნგრევის შედეგად. ამ მასაში ბევრი არტეფაქტია შემცხვარ-შედულებული ისე, რომ უმეტეს შემთვევაში მათი გამოცალკევება თითქმის შეუძლებელია, თუმცა არის ბედნიერი გამონაკლისებიც. ასეთი გამონაკლისი იყო ბრინჯაოს სასწორი, რომლის ხარიხა, მართალია, ცეცხლში დაგრეხილი, მაინც კარგად გადარჩა მაშინ, როცა, სასწორის თეფშები წვრილ ნატეხებადაა დამსხვრეული. სასწორი აღმოჩნდა ნანგრევში, რომელიც №21 სათავსოს ავსებდა. აქვე იყო თიხის მოხატული დოქიცი. განსაკუთრებით ბევრი ნივთი აღმოჩნდა №22 ოთახის შემავსებელ ნანგრევში, ესაა როგორც თიხის ჭურჭელი, ისე რკინისა და ბრინჯაოს ნივთებიც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კარის საკეტის აღმოჩენა. ესაა რკინის ფირფიტა, რომელშიც მართი კუთხის ფორმის გასაღების ხვრელია ამოჭრილი. ნანგრევში რკინის გასაღების თავიც აღმოჩნდა. ნანგრევში რკინის ბევრი სხვა ნივთიც იყო (მაგალითად, ჩამჩა), თუმცა ზოგიერთი ამ ნივთის ფუნქციის დადგენა გაჭირდა, ასეთია რკინის მოკლე მილი, რომლის ცალი პირი დაკბილულია.

№20 საკურთხეველიან ოთახს სამხრეთიდან ეკვრის ვიწრო სათავსო (№21). სათავსოს გეგმაში აშკარად გამოხატული ტრაპეციული ფორმა აქვს: ოთახის სიგანე დასავლეთ ბოლოში 2.05 მ-ია მაშინ, როცა აღმოსავლეთი კედელი 2.50 მ-ის სიგრძისაა (ოთახის სიგრძე 4.70 მ). ამ ოთახში, პრაქტიკულად, არაფერი აღმოჩენილა, გარდა ერთადერთი ძვლის ფირფიტისა და ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან აქ საქმე გვაქვს კიბის უჯრედთან. კიბე სასახლის ზედა სართულებზე ადიოდა. პირველი ასეთივე კიბის უჯრედი (სათავსო №2) გაითხარა ჯერ კიდევ 1986 წელს. 2004 წელს გათხრილ №17 სათავსოშიც კიბე უნდა ყოფილიყო მოწყობილი. კიბის უჯრედის კარიც დასავლეთის კედელშია გაჭრილი და დერეფანში გამოდის.

კიბის უჯრედის უკანა, აღმოსავლეთი

კედელი ძირადად მოუთხრიათ სამშენებლო ქვის მადიებლებს, რაზედაც ზევით უკვე ვისაუბრეთ. სწორედ აქ ვეცადეთ გაგვეჩვენოთ გარეთა კედლის სიგანე მისი, სავარაუდოდ, გადარჩენილი საძირკვლის მიხედვით. მართლაც, ოთახის იატაკიდან 40 სმ-ის სიღრმეზე გაინმინდა გარე კედლის საძირკველში ჩანყობილი რიყის ქვის საფუძველი, რის საშუალებითაც გაირკვა, რომ გარე კედლის სიგანე ამ ადგილას 2.80 მ ყოფილა. საძირკვლის კვლევის დროს ნაყარ მინაში აღმოჩნდა საქართველოს არქეოლოგიისათვის უჩვეულო ფორმის ლარნაკი, რომლის ქრონოლოგიური კუთვნილება ჩემთვის გაურკვეველია. ცეცხლში ნამყოფი რომ არ იყოს, ვიფიქრებდი, რომ ის თანამედროვე ნაწარმია. იქვე, ნაყარში, აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის კერამიკული ფრაგმენტები ნერტილოვანი ორნამენტით შემკული პრიალა ზედაპირით, რომელიც ძალიან ჰგავს შუა ბრინჯაოს ხანის ნაწარმს.

კიბის უფრედის სამხრეთით გაინმინდა ოთახი №22, რომელიც გეგმაში თითქმის კვადრატული იქნებოდა აღმოსავლეთი კედელი (4.40მ) რომ ცოტა უფრო მოკლე არ ყოფილიყო დასავლეთისაზე (4.80მ); სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლების სიგრძე 4.70მ-ია. კედლები შიგნიდანაც და გარედანაც შელესილია. კარი გაჭრილია დასავლეთ კედლის სამხრეთ ბოლოში, ოთახის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან და ისიც დერეფანში გადის. კარის სიგანე სტანდარტულია, დაახლოებით, 1მ.

ოთახი №22 სამზარეულო უნდა ყოფილიყო. მის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან ფურნე იყო მოწყობილი. ფურნე აგებულია კვადრატული ალიზებით და ორნაწილიანია, რომელთაგანაც ერთი საცხოობი განყოფილებაა, მეორე, უფრო ვიწრო – სანაცრე. საცხოობის ძირზე თიხაში ჩალესილი იყო ბრტყელი კრამიტი (სოლენი), აკეცილი გვერდებით დაბლა (კრამიტზე იდო თიხის ქრაქი). ასეთივე კრამიტით ფარავდნენ, როგორც ჩანს, ფურნის საცხოობ ნაწილს მას შემდეგ, რაც ნაღვერდალს და ნაცარს სანაცრეში გადახვეტდნენ. ფურნის კარის საფარი კრამიტი ეგდო იატაკზე ფურნის წინ. ამავე ოთახის იატაკზე და ოთახის შემავსებელ ნანგრევში აღმოჩნდა რამდენიმე კერამიკული ჭურჭელი. ოთახში ბაზალტის ორი ხელსაფრქვავე აღმოჩნდა. ერთი მათგანი დიდი ზომის ნავისებური ფორმისაა, თავისივე კურანტით და ჩვეულებრივია ელინისტური ხანის საქართ-

ველოსთვის. მეორე კი ოთხკუთხა ფორმისაა და ეს რომაული ხანის ინოვაციად უნდა მივიჩნიოთ პირველი საუკუნის ქართლისათვის: რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს ამ ტიპის ხელსაფრქვავეის აღმოჩენის პირველი შემთხვევაა ქართლში (დასავლეთ საქართველოში ამგვარი ხელსაფრქვავეები ელინისტურ ხანაში უკვე იხმარებოდა). ხელსაფრქვავეების არსებობა სამზარეულოში ბუნებრივია, მით უმეტეს, რომ აქ მარცვლეულის ორი საკმაოდ დიდი გროვაც აღმოჩნდა.

ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ფურნესა და სათავსოს აღმოსავლეთ კედელს შორის ჩაჭედილი იყო ხანძარში მინად ქცეულ ალიზთან შემცხვარ-შედულებული დიდი ზომის კეხის კრამიტი. კრამიტის ნატეხების მასთან შემცხვარი მინისებური მასისაგან გამოცალკეება სავლეთ პირობებში ვერ მოხერხდა.

დედოფლის გორის სასახლის გათხრებისას სახურავის კრამიტი პრაქტიკულად არ გვინახავს, როგორც ჩანს სასახლის სახურავი თითქმის მთლიანად დამწვარ-დამდნარია, ყოველი შემთხვევისათვის, ჯერჯერობით ასე ჩანს, მაგრამ სავარაუდოა, რომ №22 ოთახში აღმოჩენილი კალიპტერი სახურავიდან ჩამოვარდნილი არ არის. საქმე ისაა, რომ წყვილი კეხის კალიპტერისაგან იყო შედგენილი №16 სათავსოში (ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკი) ღუმელი და №10 სათავსოში გათხრილი ათეშგა. ვფიქრობთ, აქაც საქმე გვაქვს კალიპტერებით შედგენილ ღუმელთან, რომელიც ზედა სართულის ოთახის გასათბობად გამოიყენებოდა და იქიდან არის ჩამოვარდნილი №22 ოთახში.

სასახლის დერეფნის (ტალანის) მონაკვეთში, რომელიც გაინმინდა №20 და №21 ოთახებისა და, ნაწილობრივ, №19 და №22 ოთახების წინ, მთლიანად მოყვა ორი ბურჯი – ერთი №20 ოთახის კარის, მეორე კი №21 ოთახის კარის წინ. ტალანის იატაკის დონე №19 ოთახის წინ 0.20 მ-ით უფრო მაღალია ვიდრე №20 ოთახის წინ, ამიტომ ტალანში ბურჯსა და სასახლის კედელს შორის ხის ძელისაგან გამოთლილი საფეხურია მოწყობილი. იატაკის დონე კიდევ ერთხელ დაბლდება №21 ოთახთან და აქაც საფეხურის არსებობა იყო მოსალოდნელი, თუმცა საფეხურის დაფიქსირება ვერ მოხერხდა.

ბურჯები ჩვეულებრივია სასახლისათვის, გეგმაში მართკუთხა (1.60მX1.30მ). ბურჯები იმავე წესითაა ნაშენი, როგორც სასახლის კედლები, ანუ ხის ძელებით შეკრული ბუდეები,

დაახლოებით, ორი მეტრის სიმაღლემდე მსხვილი რიყის ქვითა და თიხით არის შევსებული, ზემოთ კი, გრძლედება ალიზის აგურის წყობა, რომელიც ასევე ხის ძელებით არის არმირებული. ბურჯები ისევე, როგორც კედლები შეღესილია.

ტალანის გათხრებმა წარმოაჩინა მინისძვრით გამოწვეული ნგრევის თვალსაჩინო სურათი. ჩანს, თუ როგორ მოწყვიტა მინისძვრის ბიძგმა ბურჯის ზედა ნაწილი იატაკიდან, დაახლოებით, 1.30 მ-ის სიმაღლეზე და გადაისროლა სტრუქტურის დაურღვევლად 2 მ-ზე სამხრეთ-დასავლეთით. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს პირველ ბურჯზე, რომლის ზედა ნაწილი ალიზის წყობის ჩათვლით, თითქმის, პირვანდელი სახით დაფიქსირდა თხრილის დასავლეთ ქრილში. ადრეულ შუასაუკუნეებში, სწორედ, ბურჯის ზედა ნაწილის ალიზის წყობაში ამოუთხრიათ ორმო ქვევრის ჩასადგმელად. აღსანიშნავია, რომ ბურჯის ალიზის წყობა მხოლოდ შერუჯულია ხანძრისაგან.

მინისძვრისგან ბურჯების ნგრევას, ცხადია, სართულემორისი გადახურვის ნგრევაც მოყვებოდა. ამ კატასტროფის სურათიც ამჟამად დაიხატა ტალანის ამ მონაკვეთის გათხრების დროს.

ტალანი ამოვსებული იყო ჯერ მსხვილი რიყის ქვითა და შემდეგ ნახანძრალი ალიზით, რომელშიც, როგორც უკვე ითქვა, III-IV საუკუნის ახალმოსახლეებმა ქვევრები ჩაყარეს.

2014 წლის თხრილმა მოიცვა ტალანის გარეთა სივრცეც - სასახლის ეზოს ვიწრო ზოლიც, სწორედ აქ, ეზოში, თხრილის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა რკინის ორი სამთითა შამფური – ტრიობელონები.

არქეოლოგიური გათხრების პარალელურად ჩატარდა პალინოლოგიური, პალეოენვირომენტული, მიკრომორფოლოგიური და არქეომეტრული კვლევები. რაც მთავარია, განხორციელდა დედოფლის გორის ადრერომაული-გვიანელინისტური ხანის სასახლის გათხრებით გამოვლენილი ნაშთების არქიტექტურულ-არქეოლოგიური შესწავლა მათი კონსერვაციის პროექტის მოსამზადებლად. ჩატარდა წინასწარული, ინტერდისციპლინარული კვლევა, რათა დადგენილიყო ძეგლის სტრუქტურული რაობა ძეგლის მომავალი კონსერვაციისათვის. კვლევებს ახორციელებდა სპეციალისტებისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელშიც შედიოდა ერთი არქიტექტორი და ერთი გეოლოგი.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სასახლის №20 ოთახმა და მის წინა სივრცემ. გადარჩენილი კედლების გრაფიკული ნახაზი შეიქმნა ფოტო-სკანირების მეთოდით. ამავე მეთოდით გაკეთდა სამ განზომილებიანი (3D) გამოსახულება. მოხდა მთლიანი პერიმეტრის ფოტოგრაფირება მომავალი კონსერვაციის პროექტის შესადგენად.

ლიტერატურა:

აბრამიშვილი 1977: გ. აბრამიშვილი. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძური, თბ.

აფაქიძე 1963: ა. აფაქიძე. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი.

გაგოშიძე 1977: ი. გაგოშიძე. წარმართული სატაძრო კომპლექსის გათხრები დედოფლის მინდორზე. - სსმაე, V, გვ. 72-83.

გაგოშიძე 1978: ი. გაგოშიძე. დედოფლის მინდორის სატაძრო კომპლექსის 1976-77 წ.წ. არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. - სსმაე, VI, გვ. 62-77.

გაგოშიძე, ქორიძე 1986: ი. გაგოშიძე, ე. ქორიძე, ა. გოგიჩაიშვილი. შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979-81 წლების საველე მუშაობის ანგარიში. - სსმაე, VIII, თბ., გვ. 56-67.

ლლონტი, ნემსაძე 1986: ლ. ლლონტი, გ. ნემსაძე, ა. ჯავახიშვილი. ქარელის რაიონში, ბერიკლდეებზე 1979-1981 წწ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში, - სსმაე, VIII, თბ., გვ. 36-44, ტაბ. VI-IX.

ყაუხჩიშვილი 1957: თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია. თბ.

ყიფიანი 1997: გ. ყიფიანი. ბერიკლდეები, გალავანი და ტაძარი. სსმმ, XII-, თბ., გვ.: 13-57.

წერეთელი 1992: კ. წერეთელი. ორი მცირე არამეული წარწერა დედოფლის გორიდან. - მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, 1992, 5-8.

Berger 1960: L. Berger. Römische Gläser aus Vindonissa, Basel.

Bray, Trunp 1970: Warwick Bray, David Trunp. A Dictionary of Archaeology, London.

Collis 1993: John Collis. Die Oppidazivilization. – Das Keltische Jahrtausend. Herausgegeben.

Dannheimer, Gebhard 1993: von Hermann Dannheimer und Rupert Gebhard, Mainz am Rhein, S. 102-106.

Furtwangler, Gagoshidze 2008: Iberia and Rome. The Excavations of the Palace at Dedoplis Gora and the Roman Influence in the Caucasian Kingdom of Iberia. Edited by A. Furtwängler, I. Gagoshidze, H. Löhr, N. Ludwig, Halle/Sa.

Gagoshidze 1992: I.M Gagoshidze. The Temples at De-

doplismindori – East and West. pp.27-48.

Gagoshidze 2001: Iulon Gagoshidze. A Royal Palace in First-Century Iberia According to the archaeological material from Dedoplis Gora, Georgia. in: The Royal Palace Institution in the First Millennium BC. Regional development and Cultural Interchange between East and West, Edited by Inge Nielsen, The Danish Institute at Athens, Athens, p.p. 259-283.

Kvavadze, Gagoshidze 2008: E.Kvavadze, I. Gagoshidze. Fibres of silk, cotton and Flax in a weaving Workshop from the first century AD palace of Dedoplis Gora, Georgia. Veget Hist Archaeobot 17 (Suppl): 211-215.

Tsereteli 1993: K. Tsereteli. The Oldest Armazian Inscription in Georgia. – Die Welt des Orients, Band XXIV, 1993, 85-88.

Varazanashvili. Tsereteli 2011: O.Varazanashvili, N.Tsereteli, E.Tsereteli Historical Earthquakes in Georgia (up to 1900): Source Analysis and Catalogue Compilation. Tbilisi .

Zkitchvili 1995: G. Zkitchvili. Der Frühhellenistische Feuermempel von Kawtiskhevi. Archäologischer Anzeiger, Heft 1, s. 83 - 95, 2-4.

JavaxiSvili 1998: A. JavaxiSvili. Ausgrabungen in Berikldeebi (Šida Kartli), Georgica, Heft 21, Constanza, pp.: 7-20.

Гагошидзе 1977: Раскопки храма I в. до н.э. Дедоплис Миндори (Восточная Грузия). – КСИА. 151, Мос., сс. 102-108.

Гагошидзе 1979: Ю. Гагошидзе.Самадло (Археологические раскопки). Тб.

Гагошидзе 1981: Ю. Гагошидзе. Из истории грузино-иранских взаимоотношений (Храм II- I вв. до н.э. Дедоплис Миндори). Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье, Мос., 1981, сс. 102-115.

Гагошидзе, Шишкин 1980: Ю. Гагошидзе, К. В. Шишкин. Результаты аэрофоторазведки археологических памятников Дедоплис Миндори, - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VII. თბ., გვ. 79-81.

Петровский 1936: Витрувий. Десять книг об архитектуре, т.I, перевод Ф. Петровского, Мос.

ილუსტრაციების აღწერილობა:

1, რუკა. დედოფლის მინდორი; ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან-დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსი; სამხრეთით, მდინარის პირას - დედოფლის გორა.

2, დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსის გენერალური გეგმა.

3, კაპიტელის ფრაგმენტები დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსის დასავლეთი კარიბჭიდან; საველე ფოტო.

4, დედოფლის გორა. ხედი აღმოსავლეთიდან.

5, დედოფლის გორა. პირველი კულტურული ფენა. საპირფარეო.

6, დედოფლის გორის სასახლე. ეგმა.

7, დედოფლის გორის სასახლე. სათავსო №22. სამზარეულო. ფურნე სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში.

8, ნავისებრი ხელსაფეკვაი დედოფლის გორის სასახლის №22 სათავსოდან.

9, ოთხკუთხა ხელსაფეკვაი დედოფლის გორის სასახლის №22 სათავსოდან.

10, საკურთხევიანი სათავსო №20. დედოფლის გორის სასახლე.

11, საკურთხეველი. სათავსო №20.

12, სათავსო №20 სათავსოს საკურთხევის ზედაპირი; ჩანს შენირული ნივთები.

13, არტემიდე-დიანა. ბრინჯაო, ვერცხლის სანვივებით (ხელში ეჭირა ვერცხლის შუბი).

14, აპოლონი-ფებუსი, ბრინჯაო.

15, ლეტო-ლატონა. ვერცხლი, ოქროს გვირგვინით.

16, სილენოსი, რინჯაო.

17, ტიხე-ფორტუნა, რინჯაო.

18, პოსტამენტი, ბრინჯაო.

19, პოსტამენტი, ბრინჯაო.

20, არნივი, ბრინჯაო.

21, ყორანი, ვერცხლი.

22, რტო, ოქრო.

23, ხობის კვერცხები.


24, თიმიატერიონი (სასაკმეველე). ვერცხლი.


25, თიმიატერიონი (სასაკმეველე), ვერცხლი.

26, მონეტები: აგუსტეს დენარები (ვერცხლი) და ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბადები (ოქრო).


27, ბულა, თიხა.



I




















17



18




19



20



21



22



23



24



25



26



27

საქართველო

დევიდ ბრაუნდი, საქართველო ანტიკურ ხანაში.

კოლხეთისა და კავკასიის იბერიის ისტორია ძვ.წ. 550—ახ.წ.562.

ბათუმი, 2014.

დღეისთვის თითქმის ჩამოსათვლელია იმ მეცნიერთა რაოდენობა, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ იკვლევდნენ ჩვენი ქვეყნის ისტორიას და კულტურას. ამ მცირერიცხოვან მკვლევართა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ინგლისელ არქეოლოგს და ისტორიკოსს, ექსეცტერის უნივერსიტეტის პროფესორს დევიდ ბრაუნდს. იგი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაინტერესდა ანტიკური ხანის ქართული არქეოლოგიის საკითხებით და ინტენსიურად შეუდგა ამ მიმართულებით სამეცნიერო საქმიანობას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დევიდ ბრაუნდი არის აღიარებული ქართველოლოგების დევიდ ლანგისა და კონსტანტინ თუმანოვის საქმის ღირსეული გამგრძელებელი და ამ კუთხით მისი გამოკვლევები გამოირჩევა პრობლემის არსში სიღრმისეული წვდომით, საკვლევო ობიექტების ზედმიწევნით კარგი ცოდნით და უაღრესად საინტერესო სამეცნიერო მიგნებებით.

დევიდ ბრაუნდი უაღრესად ნაყოფიერი მკვლევარია. მან არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა კლასიკური და რომაული ხანის საქართველოს არქეოლოგიის ცალკეულ საკითხებს. მათ შორის კი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მონოგრაფიას „საქართველო ანტიკურ ხანაში. კოლხეთისა და ამიერკავკასიის იბერიის ისტორია ძვ. წ. 550-ახ.წ.562“, რომელიც ვრცელი ისტორიულ-არქეოლოგიური ფუნდამენტური გამოკვლევაა და ინგლისურ ენაზე პრაქტიკულად ერთადერთი ნაშრომია, რომელიც საშუალებას აძლევს უცხოელ დაინტერესებულ მკითხველს ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ.

ინგლისურ ენაზე აღნიშნული მონოგრაფია ჯერ კიდევ 1994 წელს გამოქვეყნდა ოქსფორდში და ზუსტად ოცი წლის შემდეგ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა მისი ქართული თარგმანი, რომელიც შესრულებულია **თამარ სიხარულიძის** მიერ. ქართული გამოცემის რედაქტორია **ნინო ინაიშვილი**,

ქართული ტექსტის რედაქტორი თამარ სირაძე. ნაშრომს ახლავს საქართველოს ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ისტორიისა და არქეოლოგია საკმაოდ ვრცელი და იმ დროისთვის (1994 წელი) თითქმის სრული ბიბლიოგრაფია და საძიებელი.

მონოგრაფიის ქრონოლოგიური დიაპაზონი მოიცავს საქართველოს ისტორიის ათასწლოვან მონაკვეთს. იგი იწყება კოლხეთის სახელმწიფოს შექმნიდან და თხრობა მთავრდება 562 წლით, მაშინ როდესაც ეგრისის სამეფომ (ავტორორის თქმით, ლაზთა იმპერიამ) დამოუკიდებლობა დაკარგა და ბიზანტიას დაექვემდებარა. თუმცა, მონოგრაფიაში საუბარია საქართველოს ისტორიის უფრო ადრეულ ეპოქაზეც, კერძოდ, არგონავტების დროინდელ კოლხეთზე. დ. ბრაუნდის მეთოდოლოგიური მიდგომით რომაულ ხანაში წარმოქმნილი ეგრისის სამეფოც ანტიკური ეპოქის პროდუქტად განიხილება და მისი ადრეული შუა საუკუნეების, V-VI საუკუნეების, ისტორიაც დაწვრილებითაა წარმოდგენილი წინამდებარე ნაშრომში. საკითხისადმი ამგვარი მეცნიერული მიდგომა შეიძლება ზოგიერთი მკვლევარისთვის საკამათო ან სულაც მიუღებელი იყოს, მაგრამ ის ფაქტი, რომ ანტიკურ ხანაში წარმოქმნილი ეგრისის სამეფო VI საუკუნის 60-იან წლებამდე აგრძელებს არსებობს, რეალობაა და მისი ისტორიის გაბმული სახით წარმოჩენა თავისთავად მისასლმებელი მოვლენაა. იგივე შეიძლება ითქვას IV-V საუკუნეების ქართლის სამეფოს შესახებაც, რადგან არქეოლოგიურად კარგადაა დადასტურებული, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მიუხედავად ანტიკური ეპოქისთვის დამახასიათებელი კულტურული, სოციალური და ყოფითი სიმპტომები ინერციით გრძელდება მთელი IV და რიგ შემთხვევაში, V საუკუნის განმავლობაშიც.

დაინტერესებული მკითხველი სარეცენზიო ნაშრომში აღმოაჩენს ბევრ, მისთვის საინტერესო საკითხებს, რომლებიც ავტორის მიერ წარმოდგენილია არა მხოლოდ ზედაპირული თხრობის სახით, არამედ შეს-

ნავლილია სიღრმისეულად, არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების მაქსიმალური გამოყენებით. ბრიტანელი მეცნიერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის საფუძვლიანად იცნობს ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლს და საკმაოდ კარგადაა გათვითცნობიერებული ქართული, ბერძნული, რომაული, სომხური თუ ბიზანტიური წერილობითი წყაროების ნიუანსებში, რაც მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ხდის დამაჯერებელს და მეცნიერულად არგუმენტირებულს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დ. ბრაუნდი უაღრესად ობიექტური მეცნიერია, რაც თვალნათლივ ჩანს კიდევ წინამდებარე მონოგრაფიაში. მის ყველა მოსაზრებას თუ შეხედულებას საფუძვლად უდევს არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების დეტალური ანალიზი და სხვადასხვა ქართველ თუ უცხოელ მკვლევართა მოსაზრებები ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით.

დეტალურად აღარ შევუდგები ყველა იმ საკითხისა და მეცნიერული პრობლემის ჩამოთვლას, რომლის შესახებაც არის მსჯელობა დ. ბრაუნდის მონოგრაფიაში. დაინტერესებული მკითხველი ყველაფერ ამას საკუთარი თვალთი იხილავს და გაეცნობა. მხოლოდ იმ ფაქტს აღვნიშნავ, რომ არ არსებობს ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის არც ერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც განხილული არ იქნება ამ ვრცელ ნაშრომში. ფაქტიურად, აღნიშნული მონოგრაფია ნარმოადგენს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდის ამსახველ შედარებით სრულყოფილ გამოკვლევას, რომლის მსგავსი წიგნი არა თუ უცხოეთში, არამედ საქართველოშიც კი დღემდე არ დაწერილა და ამ მხრივ ჩვენი ბრიტანელი კოლეგა მხოლოდ მაღლობას იმსახურებს მთელი ქართული საზოგადოებისგან.

ავტორის კეთილსინდისიერებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი არ ივიწყებს არც ერთ იმ ადამიანს, რომელმაც თუნდაც უმნიშვნელო დახმრება აღმოუჩინა და მონოგრაფიის წინასიტყვაობაში სათანადოდ აღნიშნავს თითოეული მათგანის ღვაწლს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს წიგნის ქა-

რთულ ენაზე მთარგმნელისა და თარგმანის რედაქტორის დამსახურება. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ნაშრომი ეთარგმნათ გამართული ქართული ენით, რაც ამ გამოკვლევას აქცევს მიმზიდველ წასაკითხ წიგნად და იმედია, სპეციალისტების გარდა მას საქართველოს ძველი ისტორიით დაინტერესებული მკითხველებიც ინტერესით გაეცნობიან.

აღნიშნული მონოგრაფიის ქართულ ენაზე გამოცემით ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტმა მართლა ძალიან კარგი საქმე გააკეთა და ჩემი აზრით, დ. ბრაუნდის ეს ნაშრომი ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ საქართველოს უნივერსიტეტებმა ის გამოიყენონ თუნდაც დამხმარე სახელმძღვანელოდ მომავალი ისტორიკოსებისა და არქეოლოგებისთვის.

ზურაბ ბრავვაძე

დავით მინდორაშვილი, საქართველოს არქეოლოგია, I. (შუა საუკუნეები)

ბათუმი. 2014.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის დავით მინდორაშვილის სახელმძღვანელო “საქართველოს არქეოლოგია, I”. სახელმძღვანელოს რედაქტორები არიან ისტორიის დოქტორები ვახტანგ ნიკოლაიშვილი და მერაბ ხალვაში; ხოლო რეცენზენტები - ისტორიის დოქტორი ნინო ინაიშვილი და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი გიორგი გაგოშიძე.

ქართული არქეოლოგიური ლიტერატურა სამწუხაროდ, განებივრებული არ არის სპეციალური სახელმძღვანელოებით და ამიტომ ზემოთხსენებულ ნაშრომს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომავალი არქეოლოგების აღზრდის საქმეში.

სარეცენზიო ნაშრომი შედგება რამდენიმე ნაწილისგან: შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიის მოკლე ისტორია; ქართლის სამეფოს ქალაქები; დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლის ციხე-ქალაქები; ეგრისის ციხე-სიმაგრეები; ნასოფლარები; სამაროვნები, დაკრძალვის წესი და სამარხთა ტიპები; კერამიკა და მინის ნაწარმი. თითოეულ ნაწილს ახლავს უმთავრესი ლიტერატურის ჩამონათვალი და ტაბულები, რაც მეთოდოლოგიურად გამართლებულია, რადგან ასე უფრო ადვილად აღსაქმელი ხდება ცალკეულ თავებში აღწერილი თხრობა.

დ. მინდორაშვილი იზიარებს თავის დროზე “საქართველოს ისტორიის ნარკვევების” რვატომეულისთვის შემუშავებულ და ქართულ ისტორიოგრაფიაში მყარად დამკვიდრებულ შუა საუკუნეების ქრონოლოგიურ შკალას და ადრეულ შუასაუკუნეებს განსაზღვრავს IV–X საუკუნეებით; განვითარებულ შუასაუკუნეებს XI–XV საუკუნეებით, ხოლო გვიან შუასაუკუნეებს XV–XVIII საუკუნეებით. თუმცა, ევროპულ ისტორიოგრაფიაში შუასაუკუნეების სხვადასხვაგვარი დეფინიციები არსებობს, რაც ბუნებრივია, კარგად არის ცნობილი ავტორისთვის, მაგრამ საქართველოს რეალობას ალბათ შემოთავაზებული ქრონოლოგიური ჩარჩოები უფრო მიესადაგება და ამ შემთხვევაში სახელმძღვანელოს ავტორისთვის ამოსავალია ორი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა საქართველოს ისტორიისთვის, რომელიც წარმოადგენს შუასაუკუნეების საწყის და ფინალურ ფაზებს. ესენია ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება IV საუკუნეში, როგორც შუა საუკუნეების დასაწყისი და სახელმწიფოებრიობის დაკარგვა XVIII საუკუნის ბოლოს, როგორც შუასაუკუნეების დასასრული ეტაპი.

როგორც ირკვევა, სახელმძღვანელოს გამოცემა მკვლევარს ჩაფიქრებული აქვს ორი ნიგნად. პირველი ნიგნი ეძღვნება ადრეულ შუასაუკუნეებს, ხოლო მეორე ნიგნი დაეთმობა განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების განხილვას.

სახელმძღვანელოში ვრცლადაა მიმოხილული საქართველოში შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენისა და შესწავლის ისტორია და სრულიად სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ამ ეპოქის ძეგლების კვლევა-ძიების საქმეს მძლავრი ბიძგი მისცა რუსთაველის 750 წლის იუბილემ. ავტორის ღირსებაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ იგი არ ივინყებს არც ერთი თაობის არქეოლოგების ღვაწლს და როგორც იტყვიან, ყველას თავის წილ პატივს მიაგებს.

ნაშრომის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ მასში უკვე კარგად ცნობილი და შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლების პარალელურად წარმოდგენილია უკანასკნელ წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ობიექტები, განსაკუთრებით BP-საქართველოსა და სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების შედეგად გამოვლენილი ძეგლები, რომლებმაც სათანადო ადგილი უკვე დაიკავეს საქართველოს არქეოლოგიაში და მათი მონაცემების გათვალისწინება აუცილებელია სხვადასხვა კონკრეტული პრობლემების მეცნიერული შესწავლის პროცესში.

ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც თვალშისაცემია სახელმძღვანელოს გაცნობისას, არის ის, რომ უყურადღებოდ არ არის დატოვებული საქართველოს საზ-

ღვრებს გარეთ არსებული ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები და მათი კვლევა-ძიების შედეგები ჩართულია სასწავლო პროცესში. ამ მხრივ საინტერესოა ისრაელში, კვიპროსსა და რუსეთში ქართველი არქეოლოგების შესწავლილი შუა საუკუნეების არქეოლოგიური ობიექტები, რომლებიც, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ქართული კულტურის განუყოფელ ნაწილს.

მე დანვრილებით აღარ ჩამოვთვლი ყველა იმ არქეოლოგიურ ძეგლს, რომელიც ავტორს განხილული აქვს სახელმძღვანელოში; არც იმ არქეოლოგთა ღვაწლზე გავამახვილებ ყურადღებას, რომელთა ნააზრევისგან დიდად არის დავალებული წარმოდგენილი ნაშრომი. ყოველივე ამას დაინტერესებული მკითხველი საკუთარი თვალთა ნახავს და შეაფასებს. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ასეთი ტიპის სახელმძღვანელო ჩვენში პირველად შეიქმნა, რაც ძალიან კარგი მოვლენაა და შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ არქეოლოგიით დაინტერესებულ მომავალ თაობას გაუჩნდა წიგნი, რომელიც მათ დაეხმარება გაიღრმავონ ცოდნა საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიურ ნიუანსებში, მით უმეტეს, რომ სახელმძღვანელოს ავტორი თვითონ არის ამ მიმართულების ცნობილი და აღიარებული მკვლევარი და სახელმძღვანელოში განხილული არაერთი ძეგლის უშუალო აღმომჩენი და გამთხრელი. ჩემი მხრიდან მინდა წარმატება ვუსურვო ბატონ დავითს და გამოვთქვა იმედი, რომ შუასაუკუნეების არქეოლოგიის მეორე წიგნიც მალე შეემატება საქართველოს არქეოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიას.

ზურაბ ბრაგვაძე



— იულონ გაგოშიძე —

მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

იულონ გაგოშიძე დაიბადა თბილისში 1935 წლის 17 ივლისს. მამა – მიხეილი იყო ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველი დირექტორი, ღვარცოფების ბუნების პირველი მკვლევარი და მათთან ბრძოლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. დედა – დინარა ყიფშიძე არქიტექტორი, საქართველოს მთავრობის სახლისა და თბილისის სარკინიგზო ინსტიტუტის ნაგებობათა მშენებლობის მონაწილე, რუსთავის განაშენიანების ერთ-ერთი არქიტექტორი. მუშაობდა ძეგლთა დაცვის სამმართველოშიც. აზომილი აქვს საქართველოს ძეგლები.

იულონ გაგოშიძის პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის საოჯახო ტრადიციებს. ყიფშიძეების ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ პაპა ზაქარია ყიფშიძე, რუსეთის არმიის ოფიცერი, რომელმაც სამხედრო კარიერა დაასრულა გენერლის ჩინით დამოუკიდებელ საქართველოში, თუმცა, ბუნებით ჰუმანიტარი იყო ისევე, როგორც მისი ძმები: გრიგოლ ყიფშიძე (ილია ჭავჭავაძის მეგობარი და "ივერიის" რედაქტორი, მთარგმნელი), ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე) – ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, ილიას პირველი ბიოგრაფი, ავტორი სამეცნიერო პოპულარული წიგნებისა: "ამბოხება კახეთისა", "მთიულეთი 1804", "დიდებული მესხეთი", "მთის არწივი შამილი", "ხიზნები და ხიზანთა საკითხი" და უმცროსი ძმა ილია - უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორ-მასწავლებელთაგანი; მინერალოგიის პირველი სახელმძღვანელოს ავტორი.

იულონ გაგოშიძის განათლებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის დიდედას, ეკატერინე ბერეჟიანს, რომელიც დაწყებითი სკოლის მასწავლებელი იყო.

1953 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის მე-7 ვაჟთა სკოლა. აქ მიიღო მან საფუძვლიანი განათლება იმ დროისათვის ცნობილი მასწავლებლებისგან: დავით პარკაძე, ვარო ვარდიაშვილი, თამარ ყაზახაშვილი, კატო ბურჯანაძე, კოტე თოთიბაძე და სხვები. ყველა საგანში წარმატებული იყო, განსაკუთრებით კი – ფიზიკა-მათემატიკაში.

იულონის მშობლები მიხეილ გაგომიძე და დინარა ყიფშიძე იყვნენ თბილისის უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი. ამ ოჯახში უნივერსიტეტის რექტორის – ივანე ჯავახიშვილის კულტი სუფევდა, რამაც შემდგომში გავლენა მოახდინა იულონის პროფესიის არჩევაში.

1953 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1958 წელს.

უნივერსიტეტში სწავლის დროს 1956 წელს, აგვისტოში, მოხვდა ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში (ხელმძღვანელი ა. აფაქიძე), რამაც განსაზღვრა შემდგომში მისი ცხოვრების მთავარი საქმიანობა და იგი გახდა არქეოლოგი. უნივერსიტეტში იმხანად მხოლოდ არქეოლოგიის ზოგადი კურსი იკითხებოდა, რომელსაც ოთარ ჯაფარიძე უძღვებოდა. თუმცა, საქართველოს ისტორიის ჯგუფს, რომელშიც ი. გაგომიძეც იყო, ბოლო სემესტრში (1958 წელს) არქეოლოგიის ერთი სპეცკურსი წაუკითხა ლენინგრადიდან ახლად დაბრუნებულმა ოთარ ლორთქიფანიძემ. 1958-61 წლებში გაიარა ასპირანტურის კურსი, ანტიკური ხანის არქეოლოგიის განხრით, აკადემიკოს გ.მელიქიშვილისა და არქეოლოგ ნ.ხომტარიას ხელმძღვანელობით. სტუდენტობისა და ასპირანტურის წლებში ი.გაგომიძემ მიიღო საველე მუშაობის საფუძვლიანი გამოცდილება მცხეთის, ურბნისის, ვანისა და მირმეკიონის (ყირიმი) არქეოლოგიურ ექსპედიციებში, შესაბამისად, ა. კალანდაძის (და გ. ლომთათიძის), ა. ჯავახიშვილის, ნ. ხომტარიასა და ვ. გაიდუკევიჩის ხელმძღვანელობით. 1965 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (“ადრეანტიკური საქართველოს ნივთიერი კულტურის ძეგლები”), 1984 წელს სადოქტორო დისერტაცია (“ქართლი ქ.ნ. VII-I საუკუნეებში”).

იულონ გაგომიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი არქეოლოგია. მისი მიკვლევული, არქეოლოგიურად გათხრილი და შესწავლილია საქართველოს ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლები, როგორებიცაა ადრეელინისტური ხანის სამადლოს ნაქალაქარი, გვიანელინისტური-ადრერომაული ხანის წარმართული სატაძრო კომპლექსი დედოფლის მინდორზე, მისი თანადროული სამეფო სასახლე დედოფლის გორაზე, ქ.ნ. V-III საუკუნეების წარჩინებულთა სამაროვანი ტახტიძირში და სხვა. იულონ გაგომიძეს ბევრ კუთხეში უმუშავია, მის მოღვაწეობაში გამორჩეული ადგილი უკავია ქსნის, ლიახვისა და ფრონის ხეობებს, საქართველოს იმ ძირძველ ტერიტორიას, რომელიც დღეს ოკუპირებულია. ჯერ კიდევ 1960 წელს ქსნის ხეობიდან ჩამოიტანა სოფელ ყანჩაეთთან აღმოჩენილი ქ.ნ. IV საუკუნის მდიდრული სამარხეული ინვენტარი. 1970-იან წლებში იმუშავა თიღვაში (ფრონის ხეობა), საძეგურში, კორინთაში, ალევში (ქსნის ხეობა) და სხვ. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე წელიც კი არ ჩაუგდია, რომ სამუშაოდ არ ასულიყო ცხინვალის რეგიონში. ის ერთადერთი არქეოლოგია, რომელმაც კონფლიქტის ზონაში, სოფელ ქემერტში, 2006 წელს აწარმოა არქეოლოგიური გათხრები. 2005 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა ლიახვის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალი.

იულონ გაგომიძის ინტერესების სფეროში მოხვდა შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიაც. 2003-2008 წლებში ის ხელმძღვანელობდა საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის არქეოლოგიურ დეპარტამენტს. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა მცხეთის ჯვარზე, წრომში, ყინწვისსა და ელიას მონასტერში (დედოფლის წყარო) სარესტავრაციო სამუშაოებთან დაკავშირებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება. 2006 წელს, როდესაც გადაწყდა სვეტიცხოველში იატაკის დონის დაწევა, მასვე დაევალა არქეოლოგიური გათხრების ჩატარება.

იულონ გაგომიძის, როგორც გამთხრელი არქეოლოგის დიდი საველე გამოცდილება გახდა იმის საფუძველი, რომ სწორედ მას დაევალა საქართველოს საზღვრებს გარეთ გაგზავნილი პირველი არქეოლოგიური ექსპედიციების გაძღოლა და იქ არსებული ძველი ქართული მონასტრების ნანგრევების გათხრა-შესწავლა. მისი მონაწილეობით გაითხარა V-VI საუკუნეების ქართული მონასტრის ნაშთები უმლეიზუნში, იერუსალიმის მახლობლად, 2004 წელს, ხოლო 2006-2008 წლებში იგი ხელმძღვანელობდა X-XVI საუკუნეების ღალიის ქართველთა მონასტრის გათხრებს კვიპროსზე.

იულონ გაგომიძის სამეცნიერო ინტერესები მოიცავს ანტიკური ხანის საქართველოს არ-

ქეოლოგიისა და ისტორიის საკითხების ფართო სპექტრს. ესაა: ოქრომჭედლობა, ტორევიტიკა, კერამიკული წარმოება, სამშენებლო საქმე და ხუროთმოძღვრება, სოფლის მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ირიგაცია, სამხედრო საქმე და საბრძოლო იარაღ-საჭურველი, დამწერლობა, ქართლის სამეფოს (იბერიის) საზღვრები და საქართველოს (კოლხეთისა და იბერიის) სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობები გარესამყაროსთან, როგორც აღმოსავლეთთან (ირანი, არმენია, სირია-პალესტინა) და ჩრდილოეთთან (სკვითები, სარმატები, ალანები), ისე კლასიკურ ქვეყნებთან – საბერძნეთთან, რომსა და მცირე აზიასთან.

იულონ გაგოშიძეს გამოქვეყნებული აქვს 9 მონოგრაფია: *ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ. 1964; Самодло. Археологические раскопки, Тб., 1979; Самодло. Каталог археологического материала, Тб., 1981; ქართველი ქალის სამკაული, თბ. 1981 (ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე); თრიალეთის სამაროვნები, III, თრიალეთის ანტიკური ხანის სამაროვნები, თბ., 1982 (ქართულ და რუსულ ენებზე); Av roys de la Toison d'or. Art ancien de Georgie Sovetique, Paris, 1982 (თანაავტორი); ფული საქართველოში, თბ., 2000 (ქართულ და ინგლისურ ენებზე; თანაავტორი); Iberia and Rome. The Excavations of the Palace at Dedoplist Cora and the Roman Influence in the Caucasian Kingdom of Iberia, edited by A.Furtwangler, I.Gagoshidze, H.Lohr, N.Ludvig, Halle/Sa 2008; ღალია, ქართველთა მონასტერი კვიპროსზე, თბ., 2014 (ქართულ და ინგლისურ ენებზე, თანაავტორი); და ოთხასამდე სამეცნიერო სტატია ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სპარსულ ენებზე არქეოლოგიის, ისტორიის, ასევე, ხელოვნებათმცოდნეობისა და ინფორმატიკის დარგში. მისი გამოკვლევების შედეგად საფუძვლიანად შეიცვალა არსებული წარმოდგენები საქართველოს ადრესახელმწიფოებრივი პერიოდის ნივთიერი კულტურის, ისტორიის მთელ რიგ კარდინალურ ასპექტზე. ასე, მაგალითად, სამადლოს გათხრა-შესწავლის შედეგად პირველად მოხერხდა ქ.ნ. III საუკუნის საუკუნეების არქეოლოგიური მასალის მკვეთრად გამიჯვნა წინამორბედი და მომდევნო პერიოდის მასალებისაგან და იმ დროისათვის ახლად ჩამოყალიბებული ქართლის სამეფოს (იბერიის) ნივთიერი კულტურის სრულად წარმოჩენა. სამადლო ელინისტური ხანის საქართველოს არქეოლოგიის ეტალონურ ძეგლად იქცა, მაგალითად, “სამადლოური კერამიკა” ჩვეულებრივი და საყოველთაოდ სახმარი ტერმინია არქეოლოგიურ სპეციალურ ლიტერატურაში.*

ქ.ნ. II – ქ.შ. I საუკუნეების დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსის აღმოჩენამ და მისი გათხრა-შესწავლის შედეგების გააზრებამ აქემენიდური და ელინისტური ხუროთმოძღვრების ფონზე პირველად დაგვანახა, რომ იბერია ნამდვილად იყო ელინისტური სამყაროს განუყოფელი ნაწილი და შეცვალა გავრცელებული თვალსაზრისი, თითქოს მონუმენტური სატაძრო ნაგებობის შექმნის ამოცანა საქართველოში პირველად ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ დაისვა.

აქემენიდური და ელინისტური ხანის საქართველოს ნივთიერი კულტურის შესწავლამ ი. გაგოშიძეს უფლება მისცა, ემტკიცებინა, რომ საქართველოში უკვე აქემენიდურ ხანაში ხდებოდა სპარსულ-აქემენიდური და ელინური კულტურული იმპულსების შეხვედრა და მათი ადგილობრივი ტრადიციების საფუძველზე შერწყმა-ათვისება, რის შედეგადაც იქმნებოდა ხელოვნების ისეთი ნაწარმი, რომელსაც ისევე შეიძლება ეწოდოს “ბერძნულ-აღმოსავლური”, როგორც ეწოდება (ბორდმანი) დანარჩენ ახლო აღმოსავლეთში აქემენიდურ და ელინისტურ ხანაში შექმნილ ძეგლებს. ი. გაგოშიძემ დაასაბუთა, რომ აქემენიდურ ხანაში შეთვისებული ეს ნოვაციები საქართველოში რომაულ ხანამდე შემორჩა და ამიტომ არის, რომ დედოფლის გორის სასახლეში (და სხვაგანაც ისტორიული იბერიის ტერიტორიაზე) აღმოჩენილი I ს-ის ძვლის ფირფიტებზე გრავირებული სცენები ასეთ საოცარ მსგავსებას იჩენს სასანური ხელოვნების ძეგლებთან: სასანური ხელოვნებაც ხომ აქემენიდურის ერთგვარი რენესანსია.

დედოფლის გორაზე I საუკუნის ბოლო მეოთხედში ძლიერი მიწისძვრითა და ხანძრით უეცრად განადგურებული სასახლის გათხრების შედეგად მოპოვებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნივთიერი მასალის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა, გასაოცარი სისრულითა და ეთნოგრაფიული სიზუსტით წარმოჩინდეს იმდროინდელი ქართლის სამეფოს ნივთიერი და სულიერი კულტურის თითქმის ყველა სფერო და საქართველოს გარე სამყაროსთან

ურთიერთობის საკითხები, რაც განხორციელებულია კიდევ ი. გაგოშიძის მთელ რიგ სტატიებში და INTAS-ის გრანტით 1996-1998 წლებში მისივე ხელმძღვანელობით შესრულებულ კოლექტიურ მონოგრაფიაში “ქართლის სამეფო (იბერია) და რომი ქ.ნ. I- ქ.მ. I საუკუნეებში”, რომელიც 2008 წელს გამოქვეყნდა გერმანიაში ინგლისურ ენაზე.

ტახტიძირში ქ.ნ. V-III საუკუნეების სამაროვნის გათხრამ ი. გაგოშიძეს უფლება მისცა, გამოეთქვა ვარაუდი შიდა ქართლის კოლხეთის სამეფოს ფარგლებში არსებობისა და იბერიასა და კოლხეთს შორის კულტურული კონტინუუმის შესახებ. სწორედ ამ პრობლემების კვლევას ითვალისწინებს მისი ხელმძღვანელობით წარმოდგენილი პროექტი “საქართველო და გარე სამყარო ქ.ნ. IV-III საუკუნეებში”, რომელმაც მიიღო რუსთაველის ფონდის სახელმწიფო გრანტი.

ყურადღებას იპყრობს იულონ გაგოშიძის ნარკვევი ქართლში ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრების შესახებაც.

იულონ გაგოშიძე ავტორიტეტით სარგებლობს როგორც ქართველ, ისე უცხოელ კოლეგებს შორის. ამიტომ არის, რომ სწორედ ის იყო მიწვეული სამუშაოდ კახეთის ქართულ-გერმანულ ექსპედიციაში, რომელმაც იმუშავა 1994-2002 წლებში (ხელმძღვანელები: კ. ფიცხელაური და ა. ფურტვენგლერი) და ექსპედიციის გერმანელმა ხელმძღვანელმა მასვე მიაბარა სასწავლებლად ექსპედიციის მონაწილე გერმანელი სტუდენტები.

გერმანულ კოლეგებთან ურთიერთობა გაგრძელდა აზერბაიჯანში, სადაც 2006 წლიდან მუშაობა დაიწყო აზერბაიჯანულ-ქართულ-გერმანულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელმაც აზერბაიჯანის რესპუბლიკის შამქორის რაიონის სოფელ ყარაჯამირლის მახლობლად, საქართველოს სამხრეთ საზღვართან, მიაკვლია და შეისწავლა ქ.ნ. V-IV საუკუნეების სპარსულ-აქემენიდური სასახლეები, როგორც ჩანს, აქემენიანთა ერთ-ერთი სატრაპიის ცენტრი.

იულონ გაგოშიძე მრავალმხრივი და ფართო ინტერესების მქონე მკვლევარია, რომელიც მუდამ სიახლეებს ეძებს. ამიტომ არის, რომ მან პირველმა ქართველ არქეოლოგთაგან გამოიყენა აეროფოტოები, რის შედეგადაც ათეულობით მანამდე უცნობი ძეგლი გამოვლინდა შიდა ქართლში, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორებიცაა ბერიკლდეების ნაშთების და ყორღანული ველი, ასევე, დოღლაურის ვრცელი სამაროვანი (მისივე ხელმძღვანელობით გაითხარა ადრეული და გვიანდელი ბრინჯაოს ხანის შვიდი ყორღანი ბერიკლდეებზე და იმავე პერიოდის 400-ზე მეტი სამარხი დოღლაურის სამაროვანზე). პირველმა ჯერ კიდევ 1970-იან წლებში დაიწყო მუშაობა არქეოლოგიური და სამუზეუმო მონაცემების კომპიუტერიზაციის პრობლემებზე და მუდამ იჩენს აქტიურ ინტერესს ინტერდისციპლინარული კვლევებისადმი, არქეოლოგიური კვლევის დროს იგი სისტემატურად თანამშრომლობდა და თანამშრომლობს საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა წარმომადგენლებთან, ხელოვნებათმცოდნეებთან. ამაში მას ეხმარება ღრმა ერუდიცია. ნიშანდობლივია, რომ ექვსი დისერტაციიდან, რომლებიც მისი ხელმძღვანელობით მომზადდა, სამი ინტერდისციპლინარულ კვლევას ემყარება.

იულონ გაგოშიძე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობასაც. 1978-1988 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე კითხულობდა ნიქარისტიანული ხანის სომხეთის კულტურის ისტორიის კურსს.

2013 წელს კონკურსით აირჩიეს ილიას უნივერსიტეტში სრულ პროფესორად არქეოლოგიის დარგში. დაევალა სასწავლო პროგრამის მონესრიგება და ნაიკითხა ლექციების კურსი “არქეოლოგიის საფუძვლები”.

2013-2014 წლებში საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციების კურსს ქართული ლითონმქანდაკეობის ისტორიაში.

ნაკითხული აქვს საჯარო ლექციები არქეოლოგიის სხვადასხვა პრობლემაზე ჰალეს, მიუნსტერის, იენის (გერმანია) და აარხუსის (დანია) უნივერსიტეტებში. სისტემატურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ (სომხეთი, აზერბაიჯანი, გერმანია, საფრანგეთი, აშშ, საბერძნეთი, თურქეთი, ირანი, დანია, რუსეთი).

2013 წლიდან ეროვნულ მუზეუმში ახალგაზრდა არქეოლოგებისთვის კითხულობს ლექციების კურსს არქეოლოგიის პრობლემებზე.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციის დაარსების დღიდან ენციკლოპედიის ბოლო XI ტომის გამოცემამდე იულონ გაგომიძე მუშაობდა რედაქტორ-კონსულტანტად არქეოლოგიის დარგში: ენციკლოპედიაში მოხვედრილმა არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური შინაარსის ყველა სტატიამ (აგრეთვე, ზოგიერთმა სტატიამ ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის დარგში) მის ხელში გაიარა. 2011-2014 წლებში ი. გაგომიძე ხელმძღვანელობდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში არქეოლოგიური მემკვიდრეობის მართვის ცენტრს, რომელმაც მოამზადა მასალები არქეოლოგიური მემკვიდრეობის მართვის რეფორმებისათვის. ელექტრონულად აღინუსხა და ინტერნეტში განთავსდა საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების აღწერილობა. აქ მან დააარსა ქართულ-ინგლისური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი “ონლაინ არქეოლოგია” (გამოიცა ექვსი ნომერი).

იულონ გაგომიძე ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მუშაობის დაწყებიდანვე აქტიურად იყო ჩაბმული მუზეუმის საგამოფენო საქმიანობაში. მონაწილეობდა არაერთი გამოფენის მოწყობაში: საქართველოს არქეოლოგიური გამოფენა, სეიფის გამოფენა, ეთნოგრაფიული გამოფენა ლენინგრადში, არქეოლოგიური გამოფენა მოსკოვში, გამოფენა პარიზში “ოქროს საწმისის ქვეყანა”, არქეოლოგიური გამოფენა სილნალის მუზეუმში, მელვინეობა-მევენახეობის 8000 წელი, ქართველი ებრაელები – ისტორია და თანამედროვეობა, არქეოლოგიური საგანძური, საქართველოს არქეოლოგია და სხვა.

იულონ გაგომიძის ინტერესები არასოდეს იფარგლება მხოლოდ მეცნიერებით. მას გული შესტკივა საქართველოს ბედ-იღბალზე და აქტიურად ებმება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1978 წელს ის ერთ-ერთი ინიციატორი იყო საზოგადოებრივი პროტესტისა, რომელმაც აღკვეთა ხელისუფლების მხრიდან სამუზეუმო ფასეულობათა ხელყოფის მცდელობა “აფხაზეთიდან მიტაცებული განძეულის უკან დაბრუნებისა”. ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან, შევარდნაძესთან, შეხვედრაზე წარმოთქმულ სიტყვას ფართო რეზონანსი მოჰყვა და ზვიად გამსახურდიამ “ოქროს საწმისის” ბოლო ნომერში გამოაქვეყნა.

80-იან წლებში ი. გაგომიძე ჩაება თბილისის სარეკრეაციო ზონისა და მიმდებარე სოფლების გადარჩენისთვის ბრძოლაში. შემდეგ კი აქტიური მონაწილე იყო ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობისა. შედეგად, მწვანეთა მოძრაობის დამფუძნებელთა ჯგუფში აღმოჩნდა. 1991 წელს დაინიშნა მცხეთის რაიონის პრეფექტად. 2004-07 წლებში იყო თბილისის საკრებულოს წევრი. 2008-2009 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სამსახური, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა მსოფლიოს 56 ქვეყანაში გაფანტული ქართული დიასპორა. ამუშავდა მძლავრი ვებპორტალი, რომელზეც განთავსდა ქართულ-აზერბაიჯანული და ქართულ-სომხური სასაუბროები, დიასპორა მთელ მსოფლიოში ელექტრონული ვერსია, ლაზური ლექსიკონის ელექტრონული ვერსია, ასევე, ფლემ ფორმატში გაკეთებული ინტერნეტჟურნალი “დიასპორას მაცნე”, რომელიც შეიცავდა როგორც ვიდეო, ისე აუდიო ფაილებს. გამოიცა არაერთი წიგნი: თ. პაპუაშვილის „საინგილოს ისტორია“; ვ. კუზიბაბაშვილის „ინგილოური დიალექტი“; ჟორჟ დიუმეზილის „ლაზური ტექსტები“; ისა კოაზოის მოთხრობების ქართული თარგმანი; ჩვენებურების კალენდარი (ქართული დიასპორას 12 გამორჩეული წარმომადგენლის პორტრეტითა და მოკლე ბიოგრაფიით); თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან ერთად განხორციელდა უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პროექტი კახეთში: პირველად საქართველოში სილნალის რაიონში გაშენდა ზეთისხილის პლანტაცია (2010 წელს აქ ზეთისხილის პირველი რთველი ჩატარდა). მინისტრის კარი ყოველთვის ღია იყო ნებისმიერი სტუმრისთვის, მხოლოდ 2009 წელს მინისტრმა უმასპინძლა უცხოეთიდან ჩამოსულ 400-ზე მეტ დელეგაციასა და ცალკეულ პირს.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მოახერხა მთელ მსოფლიოში გაფანტული ქართველების მობილიზება, რათა მათ ერთდროულად ჩაეტარებინათ საპროტესტო აქციები საქართველოს მხარდასაჭერად; ორგანიზება გაუწია საპროტესტო ჯაჭვს მთელ მსოფლიოში. 2008 წლის ომის დროს მხოლოდ დიასპორას სამინისტროს პორტალი გადაურჩა რუსეთის კიბერშეტევას

და ეს იყო საქართველოს ერთადერთი ელექტრონული კავშირი მთელ მსოფლიოსთან.

2008 წლის სექტემბერში კრინიცაში (პოლონეთი) XVIII მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე იულონ გაგოშიძემ წაიკითხა მოხსენება “რუსეთის როლი პოსტსაბჭოთა სივრცეში”, რომელშიც გაანალიზებულია რუსეთის დესტრუქციული ქმედებები და ნაჩვენებია, რომ რუსეთის აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ გაგრძელება ექნებოდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. 2008-2009 წლებში დიასპორის სახელმწიფო მინისტრმა და მისმა აპარატმა 24-საათიანი მუშაობით მოახერხეს, დაეძლიათ მძლავრი რუსული საინფორმაციო შეტევა და ძირშივე აღეკვეთათ რუსეთის ხელისუფლების ანტიქართული გამოსვლების მცდელობები ქართულ დიასპორაში. 2009 წელს ორთოდოქს ჰოსპიტალიერების ორდენის კანცლერმა მაიკლ ბრეტ-გროუტერმა იულონ გაგოშიძე ომისა და გამარჯვების ბრიტანული მედლებით დააჯილდოვა, საქართველოს რუსეთთან ომში მორალური გამარჯვების ნიშნად.

მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოები: ღირსების ორდენი 2005 წელს, ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენი 2010 წელს.

ჟურნალის რედაქცია ულოცავს ბატონ იულონს საიუბილეო თარიღს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს.

კოლეგები, მეგობრები და მოწაფეები

იულონ გაგოშიძის ძირითადი პუბლიკაციების ჩამონათვალი:

ძვლის ფირფიტა მხედართა ბრძოლის სცენის გრაფირებული გამოსახულებით. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №5, 2003. გვ.20-30.

სახვნელი ადრერომაული ხანის ქართლის სამეფოში. - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 45, 2003-2004, გვ. 80-94.

პირველი საუკუნის იბერიელი მხედარი. - ძიებანი, 13-14, 2004, გვ. 118-142.

ქართლის სამეფოს (იბერიის) საზღვრები ქ.ნ. I ს.-ში. - ჟურ. იბერია-კოლხეთი, №3, 2007, გვ.20-32.

საქართველო და “ბერძნულ-სპარსული” გემები. ჟურ. იბერია-კოლხეთი, №5, 2009, გვ.14-19.

აქემენიდები კავკასიაში. კრებ. კავკასიური ძიებანი., №2, თბ., 2010, გვ 601-615.

ღალიას ღვთისმშობლის მონასტერი. არქეოლოგიური გათხრების ანგარიში (2006-2010 წლები). - ჟურ. ძველი ხელოვნება დღეს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. თბ., 2010. გვ. 64-89. heritagesites.ge.

ქართველი ებრაელები. ისტორია და კულტურა. თბ., 2010. თანაავტორები თ. მგალობლიშვილი, ლ. წინუაშვილი.

არქეოლოგია და ბასკურ-ქართველური პრობლემა. კრებ. კავკასიოლოგიური ძიებანი, №2, თბ., 2010, გვ.585-600.

ღალიას მონასტერი. - საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, I(46-B), 2010, გვ.141-159.

არქეოლოგიური და ანტიკვარული ნივთების აუქციონი. პროექტი. - ონლაინ არქეოლოგია, №2 - ივნისი, 2012 წ. ,გვ.130-134. heritagesites.ge

წმ. ელიას სამლოცველო. - საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, I-1, თბ., გვ. 313-314.

მეფე ფლავიუს დადის ვინაობისთვის. ჟურ. იბერია-კოლხეთი №9, 2013. გვ. 69-87.

The Royal Palace of the 1st c. BC - 1st c. AD at Dedoplis Gora, Jour. of Georgian Archaeology, 1, 2004, pp. 170-185.

Ein Persebrau in Azerbaidjan. Ausgrabung auf dem Ideal Tepe bei Karacamirli 2006. – in: Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, Band 38, 2006, pp.291-330.

An Achaemenid "Palace" at Qarajamirli (Azerbaijan) Preliminary Report on the Ecauations in 2006. in: Achaemenid Culture and Local Traditions in Anatolia,Southern and Iran. New Discoveries .Edited by A. Ivantchik and V. Licheli, Leiden – Boston, 2007, pp.31-45.

Iberia and Rome. The Excavations of the Palace at Dedoplis Gora and the Roman Influence in the Caucasian Kingdom of Iberia, Langenwaissbach, 2008. Edited by: A. Furtwängler, I. Gagoshidze, H. Löhrr, N. Ludwig.

An Axamaenid "Palace" at Garajamirli (Azerbaijan). Preliminary Report on the Excavations in 2006.

Fibers of silk, cotton and flax in a weaving workshop from the first century AD. palace of Dedoflis Gora, Georgia. in:Veget Hist Archaeobot (2008) 17 p.211-215.

A Persian Propyleion in Azerbaijan Excavations at Karacamirli Achemenid Impact in the Black Sea Communication of Powers Edited by Jens Nielingand Ellen Rehm, Arhus, 2010. pp. 111–122.

Sabatlo. Project, Online Archaeology, No. 1, December, 2011, pp. 106-108, heritagesites.ge.

Takhtidziri Cemetery. Online Archaeology, No. 1, December, 2011, pp. heritagesites.ge.

Archaeological Tourism. Project, Online Archaeology, No. 1, December, 2011, pp. 90-93,heritagesites.ge.

Armaztsikhe - Bagineti. Online Archaeology, No. 1, December, 2011, pp. 123-125, heritagesites.ge.

Ахеменидский административный центр (сатрапская резиденция) на Южном Кавказе. – Azerbaicanin qədim şəhər mədəniyyəti, yabala, 2012, pp.17-19.

Auction of Archaeological Objects. Project, Online Archaeology, No. 2, June, pp. 104-108 heritagesites.ge.

Takhtidziri. Online Archaeology, No. 2, June, 2012, 122-126 pp. heritagesites.ge.

Ancient Silk in Georgia. Online Archaeology, No. 2, June, 2012, pp. 130-136 heritagesites.ge.

The Achaemenids in the Caucasus. Online Arcaheology, No. 2, June, 2012, pp.64-80 heritagesites.ge.

Urbnisi. In "Online Archaeology", No. 3, December, 2012, gv. 148-152 heritagesites.ge.

Achaemenid and Achaemenid-like Silver Vessels. Online Archaeology, No. 3, December, 2012, pp. 20-48, heritagesites.ge.

Archaeological Police. Project, Online Archaeology, No. 3, December, 2012, gv. 110-114, heritagesites.ge.

Aradetis Orgora. Online Archaeology, No. 3, December, 2012, pp. 9-10,heritagesites.ge.

Dedoplis Gora. Project ,Online Archaeology, No.4 , June,2013, pp.103-113, heritagesites.ge.

Dvani. Online Archaeology, No. 4, June, 2013, 122-126 pp. heritagesites.ge.

Zguderi. Online Archaeology, No. 4, June, 2013, 142-146 pp. heritagesites.ge.

For the Identity of King Flavius Dades. Online Archaeology, No.4, June, 2013, pp.20-54 heritagesites.ge.

Dedoplis Gora. New Archaeological Discovery, Online Archaeology, No. 5, December, 2013, pp. 24-29. heritagesites.ge.



— ამირან კახიძე —

ღვანულამოსილ არქეოლოგს 80 წელი შეუსრულდა

სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის კვლევაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ცნობილ ქართველ მეცნიერს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ამირან კახიძეს, რომელსაც ახლახან დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ჟურნალის რედაქცია ულოცავს ბატონ ამირანს საიუბილეო თარიღს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით ნარმატებებს უსურვებს.

ამირან კახიძე დაიბადა 1935 წლის 8 ივნისს, ბათუმის რაიონის სოფ. ზედა ჩხუტუნეთში, ისტორიულ მაჭახლის ხეობაში. 1949 წ. სოფ. ზედა ჩხუტუნეთის რევანლედის დასრულების შემდეგ სწავლობდა აჭარისწყლის სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში. 1953-1954 წწ მუშაობდა ბათუმის რაიონის სოფ. ჩიქუნეთის რევანლიანი სკოლის მასწავლებლად. 1954 წ-დან იგი სწავლას განაგრძობს შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე და მისი წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობს პედაგოგიკის კათედრის ლაბორანტად (1959-1960 წწ). 1961-1964 წწ სწავლობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში აკად. ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით. 1964-1966 წწ ა.კახიძე მუშაობს ამავე ინსტიტუტის ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილების ლაბორანტად და აქვე იცავს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები (ქობულეთ-ფიჭვნარი)“. 1966 წლიდან ა.კახიძე სამუშაოდ გადადის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ.ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამცხიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1981 წლიდან იგი ამავე დაწესებულების ახლადშექმნილი არქეოლოგიის განყოფილების უფროსია, ხოლო 1994 წ დაფუძნებული ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი. 1981 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ანტიკურ ხანაში“. 2004-2005 წწ ა. კახიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მომალეობის შემსრულებელია, სადაც ის 1969 წ-დან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამჟამად ის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი და არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორია.

ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლისას (1961-1964 წწ.) აკად. ა. აფაქიძის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა მის მომავალ სამეცნიერო კვლევის ძირითად მიმართულებას: ადგილობრივი მცხოვრებლებისა და ბერძენი კოლონისტების ურთიერთობები კლასიკურ და ელინისტურ ხანაში. 1966

წლიდან ის აწარმოებს სამეცნიერო-კვლევით და საექსპედიციო-საველე სამუშაოებს სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის მიზნით. კვლევის უმთავრეს ობიექტს წარმოადგენს ფიჭვნარის ნაქალაქარი და ვრცელი სამაროვანი. ხანგრძლივი საველე სამუშაოების შედეგად აღმოჩნდა მდიდარი ნივთიერი მასალა კოლხური კულტურისა და კოლხეთის სამეფოს გენეზისის, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების, ანტიკურ, კერძოდ ბერძნულ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების კვლევისათვის. 1998 წლიდან შეიქმნა საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის პირველი საერთაშორისო ერთობლივი ექსპედიცია, რომელმაც მისი ხელმძღვანელობით დღემდე ნაქალაქარსა და სამაროვნების ტერიტორიაზე განახორციელა საველე სამუშაოების 10 სეზონი. ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდნენ ოქსფორდის უნივერსიტეტის აშშ-ის მუზეუმის ბერძნულ-რომაულ სიძველეთა დეპარტამენტის წარმომადგენლები, მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები. გამოქვეყნდა არაერთი ნაშრომი ქართულ და ინგლისურ ენებზე. მათ შორის მაიკლ ვიკერსის თანაავტორობით 2004 წელს ქართულ და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდა მონოგრაფია „ფიჭვნარი I“, რომელსაც საფუძვლად დაედო 1998-2002 წლებში მოპოვებული მდიდარი არქეოლოგიური მასალა. 2003-2007 წლების არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი მონოგრაფია („ფიჭვნარი VI“) გამოვიდა 2014 წ-ს. 2007 წელს გამოსული „ფიჭვნარი II“ ეხება ძვ.წ. V ს-ის ბერძნული ნეკროპოლის გათხრების შედეგებს 1967-2006 წლებში, „ფიჭვნარი III“ ეხება ელინისტურ ნაქალაქარს, „ფიჭვნარი IV“- მინის ნაწარმს, ხოლო „ფიჭვნარი V“ ძვ.წ. IV ს ბერძნულ ნეკროპოლს.

ფიჭვნარის პარალელურად 1999 წლიდან ა.კახიძე ხელმძღვანელობდა გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედ არქეოლოგიურ ექსპედიციას. შეისწავლა ამ ძეგლის ხუროთმოძღვრული ნაშთები, საფორტიფიკაციო, წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემები, სხვადასხვა ეპოქების კულტურული ფენები. თვალსაჩინოდ გაამდიდრა სამეცნიერო ბაზა რომაულ სამყაროსთან ურთიერთობების შესწავლისათვის. ამ ხნის განმავლობაში დაიბეჭდა კრებულ „გონიო-აფსაროსის“ 5 ტომი.

საკმაოდ ფართო მასშტაბის საველე სამუშაოები განხორციელდა პეტრა-ციხისძირის, ბათუმის-ციხის, ჩაქვისწყლის ხეობის და მახვილაურის შესწავლის მიზნით. 1970 წლიდან კვლევებთან ერთად დაიწყო აჭარისწყლის ხეობის არქეოლოგიური ძეგლების გეგმაზომიერი კვლევა (კვამბა, ჭვანას ციხე, სხალთის ეკლესია, ხიხაძირი, თხილვანა, კალოთა, ვერნები და ა.შ.). მნიშვნელოვანი სამუშაოები განახორციელა სუფსა-ნატანების აუზში (გურიანთა, ზემოფარცხმა, ქვენობანი და ა.შ.).

მოპოვებული მდიდარი და მრავალფეროვანი მასალის შესწავლის საფუძველზე დაიწერა 150-ზე მეტი მონოგრაფია თუ სამეცნიერო ნაშრომი ქართულ და უცხოურ ენებზე. უახლესი აღმოჩენების შესახებ სისტემატურად გამოდის მოხსენებებით საინსტიტუტო, ეროვნულ თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე. არქეოლოგიური მასალის ერთი ნაწილი გატანილ იქნა ქ.მოსკოვის, საარბრიუკენისა და ვისბადენის გამოფენებზე. მეცნიერ-ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის მაძიებელთ, რომელთა ერთმა ნაწილმა უკვე დაიცვა სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები და წარმატებულ საქმიანობას ეწევიან სამეცნიერო, სასწავლო თუ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში

2007 წლის ბოლოსათვის ა.კახიძის მიერ შემუშავებული კონცეფციის მიხედვით გაკეთდა ბათუმის სამეცნიერო-პოპულარული ექსპოზიცია, რომელიც ასახავს სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს უძველეს ისტორიასა და კულტურას. ამავე წელს განსვენებული მეცნიერის, პროფ. დ. ხახუტაიშვილისა და ამ.კახიძის რედაქტორობით გამოქვეყნდა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა)“ - პირველი ტომი. დავით ხახუტაიშვილის გარდაცვალების შემდეგ ასრულებს რედაქტორის მოვალეობას. დღეისათვის გამოქვეყნებულია ნარკვევების ოთხივე ტომი.

არქეოლოგიური კვლევა-ძიების ახალი ეტაპი აჭარაში 2012 წლიდან იწყება. ამ. კახიძის მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ჩოლოქ-ნატანების აკვატორიაში, ზღვისპირა ზოლიდან 10 კმ-ის მოშორებით, 119 მ-ის სიღრმეზე მოპოვებულ იქნა ჩაძირული გვიანელინისტური ხანის სავაჭრო გემის ნაშთები: გემის კიჩო, ანძა, საჭე-რუმპელი, კორპუსის მოსაპირკეთებელი ძელი, ნიჩბის ჩასადებად განკუთვნილი რკინის ორკაპი, ბალანსირებისათვის გამოყენებული ქვები, თიხის ამფორა, ქოთანის, ჩაფი და სხვა დეტალები. მსგავსი მეტყველი მასალა ადრე უცნობი იყო ჩვენი სინამდვილისათვის. გაჩნდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ახალი ასპექტები.

ბოლო წლების უმთავრეს სიახლეს მაინც აჭარის ტერიტორიაზე მიკვლეული ბრინჯაოს მეტა-

ლურგის უძველესი კერები წარმოადგენს, რომლებიც, წინასწარულად, ძვ.წ. III-II ათასწლეულებით თარიღდება. ამ. კახიძემ მარტო 2014 წლისათვის, სადაზვერვო სამუშაოების შედეგად 9 ასეთი ძველი აღმოაჩინა. მისი აზრით, ჭოროხის აუზში მცხოვრებ მეტალოურებს ბრინჯაოს ხანაში ლითონის დაფუძნა-დაქუცმაცება ინდუსტრიულ დონემდე აუყვანიათ. ამასთან, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მსგავსი ფართო მასშტაბის სამუშაოები მარტო საკუთარი მოთხოვნილებებისათვის არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. ამირან კახიძე ასკვნის, რომ, ჭოროხის აუზი მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს მეტალოგურ კერას წარმოადგენდა.

ჟურნალის რედაქცია ულოცავს ბატონ ამირანს საიუბილეო თარიღს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს.

ჟურნალის რედაქცია და კოლეგები

ამირან კახიძის ძირითადი სამეცნიერო შრომები:

მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის (ქობულეთ-ფიჭვნარის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები). – მსკა, თბილისი, 1965, ტ. 4, გვ. 67-94, სურ. 1-5, ტაბ. I-X.

Кистории городов Восточного Причерноморья в Античную Эпоху (Кобулети-Пичвнари). Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. Тб., 1965, с.29.

კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან. – სდსძ, ტ. 2, თბილისი, 1971, გვ. 28-66, სურ. 1-9, ტაბ. I-III.

კოლხეთსა და ათენს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიიდან. – სდსძ, ტ. 2, თბილისი, 1971, გვ. 67-73, ტაბ. I-II. (თანაავტ. ზ. შატბერაშვილი).

საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები (ქობულეთ-ფიჭვნარი), თბილისი, 1971, 150 გვ. 14 ტაბ.

ფიჭვნარის ანტიკური ხელოვნების ძეგლები. – საბჭ. ხელოვნება, 1973 №9, გვ. 28-32.

ფიჭვნარის წითელფიგურიანი კრატერი. – სმამ, 1973, №2 (69), გვ. 505-508.

ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს სამაროვნისარქეოლოგიური გათხრების შედეგები. – სდსძ, ტ. 4, თბ., 1974, გვ. 49-93, ტაბ. I-X.

ფიჭვნარის სამაროვანზე 1967-1968 წლებში აღმოჩენილი უცხოური მონეტები. – მაცნე, ისტორიის სერია, 1974, №3, გვ. 79-85.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები (ფიჭვნარის ბერძნული სამაროვანი), ბათუმი, 1975, 99 გვერდი, XXXტაბულა, სურ. 1-7.

ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1974 წ. წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. – სდსძ, ტ. 6, 1977, თბ., გვ. 25-53, ტაბ. IX-XXII. (თანაავტ. ნ. ვაშაკიძე)

ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1975 წ. განხორციელებული სავლე კვლევა-ძიების შედეგები. – სდსძ, 1978, ტ.7, გვ. 42-58, სურ. 1-2, ტაბ. XI-XX (თანაავ. ვაშაკიძე ნ.).

კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები. – მაცნე, ისტ...სერია, 1978, №4, 48-61, (თანაავ. დუნდუა გ).

ფიჭვნარის ძვ.წ. IVს. ბერძნულ ნეკროპოლზე 1976 წ. განხორციელებული კვლევა-ძიების შედეგები. – სდსძ, ტ. 8, თბ., 1979, გვ. 42-67, ტაბ. VII-XVIII.

რქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე 1976 წ. – სდსძ, ტ. 8, თბ., 1979, გვ. 68-84, ტაბ. XIX-XXXVIII (თანაავტ. ვაშაკიძე ნ.).

ქვისარქიტექტურის უძველესი ნაშთები ფიჭვნართან. – სდსაძ, I, ბათუმი, 1980, გვ. 29-34, ტაბ. I-III.

არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1965 წ. – სდსძ, ტ. 10, თბ., 1981, გვ. 37-59, ტაბ. I-XVIII.

კოლხური ხელოვნების უძველესი ძეგლები აჭარისწყლის ხეობიდან. – საბჭ. ხელოვნება, 1980, №11, თბ., გვ. 60-63, სურ. 1-4. (თანაავტ. ი. დავითაძე, შ. მამულაძე).

ახალი არქეოლოგიური მონაპოვრები სოფელ ხიხაძირიდან. – თბილისი, სდსძ, ტ. 10, თბ., 1981, გვ. 89-100, ტაბ. I-VI. (თანაავტ. ი. დავითაძე, შ. მამულაძე).

კოლხური კულტურის უძველესი ძეგლების ხალთისწყლის ხეობიდან. – სმამ, 1981, 101, №3, გვ. 737-740, სურ. 1-4. (თანაავტ. ი. დავითაძე, შ. მამულაძე).

აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის იონური და ატიკური ეტაპი. – სდსდ, ტ. 11, თბ., 1982, გვ. 44-77.

კრამიტსახურავიანი სამარხი ფიჭვნარიდან. – სდსდ, ტ. 12, თბ., 1983, გვ. 53-63.

ანტიკური ტორევეტიკის ნიმუშები ფიჭვნარიდან. – სდსდ, ტ. 16, თბ., 1987, გვ. 47-50.

კვაშტის ანტიკური ხანის ნამოსახლარი. – სდსდ, ტ. 17, თბ., 1989, გვ. 47-61, ტაბ. XX-XXVII. (თანაავტ. შ. მამულაძე)

მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის (წინანტიკური და ანტიკური ხანა). სდსდ, ტ. 18, თბ., 1989, 139 გვ., 47 ტ. (თანაავტ. დ. ხახუტაიშვილი)

აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, 86 გვ., 24 ტ. (თანაავტ. შ. მამულაძე).

ახალი არქეოლოგიური მონაპოვრები სოფ. ვაიოდან. – ბსუ-სშრომები, №1, ბათუმი, 1995, გვ. 122-127.

ჭოროხის აუზი – კოლხური კულტურის უძველესი კერა. – საისტორიო მაცნე, ნაკ. I, ბათუმი, 1995, გვ. 8-9.

გონიო-აფსაროსში 1998 წ. წარმოებული არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები. – ბსუშრომები, ბათუმი, 1999, ტ. 3, გვ. 111-127, ილ. (თანაავტ. შ. მამულაძე).

გონიო-აფსაროსში 1998 წ. წარმოებული არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები. – ბსუშრომები, III, ბათუმი, ბათუმისუნივერსიტეტი, 1999, გვ. 187-194. (თანაავტ. შ. მამულაძე).

ჭოროხის აუზი – კოლხური კულტურის უძველესი კერა. ბათუმი, 2000, 125 გვ., 54 სურ., 34 ტაბ. (თანაავტ. შ. მამულაძე).

კოლხური კულტურის ისტორიიდან (წალდი). – ბამ-ის შრომები, ტ. 1, ბათუმი, 2000, გვ. 16-24, სურ. 1-9. (თანაავტ. ნ. კახიძე).

ადრეშუასაუკუნეების სამარხები ფიჭვნარიდან. – ბამ-ის შრომები, ტ. 1, ბათუმი, 2000, გვ. 70-89, სურ. 1-5, ტაბ. I-IV. (თანაავტ. მ. ვიკერსი, შ. მამულაძე).

საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი ექსპედიცია ფიჭვნარში 1998 წ. – ბამ-ის შრომები, ტ. 2, ბათუმი, 2002, გვ. 42-79, სურ. 1-22, ტაბ. I-XII. (თანაავტ. მ. ვიკერსი)

2000 წ. გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კარიბჭის გარეთ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში. – გონიო-აფსაროსი, ტ. 3, თბილისი, 2002, გვ. 44-70, ტაბ. I-XIX. (თანაავტ. ტ. ებრალიძე, შ. მამულაძე)

სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წ-ში წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები. – გონიო-აფსაროსი, ტ. 4, ბათუმი, 2004, გვ. 4-73, სურ. 1-55, ტაბ. I-XVIII. (თანაავტ. შ. მამულაძე)

ფიჭვნარი I – კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთშავი ზღვისპირეთში. საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლ. ექსპედიციის შედეგები (1998-2002), თბ., 2004. (თანაავტ. მ. ვიკერსი)

ქიოსური ამფორების ერთი ჯგუფის დათარიღების საკითხისათვის (ფიჭვნარის ძვ.წ. VI. ბერძნული ნეცროპოლის მიხედვით). – ძიებანი საქარ-თველოს არქეოლოგიაში, 2005, №15-16, გვ. 170-172, ტაბ. I. (თანაავტ. მ. ხალვაში)

აჭარის უძველესი და ძველი ისტორიის საკითხები. ნივთიერი კულტურის ძეგლები. – სდსინ, I, თბილისი, 2007, გვ. 38-40.

ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანა აჭარის ტერიტორიაზე. ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურა. – სდსინ, I, თბილისი, 2007, გვ. 135-139.

შუა და გვიანბრინჯაოს ხანა აჭარის ტერიტორიაზე. აჭარა შუაბრინჯაოს ხანაში. – სდსინ, I, თბილისი, 2007, გვ. 144-148.

აჭარის მთიანეთის წინაქრისტიანული ძეგლები. – სდსინ, I, თბ., 2007, გვ. 227-240. (თანაავტ. შ. მამულაძე)

აჭარა ადრეანტიკურ ხანაში. დიდი ბერძნული კოლონიზაცია და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი. – სდსინ, I, თბილისი, 2007, გვ. 241-246.

კახიძე ა. აჭარა-ადრეანტიკურხანაში. სამხრეთ-დასავლეთზღვისპირეთიძვ.წ. VI-IV სს. – სდსინ, I, თბ., 2007, გვ. 247-254.

აჭარა ადრეანტიკურ ხანაში. მეურნეობა, ხელოსნური წარმოება, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი // სდსინ, I, თბ., 2007, გვ. 255-267.

აჭარა ადრენტიკურ ხანაში. ანტიკური სამყარო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. – სდსინ, I, თბ., 2007, გვ. 268-295.

ყუაკვერიანი ცულების გენეზისის საკითხისათვის. – ბამ-ის შრომები, ტ.4, ბათუმი, 2007, გვ. 4-10, 86, ტაბ. I-IV.

საველე არქეოლოგიური კვლევა ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 2003-2004. – ბამ-ის შრომები, ტ. 4, ბათუმი, 2007, გვ. 43-67, 88-89. (თანაავტ. მ. ვიკერსი, გ. თავამაიშვილი)

ფიჭვნარი II – ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ფიჭვნარის ძვ.ნ. Vს. ბერძნული ნეკროპოლი), ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1967-1987). თბილისი, 2007.

ირანული მინის ჭურჭელი ფიჭვნარის ძვ.ნ. V ს. ბერძნული ნეკროპოლიდან. – ჟურ. იბერია-კოლხეთი, №4. საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის გამოცემა. 2008, გვ. 49-53.

ფიჭვნარი IV – გონიო-აფსაროსი IX. – მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან. – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი, ოქსფორდის აშშ-ის მუზეუმი. „ტრიადა“. 2009(თანაავტ. შალიკაძე თ).

ბათუმი და მისი შემოგარენი ძვ.ნ. I ათასწლეულში (ბათუმის ციხე). – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“, I, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტი. გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2009, გვ. 146–152.

კოლხური თეთრის ნომინალები ფიჭვნარიდან (ჰემიტეტრატემორიონები). – კულტურულ-საისტორიო ძიებანი (გ. ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობის 50). ივ. ჯავახიშვილის სახელ. უნივერსიტეტი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2010, გვ. 124–133. (თანაავტ.: მ. ვიკერსი, ი. ვარშალომიძე).

ფიჭვნარი III – ელინიზმი და კოლხეთი. სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციებისა და საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები(1965–2004 წწ). ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, ოქსფორდის აშშ-ის მუზეუმი, 2010. (თანაავტ. ნ. ვაშაკიძე).

კოლხური თეთრის ახალი ნომინალები ფიჭვნარიდან (ჰემიტეტრატემორიონები). – ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში. კონფერენციის მასალები. რუსთაველის სახელ. უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. გამომც. „შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2010, გვ. 500–503. (თანაავტ. მ. ვიკერსი).

საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი ფიჭვნარის ახალმშენებლობათა ტერი-ტორიაზე. – ძველი ხელოვნება დღეს (Ancient art today), №2. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, 2011, გვ. 4–15.

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ბათუმის ციხეზე. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია). კონფერენციის მასალები. აჭარის მთავრობის საქვეუნეებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო. თბილისი, გამომც. „უნივერსალი“, 2012, გვ. 153–157 (თანაავტ. ნ. სურმანიძე, თ. შალიკაძე).

საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი ფიჭვნარის ქვიშაზვინულებზე. – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, V, 2013:8–21 (რეზ. ინგლ. და რუსულ ენებზე) (თანაავტ. გ. თავამაიშვილი, ირ. ჩავლეიშვილი).

ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 2010 წლის ნოემბერ-დეკემბერში განხორციელებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, V, 2013:34–54 (თანაავტ. ნ. ვაშაკიძე, თ. შალიკაძე).

ბათუმის ციხის 2012 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. – კრებ. აჭარა. წარსული და თანამედროვეობა. 2012 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. 2013: 8–51 (თანაავტ. ნ. სურმანიძე, თ. შალიკაძე).

ფიჭვნარის ექსპედიციის 2012 წლის საველე კვლევა-ძიების ანგარიში. – კრებ. აჭარა. წარსული და თანამედროვეობა. 2012 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. 2013: 52–126 (თანაავტ. ნ. ძენლაძე, თ. შალიკაძე, მ. თურმანიძე).

ჩოლოქ–ნატანების აკვატორიაში აღმოჩენილი გვიანელინისტური ხანის ჩაძირული გემის ნაშთები. – კრ. აჭარა. წარსული და თანამედროვეობა. 2012 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. 2013: 127–163 (თანაავტ: ნ. მგელაძე).

ჩაქვის ჩაისუბნის „შუამთის“ გორანამოსახლარის არქეოლოგიური დაზვერვების შედეგები. – კრ. აჭარა. წარსული და თანამედროვეობა. 2012 წ. არქეოლოგიური გათხრების შედეგები. 2013: 222–264 (თანაავტ: ნ. სურმანიძე).

ფიჭვნარი V – აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის შედეგები (ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს. ბერძნული ნეკროპოლი). ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის, საქართველო–ბრიტანეთისა და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგები (1967-2012 წწ), ბათუმი–ოქსფორდი, 2014. (თანაავტ: ე. კახიძე).

ფიჭვნარი VI – კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. საქართველო–ბრიტანეთის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგები (2003-2007წწ). ბათუმი–ოქსფორდი, 2014 (ქართულ და ინგლისურ ენებზე). (თანაავტ: მ. ვიკერსი)

ატიკური მონუმენტური ვაზათმომხატველობის ნიმუშები ფიჭვნარიდან (წითელფიგურული კრატერი). – კრებ. ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები, VI. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ბათუმის ხელოვნების სახელ. სასწავლო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2015, გვ. 3–10.

Привозные монеты из могильника Пичвнари. - ВДИ, 1974, №36, сс. 88-92.

Раскопки могильника Пичвнари. - КСИА, Античные памятники Колхиды и Иберии, 1977, №151, М., сс. 4-11, рис. 1-9.

Раскопки в Пичвнари. - АО в 1977 г., М., 1978, с. 483, рис.1. (соавт. Ю. Давитадзе)

Древнегреческий могильник в Пичвнари (IV в. до н.э.). - СА, 1979, №1, сс. 171-180.

Восточное Причерноморье в античную эпоху (Колхские могильники), Батуми, 1981, 76 страниц, 26 таблиц.

Ausgrabungen in Kobuleti-Pitschnari. - Georgica, Zeitschrift fur Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens. Heft 15, Universitatsverlag Konstanz, 1992, S. 5-15, Abb.1-5. (co-author Plontke-Luning Annegret).

Древнеколхидское хозяйственное орудие - цалди. РА, 1993, №3, сс. 198-203. (соавт. Н. Кахидзе)

Macahel in Adlari ve Soyadlari. - Macahel, sayı 3, İstanbul 1996, s.23-24. (co-author N. Kakhidze)

Antike Welt und Ostpontos: Die Griechische Nekropole Klassischer Zeit in Pichvnari. – Phasis, Greek and Roman Studies, Hellenic Studies on the verge of Centuries. 2000, Vol. 2-3, Tbilisi, Logos, pp. 175-180. (Tbilisi Javakhishvili State University). (co-author M. Vickers)

Погребения раннесредневекового периода из Пичвнари. РА, №1, 2001, сс. 76-87. (соавт. Ш. Мамуладзе)

Silver Coins of Black Sea Coastal Cities from the Fifth Century BC Necropolis at Pichvnari. - Numismatic Chronicle, No. 161, London, 2001, pp. 282-288. (co-author. I. Iashvili, M. Vickers)

The British-Georgian excavation at Pichvnari 1998: the 'Greek and 'Colchian' Cemeteries. – Anatolian Studies, London, 2001, Vol. 51, pp. 65-90, Fig. 1-41. (co-autor: Vickers M.).

The Oxford-Batumi Pichvnari expedition, 1998. - Pontica. 2001, XXXII Muzeul de Istorie Nationala si Arheologie Constanta, pp. 19-38. (co-author M. Vickers).

Specimens of classical bronze toreutic from Pichvari. - Talanta XXXII-XXXIII (2000-2001), The Black Sea Region in the Greek, Roman and Byzantine Periods, 2001, pp. 41-60, Fig.1-12.

Recent Archaeological Finds in Gonio-Apsarus. – Pont-Euxin et Commerce. Actes du IX^e Symposium de Vani, Paris, Presses Universitaires Franc-Compoises, 2002, pp.251-261, fig. 1-6. (co-author Sh. Mamuladze, N. Inaishvili, G. Tavamaishvili, M. Khalvashi, E. Kakhidze, T. Ebralidze, I. Varshalomidze).

Pichvnari – a contact zone of Greeks and Colchiens. – Actes du IX^e Simposium de Vani. Paris, Presses Universitaires Franc-Compoises, 2002, pp. 227-234, Fig. 1-9. (co-author G. Tavamaishvili, M. Vickers).

Монеты Боспорского царства из Греческого некрополя Пичвнари. –Боспорский феномен, Санкт-Петербург. 2005. сс. 371-375.(соавт. Г. Тавамаишвили)

Фибулы Пичвнарского могильника. - Кавказоведение (Caucasiology), М., 2005, №8, сс. 57-66.

The principal results of the excavations conducted in 1998-2001 at Pichvnari by the joint Georgian-British Archaeological expedition // Metalla. Georgian - Schatze aus dem Land des Goldenen Vlies. Tagungsband zum Kolloquium, 2./3. Dezember 2002, Wiesbaden, Bochum, 2005, S. 114-124. (co-author M.Vickers, G.Tavamaishvili).

Athens and the Black Sea Area in the Late Archaic and Classical Periods. – Pont-Euxin et Polis. Actes du X^e Simpo-

sium de Vani. Paris, Presses Universitaires Franche-Comtoises, 2005, pp. 115-118.

Recent work by the joint British-Georgian Archaeological Expedition to Pichvnari. - A la recherche d'une colonie. Actes du Colloque International. 40 ans de recherche archeologique a Orgame/ Argamum. Bucarest-Tulcea-Jurilovca, 3-5 octobre, 2005, Bucarest, 2006, p.37-45, Pl. (co-autor : Vickers M.).

Greek Necropolis of Classical period at Pichvnari. – Ancient Greek Colonies in the Black Sea 2, Vol. II, British Archaeological Reports International Series 1675 (II), 2007, pp. 1143-1178, Fig. 1-68.

Iranian glass perfume vessel from the Pichvari Greek cemetery of the fifth century BC. – Achaemenid Culture and Local Traditions in Anatolia, Southern Caucasus and Iran, New Discoveries. Leiden-Boston, 2007, pp. 109-115, Fig.1.

Pichvnari 1967-2005: Recent work in a Colchian and Greek settlement. Recent Research in Northern Black Sea Coast Greek Colonies. Proceedings of the International Conference, Krakow, 18th of March, 2006, Jagiellonien University, Krakow, 2008, pp. 221-237, Pls. 31-32. (co-autor: Vickers M.).

Iranian Glass vessels from the 5th Century Greek Necropolis of Pichvnari. - Iberia-Colchis. researches on the Archaeology and history of Georgia in the Classical and Early Medieval Period, #4. Georgian National Museum of Otar lordkipanidze centre of Archaeology Supplement to – “Researches On The Archaeology of Georgia” 2008, pp. 49-53.

Chian Amphorae from Kobuleti – Pichvnari. – “Production and Trade of Amphorae in the Black Sea”. actes de la table ronde internationale de Batoumi et Trabzon. 2009, 135-137. (co-author M. Khalvashi)

Pichvnari, Georgia 2008-2009. – Anatolian Archaeology. British Institute at Ankara research reports 2009, volume 15 (2009). British Institute of Archaeology ar Ankara, 2009, p. 33 (co-author: Vickers M.).

Chian amphorae at Pichvnari– Patabs I. Production and Trade of Amphorae in the Black Sea. Varia Anatolica, XXI. Actes de la Table Ronde Internationale de Batoumi et Trabzon, 27-29 Avril 2006. Édites par Dominique Kassab tezgor ey Nino Inaishvili. Institut Fraçais D’etudes Anatolienne-Georgies Dumuzil, 2010, pp. 135-137. (co-author M. Khalvashi)

The Chorokhi (Coruh) basin – the oldest center of the Colchian culture. – Archaeology of Caucasus, #2-3, Georgian National Museum (Dedicated to the memory of member of Academy of Sciences of Georgia, Professor Otar Lordkipanidze), Tbilisi, 2009-2010 (co-author: Mamuladze S). pp. 187-207. ISSN 1512-3529.

Burial of Greek and local population of Pichvnari. – Ancient Sacral Monuments in the Black Sea. Publishing house. Kyriakidis Brothers s.a., Thessaaloniki, 2010. (co-author E. Kakhidze).

The 4th century BC Greek cemetery at Pichvnari: aspects of intercultural Relationship. - 2nd International Symposium of Georgian culture. The Caucasus: Georgia on the Crossroads. Cultural exchanges across the Europe and Beyond. Proceedings, November 2-9, 2009, Florence, Italy. Tbilisi, 2011 (co-author: E.Kakhidze), pp. 78-81.



ჩვენის პირა

ვერა ჩიხლაძე დაიბადა ხონის რაიონის სოფელ ხიდში. ხონის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1969 წელს. 1970 წელს მუშაობა დაიწყო ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ლაბორანტად. დღემდე არქეოლოგიის კვლევის ცენტრის მეცნიერ თანამშრომელია. წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა ექსპედიციებში (ვანი, კოდა, დიდი თბილისი, ჟინვალი, სვანეთი, ალგეთი, თეთრინყარო, წალკა), მაგრამ მისი ძირითადი საქმიანობა დაუკავშირდა ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციას (შემდეგ კი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას).

